

മിഴി -

നെയ്യും നെയ്യും

UNIVERSITÉ D'ÉTAT DE TBILISSI IVANÉ DJAVAKHISHVILI

# **La vigne – l'arbre de vie**

LE RECUEIL

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ვაში – სიცოცხლის ხე

კრებული



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამოცემა

ნიგნში თავმოყრილი მასალა მხოლოდ ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი კუთხით განიხილავს ქართულ კულტურას. ეს არის მისი მიმართება ვაზთან და ღვინოსთან. ქართველი სიამაყით და ამავე დროს მართებულად ამბობს, რომ „საქართველო ღვინის აკვანია“, „საქართველოში ვაზის კულტია“, მაგრამ ამ სიტყვებს მხოლოდ მაშინ მიენიჭება ღირებულება, როცა ის აღიქვამს, რამდენად განუყოფელია ვაზი და ღვინო მისი ყოველდღიური ყოფისგან, რაც, აუცილებლად, კულტურაშიაც ჰპოვებს ასახვას. ნიგნის მიზანიც სწორედ ეს არის, წარმოაჩინოს ვაზისა და ღვინის როგორც გამოყენებითი, ასევე მხატვრული ფუნქცია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქართული კულტურის მოაზრება.

ნიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და ზოგადად ეროვნული კულტურით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი	თამარ შარაბიძე
რეცენზენტები:	თსუ ასოც. პროფ. ნანა გონჯილაშვილი თსუ ასოც. პროფ. ირმა რატიანი
ნიგნის იდეის ავტორი	თამაზ კანდელაკი
ფოტოები	გურამ ნიბახაშვილი

## შინაარსი

პირველი წერილი

### ასმათ ოქროპირიძე

<b>ვაზი – სიცოცხლის ხე</b> .....	7
წინათქმა .....	7
ვაზი ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში .....	12
რელიგიური ვენახი ტაძართა ფასადებზე .....	14
სტელები .....	23
ჭედურობა .....	25
მონუმენტური მხატვრობა .....	26
ხეზეკვეთილობა .....	27
საეკლესიო ნაქარგობა .....	28
ბოლოთქმა .....	31

მეორე წერილი

### ელდარ ნადირაძე

<b>ეთნოგრაფიული მიმოხილვა</b> .....	32
ვენახი .....	33
რთველი .....	33
მარანი .....	35
საწნახელი .....	36
ქვევრი – ჭური .....	37
ორშიმო – კოპე .....	38
მევენახის სტუმართმოყვარეობა .....	39
რიტუალები .....	39
საეკლესიო ღვინო .....	40
ქართული სუფრა .....	42
ქართული მევენახეობა საქართველოს გარეთ .....	43
საღვინე ჭურჭელი .....	44

მესამე წერილი

### ზურაბ კიკნაძე

<b>ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში</b> .....	46
პური და ღვინო .....	46
ვენახის ღვთაება .....	49
ღვინო და სტუმარმასპინძლობა .....	49
აბრამის ლექსი .....	51
ქართული სუფრა, ღვინის სმის წესი .....	53
სიმღერა .....	59

მეოთხე წერილი

**რევაზ სირაძე**

**ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში**..... 61

    ბიბლიური სიმბოლოები ..... 63

    ჰაგიოგრაფია..... 64

    საერო მწერლობა ..... 66

მეხუთე წერილი

**თამარ შარაბიძე**

**XIX საუკუნე** ..... 72

    ალექსანდრე ჭავჭავაძე..... 74

    გრიგოლ ორბელიანი ..... 77

    ვახტანგ ორბელიანი ..... 84

    მიხეილ თუმანიშვილი ..... 85

    ნიკოლოზ ბარათაშვილი..... 86

    რაფიელ ერისთავი ..... 87

    ილია..... 90

    აკაკი ..... 94

    ვაჟა-ფშაველა ..... 99

მეექვსე წერილი

**თამარ შარაბიძე**

**XX საუკუნე** ..... 103

    კონსტანტინე გამსახურდია..... 104

    გრიგოლ რობაქიძე..... 109

    გალაკტიონი ..... 115

    „ცისფერყანწელები“ ..... 118

    პაოლო იაშვილი ..... 119

    ტიციან ტაბიძე ..... 123

    გიორგი ლეონიძე ..... 130

    ლადო ასათიანი..... 137

    თანამედროვენი ..... 143

    შოთა ნიშნიანიძე..... 144

    მურმან ლებანიძე ..... 150

    მუხრან მაჭავარიანი ..... 153

    ანა კალანდაძე..... 157

    ბოლოსიტყვაობა ..... 162

La vigne – l'arbre de vie ..... 164

## ასმათ ოქროპირიძე

### პაპი – სისოხლის ხე

#### წინათქმა

ათასწლეულების სიღრმეში იკარგება საქართველოს ისტორიის სათავეები. დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაგასაყარზე მდებარე ეს პატარა ქვეყანა ცივილიზაციათა მუდმივი გადაკვეთის, მიმოქცევისა და შეხლის ალაგი იყო, მაგრამ მისმა ისტორიამ მაინც საუკუნეებს გაუძლო და დღესაც საკვირველი სიმტკიცით აგრძელებს თავის არსებობას.

„და მაინც, როგორ გამოაღწია ჟამთა სიავეს ამ პატარა – მცირერიცხოვანმა და მცირემინიანმა – ერმა? პასუხი საქართველოს კულტურის პლასტების სიღრმეებშია საძიებელი, რადგან ერის არსებობა მის ფიზიკურ განზომილებებზე არ დაიყვანება. როგორც ადამიანის სახე მისი სულიერი სიმაღლეა, ასევე ერის არსებობაც მეტაფიზიკური ფენომენია. იგი იზომება სულიერი მწვერვალებით და არა ფიზიკური მაჩვენებლების მექანიკური ჯამით. ამ მხრივ, პატარა საქართველო მართლაც რომ საკვირველი ქვეყანაა. მითოსური ყოფიერების სიღრმეში იკარგება ამბავი კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანისა, რომელმაც კაცობრიობას ცეცხლი მოუტანა. მისმა სახემ შთააგონა და დაბადა მითი ბერძნული პრომეთესი. უძველესი კოლხეთის მინიდან გაიტაცეს ძველმა ბერძნებმა ოქროს სანმისი, რომელიც წუთისოფლის ამაო მდინარებისაგან განმენდით იუნჯებდა უხრწნელებისა და მარადიულობის ხატს – ოქროს (იგივე „უქროს“ – უქრობელს). ოქროს სანმისთან, ანუ კაცობრიული ცხოვრების ფარულ საზრისთან ერთად გაიტაცა ბერძნულმა ცივილიზაციამ აიეტის ბრძენი ასული მედეა და მასთან ერთად საქართველოს საკვირველი მცენარეული სამყაროს მაცოცხლებელი და მკურნალი მადლი (მედეა-მედიცინა).

ადამიანური შემოქმედების თითქმის ყველა არსებით დარგში ქართველს თავისი სიტყვა უთქვამს. განა არ კმარა, თხუთმეტი დამწერლობიდან ერთ-ერთი რომ ქართულია?! მას არაჩვეულებრივი სისადავე და სიზუსტე ახასიათებს; ხოლო მისი განვითარების სამი საფეხური (მთავრული, ხუცური, მხედრული) ამ ანბანის თვითმყოფადობისა და დიდი შინაგანი სიცოცხლისუნარიანობის უტყუარი მანიშნებელია.

თვით ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი ხეთაგანი – მოიცავს იმგვარ განშტოებებს (სვანური, მეგრული, ლაზური), რომელთა სიღრმეებიც ცივილიზაციათა სათავეებში იკარგება (პროტოენის ცოცხალი მესხიერება).





ქართული სიმღერა არაჩვეულებრივად სადა და ამასთანავე მრავალხმიანი... დღეს საქართველო აღიარებულია პოლიფონიის ერთ-ერთ უმთავრეს სამშობლოდ, რომლის „ჩაკრულოც“ დედამინამ გალაქტიკის სივრცეებში გაუშვა, როგორც კაცობრიული შესაქმის ფენომენური გამოხატულება, ხოლო საეკლესიო მუსიკა მიჩნეულია ქრისტიანული გალობის ერთ-ერთ სრულყოფილ და ამასთანავე თვითმყოფად ენად.

ქართული ხუროთმოძღვრება უკვე ძველი წელთაღრიცხვის V ათასწლეულიდან იღებს სათავეს – ქართველი აშენებს საცხოვრისს, რომლის ცენტრშიც კერა და დედაბოძია. ეს მთავარი სინმინდეები უბრალოდ, მაგრამ მტკიცედ გასდევს მთელ მის ისტორიას, ვიდრე XX საუკუნემდე. იგი მოიცავს არა მარტო საერო-საცხოვრებელ არქიტექტურას, არამედ კომპოზიციურად სოციალურ-საკულტოსაც. კერძოდ, ეკლესიას, რომლის დომინირებული ღერძიც ცენტრალურ-გუმბათურ სივრცეს მოიკრებს. სწორედ ამ კომპოზიციის გენიალური გამოხატულებაა მცხეთის ჯვარი. იგი მსოფლიოს ხუროთმოძღვრულ შედევრთა რიგს განეკუთვნება როგორც ბუნებასთან მიმართებით, ასევე არქიტექტონიკურობის, მინიმალიზმის, უბრალოებისა და სისადავის, მასალის თავისთავადობის გამოვლენითა თუ სხვა ნიშნებით, განსაკუთრებით კი ნაწილთა თანაფარდობის ღრმად გააზრებული, მათემატიკური ჰარმონიით.

ქართული სიტყვიერება, სამწუხაროდ, მცირერიცხოვანი ერის მწერლობაა, ამიტომ მას ჯეროვნად ვერ იცნობს მსოფლიო. ეს ლიტერატურა არ გამოირჩევა სქელტანიანი, მრავალრიცხოვანი პროზით. მისი დომინანტი პოეზიაა, სადა და უბრალო, მაგრამ ღრმა და გამომსახველი. როგორც ამბობენ, „ყოველი ქართველი პოეტი, ხოლო ყოველი ქართველი პოეტი – ორგზის პოეტი“. აქ პოეზია ცხოვრების მდინარებით იქმნება, იგი ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია, მსგავსად ქართული ხალხური სიმღერისა. ქართული ხალხური პოეზიის შედევრები ტოლს არ უდებენ ე.წ. „პროფესიულ“ ლიტერატურას. ვინც „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ იცის, ამას უეჭველად დაინახავს. ქართული პოეზია, მსგავსად სიმღერისა, ხალხურია არა „ნაივურ-ფოლკლორული“, არამედ უფრო მაღალი განზომილებით – „ნაციონალურის“ მასშტაბით. მაგრამ ამასთანავე ქართველი კაცის სულის სარკეა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – ეს უდიდესი პოეტური ქმნილება, რომელიც „ოდისეას“, „რამაიანას“, „შაჰნამესა“ და „ფაუსტის“ რანგში დგას.

ქართული მხატვრობა მთელი თავისი ნიშან-სიმბოლური არსით ზოგადქრისტიანულია, მაგრამ ამასთანავე ახასიათებს ღრმად ეროვნული, საკუთარი სახის მქონე ნიშნები.

საქვეყნოდ ცნობილია ნიკო ფიროსმანის სახელი. მისი ფერწერული ტილოები საკვირველი უბრალოებით ატარებენ მთელი ცივილიზებული სამყაროს უდიდეს სულიერ გამოცდილებას შუმერიდან პიკასოს ჩათვლით.

აღარაფერს ვამბობთ ქართულ ეროვნულ ცეკვაზე, რომელიც სისადავისა და ენერგიულობის საკვირველი შეხამებით განადიდებს ადამიანის სხეულს, როგორც ღვთის ხატის ღირსების გამომხატველ ინსტრუმენტს. მაგრამ სულიერება მხოლოდ ხელოვნებაში არ ჩანს. ერის თვითმყოფადობა მისი არსებობის ყოველ გამოვლინებაში იკითხება. ამ კუთხით კიდევ უფრო საკვირველია საქართველოს ყოფითი კულტურის ისტორია. ეს პატარა ქვეყანა ითვლება ისეთი მნიშვნელოვანი დარგის უძველეს კერად, როგორცაა რკინის დამუშავება და, ზოგადად, მელითონეობა.

საქართველოს განსაკუთრებული ღირსება და სიხარული კი პური და ღვინოა – ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზრდო. ხორბლის ოცდაერთი ძირეუ-



ლი ჯიშიდან თვრამეტის სამშობლო საქართველოა. აქ მისი სახესხვაობა, ისევე როგორც ვაზისა, რამდენიმე ასეულს ითვლის. არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოაჩინეს ძვ.წელთაღრიცხვის VI ათასწლეულის უძველესი ნიჰნა – ამ საკვირველი მცენარის თესლი.

პური და ღვინო განსაკუთრებული საზრდოა ადამიანისათვის. სწორედ ამ ორს ერგო პატივი, გამხდარიყო ქრისტეს ხორცისა და სისხლის წინასახე. სწორედ პური და ღვინო მიაქვს ძღვნად მონანიე კაცობრიობას ტაძრის სამსხვერპლოზე, სადაც საღვთო მადლის გარდამოსვლით თვით უფალი იესოს მაცხოვრებელ სისხლად და ხორცად გადაიქცევა. ამიტომაც ამ ორ მცენარეს კაცისათვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს.

უნებურად გიჩნდება კითხვა – როგორ და რატომ მიიღო ესოდენი პატივი ღვთისაგან ამ პატარა ერმა! იგი მცირერიცხოვანია, მაგრამ როგორც უკ-



ვე აღვნიშნეთ, მდებარეობს ცივილიზაციათა კვეთის ცენტრში. უმნიშვნელოვანესია მისი მდებარეობა: მცირე ტერიტორიაზე მყინვარებისა და სუბტროპიკების, მწვერვალებისა და ნახევარუდაბნოების უჩვეულო შეხამებით თითქოს კაცობრიული ლანდშაფტის მთელი სპექტრია წარმოდგენილი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მცენარეული საფარი – სამხრეთ კავკასია ხომ აღიარებულია ე.წ. „ოქროს სამკუთხედად“, სადაც იკვლება პლანეტის მთელი მცენარეული საფარის დვრიტა. თუ ამ კონტექსტით კიდევ ერთხელ გადავხედავთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი – ეს პატარა ქვეყანა – მდებარეობს ცივილიზაციათა ცენტრში, როგორც ედემი სამოთხის გულში. ამ კონტექსტში ფაქიზ უღერადობას იღებს ქართველის უძველესი საცხოვრისი, ძვ. წელთაღრიცხვის V ათასწლეულში პირველქმნილი (ხელით ნაძერწი) თიხისაგან ნაკეთი. მას კვერცხის (იგივე ქვევრის) ფორმა აქვს, ხოლო მის ცენტრში კერასთან – საღვთო ცეცხლთან – დედაბოძია აღმართული, იგივე სიცოცხლის ხე, როგორც გაუცნობიერებელი სასოება სამოთხისეული სიცოცხლის ხისა. სწორედ სიცოცხლის ხეა ის მთავარი სიმბოლო, რომელიც ამ უძველესი დროიდან მოკიდებული ქართულ საცხოვრისს მოუცილებლად გასდევს. იგია მთავარი სიმბოლო წარმართული საქართველოსი. სწორედ მისი საზრისით ცოცხლდება საქართველოს გეოგრაფიის დაფარული სახისმეტყველება – ცივილიზაციათა გზაჯვარედინის გული, ინტენსიური მცენარეულობა, სიცოცხლის ხის კულტი და ვაზისა და პურის უძველესი კულტურა. ყველაფერი კი იკრიბება ერთ მისტიკურ სხეულად – ეს არის წმინდა ნინოს ჯვარი, შეკრული ვაზის ნასხლევისაგან, რომელიც საკვირველი გამჭვირვალეობით აერთიანებს სიცოცხლის ხეს, ჯვარსა და ვაზს. ნინოს ჯვარი, არსებითად, სიმბოლოა მთელი ქართული კულტურისა პირველიდან მერვე დღემდე.





ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს ჯვარს, სიცოცხლის ხესა და ვაზს შორის. პასუხი საძიებელია იმ ჭეშმარიტ მოძღვრებაში, რომელიც განაცხადა თვით ამქვეყნად მოსულმა ძე ღვთისამ – იესო ქრისტემ. ეს არის ქრისტიანობა, რომელსაც იმთავითვე ეზიარა ქართველი ერი და განუხრელად მისდევს ამ გზას დღემდე.

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მოქმედი არს.

ყოველმან რტომან, რომელი ჩემ თანა არს და არა მოილოს ნაყოფი, აღილოს იგი და ყოველმან, რომელმან მოილოს ნაყოფი, განიწმინდის იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოილოს.

მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მის თანა, ამან მოილოს ნაყოფი კეთილი“ (იოანე 15).

აგერ უკვე ორი ათასი წელია, რაც კაცობრიობას ესმის უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს, ეს სიტყვები.

ვაზი, ვენახი, მტევანი, ღვინო – აი, ის უსაყვარლესი მეტაფორული სახეები, რომელთაც იტვირთეს კაცობრიობის ხსნისათვის ჯვარცმული უფლის ერთ-ერთი სახელი.

ექვს დღეს ქმნიდა უფალი სამყაროს: ერთმანეთს განაშორა ბნელი და ნათელი, ცა და მიწა, წყალი და ხმელეთი, აღმოაცენა მცენარეული, შეამზადა და სრულყო სამყარო, როგორც უზადო სამკვიდრებელი და შემდეგ შექმნა ადამიანი ხატად და მსგავსად უფლისა, გაუზიარა მას უმაღლესი თვისება – თავისუფალი ნება და მიანიჭა უმთავრესი უნარი – მოქმედება. ადამიანი – შესაქმის გვირგვინი, მეგობარი უფლისა – უბრალოდ და უმიზეზოდ ცხოვრობდა სამოთხის ბაღში. მან შეიმეცნა და დაარქვა სახელი ყოველივე არსებულს – სულდგმულსა და არასულდგმულს. ედემის ცენტრში აღმოაცენა უფალმა ხე სიცოცხლისა და ხე ბოროტისა და კეთილის შეცნობისა; დაუნესა ადამს და მის ნეკნიდან შექმნილ ევას, ემარხულათ – არ ეგემათ ნაყოფი ამ ორი უმთავრესი ხიდან, ვიდრე ჟამი არ დადგებოდა. მაგრამ უბოროტესმა და უბრძენესმა გველმა აცდუნა შესაქმის გვირგვინი, დაარღვევინა საღმრთო მცნება, აგემებინა ნაყოფი ხისა – ცნობადისა და კეთილისა და ბოროტისა.

არ შეინანა ადამმა თავისი მოქმედება და რადგან მასში შესული იყო ურჩება და უნანებლობა, ამიტომ განდევნა უფალმა ადამი და ევა ედემიდან; კარში ცეცხლოვანი ქერობინი დააყენა მახვილით, დევნილთ კი ჭირითა და ოფლით ცხოვრება განუწესა, რათა ამგვარი მსხვერპლით სინანულამდე მიეყვანა მეგობარი და მსგავსება თვისი.

ედემიდან გამოდევნის შემდეგ გამრავლდა ადამის მოდგმა, გამრავლდა პირველქმნილი ცოდვაც. მიწა მოიცვა განუკითხაობის სიმძიმემ და სიბნელემ. გაამპარტავნებულმა ადამიანმა ცამდე ასვლა მოინდომა, ააგო ბაბილონის გოდოლი, მაგრამ სახიერმა უფალმა კეთილი სასჯელით ენებად დაყო უმადური მოდგმა, რათა არ ემძლავრა ბოროტებას.

კაცობრიობაში ღრმად იყო ჩაბეჭდილი ცოდნა სამოთხის შესახებ. იგი გადმოვიდა ადამისაგან, რომელიც ედემში პირისპირ იდგა უფლის წინაშე. მან იცოდა, რა იყო უკვდავება, რა იყო სინათლე და მშვენიერება.

მაგრამ ცოდვამ შებღალა ადამისეული მეხსიერება, განყდა ცოდნის კრიალოსანი, რომლის ცალკეული მარცვლებიც დაიფანტა წარმართობის სიბნელით მოცულ კაცობრიობაში. ყოველი ენა (ერი, კულტურა) ზრდის ამ მარცვალს ხსნის მოლოდინის სასოებით.

ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე, მანამ, სანამ ადამს მიწისგან შექმნიდა, უფალმა იცოდა სისუსტე თავისი ხატისა და მსგავსებისა, იცოდა, რომ იგი დაეცემოდა. ამიტომ ჟამის უწინარესვე წმინდა სამების განგებულებით ძე ღმრთისა მხოლოდშობილი განმზადებული იყო ტარიგად (მსხვერპლად), რათა გამოეხსნა თავისი ქმნილება.

შესწირა უფალს მართალმა აბრაამმა მხოლოდშობილი ისააკი. იხილა რა მისი სუფთა გული და სასოება, უფალმა არ შეინირა მსხვერპლი სისხლით და პირიქით – აღუთქვა მსხვერპლად თავისი მხოლოდშობილი ძე იესო ქრისტე და ნიშნად მისცა კრავი.

გამოხდა ხანი. უფლის რჩეულმა ერმა – ისრაელმა – აღმოაცენა ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი, პატიოსანი ჭურჭელი, რომელიც ღირსი შეიქმნა გამხდარიყო წიაღი უფლის განკაცებისა.

უფლის განკაცებითა და შობით სამყაროში დაიწყო ახალი აღთქმა, განხორციელებულმა იესომ ერთ გვამად შეაერთა სრულად ღმერთი და კაცი, ცა და მიწა, უკვდავი და მოკვდავი.

მაგრამ ძველი ადამი ელოდა ნაყოფს სიცოცხლის ხისა, რომელიც მან ედემში ვერ იგემა მცნების დარღვევის გამო. ეს ნაყოფი კი აუცილებელი იყო მისი უკვდავებისათვის.

უფლის საიდუმლო განგებულებით ანგელოზმა ლოტს სამოთხიდან სიცოცხლის ხის რტო გამოუტანა. სწორედ ამ ტოტიდან აღმოცენებული ხისაგან გამოიჭრა გოლგოთის ჯვარი. მასზე ეცვა ტარიგი – უფალი, ნებით ენამა, მოკვდა, რათა ჩასულიყო ჯოჯოხეთში, შეეღენა მისი ბჭენი, გამოეხსნა პირველი ადამი, ხოლო მკვდრეთით აღდგომითა და ამაღლებით უკუშეექცია კაცებრივი სხეული ედემის წიაღში.

გოლგოთაზე ჯვარცმული უფლის გვერდი ლახვრით განგმირეს. მისგან გადმოსული სისხლი და წყალი გახდა ის მაცხოვრებელი წყარო, რომელსაც შეეზიარება ყოველი ადამიანი, თუკი სინანულითა და სიყვარულით მოძებნის უფალს.

თუ სულიერი თვალთ კიდევ უფრო ჩაუჭურმავდებით გოლგოთის ამბავს, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ იქ არსებითად იკრებება სამოთხისეული სიცოცხლის ხე, ქცეული მსხვერპლად (ანუ ჯვრად) და მისი ნაყოფი – ქრისტე. გოლგოთაზე არსებითად გარდაიქმნა სამოთხის ხე. იგი იქცა ახალი აღთქმის სიცოცხლის ხედ – გოლგოთის ჯვრად, რომელმაც გამოიღო მსხვერპლი – ქრისტე. მისი სიმბოლო კი გახდა ვაზი და ხორბალი; ამ ორმა მცენარემ მიიღო უფლისაგან პატივი, ნივთიერად ქცეულიყო ქრისტეს სისხლად და ხორცად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველესი დროიდან ქართულ კულტურულ სივრცეში იდგა დედაბოძი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი წარმართული სიმბოლოთაგანი. იგი არაცნობიერად (თუ ცნობიერად) სამოთხისეული სიცოცხლის ხის მოლოდინი და წყურვილი იყო. ამასთანავე ქართველი უვლიდა ვაზსა და ხორბალს – თავისი მიწის წილხვდომილ კულტურებს.

ქრისტეს მოსვლამ გამოავლინა ის უდიდესი მადლი, რომელსაც ატარებდა საქართველო – პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ქვეყანა (უფლისათვის არ არსებობს უმნიშვნელო ქვეყანა – სამყარო ყველა წერტილში საღვთო სუნთქვით არსებობს. ჩვენ ვლაპარაკობთ არა საქართველოს ერთადერთობასა და აღმატებულებაზე, არამედ მის თვისობრიობასა და ინდივიდუალობაზე).

სახიერი წინასწარგანგებულებით გოლგოთაზე წილნაყარი კვართი მცხეთაში მოაბრძანა სჯულიერმა ელიოზმა. იგი მის დასთან – სიდონიასთან – ერთად დაეფლა





საქართველოს გულში – მტკვრისა და არაგვის შესართავთან. კვართზე აღმოცენდა ხე, რომელმაც მიაწვინა იმ უდიდესი სინმინდის შესახებ, უფლის ჯვარცმულმა სხეულმა (როგორც ახალმა საფლავმა) რომ დატოვა მინაზე. საიდუმლოდ შესრულდა რჯული განკაცებული უფლისა, როგორც სრულად კაცისა. ამ ხით საბოლოოდ გაცხადდა, რომ ქართული კულტურისათვის (ენისათვის) წარმართულ სიმბოლოთაგან მთავარია ხე (იგივე დედაბოძი). სწორედ ამიტომ, პირველივე საუკუნეში ქრისტეს მხურვალე მოციქული, პირველნოდებული ანდრია, ჭრის დიდ ჭყონს (მუხას – გაუცნობიერებელ სასოებას სამოთხისეული სიცოცხლის ხისა) და ცვლის მას ჭეშმარიტი ძელით ანუ ჯვრით.

წმ. ანდრია პირველნოდებულის მიერ დაწყებული ქართლის მოქცევა უკვე IV საუკუნეში განასრულა იერუსალიმიდან მოსულმა კაბადოკიელმა ქალწულმა ნინომ, რომელმაც ქართლში იხილა „ერი უცხოე, უცხოთა ღმერთისა მსახური“, რომელიც „ცეცხლთა, ქვათა და ძელთა თაყვანისსცემდეს“. კვართზე ამოსული ხე იჭრება, იკვეთება; საღვთო განგებულებითა და წმ. ნინოს ლოცვით იგი გარდაიქცევა იმ „ცხოველ“, ცეცხლოვან სვეტად, რომელიც სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი ღერძთაგანია – უფლის დაფლული სხეულისა (რომლის ფიზიკური მოწმობაც არის წმინდა კვართი) და ზეცად ამაღლებულის მაერთებელი „ცხოველი“ (ცოცხალი) სვეტია. სწორედ ამიტომ სვეტიცხოველი სამოთხეში დანერგილი სიცოცხლის ხის კოსმოსური ხატი და „მეტოქიონია“; იგი – ხე სიცოცხლისა – გადმოენერგა მინაზე კაცთა ხსნისათვის.

წმინდა ნინომ – „სულისა წმინდისა ქნარმა“ – განჭვრიტა ყოველი ღვთივკეთილგანგებული და სიცოცხლის ხის მოთაყვანე და მსასოებელ ქვეყანას შეუთხზა ჯვარი (ახალი სიცოცხლის ხე), რომელიც შეკრა ვაზის ნასხლევისაგან, ანუ იმ მცენარისაგან, რომელიც საღვთო შესაქმისთანავე განმზადებული იყო, როგორც მსხვერპლადგაღებული იესო ქრისტეს სისხლის წინასახე. სწორედ წმინდა ნინოს ჯვარში ერთ სხეულად იკვანძება საქართველოს არსებობის მთელი საღვთო სწრაფვა – მოლოდინი გადარჩენისა და ხსნისა, რომელიც ქრისტესთან ზიარებით განხორციელდება. ქრისტიანობა – აი, ის უმთავრესი სიტყვა, რომელიც მოიცავს საქართველოს არსებობის მთელ საზრისს პირველიდან მერე დღის ჩათვლით. სწორედ წმინდა ნინოს ჯვარში დაქარაგმდა სვეტიცხოველი – ეს უდიდესი სინმინდე მთელი კოსმოსისა (და არა მარტო საქართველოსი). წმინდა ნინოს ჯვარში ქართლის მინაზე იპოვა ჭეშმარიტი საზრისი ვაზის უძველესმა ისტორიამაც.


## ვაზი ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში

ვაზი, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტეს უზოგადესი სახელთაგანია. ამიტომ სახარებისეულ წმინდა ტექსტშიც, ბუნებრივია, იგი წამყვანი სახე-სიმბოლოთაგანია ისევე, როგორც ქრისტეს ეკლესიის ცხოვრებაში.

უკვე პირველი საუკუნეებიდან, ბერძნული მითოსის ღვინის ღვთაება დიონისე და მასთან დაკავშირებული სახვითი ხელოვნება ტრანსფორმირდება. კერძოდ, ხდება მისი განმედა, ანუ მასში დაბინდულ-დაფარული ჭეშმარიტი ქრისტიანული საზრისის წინ წამოწევა, დიონისეს კულტისეული ვაზის რტოები, ფოთლები, მტევნები ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და წმინდანთა სიმბოლოების მნიშვნელობას იძენს. ეს საყოველთაო, ზოგადქრისტიანული პროცესი კიდევ უფრო მკაფიოდ და

მტკიცედ ავლენს თავს ქრისტიანული საქართველოს კულტურულ სივრცეში. რადგან ქართველი ვაზის ოდინდელი მცველი და მოამაგე იყო, მისთვის მით უფრო გასაგები ხდება ვენახის ქრისტიანული სახე-სიმბოლოები და, ბუნებრივია, დიდი სიცხოველით ითვისებს მას. იგი (ვენახი) მკვიდრდება საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების ყველა დარგში – ხუროთმოძღვრებაში, პლასტიკაში, ოქრომჭედლობაში, ნაქარგობასა თუ სხვა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ, ზოგადქრისტიანული საზრისის მიუხედავად, ვაზის სიმბოლური მეტყველება ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ხასიათდება იმგვარი განუმეორებელი ნიუანსებით, რომლებიც ყოველ ენას (კულტურას) აქვს მიმადლებული. ეს განუმეორებლობა, შენივთებული მის ზოგადობასთან, ძნელად გამოსაშრევებელია, მაგრამ იგი უთუოდ არსებობს. ამასთანა-



ვე განუმეორებლობა განპირობებულია ბევრი სხვა ფაქტორითაც: დროის ნიშნებით, მასალის სპეციფიკური მეტყველებით, თვით ხელოვნების ნაწარმოების ფუნქციური დანიშნულებით და ბოლოს – შემოქმედის ინდივიდუალური მსოფლგანცდით (ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში). იქმნება არაჩვეულებრივად მდიდარი სურათი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სრული, მძიმე ისტორიის გამო (გამუდმებული ომები და განადგურება), ამ რიგის ხელოვნების ნიმუშები უფრო მეტად ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა; მაგრამ ყოველი მათგანი უდავოდ დიდი სულიერი შემოქმედების ძეგლია. გარეგნულად სადა და მარტივი ეს ნიმუშები თავისი ღრმა შინაარსით დიდი მასშტაბის საზრისს გამოხატავენ, გვიჩვენებენ რა განუმეორებლობის, ინტერპრეტაციის ბრწყინვალე უნარს, რაც ეფუძნება ადამიანის – ღვთის ხატის – თვისებას, იყოს შემოქმედი.

ბუნებრივია, სანამ ხელოვნებაში ვაზის ასახვის მაგალითებს განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი ვიზუალური მახასიათებლები. იგი ხვიარა მცენარეა, რომლის კლაკნილი ლერწი გამოიღებს ნაზ, პატარა ულვაშს (კავებს), რითაც რტო ეჭიდება გარესაგნებს, რათა დაფიქსირდეს. ადრე გაზაფხულზე ვაზს გამოაქვს უნაზესი ბაცი მწვანე ყვავილების გუნდი; იგი თანდათან მტევნად ყალიბდება, რომელიც ივსება წვენი და განსრულდება. ვაზის ფოთოლი არაჩვეულებრივად ენერგიულად იზრდება. ვეგეტაციის სხვადასხვა ეტაპზე მას განსხვავებული სახე აქვს. ზრდასრუ-





ლი ფოთოლი, რომლის კიდეები ფაქიზად დაკბილულია, სამი ან ხუთი ნაწილისაგან შედგება.

„ყოველმან ვენაჴმან, რომელ ჩემ თანა დამკვიდრებულ არს და არა გამოიღოს ნაყოფი, მოჴკუეთოს იგი“ (ი. 15.2). უფლის ეს სიტყვები ადამიანს მოუწოდებს, მუდმივად განიწმინდოს თავი ამქვეყნიური ამაო ვნებებისაგან. ვაზი კიდევე ერთხელ შეგვახსენებს ამ ჭეშმარიტებას – თუ გაზაფხულზე იგი დაგვიანებით გაისხლა, მისი მოჭრილი ლერწიდან იწყება ნვენის დენა, რომელსაც ქართველმა სულის თვისება – ტირილი – უწოდა („ვაზის ტირილი“, „ვაზის ცრემლი“). იგი თითქოს სინანულია „გვიან გასხლული ცოდვების“ გამო; ამასთანავე ზოგადად ხატია სინანულისა, რომელიც ერთ-ერთია შვიდ საიდუმლოთაგან.

ვაზის (ვენახის) კონკრეტული ფიზიკური თვისებები თავისებურად ტრანსფორმირდება უკვე ქრისტიანულ ხელოვნებაში, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ზოგადად სახვითი ხელოვნება ყოველივე ხილულს გადაიაზრებს, განაზოგადებს და ისე გადმოსცემს. ეს თვისება განსაკუთრებით დამახასიათებელია ქრისტიანული ხელოვნებისათვის, რომელიც ყოველივე ფიზიკურს მეტაფიზიკური განზომილებით განიხილავს. იგი არსებულში ამოიკითხავს, ამოიცნობს საღვთო განგებულებას, ანუ იმ კანონზომიერებებს, რომლებიც თავდაპირველად, შესაქმისას გამოსახა შემოქმედმა. იგი, როგორც „პლატონის იდეა“, უწყევად არსებობს საგანთა სიმრავლის ნებისმიერ ნიმუშში და მისი გამოხატვა თითქმის მათემატიკური კანონზომიერების (ფორმულის) ენაზეც კია შესაძლებელი. სწორედ ამგარი „მათემატიკური“ საფუძვლის არსებობა განაპირობებს ზოგადად ქრისტიანული ხელოვნების ორნამენტულ ბუნებას, რომელსაც ზოგჯერ „დეკორატიულსაც“ კი უწოდებენ. არსებითაც კი ეს დეკორატიულობაა და არა მკვდარი სქემატიზაცია ან გაერთმნიშვნელოვნება. უფრო მეტიც, იგი ვერ გუობს ვერანაირ სქემატურსა და მექანიკურს (ისევე როგორც ზოგადად ნამდვილი შემოქმედება), ყოველთვის სუნთქავს სიცოცხლის განუმეორებლობით, რაც მთლიანობაში ქმნის უმაღლესი რანგის სინთეზს – მეტაფიზიკურისა და ფიზიკურის, კანონზომიერისა და განუმეორებლის, მკაცრისა და თავისუფალის. ამის საფუძველთა საფუძველი კი იესო ქრისტეა, რომელმაც განკაცებით შეაერთა შეუერთებელი ცა და მიწა, ღმერთი და კაცი, უკვდავი და მოკვდავი. სწორედ ამ საკვირველი შეერთების უსასრულო დიაპაზონში იბადება ქრისტიანული ხელოვნება და, ბუნებრივია, მასთან ერთად – ვაზის გამოსახულებანიც.

## რელიეფური ვენახი ტაძართა ფასადებზე

ვენახის (ვაზის) უადრესი ქართული ნიმუშები შემოგვინახა ქრისტიანული პლასტიკის ისეთმა ძირეულმა დარგმა, როგორიცაა ქვის რელიეფები ტაძრის ფასადებზე თუ სტელის ბაზებზე და სვეტებზე. უძველესი მაგალითები V საუკუნიდან გვხვდება. ესაა ბოლნისის სიონის (478-493) კაპიტელების პლასტიკა. სამხრეთ სანათლავის კაპიტელზე ხარის ცნობილი ჰორელიეფის გვერდზე შემორჩენილი ვაზის მოტივი გვიჩვენებს რეალური ვენახის ბუნებრივ პლასტიკას – ღეროსა და კავანების (უღვაშის) ზრდას, მტევნის ირეგულარულ ფორმას. ამასთანავე შეიმჩნევა გარკვეული განზოგადება – ორნამენტირებისაკენ სვლა.

ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის სარკმლის თავსართი. თვით ტაძრის აღმშენებლობა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით უკავშირდება ბაკურ რევის ძეს. ამასთანავე VI საუკუნეში აქ ფუძნდება ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – ნმინდა ისე წილკნელი. წილკნის ტაძარი, თავისებური ხუროთმოძღვრული პალიმფსესტი (VI-XVIII სს), ბევრ სამშენებლო შრეს მოიცავს. შემორჩენილი სარკმლის თავსართი სტილურად VI საუკუნეს განეკუთვნება. ვაზის ლერწი – ბუნებრივად ხვიარა – თითქოს გადასულა სარკმლის თავსართზე, მასზე გადაზრდილა. აქ თავს იჩენს ვაზის ფიზიკური თვისებების ორნამენტული ტრანსფორმაციის საინტერესო პროცესი – ღერო, რომელიც ობიექტურად ხვიარაა, გადმოცემულია უსასრულო ტალღის სახით, რითაც იგი აყვანილია მარადიულობის ხარისხში. ეს კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან ვაზის კავები (ულვაშები) ქმნის მჭიდრო სპირალებს, რაც აგრეთვე მუდმივი სწრაფვისა და დინების ინტონაციის შემომტანია. განსხვავებული კონფიგურაციის მტევნები და ფოთლები ვიტალური განუმეორებლობისა და ორნამენტული კანონზომიერების გარკვეულ თანაარსებობაზე მიგვითითებს. განსაკუთრებით



კი ყურადღებაამისაპყრობია შროშანის ყვავილი, რომელიც თალის ცენტრში კლაკნილ ღეროზე ამოსულა, რითაც მონიშნავს ღეროს დინების კულმინაციას. შროშანის ყვავილი აქ აშკარად სიმბოლური ფუნქციონირებით ჩნდება. მთლიანობაში ეს მოტივი ძლიერ ასოცირდება სირიულ რელიეფებთან, მაგრამ მათგან განსხვავებით (მიუხედავად იმისა, რომ აქ ჯერ კიდევ „ანტიკური ვიზუალიზმის“ კვალი დიდია) ორნამენტულ-დეკორატიული აბსტრაგირების რანგშია აყვანილი.

წილკნის ანალოგიურია მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის თავსართთა მორთულობაც. მაგრამ აქ იგივე თემა მხატვრულად რამდენადმე განსხვავებულია. ღეროს სრბოლაში მეტმა გეომეტრიზმმა იჩინა თავი, ასევე, კიდევ უფრო განყენებულია მტევნების ფორმა – იგი სამ-სამი დიდი კუფხლისაგან შედგება, მკაფიოდ





გამოკვეთილი სამი ელემენტისაგან, რომელიც ქრისტიანულად გააზრებული რიცხვი სამის ჟღერადობას იძენს. ამასთანავე მტევანი მარცვლებად იყოფა პარალელური ხაზების დინებით, რაც მას გარკვეულად გირჩასაც კი ამსგავსებს, ანუ იზრდება მისი შინაარსობრივი არე. ასევე მკაცრად სამყურად ინაკვთება ვაზის ფოთოლიც; თუმცა ყურადღებას იპყრობს უღვაშის თითქმის ნატურალისტური ფორმა, რომელიც ამკარად რეალური მცენარის შესანიშნავი ცოდნის ანარეკლია.

მაგრამ მცხეთის ჯვრის ტაძრის ფასადზე ვაზის ორნამენტი, ნილკნის მსგავსად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მთლიანად ტაძრის შინაარსთან მიმართებით. კერძოდ, ნილკნის დედაღვთისმშობლის ტაძარში, სადაც დაბრძანებული იყო მისი ცნობილი სასწაულთმოქმედი ხატი, შროშანის ყვავილი გაჟღერდა, როგორც ღვთისმშობლის ყოვლანმინდობისა და უფლის უმანკო განკაცების ნიშანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთის ჯვრის სემანტიკაც. იგი მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესართავზე – პრაქტიკულად მთელი სამხრეთ კავკასიის სივრცითი შეკრების წერტილში (ჩრდილოეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის). აქ, ამ უძველეს მიწაზე, ერთ მხარეს დგას სვეტიცხოველი უფლის კვართითა და ცხოველმყოფელი სვეტით, ხოლო მეორე მხარეს, გაღმა მთის წვერზე, სადაც სულიწმინდის მითითებით მთელმა ქართველმა ერმა – წმინდა ნინოს, მირიანის, ნანასა და ეპისკოპოს იაკობის უშუალო მონაწილეობით – აღმართა პატიოსანი ჯვარი, როგორც აღთქმა ქრისტიანობისა. სწორედ ეს ჯვარი იკურთხა სულთმოფენობის დღეებში ზეცით – მასზე გადმოვიდა ცეცხლოვანი ჯვარი თორმეტი ანგელოზითა და ვარსკვლავით. მცხეთის ჯვარი არსებითად არის ქართლის მოქცევის განსრულების ძეგლი, მისი ზეცით კურთხევის ბეჭედი. მასში განსრულდა მისტიკური ციკლი „ხარებიდან სულთმოფენობამდე“. ამ სემანტიკურ კონტექსტში თავსართთა ვაზის ორნამენტი თითქოს გაცოცხლება და გამრავლებაა საქართველოს მოქცევის სიმბოლოსი – წმინდა ნინოს ჯვრისა.

ხუროთმოძღვრების სემანტიკასთან მიმართებით არანაკლებ საგულისხმოა ბანას ტაძარი. ტიპოლოგიურად ეს არის წრეში ჩანერილი ტეტრაკონქი – ხუთჯვროვანი ძღვევის ბეჭედი – არსებითად ასლი და ხატი იერუსალიმის ანასტასისისა, ამდენად, კოსმოსური საყოველთაობის მომცველი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რამდენადაც მისი აღმშენებლობა, ისევე როგორც მცხეთის ჯვრისა, ბაგრატიონთა სახლეულს უკავშირდება, რითაც სახელმწიფოებრივ მასშტაბს იძენს. ამიტომ ვაზი ამ უმნიშვნელოვანესი ტაძრის ფასადზე ქართლის მოქცევის ისტორიის თავისებური მტკიცებულებაა.

ბანას ტაძრის რელიეფი სხვა მხრივაც არის გამორჩეული. აქ ერთ მცენარედაა შენივთებული ვაზი და ბროწეული. ეს ერთი შეხედვით უცნაური შეხამება სრულიად ორგანულია ქრისტიანული სახისმეტყველებით, რომელიც ყოველივეს მარადიულობის განზომილებით გაიაზრებს, მისთვის უცხოა ნატურალიზმი, ამიტომ უშვებს ერთ ღეროზე ვაზისა და ბროწეულის ერთობას (ისევე, როგორც შემდგომ ეს გვხვდება სამთავისის ფასადზე ან სამოთხის გამოსახულებებში ზოგადად). სიმბოლურად ბროწეული ქრისტეს ეკლესიაა, რადგან ძონისფერი ქერქი და ყვავილის გვირგვინი სამეუფეო პორფირის შესამოსელს გვაგონებს, ხოლო წითელი მარცვლების სიმრავლე ქრისტეს სისხლით ნაზიარები და შეერთებული მრევლის სიმბოლოა, ამიტომ ბროწეულისა და ყურძნის ერთობა ღრმა და მრავალმხრივი მინიშნებაა ეკლესიასა და ზიარებაზე.

საგულისხმოა მარტივლის ტაძრის გარე სახის პლასტიკაც. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადთა ფრიზები მთლიანად ავსებულია ვაზის სტილიზებული მოტივით



– ეს არის მსხმოიარე რტოები, რომლის მტევნებსაც ჩიტები (იგივე მორწმუნეთა სულელები) კენკავენ, ანუ ეზიარებიან ქრისტეს. ამ ფრიზის ნიაღში ჩართულია უმნიშვნელოვანესი სცენები: „დანიელი ლომთა ხაროში“, „ხარება“, „წმ. ევსტატის ნადირობა“ და სხვ., ანუ არსებითად ერთიანდება ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, როგორც უფლის ქვეშარიტი ვენახის ხატი. ამ მიმართულებით კიდევ უფრო საკვირველი ისაა, რომ სწორედ მარტივლის ტაძარი დგას წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ მოჭრილი დიდი ჭყონის ადგილზე. I საუკუნეში სულიწმიდით განბრძნობილმა მოციქულმა უცდომელად განჭვრიტა რა წარმართული საქართველოს მთავარი სიმბოლო – ხე (ჭყონი), როგორც მოლოდინი ქვეშარიტი ხისა, მოჭრა იგი და შეცვალა ჯვრით. მარტივლი (ჭყონდიდი) არსებითად იგივეა დასავლეთ საქართველოს სივრცეში, რაც სვეტიცხოველი და ჯვარი აღმოსავლეთ საქართველოსთვის, იგივე გულისა საქართველოს ქრისტიანული მოქცევისა. ამიტომ ვენახიც მის ფასადებზე განსაკუთრებით ნიშნეულია, როგორც ქართველისათვის ქრისტიანობის მომნიშვნელი ერთ-ერთი უმთავრესი სიტყვა, როგორც სიცოცხლის ხის ყოვლისმომცველი სახელი.

სხვა მხრივაც საგულისხმო VI საუკუნის დარბაზული ეკლესიის – აკვანების – რელიეფიც სამხრეთ შესასვლელის არქიტრაფზე. გამოსახულების ცენტრში დგას რვაქიმიანი ჯვარი (ე. წ. „ბოლნური“), ჩანერილი დინამიკური გრეხილის წრეში. ეს არის ჯვრის ტრიუმფის ხატი – „სიკვდილითა სიკვდილით“ დათრგუნვის. მისი ძირიდან ამოსული, განედების მიმანიშნებელი ორ-ორი ყლორტი გადმოცემულია ე. წ. „სასანური ლენტის“ სახით, რაც ამასთანავე ძალაუფლებისა და ძლევის სემანტიკის მატარებელიცაა. ჯვრის რკალის ზედა ნახევარი, შემკული ცხრა სამყურა ყვავილით, აძლიერებს ვეგეტაციურობის განცდას. ფოთოლთა რიცხვი – სამი – მლოცველს სრულიად არათავსმობხვეულად მიანიშნებს საკრალურ შინაარსზე. განედლებული ჯვრის აქეთ-იქით, მთელი რელიეფის შემავსებლად გამოსახულია სამ-სამი მტევანი, შედგენილი ბურთისებური მარცვლებისაგან. მტევნების სილუეტის ირეგულარულობა ბადებს ბუნებრივის განცდას, მაგრამ ამასთანავე მათ სანყისში ამოიკითხება გეომეტრიული სამკუთხედი, რითაც ეს გამოსახულებები თითქოს ძველი არქეოლოგიური მასალის (კერძოდ, საიუველირო ხელოვნების) სტილიზაციის პრინციპის გაგრძელებაა, ანუ ტრადიციის უწყვეტობის უფაქიზესი გამოხატულება. მტევნებს ჩიტები კენკავენ, მათ სტილიზებულ ფორმებში ამასთანავე დაქარაგმებულია კონკრეტული ფრინველის პლასტიკის უდიდესი შეგრძნება. მთლიანობაში რელიეფი გვიქმნის აყვავებული და მსხმოიარე ბალის სურათს, რაც უდავოდ მინიშნებაა სამოთხეზე – ქრისტიანობის გზის განსრულებაზე მარადიულობაში. მაგრამ ეს არაჩვეულებრივად ცხოველმყოფელი რელიეფი, რომელიც თითქოს მაყურებლის თვალწინ იზრდება, იფურჩქნება და ხარობს, განსაკუთრებით საგულისხმოა სხვა მხრივაც – იგი პირდაპირი გამოხატულებაა ქართლის მოქცევის ერთი პასაჟისა: „მათვე დღეთა შინა ორგზის და სამგზის ვიხილე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუჭლთა ზედა: მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანან და მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთუალებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან და მოწყლედ ჩემდამო ღალადებდ, რეცა ჩემი არს სამოთხეი იგი“ (მატბერდი, 336). აქ სრულიად ნათელია, რომ ქართლის მოქცევის ისტორია მეტყველებს ადრექრისტიანული ზოგადი ქრისტიანობის ენით, რაც არაჩვეულებრივი ინტენსივობით მჟღავნდება ერთი კონკრეტული რელიეფის – აკვანების არქიტრაფის – სივრცეშიც.





ვაზის გამოსახვის სრულიად არაორდინალურ გადაწყვეტას ვხვდებით გველდესშიც. ეს არის ტაძრის კანკელისა და ტრაპეზის VIII-IX საუკუნეების უნიკალური პლასტიკური ანსამბლი. აღნიშნული პერიოდი უმძიმესია ზოგადად ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში, რადგან ხატმბრძოლობის გამო შექმნილია თავისებური „სახვითი ვაკუუმი“.

ტრაპეზის გამოსახულება შედგება კლაკნილისა და პატარა წრე-ბურთებისაგან. ეს ორივე ელემენტი თვისობრივად გეომეტრიულია, მაგრამ ერთიანობაში ბადებს გამოსახულებებს, კერძოდ, ორი კლაკნილის ტალღოვანი სრბოლა არქეტიპების სახვით ენაზე ნიშანია უსასრულობისა, ხოლო ცალკეული მცირე ბურთულები (წრეები) – მარადიულობა-სრულყოფილებისა. წრის ცენტრში ჩაბურღული წერტილის სიღრმეიდან (რომელიც თავისთავად უსასრულობაა) ამოსჭვივის იდუმალი სიბნელე, თითქოს მეტაფიზიკური სივრცე, მაგრამ ამასთანავე ერთობლიობაში იქმნება იგავური მინიმუმება ვაზის ლერწმა და მტევნებზე, რაც პირდაპირ კავშირშია ტრაპეზთან – საღვთო სუფრასთან, სადაც სულიწმინდის გარდამოსვლა ღვინოს უფლის სისხლად აქცევს. ტრაპეზის ქვედა კედელზე, სვეტების ჩამოსწვრივ წრე-ბურთებისაგან იქმნება თავისებური ორნამენტული რიგი, რომლის ელემენტებიც უკვე მარგალიტს მოგვაგონებს („მარგალიტი ობოლი“ – იგავურად იგივე ქრისტე-ნათელი); წმინდანთა თვალებში ჩასმული წრეებიც მათი სულების მარადიულობაზე ორიენტირების მაჩვენებელია (წრე-მარადიულობა), რადგან სანთელი გვამისა თვალია (მათე 6, 22), „თვალი განმარტებული“ (ანუ წრე-მარადიულობაზე ორიენტირებული) პიროვნების განღმრთობის ნიშანია. აზრობრივ ჟღერადობას იღებს აგრეთვე ტრაპეზის ქვის უმსუბუქესი მომწვანო-მოფირუზისფრო ტონალობა, რომელიც ქრისტიანული სახისმეტყველებით მაღლით გაცოცხლების, ცხოვნების ნიუანსის მატარებელია. გველდესი ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ როგორი მდიდარი შინაარსის კომპოზიციები შეიძლება შეიქმნას სულ მცირე, მაგრამ აზრობრივად მეტაფიზიკური ელემენტების შეფარდებათა ცვლით, მათ შორის – ვაზის გამოსახულებისა, რომელიც აქ თითქმის გეომეტრიულ ნიშანზეა დაყვანილი; და რომ ძველი გამოსახულებები – ერთი შეხედვით უბრალო და ელემენტარული, არსებითად ძალზე ღრმა მნიშვნელობის ტექსტებია, სადაც სულ უმნიშვნელო დეტალსაც კი შეუძლია შექმნას ან შეცვალოს შინაარსობრივი რეგისტრი.

ვაზის გამოსახვის განსაკუთრებულ სახეს ქმნის სვეტიცხოველი, სამთავისი და ანანური – ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების სამი უბრწყინვალესი ტაძარი.

თავი და გვირგვინი საქართველოს ეკლესიისა სვეტიცხოველია. მისი ფუძე კვართია, რომელზედაც ამოსული ხე წმინდა ნინოს ლოცვით შეიცვალა ზეადმავალ ცეცხლოვან ცხოველმყოფელ სვეტად.

თავისთავად საკვირველია ხის ფენომენი. იგი იზრდება მიწიდან (ანუ სიკვდილით), სძლევს სიბნელესა და სიმძიმეს და ცისკენ მიემართება. მას ახასიათებს ვეგეტაციურობა, ანუ ერთი მარცვლიდან ამოდის მრავალი ტოტი და ნაყოფი, რაც ხატია მაღლის მიერ არარსიდან არსად მოყვანებისა. ამასთანავე „მდუმარებითა“ და „უძრაობით“ იგი გვიჩვენებს საკვირველ მორჩილებას, თავისებურ „ისიხიას“. ასე რომ, ხე (მცენარე) თვისებებით უდავოდ მრავალმხრივი შეგონებისა და ჭვრეტის საგანია განღმრთობის მსურველი ადამიანისათვის. ალბათ ამის გამო დანერგა იგი უფალმა სამოთხის გულში, როგორც ჭეშმარიტი სიცოცხლის მაგალითი – უწყვეტი სიკეთე, მაღლის გამრავლება, ღვანლი და მდუმარება. მაგრამ სამყაროს ცოდვით დაცემის

შემდეგ ჭეშმარიტ სიცოცხლის ხედ იესო ქრისტე გაცხადდა, რომელიც კაცთა ხსნისათვის გადმოენერგა მიწაზე, რათა სიყვარულითა და მორჩილებით გამოეხსნა თავისი ქმნილება.

ქრისტეს – ახალი სიცოცხლის ხის – ამალეებისა და „მარჯვენით მამისა“ დაჯდომის შემდგომ სამყაროს გამოსყიდვისა და შეერთების მისმიერი მადლი შეინივთა სვეტიცხოველმა, როგორც თავისებურმა კოსმიურმა ლერძმა. მის სიღრმეში დაფლული უფლის კვართი იესოს სიკვდილისა და საფლავად დადების ნიშანია, ხოლო სვეტის თავზე მარადიულად მყოფი „ძველთა დღეთა“ – მკვდრეთით აღმდგარი და ამალეებული უფლის დიდებისა.

სვეტიცხოველი – უმნიშვნელოვანესი სინმინდე მთელი სამყაროსი – მრავალმხრივ საგულისხმოა ქართული ენის (კულტურის) გააზრებისათვისაც. მისით ცხადდება, თუ რატომ იყო ქართველისათვის მთელი წარმართობის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო ხე, როგორც გაუცნობიერებელი მოლოდინი ზოგადად სამოთხის სიცოცხლის ხისა, ასევე კონკრეტულად ღვთის ნებით მცხეთაში მობრძანებული კვართისა და მასზე აღმართული სვეტიცხოველის წინასწარუწყებაც. ნიშანდობლივია, რომ ახლადმოქცეული ქართლი IV საუკუნეში იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის მიწაზე მონიშნავს იმ სინმინდეს, რომელიც პარადიგმულად მისთვის ყველაზე მახლობელია – ეს არის სწორედ იმ ხის ძირი, რომლიდანაც გოლგოთის ჯვარი შეიქმნა.

მაცხოვართან მიმართებაში სვეტიცხოველი, როგორც ახალი სიცოცხლის ხე ქართულ სივრცეში, კიდევ ერთი სიმბოლოთი გამოიხატება – ეს არის ვაზი, რომელიც მოციქულთა სწორმა წინომ სულიწმინდის განბრძნობით ამოიცნო. სწორედ ვაზის ნასხლევისაგან შექმნა მან წმინდა ჯვარი და შეკრა იგი თავისი თმით. როგორც მაცხოვარმა განილო გვერდი კაცობრიობისათვის, რათა მისი სისხლით ზიარებული ადამის მოდგმა აღედგინა და განელმართო, ასევე ვაზიც უფლის განგებით ბაძავს თავის შემოქმედს და გამოიღებს მტევანს, რომლიდანაც ზიარების ღვინო იწურება. ამრიგად, ვაზი – უფლის სიკვდილის, მსხვერპლისა და სისხლის სიმბოლო – სვეტიცხოველისა და სიცოცხლის ხის სიმბოლოც გახდა. ამით ისიც გაცხადდა, თუ რატომ დასახა მაცხოვარმა საქართველო ვენახისა და ღვინის სამშობლოდ – როგორც სვეტიცხოველის სამკვიდრებელი და ქრისტიანობის ვენახი, რომლის მფარველიც ღვთისავე განგებულებით ღვთისმშობელია – ედემში დანერგული ჭეშმარიტი ვენახი.

აღბათ ამ კონტექსტში უკვე სრულიად გასაგებია, თუ რას გამოხატავს სვეტიცხოველის ფასადებზე რელიეფური ვენახი. ეს დიდებული ტაძარი მართლაც გამორჩეულია ამგვარი რელიეფებით როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და განსაკუთრებით, სამხრეთ ფასადებზე. მიუხედავად იმისა, რომ რელიეფები XI საუკუნისაა, იგი გამჭვირვალედ ავლენს თვით ტაძრის თავდაპირველი სინმინდის არსს – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მაცხოვრის, სიცოცხლის ხისა და თვით სვეტიცხოველის კრებითი სიმბოლო და არა უბრალოდ ვაზის დეკორატიული სახე. ამ განცდას განსაკუთრებით სამხრეთ ფასადის გამოსახულება გვიქმნის: ტაძრის ოქროსფერ ქვის კედელზე, როგორც მზვარეში, ამოზრდილა ვაზის ორი ნერგი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თვით ქვის ფერი – საკვირველი ინტონაციის წითელი. მისი ფორების სიღრმიდან ამოსჭვივის წითლის ცეცხლოვანება, ოქროს უხრწნელება და ლაჟვარდის იდუმალეობა. ქვეყნიური უთვალავი ფერადოვნების ეს სამი საწყისი ფერი ერთ ძონისფრად შენივთებულა, როგორც სამეუფო პორფირი, რომელიც მოსავს მეუფისავე





მსხვერპლის სიმბოლოს – ვენახს. აქ საკვირველად შენივთებულა ქრისტე – ტარიგი – სიცოცხლის ხე. თვით ორივე მცენარე არაჩვეულებრივად პლასტიკური მეტყველებისაა. მძლავრ ღეროს ორივე მხარეს სიმეტრიულად გამოუსხამს სამ-სამი მტევანი, რომელიც ენერგიულად ნაზარდი ყლორტი-ფოთლიდან ამოსულა. თვით ვაზი ბოლოვდება სამყლორტიანი, სახეობრივად მრავლისმეტყველი კენწეროთი; უპირველეს ყოვლისა, იგი გვახსენებს სამ წმინდა მცენარეს – საროს, ფიჭვსა და ნაძვს – ერთ სხეულად შენაკვთულს; აგრეთვე იმ სიცოცხლის ხეს, რომელიც ქართლში მიუვალ კლდეზე იყო ამოსული და უკვდავებას ანიჭებდა მაზიარებლებს და რომლიდანაც გამოიჭრა სამი ჯვარპატიოსანი (იგივე ძელი ცხოველი); სიღრმისეულად კი იგი ამასთანავე გამოსახვაა არსებაგანუყოფელი ღმერთის სამპიროვნულობისა, რის შეგრძნებასაც აძლიერებს ფოთლის ყოველი წილის ბოლოთა განსრულება უსასრულობის მომნიშვნელი წრეებით. უსასრულობის ნიშანია ხის ძირთან გამოსახული მრავალწილიანი ვარდულიც, რომლის ქვეშაც მორჩილებით განოლილი ლომი კიდეც უფრო აძლიერებს საღვთო მეუფების ნიშანდებას. საკვირველია თვით მცენარის ძირი – სფერულად შეკრული სხვილი, რომელზედაც, როგორც ხარისხაზე, ასვეტილა ვენახი ცხოველი. მისგან გამომავალი სამი წვეთისებრი ფესვი კი ისევ უფლის კვართის იგავმიუნვდომელი საკრალიაა.

სვეტიცხოვლის ვაზის რელიეფი (რელიეფები) არსობრივად ტიპური ნიმუშია სიმბოლური სახისმეტყველებისა, რომელიც კიდეც ავლენს, ასაჩინოებს სინმინდეს და ამასთანავე მისტიკური საბურველითვე იფარავს მას. იგი იმ ოდენობით ეხსნება ადამიანს, რამდენის დატევნაც მის გულს შეუძლია.

სვეტიცხოვლის დასავლეთ ფასადზე გამოსახული ორი ვაზიც ვენახის თემის ვარიაციაა, რომელიც ამასთანავე ათვალსაჩინოებს ცოცხალი ვაზის პლასტიკისა და მისი მეტაფიზიკური განყენებულობის შერწყმის უდიდეს სიბრძნეს.

კომპოზიციით გამორჩეულია აღმოსავლეთ ფასადიც. ამ პერიოდის ქართული ეკლესიებისათვის ტიპური დეკორაციული თაღნარი მთელ ტაძართან ერთად მას ხუთ საფეხურად მოსაზღვრავს. თაღის თხემში აღმართულია ღერო – სიცოცხლის ხე, რომლიდანაც გამოსხმული ორი მტევანი დედამიწისაკენ ეშვება. ხის სხვილის წრიული ბრუნი ოცდაათხუთიანი ვარდულს ბადებს (რიცხვი სანინასწარმეტყველო), რომელიც განსრულებდა ფარშევანგის (უბრწუნელებისა და უკვდავების სიმბოლო) ბოლოსავით გაშლილი თორმეტი სხვიით (რიცხვი სამოციქულო). სვეტიცხოველიც ხომ თორმეტი მოციქულის სახელზე აგებული კათოლიკე ეკლესიაა. აქ სიცოცხლის ხე – ვაზი – აცხადებს ძველი და ახალი აღთქმის (წინასწარმეტყველთა და მოციქულთა) ერთობას, სიმბოლოა ქრისტეს ეკლესიისა და ამასთანავე მინიშნება თვით ტაძრის უმთავრეს სინმინდეზე – ცხოველმყოფელ სვეტზე, როგორც კოსმიურ ღერძზე.

გამორჩეული სახისმეტყველებისაა სამთავისიც (1030 წ.), რომელიც ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საეტაპო ძეგლია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი აღმოსავლეთ ფასადის დეკორაციაა. ტრადიციული ლილვები ხუთ თაღნარად შემოსალტავს მთელ ფასადს. ცენტრალურ თაღში, ამალღებულ ოთხკუთხა სარკმლის თავზე ჯვარია გამოსახული. იგი, წრეზე დაბრძანებული, ამკარად ძღვევის შინაარსის მატარებელია. ძღვევის ინტონაციას აგრძელებს და ამტკიცებს მთავარი თაღიდან გამომავალი ორი მომცრო ლილვიც, რომელიც დინებით ეშვება რა ქვევით, ქმნის პატარა ტოლმკლავა წრიულ ჯვრებს, რომლებიც ამასთანავე გვაგონებს ყურძნის მარცვლებს ან ვაზის ახლად გაშლილ ყვავილს; ხოლო სარკმლის ქვეშ სიმეტრი-

ულად გამოსახული ორი რომბი, გულში აყვავებული გირჩით, აშკარად მინიშნებაა სამოთხისეულ მინაზე. ასე რომ, ამ უაღრესად დახვეწილ საფასადო დეკორში მთელი თავისი ნიუანსებით თვალწინ წარმოგვიდგება განედლებული ჯვარი, როგორც სიკვდილითა სიკვდილის ძღვევის ხატი, ანუ ახალი სიცოცხლის ხე, რომელიც ვენახად გარდაისახება. ვენახის თემას აძლიერებს მცირე ჯვრებთან ერთად ერთ კუნწულად შეკრული ყურძენი და ბროწეული, რომელიც ფასადის შემომსალტავი წამყვანი ლილვის განსრულებაა, როგორც ხილი მცენარისათვის. მათი ერთობა (ყურძენისა და ბროწეულისა), რომელიც უკვე ბანას ტაძარზე ვიხილეთ, კიდევ უფრო განაგრცობს გამოსახულების შინაარსს, რადგან იგი – ისრაელისათვის აღქმული მიწის სიმბოლო – სამთავისის ფასადის მთლიან კონტექსტში არსებითად გააჟღერდება, როგორც ქემ-მარიტი აღთქმული მიწის, ანუ სამოთხის ნიშანთაგანი.

სამთავისის ფასადის უბრწყინვალესი ელემენტია ფასადთა შეერთების წახნაგზე გამოსახული აყვავებული ვაზის მძლავრი პლასტიკური მოტივი. აქ საფასადო ფართო ლილვი იმგვარ გრეხილს ქმნის, რომ იქცევა ვენახის ღონიერ რქად, რომლის გულშიც მკვრივი მტევანია დაშვებული. რქის გრეხილის შიგნით და გარეთ ამოყრილია ენერგიული ყლორტები, რომლებიც ოსტატს უხვად შეუმკვია ფოთლებით. ეს უკანასკნელი ვაზის ფოთლის ვეგეტაციის ყველა ეტაპისა და ჭრილის საკვირველი ასახვაა, მაგრამ ამასთანავე ფასადის ერთიანი მხატვრული ნყოფის შესაბამისად აყვანილია უმტკიცესი წესრიგის ხარისხში, როდესაც სტრუქტურა უკვე საღვთო ჰარმონიის ენით იწყებს მეტყველებას.

სამთავისის ფასადის სიცოცხლის ხე თავისი მასშტაბურობით ერთ-ერთი გამორჩეულია მართლმადიდებლური მტევნების პლასტიკის ნიმუშებს შორის – უდავოდ ქართლის მოქცევისა და ცხოველი სვეტის სინმინდის სისხლხორცეული გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურული პარადიგმის ეს უმნიშვნელოვანესი სიმბოლო გამოთქმულია ეკლესიაში, რომელიც, თავის მხრივ, მიჩნეულია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ერთ-ერთ დაგვირგვინებადაც, სადაც მაქსიმალური მრავალნაწილიანობა დახვეწილ მთლიანობად არის ჩამონაკვთული. ეს უდავოდ მეტყველებს მაშენებლის – ილარიონ სამთავნელის – სულიერი წვდომის სიღრმეზე. ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს სამთავისის ფასადის ე.წ. „ფასკუნჯის“ ანუ ფანტასტიკური ლომ-არწივის გამოსახულებაც (უფრო სწორად, გამოსახულებები, რადგან ამჟამად დაკარგულია მეორე ანალოგიური ფიგურა, რომელიც სიმეტრიულად იყო გამოსახული. უძველესი კულტურებიდან მომდინარე ეს სიმბოლო ქრისტიანულ სახისმეტყველებაში სამეუფეო ძღვევის (ლომი) და სულიერი სიმაღლის (არწივი) შინაარსით აღივსო, ამიტომ იგი ფართოდ გამოისახებოდა ბევრგან, მაგრამ სამთავისის ფასადზე, ცხოველმყოფელ ხესთან კონტექსტში, იგი ახლებური ძალით იწყებს მეტყველებას. კერძოდ, „ქართლის მოქცევის“ თანახმად, ძუ ლომი და არწივი (ორბი) წმინდა ნინოს მეტაფორებიცაა: „ვხედავ, შვილო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებნ ყოველსავე ზედა ოთხფეჳსა, გინა ვითარცა ორბი დედალი. რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროჲს მამლისა... ეგრეთ იყოს ცხორება შენი წინამძღურებითა სულისა წმინდისაჲთა...“ (შატბ. 330). ამრიგად, უდავოა, რომ ეს ფასკუნჯი, რომელიც ამასთანავე მახარებელთა სიმბოლოებითაა შედგენილი, „სულისა წმინდისა ქნარის“ – წმინდა ნინოს – სამოციქულო მისიასაც გამოხატავს, რაც აფართოებს სამთავისის ფასადის სემანტიკურ სივრცეს. იგი გაცხად-





დება, როგორც ქართლის მოქცევის ვაზით დაქარაგმებული კოსმიური, მონუმენტური ნიშან-სიმბოლო.

ქართლის მოქცევისა და ვენახი-სიცოცხლის ხის თემა შემდგომაც მეტ-ნაკლებად აისახება საფასადო პლასტიკაში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მეტეხის სამხრეთი კედელი, სადაც დეკორაციულ თაღნარში მტევანია ჩართული (აშკარად სამთავისის გავლენით).

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ანანურის ღვთისმშობლის ტაძარი (XVII ს.). მის სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე გამოსახულია დიდი, აყვავებული, მსხმოიარე ვენახი, რომლის ცენტრშიც გოლგოთის ჯვრები აღმართულა. ეს გამოსახულებანი აშკარად სვეტიცხოვლის რელიეფებითაა შთაგონებული, მაგრამ XVII საუკუნეში იგი ქართველთათვის იმ ეროვნული სინონიმის შემახსენებელია, რომელიც ქართლის ცხოვრების (ანუ „ცხოვნების“) არსს მონიშნავს. აქ ლოცვასავით აღვლენილა ქვეყნის სულიერი გადარჩენისათვის ამოტივტივებული მეხსიერება, იგი აცხადებს ქართველი ერის ურყევ სურვილს – იყოს მტკიცე ქრისტეს მცნებათა დაცვაში, როგორც წმინდა ქეთევან დედოფალი, რომლის ნაწამებმა სხეულმაც ღონეგამოცლილი ქვეყანა რვა-ღვივით შეამტკიცა.

ვაზის გამოსახვის შესანიშნავი ნიმუშია ბაგრატის ტაძრის სამხრეთ კარიბჭე, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სვეტისთავი. მასზე გამოსახული ვერძი ქრისტე-მსხვერპლის სიმბოლოა. ვერძის პირიდან გამოდის ვაზის რქა, რომელიც მძლავრად ვითარდება სიბრტყეზე. აქ მტევნის ვიტალურობა უმაღლესი განზოგადების ხარისხშია აყვანილი. მაგრამ ბაგრატის კაპიტელის ორნამენტი განსაკუთრებით საგულისხმოა იმითაც, რომ ვირტუოზულ ვარიაციას გვიჩვენებს – ერთ რტოზე გამოკვეთილია ვეგეტაციის სხვადასხვა ეტაპი შესაბამისად სხვადასხვა რაკურსით, ზომით თუ რიტმული ფორმულით. ფაქტიურად აქ მოცემულია მთელი ქართული მცენარეული ორნამენტის სახეობრივი გასაღები – იგი აშკარად შთაგონებულია ვაზის ფოთლით და მისით საზრდოობს. სწორედ ამიტომ ამოიკითხება ამ მთავარი მცენარის სახე თითქმის ყველა ორნამენტში – იქნება ეს ზედაზნის თუ ნეროვნის ქვის პლასტიკა, ელესას ხის კანკელის ჩუქურთმა თუ ქართული ტაძრების ფასადები, რომელთა ორნამენტები ნალკოტივით აყვავებულია; ანდა სწორუპოვარი ქართული ჭედური ორნამენტი, რომელიც XI-XIII საუკუნეებში განსაკუთრებული ვარიაციულობით გამოირჩევა, თუ სხვა. ყოველივეს საფუძველი ოდინდელი ქართული ვენახია, რომელიც ქართულ ხელოვნებაში, გაფოთლილი და აყვავებული, ჭეშმარიტი ვენახის – ქრისტეს დიდების მლალადებელი გამხდარა. ამიტომ უმეტესად ქართული მცენარეული ორნამენტის აღქმისას გვიჩნდება განცდა, რომ განყენებულად ვაზს უყურებ, დამოუკიდებლად იმისა, გამოისახება თუ არა მტევანი. ამის ერთ-ერთი ტიპური მაგალითია სამთავროს ჩრდილოეთ ფასადის ორნამენტი სარკმლების თავზე (თაღში), სადაც მძლავრი ღეროს ორნამენტული გრეხილი აშკარად ვენახის რქის განცდას ბადებს. აღარაფერს ვამბობთ პირდაპირ მინიშნებებზე, როდესაც ვაზი ერთიან დეკორაციულ სისტემაშია ჩართული. მაგალითად, ნიკორწმინდის გუმბათის სარკმლის საპირე, ან „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია კარიბჭეში, ოშკის სამხრეთ კარიბჭე და ჩრდილოეთ ფასადი, იმხნის კაპიტელის ორნამენტული მორთულობა და სხვა.

## სტელები

ვაზის გამოსახვის განსაკუთრებულ მაგალითებს გვაძლევს ადრექრისტიანული პლასტიკის ძეგლების ისეთი თვითმყოფადი წრე, როგორცაა სტელები. ეს არის რელიგიური დანიშნულების ქვის სვეტები, რომლებიც მძლავრ ბაზისზე აღმართულა და გვირგვინდება ძლევის მიმანიშნებელი ჯვრით. სამწუხაროდ, სტელებმა ჩვენამდე ძალზედ ფრაგმენტული სახით მოაღწია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სტელა – როგორც რელიგიური ხელოვნების ფორმა – ზოგადქრისტიანულია. იგი, ვერტიკალურად აღმართული, ძლევის სიმბოლოა და ამდენად, ქრისტიანობის ტრიუმფის თავისებური „ობელისკი“.

სტელების გავრცელებას საქართველოში უდავოდ ღრმა შინაარსი უნდა ედოს, კერძოდ თვით სვეტიცხოველი, რომელიც არსებითად არის სვეტი ძლევისა, ხისა და მიწის გამაერთიანებელი და ა.შ. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქვა-სვეტებმა საქართველოში ზოგადქრისტიანული შინაარსი ეროვნული ეკლესიისათვის სპეციფიკური ნიშან-სიმბოლოებით გამოხატა. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აქ წამყვანია განედლებული ჯვრის თემა, რაც, ცხადზე უცხადესია, ქართველისათვის ქართლის მოქცევის წყაროდან მომდინარეობს. ისიც ბუნებრივია, რომ განედლებული სიცოცხლის ხე ვაზად გარდაისახება იმ ქვეყანაში, რომლის ქრისტიანობის სიმბოლოდაც მოციქულთა სწორმა ნინომ ჯვარი ვაზისა დასახა. თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კულტურისათვის სისხლხორცეული ეს ლეიტმოტივი სხვადასხვა სტელაზე სხვადასხვა ინტერპერტაციით გამოისახება. ამგვარი ვარიაციულობა აშკარად მეტყველებს თვით ოსტატთა უდიდეს შინაგან თავისუფლებასა და შემოქმედებითობაზე, რაც თავისთავად გულისხმობს სიმბოლოთა ენის ღრმა ფლობას.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ბრწყინვალე ნიმუში ხანდისის სტელისა, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ სვეტი (და-





მაგვირგვინებელი ქვისა და ბაზისის გარეშე). სვეტის ოთხივე ნახნაგი შემკულია რელიეფებით, რომლებიც ქრისტიანული კოსმოგონიის შესაბამისად რეგისტრებად იყოფა. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ ვაზის ორნამენტს, რომელიც ღვთისმშობლის რეგისტრშია გამოსახული. აქ ბუნებრივად ტრანსფორმირდება თვით მცენარის ვიზუალური თვისებები. ვაზის ხვიარა ლერწი გადმოცემულია ტალღით, უსასრულობის სახე-სიმბოლოთი. თვით ვაზის კავი (უღვაში), რომელიც ეხვევა და მცენარეს ამაგრებს, გამოხატულია პატარა სპირალების სახით, რაც ზრდისა და განვითარების ნიშნებია. ყლორტზე ჩამოკიდებული სავსე მტევანი შევსებულია მრგვალი, მსხვილი მარცვლებით. საგულისხმოა ფრაგმენტულად შემორჩენილი ფოთოლი, რომელიც მაყურებლის მიმართ უჩვეულოდ იხსნება და ქმნის რომბისებურ ფორმას, მასში ჩაკეცილი სიბრტყეებით კი ჯვარი იქმნება, ანუ მტევანთან ერთად მითითებაა მსხვერპლსა და ნაყოფზე, დაბოლოს, ელეგანტური ყლორტი გვირგვინდება შროშანის დახვენილი ყვავილით, რომელიც ღვთისმშობლისაკენ იხრება. ეს, ერთი შეხედვით, უჩვეულო განსრულება არსებითად ღრმა სიმბოლოური შინაარსისაა. ქრისტიანული სახისმეტყველების პირობითობა უშვებს სხვადასხვა მცენარის ერთ სხეულად შეკვრას. ხანდისში შროშანი არაერთმნიშვნელოვანია, იგი გენეზისით მომდინარეობს სპარსული სივრციდან, სადაც უმაღლეს ძალაუფლებაზე მიაწვდნობდა, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, უმაღლესი მპყრობელი უფალია, ამიტომაც შროშანი აქ სწორედ უფალს (კერძოდ, ქრისტეს) განადიდებს. ვაზის გამოსახვა ღვთისმშობლის რელიეფის გვერდით ამ ყვავილის სემანტიკას კიდევ უფრო აკონკრეტებს, კერძოდ, „ქებათა-ქებათაგან“ მოკიდებული, შროშანი გაიაზრება ყოვლადწმინდას უმანკოების სიმბოლოდაც. თუ ყველაფერს შევაჯერებთ, მაშინ ხანდისის ვაზის გამოსახულება წარმოგვიდგება როგორც ვენახი – ღვთისმშობელი, რომელმაც „უმუშაკოდ გამოიღო თავწარსმული“ მტევანი – ქრისტე – მსხვერპლი კაცობრიობისა. ხანდისის სტელაზე გამოსახული ვაზის ეს უმშვენიერესი სახე-სიმბოლო კიდევ იმით არის საგულისხმო, რომ უკვე VI საუკუნეში გვიჩვენებს სრულ ცოდნასა და ფლობას იმ სიმბოლოთა ენისა, რომელმაც XII საუკუნეში დემეტრე II-ს შეაძლებინა ღვთისმშობლის ცნობილი საგალობელი – „შენ ხარ ვენახი“ შეექმნა.

ხანდისის ანალოგიურადაა გადმოცემული ვაზი ნათლისმცემლის სტელაზეც, სადაც დამაგვირგვინებლად გვევლინება რვაქიმიანი ვარდული – მარადიულობისა და მერვე დღის სიმბოლო.

ვაზი-შროშანის ვარიაციაა გადმოცემული ტარსონის სტელის ბაზისზეც. მასზე მოცემულია ენერგიული პლასტიკური კომპოზიცია. ცენტრში გამოსახულია რვაქიმიანი ჯვარი, დამაგვირგვინებელი მარადიულობის მომნიშვნელი რვა წრით. განედლებული ჯვრის აქეთ-იქით ამოსულია ვაზის მძლავრი ღერო მტევნებით; იგი განსრულებულია შროშანის ყვავილით, რომელიც ისწრაფვის რა ჯვრის მკლავებისაკენ, მათ შორის ჩაკეცილა და ძლევის ნიშანს განადიდებს.

პანტიანის სტელის ბაზისი გვიჩვენებს ჯვრის ამალებას (დიდებას). აქ ბოლნური ჯვარი განდიდება მფრინავი ანგელოზების მიერ. თვით განედლებული ჯვარი ამოზრდილა ძირიდან – სვეტიდან. იგი სვეტის დამაგვირგვინებაა. რელიეფის ქვედა ორი კუთხიდან ამოდის ვაზის ორი ღერო, რომელზედაც ვარდულები, მტევნები და შროშანებია გამოსახული; იზრდება რა ჯვრისაკენ, ვაზი ამკობს მას და განადიდებს, როგორც სიკვდილით სიკვდილის დამარცხების ნიშანს.

სრულიად ორიგინალურადაა კომპონირებული სათხის სვეტის ბაზისი (V-VI სს.). სიბრტყის ცენტრში გადმოცემულია ე. წ. „ბოლნური ჯვარი“ წრეში. მას რკალად ეკ-



ვრის შროშანის ყვავილები. ძლევის ჯვარი დაფუძნებულია დაბალ ძირზე, რომლის ორსავე მხარეს განედლების ნიშნად ამოყრილია ორი ღერო. ეს ღეროები თანდათან ენერგიულ ფოთლად ტრანსფორმირდება და განსრულდება როგორც გვირგვინოსანი ფარშევანგი, რომელსაც ნისკარტით ყურძნის მტევანი უჭირავს. ეს არაჩვეულებრივად მხატვრული კომპოზიცია სემანტიკური ვარიაციის ძალზედ მახვილგონივრულ გადაწყვეტას გვიჩვენებს. აქ ჯვარი, მცენარე, ვაზი და ფარშევანგი ერთმანეთს იგივეობის ნიშნით უკავშირდება და ქმნის სიკვდილითა სიკვდილის ძლევის სრულიად ორიგინალურ გამოსახულებას, სადაც ვაზი ჯვართან ერთად ფიგურირებს, როგორც მხვერპლის შედეგი და მიზანი. ქვის ინტენსიური ძონისფერი აძლიერებს მსხვერპლის ინტონაციასაც და ასევე მთლიანობაში – საზეიმო იერსაც, რადგანაც სამეუფო ღვინის ანუ წმინდა ზიარების ძალდაუტანებელ ასოციაციას იწვევს.

ძალზედ საინტერესო მოტივებია დმანისის სვეტზეც. სვეტის მთავარ სიბრტყეზე გამოსახულია განედლებული ჯვარი. იგი ჩანერილია მარადიული წრებრუნვის აღმნიშვნელ რკალში, რომელიც ტრიუმფის განცდას ბადებს. თვით ჯვარი კი ამოზრდილია მცენარიდან, რომლის ორივე მხარეს ვაზის მტევნები ეშვება. უდავოა სიცოცხლის ხისა და ვაზის კავშირი! ამავე სტელის მეორე გვერდზეც ვაზის ორნამენტი ვითარდება. ყურადღებას იპყრობს ფოთლის გადმოცემის ხასიათი. იგი ერთდროულად შროშანსაც გვაგონებს და ისრის პირსაც – დასერილია პარალელური ხაზებით, რომლებიც ენერგიის ტალღებივით გადადის ფოთოლზე, როგორც თავისებური „კოსმოგრამა“.

სრულიად ორიგინალურია ბოლნისის სტელის (VIII-IX სს.) ინტერპრეტაცია. ვერტიკალი მთლიანად კვარცხლბეკზე აღმართულ ძლევის ჯვრებს („ბოლნურებს“) უჭირავს. შემორჩენილია სამი ჯვარი. განსაკუთრებით საგულისხმოა გამოსახულების აგება სიღრმეში შეკვეთილი სამკუთხა სიბრტყეებით, რომლებიც კომპოზიციური აგების, ასე ვთქვათ, „პირველადი“ ელემენტია. რიცხვი სამი საკრალურობისა და სიმდგრადის განცდას ბადებს მაყურებელში. ამდენად, ეს მფეთქავი, ცოცხალი გამოსახულება, შედგენილი ერთი შეხედვით მარტივი ელემენტებისაგან, არსებითად ღრმა მისტიკური დატვირთვის მქონეა. ეს კიდევ უფრო ხილულია სტელის მეორე სიბრტყეზე, სადაც ძლევის ჯვრის კვარცხლბეკიდან ეშვება უზარმაზარი რელიეფური მტევანი – სიმბოლო ზიარებისა და ეკლესიისა. ანუ აქაც, ისევე როგორც სხვა სტელაში, ოსტატი ქმნის სრულიად ორიგინალურ კომპოზიციას და შესაბამისად – ვაზის გამოსახვის ახალ ინტერპრეტაციას.

## ჭედურობა

ვაზის ხილულ და მეტაფიზიკურ ბუნებას თავისებურად ასახავს ქრისტიანული ხელოვნების ისეთი წამყვანი დარგი, როგორიცაა ლითონმქანდაკეობა, გამორჩეული თავისი თვითმყოფადობით.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ქართული მცენარეული ორნამენტი უმეტესად ვენახითაა შთაგონებული და წარმოადგენს მის უმაღლეს დონეზე აბსტრაგირებას. უდავოდ ვაზის ფოთლის სტილიზაციაა ის ხუთწილიანი ფოთოლიც, რომელიც სპირალურად დახვეული წრეების უწყვეტ ღეროზეა ჩანერილი. ეს ორნამენტი, რომელიც





თავისი სქემით ზოგადქრისტიანულია, ქართული ჭედურობის ნიმუშებში უჩვეულო მრავალფეროვნებით, დაუსრულებელი ვარიაციებით ხასიათდება – არც ერთი ნიმუში მეორეს არ იმეორებს (განსაკუთრებით XI საუკუნეში).

არაჩვეულებრივი დახვეწილობით გამოირჩევა სახელგანთქმული ანჩისხატის ბექა ოპიზრისეული მოჭედილობა, სადაც ვაზის ორნამენტი უზადო მათემატიკურ ჰარმონიამდგა აყვანილი.

ვაზის სტილიზებული ორნამენტითაა შემკული ხახულის ღვთისმშობლის ხატიც. მისი მოჭედილობა დავით IV აღმაშენებელმა და მისმა ძემ, დემეტრე II-მ – „შენ ხარ ვენახის“ ავტორმა – დაუკვეთეს. მავედრებელი ღვთისმშობლის ხატი მოოქროვილ და ორნამენტებით შემკულ ვერცხლის კიდობანშია ჩაბრძანებული. განსაკუთრებით საგულისხმოა თვით ხატის სულიერი კონტექსტი. კერძოდ, დედა ღვთისა – ვენახი კეთილი, რომელმაც გამოიღო წმინდა მტევანი – ქრისტე, წარმოდგენილია ვენახისავე ორნამენტის წიაღში. ეს სამოთხის სურათი ამასთანავე თავისებური აბსტრაქციაა საქართველოსი, როგორც ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა და თვალხილული განცხადებაა თვით საგალობლის შინაარსისა.

## მონუმენტური მხატვრობა

ვაზი და ღვინო გვხვდება ქართულ მონუმენტურ მხატვრობაშიც, მაგრამ არცთუ ისეთი ინტენსივობით, რადგან საეკლესიო ხელოვნება მთლიანად მიძღვნილია ჭეშმარიტი ვენახისადმი – ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და სხვა წმინდანების გამოსახვისაკენ. მიუხედავად ამისა, გვაქვს რამდენიმე საგულისხმო მაგალითი.

აღსანიშნავია ბოჭორმის წმ. გიორგის ტაძრის (X-XI სს.) მოხატულობა (XI-XII სს-ის მიჯნა). იგი ქართული ფრესკული მხატვრობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მაგალითია და შესაძლოა, დავით აღმაშენებლის დაკვეთითაც კი იყოს შესრულებული.

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ აფსიდის კონქში გამოსახულია უფლის პირველი სასწაული – ქორწილი კანაში, სადაც წყლის ღვინოდ გადაქცევა მოხდა. ბოჭორმის სცენა ამ სასწაულის სრულიად თავისებური ინტერპრეტაციაა, რა თქმა უნდა, კონდაკის დაცვით. კონქის ერთ მხარეს, საყდარზე, დაბრძანებულია მაცხოვარი, მეორე მხარეს კი სავარძელში ზის თამადა. გამოსახულია თამადის მიერ ღვთისაგან ნაკურთხი ღვინის გასინჯვის მომენტი. სცენა დრო-ჟამისაგან მნიშვნელოვნად დაზიანებულია; მთლიანად დაკარგულია ცენტრიც, სადაც ღვთისმშობელი იყო გამოსახული, მაგრამ დარჩენილია მაინც ძალზე საგულისხმო ფრაგმენტები; კერძოდ – ტრაპეზი, რომელიც ალბათ მხატვრის თანადროული ლხინის სურათს გვიჩვენებს: მოვარდისფრო-გამჭვირვალე სუფრაზე დალაგებულია სხვადასხვა ფორმის ჯამ-ჭურჭელი, დანები, თასები, აგრეთვე პურის ნაჭრები; განსაკუთრებით კი ყურადღებაამისაქცევია დაკლული ბატკანი – ცალკეა ტანი, თავი კი ერთ-ერთ მეინახეს უჭირავს. იქვე დევს ყბის ძვალიც. სცენა არაჩვეულებრივად მეტყველია. ფრაგმენტულობის მიუხედავად, იგრძნობა მოწვეულთა შორის ცოცხალი გადალაპარაკება. გამორჩეულია თამადა – პურის უფალი – დარბაისელი ჭაღარა კაცი, რომელიც საკარცხულზე დაბრძანებულია. ერთი ხელით სუფრაზე მიუთითებს, მარჯვენით კი – მისთვის მირთმეულ ჭიქაზე, რომელშიც აშკარად ნითელი ღვინო ასხია. კონტექსტის მიხედვით, ღვინის გამოსა-

ხულება ამასთანავე მიანიშნებს ქრისტეს სისხლზე, წმინდა ზიარების დროს რომ განაღმრთობს ადამიანს. ქრისტე – ტარიგზე ირიბად მეტყველებს აგრეთვე დაკლული ბატკანიც. საოცარი სცენაა, როგორც კონკრეტულობითა და რეალობაზე გულმოდგინე დაკვირვებით, აგრეთვე მისი გააზრებისა და ინტერპრეტაციის სიღრმით, რაც ქართული საეკლესიო მხატვრობისათვის ტიპურია. ბოჭორმის მაგალითი ქართული ტრადიციული ლხინის უნიკალური გამოსახულებაა.

ანალოგად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე იკვის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავში გამოსახული სცენა – წმინდა გიორგის მიერ მშობლებისათვის ტყვის დაბრუნებისა. გამოსახულია მომენტი, როცა დიდმონაშემ გამოსხნილი ყმანვილი ცხენზე შემოსმული დაუბრუნა ოჯახს. ჩვენთვის საგულისხმოა ოჯახის წევრები და მიგებებული ტრაპეზი. მოხუცის, ქალის, მამაკაცისა და მსახურთა ფიგურები საინტერესოა როგორც მხატვრული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იპყრობს ტაბლა – დანებით, პურის ნაჭრებით, მთლიანი ბეჭით და ა. შ., ეტყობა, გამოსახულია თანადროული ლხინის ფრაგმენტი. სუფრაზე ხაზგასმულად იკვეთება ორი გამჭვირვალე ჭიქა ნითელი ღვინით, რაც პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ქართველისათვის ზიარებაზე მითითება უნდა ყოფილიყო.

ნაბახტევის „განკითხვის დღის“ ფრაგმენტში სამოთხის ნათელი სივრცე მთლიანად ბრონეულისა და ვაზის აყვავებული, მსხმოიარე ხეებითაა შემკული. მის წიაღში ქრისტიანული ტრადიციისამებრ ნაჩვენებია ჭეშმარიტი ვენახი – დედაღვთისა – გამომღები ჭეშმარიტი მტევნის – იესო ქრისტესი. სამოთხე ხომ ის მინაა, რომელიც ჯერ კიდევ განკაცებამდე აღუთქვა უფალმა ისრაელს, რისი სიმბოლოც ვაზი და ბრონეულია (ბანა და სამთავისი).

კიდევ ერთი მაგალითი – დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის ღვთისმშობლის ტაძარში. დიდი მეფის სამოსი მორთულია ვაზის იმგვარი გამოსახულებით, რომელიც ერთდროულად ყვავილსაც გვაგონებს და ნაყოფსაც. ამასთანავე იგი თავისებურად გარდამავალია გირჩასა და მტევანს შორისაც. მთლიანობაში ორნამენტი საგულისხმო სიმბოლურ-სახისმეტყველებით კონტექსტს იძენს როგორც ტაძრის პატრონთან – ღვთისმშობელთან – მიმართებით, ისე თვით დავით აღმაშენებელთან.

## ხეზეკვეთილობა

### (ვაზის კარი)

არქივმა შემოგვინახა ერთი უმნიშვნელოვანესი ფოტო – ეს არის კახეთის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის აღსავლის კარი, რომელიც შემდგომ სიონის საეკლესიო მუზეუმში მოხვედრილა. სამნუხაროდ, მისი ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია. იგი – მთლიანად ჭვირული და მაქმანივით ფაქიზი, ამასთანავე შინაგანად ძლიერი – დაფარულია წრეებით, რომელთაგან ამოსული ნახევარწრეები თითქოს ტალღებით ავრცელებს ენერჯის ჭავლებს, რაც საღვთო მადლის აღმოცენების თავისებური „დიაგრამაა“. აქ, უბრალოებისა და განყენებულობის თანაარსებობაში, გამოხატულია ქართული პლასტიკური მეტყველების კოსტანტა (როგორც უძველესი რელიეფებისა





და ჭედურობის, ისე გვიანი ხეზეკვეთილობის); მაგრამ ეს ფენომენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონტექსტში იძენს: ვენახის ერთიანი მერქნიდან გამოკვეთილი კარი მონმობს, რომ ვაზი საუფლო მცენარეა; მასში საოცარი ცხოველმყოფელობით თანხვდება ედემის სიცოცხლის ხე და ქრისტი-ტარიგი, დაბოლოს, იგი ქორონიკონის დინების მიღმა ამოზრდილა, როგორც წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის მორჩი – მისი მრავალ-ჟამიერი სიცოცხლის უბრალო და ანონიმური მონამე, ცისა და მიწის შემაერთებელი.

## საეკლესიო ნაქარგობა

### (სადაც განსაკუთრებით იყარა ვაზმა ყლორტი!)

ქართული საეკლესიო ნაქარგობა უპირატესად ქრისტიან ქალთა შემოქმედებაა. ქალის ხელით იქსოვებოდა და იქარგებოდა სამღვდელმთავრო სამოსი, კრეტსაბმელები, გარდამოხსნები, დაფარნები. ქალი ზოგადად კრძალვით იყო განშორებული საეკლესიო ხელოვნებისაგან, მაგრამ არსებითად მისი თითებით შეთხზული და შემკული ქსოვილები ყველაზე ახლოს იდგა უფლის განკაცების, ჯვარცმისა თუ აღდგომის იმ უდიდეს საიდუმლოსთან, რომელიც მართლმადიდებლურ ტაძარში დროსა და სივრცისაგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა და ხორციელდება დღესაც. ღვთისმშობელიც ხომ ძონეულს ართავდა, როდესაც უფლის განკაცება ეხარა. ქალის ხელით ნაქარგი ეგებება წირვისას დაბადებულ ტარიგს და, როგორც ბეთლემის მღვიმეში შობისას, მასში ეხვევა მაცხოვარი; ქალის ხელით ნაქარგი კრძალვით მოსავეს ჯვარცმული უფლის სხეულს ტრაპეზზე; ხოლო შემდეგ, როგორც მენელსაცხებლე დედები აღდგომის ხარებისას, სიხარულით ეგებება მას ისევე, როგორც იერუსალიმის წმინდა სივრცეში.

დედათა ხელოვნების ეს მართლმადიდებლური თვისება განსაკუთრებით გამოვლინდა საქართველოში, სადაც ქალს იმთავითვე ღვთის წინაშე მოვალეობის გამორჩეული პატივი ჰქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ქვეყანა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნილხვედრია და მისი კალთითაა დაცული. ქვეყნის მოქცევის მისიაც ხომ წმინდა ქალწულ ნინოს ეტვირთა. სწორედ მას გადაეცა ღვთის ნებით „ათნი სიტყუანი მსგავსადვე ფიცართა მათ ქვისათა მოსეს ზე“ (საბინინი, 127), სადაც ეწერა: „არცა მამაკაცება, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ“ (გალ. 3, 28). და მართლაც, ქართული ნაქარგობა ამ სიტყვების უტყუარი მტკიცებაა – ეს საკვირველი ხელოვნება დიდი უბრალოებით აერთებს ოქრომჭედლობას, ფერწერასა და რელიეფს – ფერადოვნებით ის ხატსა ჰგავს, ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გამოყენებით – საიუველირო ხელოვნებაა, ხოლო თვით ნაქარგის სიმტკიცითა და შენივთულობით ტოლს არ უდებს ადრეულ რელიეფებს, ანუ საკვირველად აერთიანებს ერთ სხეულად ხელოვნების სხვადასხვა დარგს.


თვით ქართული საეკლესიო ნაქარგობის სახისმეტყველება ზოგადქრისტიანულის არსებითი გამოხატულებაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ვაზმა მასში განსაკუთრებით „იყარა ყლორტი“. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჯვრისა და ვაზის ერთობა, რომელიც უძველესი რელიეფების განედლებული ჯვრების ახლებური გამოხატულე-

ბაა; მაგრამ აქ იგი სხვაგვარად არის მოცემული. თუ რელიეფი კონკრეტულისა და აბსტრაქტულის შერწყმის უდიდეს კულტურას ავლენს, ნაქარგობაში გვიანი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი დეტალური თხრობა და ვიზუალიზმის მომძლავრებაა დაფიქსირებული, მაგრამ დროის ეს ნიშნები ისეთი გემოვნებითა და ღრმა სულიერებითაა განცდილი და განწმენდილი, რომ ოდნავადაც არ კარგავს მეტაფიზიკურობას. პირიქით, ძირეული სახეობრიობა მასში უჩვეულო ინტენსივობით ამეტყველებულა: ფარჩის სილურჯე ზეციური იდუმალების მომასწავებელია, მენამულს სამეუფო სისხლის ჟღერადობა აქვს, ოქრო საღვთო უხრწნელობის მოწმობაა, ოქროსა და ვერცხლის ერთად თანაარსებობა – ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლური ერთობა და განკაცების დიდება; მარგალიტი ქრისტეს სიმბოლოა – თეთრისა და ცისარტყელის ელფერთა ერთობით იგი განასახიერებს განკაცებით შეერთებულ სასუფეველსა და სოფელს და რა გასაკვირია, რომ ამგვარ, მტკიცე ქრისტიანულ, შემოქმედებაში წამყვანი სახე ვენახია – ქრისტეს ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლო და წმინდა ნინოს ჯვრის სხეული.

საკვირველია ნაქარგობაში თვით ვაზის გამოსახვის ვარიაციები, მისი ინტერპრეტირების ამოუწურაობა, ანუ ის თავისუფლება, რომელიც ყოველთვის უპირობოდ შერწყმულია ურყევ ქეშმარიტებასთან.

მარიამ დადიანისეული ენქერი (XVII ს.) გვიჩვენებს ცისა და მიწის საკვირველ შეერთებას, სადაც ენქერის რომბი მიწაა, ხოლო მის ნიაღში ჩასმული წრე – მაცხოვარი – ცა (იხ. რომბი სამთავისის ფასადზე). ეს ცა და მიწა შეერთებულია ვაზით, რომლის ხვეულებში ჩართული თორმეტი მოციქული ქრისტეს ეკლესიის სიმბოლოა და ამასთანავე პირდაპირი განცხადება სახარებისეული სიტყვებისა: „მე ვარ ვენახი, თქვენ – რტოები“ (ი. 15, 5), ანუ სამოციქულო ეკლესია, როგორც ქრისტეს ვენახი, ცისა და მიწის შემაერთებელია და ამდენად მახვილია, ბოროტების განმკვეთელი.

განსხვავებულად მეტყველებს დიდი დაფარნა „ცაი“, რომელიც თამარ ბატონიშვილს – ერეკლე II-ის დედასა და ვახტანგ VI-ის ასულს – 1718 წელს მოუქარგვინებია. ოქროსფერ ატლასზე ოქრომკედითა და ვერცხლმკედით





ამოუყვანია ხელს უჩვეულოდ უხვი და მეტყველი ვენახი – თითქოს მთელი ტალავერი, რომლის ფოთლები და მტევნები მნახველს ალაფროთოვანებს ვაზის პლასტიკის გადმოცემის უნარით. აქ ყველა ფოთოლი, ყლორტი თუ მტევანი ისევე განუმეორებელია, როგორც ბუნებაში. მკვიდრი ნაქარგით შემტკიცებულია ფოთლის კონტური და ძარღვები, ძლივსშესამჩნევი ხვეულებიც კია გამოყვანილი; მაგრამ გვიანი საუკუნეების ეს ტიპური კონკრეტიკა, რომელიც რამდენადმე ნასაზრდოებია როგორც ევროპული ხელოვნებით, ისე სპარსული მინიატურებითაც, ამასთანავე ოქროსა და ვერცხლის დახვენილი ფერადოვნებით, განყენებულ, ზენივითიერ განზომილებაში ადის. აქ ოქროსფერი თავისი ნამდვილი სახელით – „უქროთი“ ანუ „უქრობელით“ იწყებს მეტყველებას; განსაკუთრებით გაცხადდებოდა ეს წირვის საიდუმლოებაში, როდესაც „ცაი“ ერთიანად დაფარავდა ქრისტე-ტარიგის სისხლსა და ხორცს (საზიარებელ ჭურჭელს).

სიონის ენქერზე საღვთო მენამულის წიაღში ბრწყინავს მარგალიტებით შეთხზული ჯვარი, რომელსაც მარგალიტისავე მარცვლებით შედგენილი მტევნები გარს შემოჰხვევია და განადიდებს (ქრისტე – სისხლი – ვენახი მარგალიტის ვარიაციას).

ანა-ხანუმის ბარძიმის პერექელი (პატარა დაფარნა) გვიჩვენებს ვენახს, სადაც ყლორტებისა და მტევნების სიმრავლე ერთ მტევნად შეკრებილ-განსრულებულ ბარძიმში ჩასაწურად არის გამზადებული, როგორც მოლოდინი უფლის ჯვარცმისა და აღთქმა მსხვერპლად გაღებული სისხლისა; ანა ხანუმის დიდ დაფარნაზე კი, რომელიც ლიტურგიაში ერთიანად ფარავდა მსხვერპლს, უკვე მთელი სივრცით გაშლილა გოლგოთის ხატი, სადაც მენამულის ფონზე გოლგოთის ჯვარს გამოუღია მკვდრეთით აღდგომის ვენახი, რომლის რტოები, როგორც სამოთხის ტალავერი, სრულად მოიცავს მთელ სამსხვერპლო სივრცეს.

გამორჩეულია დავით ქსნის ერისთავის დედის – ქეთევანის – კრეტსაბმელი სიონის ტაძრისათვის. ეს ბრწყინვალე ნაქარგობა კვადრატული ფორმით თავისთავად სამოთხის ნიშანია. მის ცენტრში ამოსულა ხე სიცოცხლისა, რომელიც გაცხადებულია, როგორც ვაზი – მცენარეთაგან უპირატესი... მაგრამ აქ ვაზი კიდევ უფრო კონკრეტდება – იგი წარმოგვიდგება, როგორც იესეს ხე – ხე უფლის განკაცების გენეალოგიისა, რაც ამასთანავე ღვთისმშობლის დიდებაცაა. და როდესაც სიონის სამეუფო კარი იკეტებოდა, იბეჭდებოდა კრეტსაბმელით, ვითარცა უფლის საფლავი ლოდით, მკვდრეთით აღდგომის მოლოდინში იგივე კრეტსაბმელი ანუგეშებდა ქრისტიანს განკაცების უქცეველი და უცვალებელი სახიერებით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საეკლესიო ნაქარგობა, სადაც საოცარი სიფაქიზით აისახა ვაზის კულტი და განსაკუთრებით „იყარა ვაზმა ყლორტი“, ტოლს არ უდებს ხელოვნების სხვა დარგებს.

## ბოლოქმა

ქრისტე – სიცოცხლის ხე – ვენახი – ქართული კულტურის უმტკიცესი საფუძველია. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი იყო ჩვენი ხელოვნების თავისებური დვრიტა დროსა და სივრცეში; მაგრამ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო თვითმმართველობის დაკარგვის შემდგომ, კულტურული ფუძე-პარადიგმა განსაცდელში აღმოჩნდა; ქვეყანაში ერთდროულად შემოჟონა სხვადასხვა მსოფლმხედველობით-მსოფლმეგრძნებითა ნოვაციებმა, რაც სულიერი „იმუნიტეტის“ დაქვეითების გამო საფრთხეს ქმნიდა. ბუნებრივია, ამ პირობებში ერის თვითგადარჩენის ერთ-ერთი გარანტი და გამოსატყულება ისევ ვაზის კულტურის ღრმა სახეობრივ-სიმბოლური არსი გახდა. იგი ახალი ძალით თავს იჩენს საფლავის ქვებში, სადაც გარდასულ ქართველთა ხატებანი საიქიოსა და სააქაოს ზღვარზე საკუთარი შესანდობარით შეახსენებენ ცოცხლად დარჩენილებს ნუთისოფლის ამაოვებას და ზესთასოფლის უცვალეზლობას, რითაც არაპირდაპირად მოუწოდებენ სინანულისა და მიტევების ქრისტიანული გზისაკენ. სულიერების ამ ნაიფურ ნაკადშიც კი გაცხადებულია, რომ ეკლესია და ვაზი ქართველისათვის ურთიერთგანუყოფელია.

ამ ელემენტარულმა ჭეშმარიტებამ, ბუნებრივია, განსაკუთრებით იჩინა თავი გენიალური ფიროსმანის შემოქმედებაში – იგი კულტურათა დიდი გზაგასაყარის (თუ გზაშესაყარის) ცენტრში აღმოჩნდა – და საკვირველი ძალით მოიცვა მართლაც რომ მთელი ცივილიზებული სამყაროს სულიერი პრაქტიკა უძველესი შუმერიდან ავანგარდის ჩათვლით. ფიროსმანის სამყარო სურათისა და ხატის შერწყმამ, სოფლიურისა და ზეციურის ერთობაა. მისი სამყაროს სივრცეში ღვინო და პური საკრალურობამდე მისული მონინებულობით გამოისახება, ხოლო სუფრის ყოველი ელემენტი თითქოს საღვთო შესაქმისეული შეუბღალავი პირველქმნადობით სუნთქავს.

ფიროსმანის სუფრის სცენები იერატიულობითა და ურყევობით შეგვახსენებს, რომ უძველესი ტრადიციების მქონე ქართული ღვინო ფესვებით საღვთო ჟამისწირვიდან მოდის და ჟამისწირვისეული უხილავი ზეიმით გამსჭვალულა.

ხოლო ფიროსმანის რთველის სურათები მართლაც რომ კაცის ამქვეყნიური ცხოვრების მონუმენტური პანოებია. აქ რთველს უტვირთავს ადამიანის – შემოქმედის გვირგვინის – სოფლიური ქმედების მთელი სიღრმე, როდესაც ანმყოფულ სიცხადეში ერთიანდება და იკრიბება სამყაროს სანყისიცა და ბოლოც. აქ გაცხადებულია ქართველთა „გეორგიანულობის“, ანუ მინისმოქმედობის უფლისმიერი ნიჭი და მოვალეობა, რისი სიმბოლოც, ბუნებრივია, ვენახი გამხდარა.

განსაკუთრებული საზრისის მქონეა „გლეხის ქალი ბიჭით“. დედა – მშვიდი და მარადიული, ყრმა – მისკენ მსწრაფი და მავედრებელი – ეგებება დედისგან მინვდილ მტევანს; ეს უბრალო ადამიანური სიტბოს გამომხატველი სურათი ივერიის მკვიდრი ქართველისათვის სიღრმისეულად აღქმამ ღვთის დედის მიერ მონვდილი მტევნისა, რომელიც სახარებისეულ ენაზე იესო ქრისტეა – ჭეშმარიტი სიცოცხლის ხე, სვეტიცხოვლის კედელზე რომ ხარობს აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა.

დაბოლოს, ხატი „შენ ხარ ვენახი“ – სადაც ზეციურ ვენახს – ღვთისმშობელს – უპყრია კაცობრიობისათვის შეწირული ძე-ტარიგი... დედისა და შვილის ეს ყოვლადწმინდა ერთობა გამოუხატავს მტევანს, რომლიდანაც მომდინარე უკვდავებისა და კურნების მირონი, როგორც ჭეშმარიტ სიცოცხლის ხესთან მიმყვანებელი მადლი, ეფინება საქართველოს.





## ელდარ ნადირაძე

### ეთნობრაზიული მიმოსილვა

მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარებას ჩვენ გვსურს შევხედოთ ყველაზე ფართო გაგებით, მისი პრაქტიკული სიცოცხლისუნარიანობის ილუსტრირებით, მასთან დაკავშირებული ესთეტიკური ღირებულებების წარმოჩენით. ეროვნული კულტურა იქმნება მაშინ, როცა მის შექმნაში მთელი ხალხი მონაწილეობს; ამიტომ განვითარებულ მევენახეობა-მელვინეობაზე მაშინ იქნება საუბარი დამაჯერებელი, თუ ნათელვყოფთ, რამდენად აქვს შეთვისებული ხალხს მასთან დაკავშირებული სანარმოო ჩვევა-გამოცდილებანი და რამდენადაა მის სულში, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ყოველივე გამჯდარი; როგორი ასახვა ჰპოვა ვაზისა და ღვინისადმი დამოკიდებულებამ საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში, ზნეობრივ-რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ჩამოყალიბებაში, ფოლკლორში, პოეზიაში, არქიტექტურასა და ზოგადად ეროვნული მენტალიტეტის განსაზღვრაში.

კახეთში უთქვამთ: „დედამინაზე ხალხი რომ გაჩნდა, მეუფემ ხალხს ვაზიც მოაყოლო“. ამ ხალხურ თქმაში უთუოდ გამოსჭვივის გონიერი ადამიანის ჩამოყალიბების გზაზე ვაზისა და ღვინის განსაკუთრებული დანიშნულება; თითქოს ვაზი იყოს

ნიშანსვეტი ამ უმნიშვნელოვანესი პროცესისა; თითქოს ვაზთან დამოკიდებულებამ აქცია კაცი ნამდვილ ადამიანად და მის კულტურულ თუ ესთეტიკურ აღმასვლას ამ მომენტიდან დაედო საფუძველი.

საქართველოში ვაზის მოვლის უძველესი ტრადიციები არსებობს, რასაც მდიდარი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია სპეციალურად ვაზის მოვლისათვის განკუთვნილი შრომის იარაღები: ირმის რქისაგან და





ქვისაგან გაკეთებული წალდეები და სასხლავები, ბრინჯაოს დანები, რომლებიც ჩ.წ.-ალ-ით II საუკუნეს განეკუთვნება. ამ პერიოდში სასხლავი დანების არსებობა მიგვითითებს როგორც მევენახეობაში დასპეციალების შედეგზე, ასევე ამ დარგის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე.

## ვენახი

ვენახს და ვენახის სამუშაოებს ქართველი კაცისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა ნებისმიერ საქმიანობას, ქართველი მევენახე ვენახში უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ოჯახში ან სადმე სხვაგან ერთად აღებულს. ამიტომ შემოღობილ ვენახს, გარდა ვენახისა, მისთვის სხვა სამყაროს სახეც ჰქონდა შენივთებული; მიხურავდა ვენახში შესული გლეხკაცი ჭიშკარს და რჩებოდა თავის შექმნილ სამყაროში. ვენახის თავში პატარა ფარდული ჰქონდა გამართული, სადაც კასრები ედგა, ფარდულის კედელზე დახარისხებულად ეკიდა ვენახის სამაგრები: სარი, ჭიგო, ხარდანი; იქვე ახლოს – სავაზე (მორკალული დანა), პატარა ხერხი, მაკრატელი, წალდი, ბურჭული. ფარდულშივე ელაგა დიდი ბარი, გოდრები და კალათები, ვენახის შესასვლელში ხასხასა მოლი იყო – რთველის დროს გოდრების ჩამოსადგმელად; ვენახის გასწვრივ – კაკლები, შიგადაშიგ – ქლიავი და სამაისო ბალი, თავად ვენახში კი მხოლოდ და მხოლოდ ატამი, რადგან ატამს წვრილი ფოთლები აქვს და ვაზს არ ვენებს.

საქართველოს მევენახეობაზე დაკვირვებულ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ავტორებს, შენიშნული აქვთ, რომ ქართველ მეურნეს წესად ჰქონდა საკარმიდამო მამულში რამდენიმე ჯიშის ვენახის გაშენება იმ ვარაუდით, რომ, თუ უამინდობა ერთი ჯიშის ვაზს დააზიანებდა, სხვა ჯიშში გადარჩებოდა და ოჯახი სულ უღვინოდ არ დარჩებოდა, რაც ყოველთვის დიდ დანაკლისად აღიქმებოდა. ბუნებრივია, პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე, გლეხს ორიენტაცია ყველაზე გამოცდილ და მისადაგებულ ჯიშებზე ჰქონდა აღებული. ზოგადად კი ვაზის ჯიშების გამოყვანაში სიახლის გრძნობა და შეჯვარების უდიდესი ენთუზიაზმი მას არასდროს დაუკარგავს.

## რთველი

მევენახეობაში ყველაზე დიდ დღესასწაულად რთველი ითვლება. საგულისხმოა, რომ საქართველოში რთველისა და ღვინის დაყენების თვეები „სთვლისა“ და „ღვინობისთვის“ სახელწოდებებს ატარებენ.

დიდი ვენახების ანუ ზვრების მეთვალყურეს ეწოდებოდა მეზვრე, ყურძნის მკრეფელს – მესთვლე, ღვინის დაყენებაზე პასუხისმგებელს – მემარნე, ღვინის სახმარად გამცემს – მელვინე, სუფრაზე მიმტანს – მერიქიფე და ჩამომსხმელს – მნდე.

როგორც ცნობილია, ვენახი ერთბაშად მნიფდება, ამიტომ ყურძნის დაკრეფა შემჭიდროებულ ვადებში უნდა მოხდეს, რისთვისაც შრომის ორგანიზაციის ექსტრემალური პირობებია საჭირო. ფეოდალთა ვენახებში ყურძნის კრეფა ჩვეულებრივ





გლებებს ევალეობდათ, ზვრის მეპატრონის ვალდებულება კი რთველის შემდეგ მათი გამასპინძლება იყო. მე-17 საუკუნის საბუთიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის ერთ-ერთი სამეფო ზვრის მესთვლეთა რაოდენობა ას კაცს შეადგენდა. რაც შეეხება თავად გლებთა ზვრებს, აქ უძველესი დროიდან მიღებული იყო კოლექტიური შრომის ორგანიზაციის ფორმები – „ნადი“ და „ოჩხარი“, რომლებიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული და სამეურნეო საქმიანობის შესრულების პარალელურად საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე.

წარმატებული რთველი ოჯახის კეთილდღეობისა და ბარაქიანობის განმსაზღვრელად ითვლებოდა, ამიტომ ოჯახი იმ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. სუფთავდებოდა, შეკეთდებოდა ან ხელახლა იწნებოდა გოდორ-კალათები, ირეცხებოდა ქვევრები; ოჯახი სუფრის გასაშლელადაც ემზადებოდა, რათა პატივისცემით გაესტუმრებინა მესთვლენი.

ყურძნის მოკრეფის დროს ძირითადად გამოიყენებოდა წნული ჭურჭელი, რომლის კეთების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს და დღესაც სიცოცხლისუნარიანია. საქართველოს სხვადასხვა ტიპის საგლებო ბაზრობებზე ხშირად შეხვდებით წნული ჭურჭლის შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებიც ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობით გამოირჩევა. წვნის ტექნიკა ადამიანმა, მათ შორის ჩვენმა წინაპარმაც, პრეისტორიულ ეპოქაში აითვისა, შესაძლოა – უფრო ადრე, ვიდრე მეთუნეობა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პრაქტიკულმა გამოცდილებამ აიძულა მეურნე, ცეცხლთან ახლომყოფი წნული ჭურჭელი რომ არ დამწვარიყო, თიხით შეეღესა, რამაც იგი მეთუნეობის გამოგონების გზაზე დააყენა.

ქართველი ლექსიკოგრაფი, საბა ორბელიანი, წნული ჭურჭლის ორ სახეობას გამოყოფს – სფირადსა და შარაგულს, რომელთაგან პირველში იგულისხმება ბალახეული მცენარეულობისაგან უსაყრდენოდ მოქსოვილი ჭურჭელი, ხოლო მეორეში – წნელისა და ტყეჩისაგან მოწნული, საყრდენიანი. წნული ჭურჭლის ზოგიერთი ნიმუში იმდენად დახვეწილია, რომ მას ნაქსოვის ფაქტურა აქვს მინიჭებული და ტექნიკური პროცესიც ქსოვადაა სახელდებული. სანნელ და საქსოვ მასალად საუკეთესოდ იყო მიჩნეული ტირიფის ნაირსახეობანი, თხილი, თხმელა, უზანი, შვინდი, არყი, ცირცვილი, შოთხვი და სხვა.

რთველის დროს მკრეფავები ხმარობდნენ პატარა კალათებს, რომლითაც იოლად გადაადგილდებოდნენ შარებში. კალათებიდან ყურძენს ვენახის თავში ჩამწკრივებულ გოდრებში ყრიდნენ ან ურემზე გამართულ მოწნულ ჯინებში, რომელშიც 7-10 გოდორი ყურძენი ეტეოდა (მოწნული ჭურჭელი მტევანს არ ლახავს და კარგად ინახავს დაწურვამდე, რადგან მასში ჰაერი მუდამ მოძრაობს).

უალრესად საინტერესოა წნული ჭურჭლის ერთობ დახვეწილი ნიმუში – გიდელი, რომელიც გამოიყენებოდა ხეზე ასული ვაზის დასაკრეფად. გიდელს აქვს კონუსური ძირი, რომლის მეშვეობითაც იგი ადვილად იკვლევს ვაზს ფოთლებსა და შტოებში და ეშვება მინაზე, სადაც მას სანახელში გადაცლიან.

ყურძენს ჭრიან სპეციალური დანებითა და მაკრატლებით, ზოგიერთი ჯიში კი თავისი მყიფე მუხლის გამო იოლად იკრიფება ხელითაც. არსებობს უძველესი დროიდან დღემდე შემორჩენილი შეხედულება, რომ ზოგიერთი ჯიშის ყურძენზე „დანა არ მიიტანება“. მაგალითად, საფერავი საზიარებელი ყურძენია, მისგან დაწურული ღვინო ქრისტიანულ ლიტურგიაში გამოიყენებოდა, ამიტომ იგი საკრალურად იყო მიჩნეული და მისი დანით შეხება იკრძალებოდა.

როველის დამთავრების დროს ვენახში ლამაზსა და ჯანსაღ ქალს გადააგორებდნენ ბარაქიანი და ჯანმრთელი წლის დაბევეების მიზნით. ამ სასაცილო პროცესს ენაცვლებოდა დიდი საზეიმო სუფრა, თანმხლები შრომის სიმღერებით (საქართველოში დღემდე ვენახთან დაკავშირებული მრავალი შრომის სიმღერაა შემორჩენილი).

## მარანი

ქართველი კაცის საკარმიდამო კომპლექსში ვენახთან ერთად მარანსაც ორნაირი დანიშნულება ჰქონდა: როგორც პრაქტიკული, ასევე საკრალური. მარანს ძველ ქართულში ეწოდებოდა „ღვინის სახლი“ და იგი წარმოადგენდა მთელ კომპლექსს, სადაც ღვინის წარმოების პროცესი მიმდინარეობდა – ყურძნის დანურვიდან დანყებული, ღვინის საბოლოო გაფილტვრამდე და მისთვის მოსახმარი ფუნქციის მინიჭებამდე. 864 წელს გადაწერილ სინურ სახარებაში მარანი ნახსენებია, როგორც ღვინის შენახვისათვის განკუთვნილი ნაგებობა. ეს ფუნქცია მას დღემდე არ დაუკარგავს. საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მარნების თავისებურებანი. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული შედარებით ცხელი ჰავის გამო მარნები დახურულ ნაგებობებს წარმოადგენდა. ზოგჯერ ამ ტიპის, ქვითკირით ნაშენი, მარანი საცხოვრებელ სახლს ებჯინებოდა, ზოგჯერ კი დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა. დიდად იყო გავრცელებული საცხოვრებელი სახლის სარდაფებში განთავსებული მარნებიც. დასავლეთ საქართველოში ტიპური მარანი ღია ნაგებობაა, რომლის სამი კედელი გადახურულია, ხოლო წინ ღიაა და ცის ქვეშ, გადაუხურავში, სხვადასხვა მოცულობის ჭურები ჩაყრილი.

ძველად მარნები ციხე-სახლებისთვის შეუფარებიათ, მტრისაგან რომ ყოფილიყო დაცული. ასეთი მარნები ორ ნაწილადაა გაყოფილი: ერთში ყურძნის საჭყლეტი საშუალებანია განთავსებული, ხოლო მეორეში – ქვევრები. ამ ტიპის მარნებში ხშირად ვხვდებით დედაბოდსაც – საცხოვრებელი სახლის მთავარ საყრდენს, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულების გარდა, ღრმა სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია. ქართლურ და კახურ ქვითკირის მარნებში ხშირად ვხვდებით წითელი აგურით გამოყვანილ აღმოსავლური ტიპის თალიან ნიშებს სხვადასხვა სახის საწყაოებისა და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო ნივთების დასალაგებლად. მეღვინეობით განთქმულ სოფლებში – ზემო ხოდაშენში, ხაშში, რუისპირში – სათოფურებიანი მარნებია დადასტურებული, რაც მეტყველებს მარნის სხვაგვარი, როგორც თავდაცვითი ნაგებობის, დანიშნულებით გამოყენებაზეც. ქართული მარნების ხუროთმოძღვრებაში აშკარად შეინიშნება საცხოვრებელი სახლის ელემენტები, რაც მარნის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიგვითითებს. თავისთავად მარნისათვის „ღვინის სახლის“ დარქმევაც განმარტების შესანიშნავ საფუძელს იძლევა: ადამიანის გარდა, სახლი ჰქონია ღვინოსაც; იგი იმდენად დაფასებულია, რომ ასეთი დიდი პატივი დაიმსახურა.

ამიერკავკასიაში უძველესი მარნები ურარტუს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ზოგიერთ მათგანში არქეოლოგებმა ასამდე ქვევრი დათვალეს. ელინისტური ხანის მარნები აღმოჩნდა ოქრომრავალი კოლხეთის უმდიდრეს ქალაქ ვანში, ასევე იბერიის დედაქალაქ მცხეთაში, სადაც ერთ-ერთ მარანში 5500 დეკალიტრი ტევადობის





ქვევრებს მიაკვლიეს. ქვევრში ჩამხმარი სითხის ანალიზმა გამოააშკარავა, რომ მასში ოდესღაც საფერავის ტიპის ღვინო მდგარა.

უკანასკნელ ხანს იშვიათი კონსტრუქციის მარნები აღმოჩნდა მეღვინეობით განთქმულ კახეთში – ნეკრესის ერთ-ერთი ნასახლარის გათხრისას. საინტერესოა, რომ შუაფეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთ ქალაქ ვარძიაში 25 მარანია დაფიქსირებული 200-მდე ქვევრით. შუაფეოდალური ხანის მარნების ასეთი სიმრავლე აშკარად მეტყველებს, რომ ამ ეპოქის საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ ძირითად წყაროს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა.

## სანნახელი

იმის საჩვენებლად, რომ მეღვინეობა უძველესი დარგია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესთან დაკავშირებული სამეურნეო ჭურჭლის მიმოხილვას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყურძნის დასაჭყლეტ-დასამუშავებელი ნივთი, რომელსაც სანნახელი ეწოდება. სიტყვა „სანნახელში“ ფაქტობრივად გამოხატულია მოქმედება, რომელიც ყურძნის ჭყლეტვასა და წნეხვას გულისხმობს. პრეისტორიულ ადამიანს ყურძენი ხელით უნდა დაეწურა. საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში სცოდნიათ ყურძნის დანურვა ტყავზე, გოდორში, ვარცლზე, სელის ტომრებში, მაგრამ განვითარებული და მაღალი მეურნეობის მაჩვენებელი სწორედ სანნახელია, რომლის უძველესი ნიმუშები კლდეებშია ამოკვეთილი და IV ათასწლეულით თარიღდება. ასეთი კლდეში ამოკვეთილი სანნახლები ამჟამადაც დასტურდება საქართველოში – უფლისციხეში, ვარძიაში, გარეჯში, ნეკრესში და სხვაგან. მათი გამოყენების პრაქტიკაცა და დამუშავების ხელოვნებაც მაღალი სამეურნეო დონის მაჩვენებელია.

სანნახლის მეორე ტიპი – კირხსნარით აგებული სანნახელი – უაღრესად გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში. ასეთი სანნახელი ზოგჯერ ორად იყო გაყოფილი, ერთ განყოფილებაში იყრებოდა შავი ყურძენი, ხოლო მეორეში – თეთრი. ორივე ნაწილს ცალ-ცალკე ჰქონდა წვენი გამოსავალი. კირხსნარით აგებული სანნახლები მასშტაბური სამეურნეო პროცესებისათვის იყო გათვალისწინებული და დიდი ფეოდალური მარნებისათვის გახლდათ დამახასიათებელი.

მესამე ტიპის, ყველაზე გავრცელებული, სანნახელი არის ხის. იგი თავისი მრავალფეროვანი ვარიაციებით საქართველოს ყველა კუთხის მეღვინეობაშია მიღებული. ხის სანნახელი ერთი იშვიათი ნივთთაგანი იყო ოჯახისათვის და მას ზოგან „საგანძურსაც“ უწოდებდნენ, როგორც ძვირფასისა და მნიშვნელოვანის აღმნიშვნელს. სანნახლის ოსტატები ამჟამადაც არიან ხე-ტყით მდიდარ რეგიონებში. მათი ხელობა სიცოცხლისუნარიანია, რადგან ხის სანნახელი გარეგნულადაც ლამაზია და პრაქტიკულადაც უფრო გამოსადეგი დღევანდელ ზვარშემცირებულ საქართველოს კერძო მეურნეობებში. საუკეთესო სასანნახლე ხედ მიჩნეულია ცაცხვი. სასანნახლე ცაცხვს ხელოსანი წინასწარ იგულებს ტყეში, ზამთრის დასაწყისში მოჭრის და ერთ წლამდე ადგილზევე ტოვებს, მერე ეჩობით უღებენ გულს, უკეთებენ ინდურს (მილს) და რამდენიმე წველი ხარით მიაქვთ სახლში. სანნახელი მარანში იდგმება ყველაზე მყუდრო ადგილას, ხის ან ქვის სადგარებზე; ბოლო იმდენზე აქვს ანეული, რომ წვენი თავისუფლად დაეშვას გამოსავალი ინდურისაკენ. სანნახელში ყურძენს ტკეპნიან ხის თავგა-

ნიერი უროთი ან დიდი ზომის კვახით. შემდეგ მწურავები შიშველი ფეხებით ფრთხილად დაუვლიან მთელ მასას და მაქსიმალურად დატკეპნიან ყურძენს იმ მიზნით, რომ საწნახლიდან ყურძნის წვენი უჩენჩოდ და უნიპნოდ გამოვიდეს. ფსკერზე ყურძნის ჩაყრამდე აფენდნენ წნელისაგან დაწნულ ჩელტს, ამ ჩელტზე კი მცენარე ჩადუნას – ჩადის ფოთლებს ალაგებდნენ. ზედმეტი ფოთლები ზოგჯერ ღვინოს სპეციფიკურ გემოსაც აძლევდა, აქედან მოდის გამოთქმა – „ჩადის გემო“. ჩადუნიათი ლასტი თავისებური საცერის როლს ასრულებდა.

წვენის უდანაკარგოდ მიღებისათვის საქართველოში უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა ჭაჭის საწნეხი ნბერ-საქაჯავები, რომელთა ერთ-ერთ ვარიანტს ჭახრაკი ერქვა. მის ფართოდ გავრცელებაზე მხოლოდ სინონიმური მასალაა მოწმობს, რომელიც ამ სამეურნეო იარაღის სახელშია გამოხატული: საქაჯავი, საქაჩველი, ნბერი, სანბერავი, ჭახრაკი, ხარხინი და სხვა. ნბერის ქვები ყველგან დასტურდება, სადაც კი მეღვინეობა იყო გავრცელებული, დღესდღეობით ეს ნივთი აღარ გამოიყენება. ამ არცთუ მარტივი სამეურნეო მანქანის გამართვა და მოწყობა უკვე აღარ ძალუძს დღევანდელ გლეხკაცს.

## ქვევრი – ჭური

ღვინის დადუღებისა და შენახვის პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თიხის ქვევრებსა და ჭურებს, რომლებიც შეუცვლელი ჭურჭელი იყო ყველა ეპოქის მეღვინეობისათვის. ჭურის მოხსენიება მარანთან ერთად – ჭურ-მარანი – თავისთავად გვიხასიათებს ამ ჭურჭლის უდიდეს მნიშვნელობას. ჭურების დამზადების ხელოსნური ტრადიციები მუდამ მაღალ დონეზე იყო ჩვენში. მათთვის ვარგისი თიხა საქართველოში თითქმის ყველგან მოიპოვებოდა, მაგრამ ყველაზე განთქმული ცენტრები ჩამოყალიბდა: იმერეთში – ჩხირაული, ნავარძეთი, ბოსლევია, შროშა; ქართლში – ცხავატი, უნლევია, მეჯვრისხევი; გურიაში – აკეთი, ახანა; ლეჩხუმში – საიმე, ზუბი, ოფიტარა; სამეგრელოში – მუხური, კვარი, ჭკადუაში, კორცხელი და სხვ. ამ ცენტრებში დღემდეა შესაძლებელი ჭურ-ქვევრების დამზადების შესახებ სრულყოფილი ეთნოგრაფიული მასალის მოძიება.

ჭურები სიდიდის მიხედვით ხარისხდებიან: დიდი ჭური, ლაგვა – საშუალო ჭური და მათზე პატარები – ქვევრა, ქოცო, ლახუტი, ყვიბარი და სხვ. ჭურის მარანში ჩაგდებისას იცოდნენ მისი კირ-ხსნარით და ქვებით დაკირვა, რომელიც გამძლეობასაც აძლევდა მას და აგრეთვე ზედმეტი ტენისაგან იცავდა. მიღებული წესი იყო ჭურის გასანთვლაც. ჭურების სარეცხად იყენებდნენ გრძელ ტარზე წამოცმულ ბლის კანების მრავალფენიან სარცხებს, ხოლო ჩასავალ ჭურებში – ასეთივე მასალისაგან დამზადებულ მოკლეთარიანებს. ჩვეულებრივ, დიდი ჭურების გასარეცხად გამოიყენებოდა ერთ კონად შეკრული და მორკალული კრაზანას ცოცხები. ჭურის კარგ გასუფთავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პირდაპირ ღვინის გემოსა და ხარისხზე აისახებოდა, რეცხვა გრძელდებოდა მანამ, სანამ ნარეცხი წყალი თიხისფერი არ გახდებოდა.

იმერეთში, სადაც მარანი თითქმის ღია ცის ქვეშაა განლაგებული, ჭური ზემოდან იგლისებოდა კარგად დამუშავებული და დაზელილი თიხა-მინისაგან, რათა მასში წვიმა არ ჩასულიყო. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ღვინოს წვიმის საშიშროება





არ ემუქრებოდა, ქვევრს სიპ ქვას ადებდნენ ზემოდან, მერე ნაჭერს ან სუფთა ტყავს გადააფარებდნენ და მიწას მიაყრიდნენ. მშრალ ადგილებში, როგორც წესი, იცოდნენ ჭურის ტალახით დაგოზვა.

დაგლეხილი და თავდახურული ჭური დროთა განმავლობაში სულ აღარ ჩანდა მიწის პირზე. მისი სამყოფელი მხოლოდ პატრონმა იცოდა, განძივით იყო შენახული, უზარმაზარ სიკეთეს ინახავდა და თავის ჟამს ელოდა.

ეგვიპტიდან საბერძნეთს მიმავალმა ქსენოფონტემ თავისი ლაშქრით მოსინიკების მიწაზე გაიარა, სადაც თავდაგლეხილი ჭურები უნახავს. ქართველური მოდგმის ტომები მამაცურად ხვდებოდნენ მოძალადე ბერძნებს, მაგრამ თუ ისინი წესიერად მოიქცეოდნენ, მიწაში დამალულ ღვინოსაც სთავაზობდნენ, რაც მათ სამართლიან გაკვირვებას იწვევდა, რადგან ღვინის შენახვის ასეთი წესი ბერძნებისათვის სრულიად უცხო ყოფილა. საერთოდ, ქვევრებში ჩასხმული ღვინო საუკეთესოდ ინარჩუნებს თვისებებს, კარგად სუნთქავს, თანაბარი ტემპერატურის პირობებშია და ამავე დროს დაცულია არაკეთილმოსურნე პირისაგან – მტერი იქნება იგი თუ უბრალოდ ქურდბაცაცა. მსოფლიოს ღვინის წარმოების პრაქტიკაში ამჟამად ჭური არსად არ გამოიყენება, ამავე დროს საქართველო რჩება ერთადერთ ქვეყნად, სადაც მეთუნეობის ამ უნიკუმს ახლაც ამზადებენ.

## ორშიმო – კოპე

ჭურიდან ღვინის ამოსაღებად ტრადიციულად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ მწარე კვანისაგან გაკეთებულ ორშიმოს. ამ მცენარეს საგანგებოდ თესავენ. მისი გრძელი ბარდი ხეზე ადის და სხვადასხვა სიდიდის ნაყოფს ისხამს. შემოდგომაზე დასრულებულ კვანს წყვეტენ, ახმობენ, ყელს უმოკლებენ, შუაგულს ასუფთავებენ, ხარშავენ, რომ სიმწარე დაკარგოს და შემდეგ უკეთებენ ტარს. ჭურიდან ღვინის ამოსაღებად უფრო მოხერხებული და ბუნებრივი ჭურჭელი არ არსებობს. ორშიმოები არის სულ პატარები – 0,5-ლიტრიანები, რომლებიც გამოიყენება ქვევრიდან ღვინის წარჩენების ამოსაწურად, და დიდებიც – ხუთლიტრიანები. შეიძლება, უფრო დიდი ზომისაც შეგვხვდეს, მაგრამ ასეთი ორშიმო ძნელი მოსახმარია და მეტისმეტი სიმძიმისაგან მალე ზიანდება. იოლად ჩასაწვდომ ჭურში იყენებენ გრძელყელიან უტარო ორშიმოს.

ორშიმოს გარდა, გურიაში ღვინის ამოსაღებად ხმარობენ კოპებსაც, ასევე მწარე კვანის ჭურჭელს; ოღონდ ორშიმოსაგან განსხვავებით, მას ტარი გვერდიდან აქვს გაყრილი.

ჭურიდან ღვინის ამოღება – ეს თავისებური რიტუალია, გულისყურით და სიფრთხილით აღსავსე. ჯერ მიწა გადაინმინდება თოხით, შემდეგ გადაცოცხავენ გულმოდგინედ, მომხდელი ხის ბარს დაასველებს სუფთა წყალში და წრიულად, ჭურის ფარფლის დიამეტრზე, შემოჭრის აყალო მიწას. აყალოს ქვეშ გამოჩნდება ხის ბადიმები, რომლებსაც განმენდენ, რომ მიწის პატარა სორსოლაც არ მოხვდეს ჭურში, მერე ფრთხილად მოხდიან და გამოჩნდება ღვინის გასარკული ზედაპირი, ამოიღებენ სუფთა ჭიქით, გახედავენ – ფერს შეუიმონმებენ, დააჭაშნიკებენ – გემოს გაუგებენ, დალოცავენ გამჩენს და დალევენ.

## მევენახის სტუმართმოყვარეობა

ღვინით სავსე და მოვლილი ჭური არის ჯილდო და გვირგვინი მევენახე კაცისთვის, რომელმაც ეს ყოველივე მთელი წლის მუხლჩაუხრელი შრომის საფასურად მიიღო. ახლა კი დგება დრო, როცა მას სხვამ უნდა დაუჭაშნიკოს ღვინო და შეუქოს. თუ ასეთი ადამიანი მევენახეს გვერდით არ ჰყავს, მაშინ თავს უბედურად გრძნობს. სტუმართმოყვარეობის უძველესი ქართული ტრადიცია ქრისტიანული სარწმუნოების მორალმა კიდევ უფრო გააღრმავა. სტუმარი საქართველოში ლამის ღვთაების რანგში აიყვანეს; ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ქართველს გააჩნდა, სტუმრისათვის ჰქონდა გადანახული, რაშიაც სავსებით სამართლიანად მისი სიამაყის პათოსიც იკითხება.

უცხოელ მკვლევართა და მოგზაურთა უმრავლესობა, ვინც კი ქართველის ზნეჩვეულებებს დაჰკვირვებია, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად სიამაყეს მიიჩნევს. ეს თვისება დადებითი და შესამკობელია ადამიანისათვის ერთი პირობით, თუ იგი შრომის სიდიადეზეა დამყარებული. უამისოდ სიამაყე ამპარტავნებად იქცევა, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ცოდვად ქრისტიანისათვის. ვფიქრობთ, ვაზისა და ხორბლის კულტურის დახვეწის საუკუნოვან პროცესებში მონაწილეობამ ჩამოუყალიბა ქართველს ის სიამაყე, რომელიც რადიკალურად დაცილებულია გულზვიადობას. სამართლიანი იქნება, ასეთ ხასიათში დაგვენახა ქმნადობისა და მასში ჩადებული გონიერების სხვათათვის ზიარების სურვილი, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ადამიანური ურთიერთობის უძვირფასესი გრძნობის – სტუმართმოყვარეობის – სიდიადეს.

ნიშანდობლივია, რომ ტრადიციული ქართველის ხასიათი განსაკუთრებით ვენახთან და ვაზთან მიმართებაში იკვეთებოდა. ოჯახში სტუმრად მისულს პირველად ვენახს დაათვალიერებინებდნენ და მერე მარანში დააჭაშნიკებინებდნენ ღვინოს. მცნებად იყო მიღებული, კარგი ვენახის პატრონი შეძლებულ კაცად მიეღოთ და მისი ღირსება ეღიარებინათ. მარანი იყო მამაკაცთა მცირე წრისათვის შესაკრები ადგილი. იქ იღებდნენ და უმასპინძლებოდნენ საპატიო სტუმარს.

## რიტუალები

მარანში, როგორც წმინდა ადგილას, წესად იყო მიღებული სარიტუალო ქმედების ჩატარება, რომელიც ძირითადად გამრავლებისა და ბარაქიანობის დაბეჭების მიზნით სრულდებოდა. იტალიელი კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დასავლეთ საქართველოში არცთუ იშვიათად მარანში იმართებოდა ქორწილი, ხოლო ფრანგი მოგზაური შარდენი მარანში ბავშვთა ნათლობის წესსაც ადასტურებს, რაც იშვიათი შემთხვევა უნდა იყოს ქრისტიანული ლიტურგიის ისტორიაში.

გურიის სოფლებში ბოლო დრომდე შემორჩა რიტუალური დღესასწაული – კალანდობა, რომელიც ახალ წელს სრულდებოდა. ამ დღისათვის ოჯახი საგანგებოდ ემზადებოდა: საუკეთესო ფქვილისაგან აცხობდნენ სარიტუალო კვერებს, რომელთაგან ზოგი ძროხის ცურის ფორმისა იყო, ზოგი კი მტევნებისა და ვაზისა. ოჯახის უფროსი დიდ ხონჩაზე ღორის თავს დადებდა, გარშემო გამომცხვარ პურებსა და ტკბილესს შემოუნყოფდა, ზედ სანთლებს აანთებდა და მთელი ოჯახის თანხლებით მარანში





შევიდოდა, გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და დაილოცებოდა, შემდეგ ჭურს მოხდიდა, ღვინოს ამოიღებდა და ღმერთს ბარაქიანობას შესთხოვდა. ყველანი საწნა-ხელთან ჩამწკრივდებოდნენ, ხელში მარნის იარაღებს აიღებდნენ, საწნახელზე ურტყამდნენ და ღვინის ღვთაებას – აგუნას – თხოვნით მიმართავდნენ, ყურძნის დიდი მოსავალი მიეცა.

ასევე რიტუალური იყო ვენახისათვის ახალი წლის მილოცვა. ვენახში გაჰქონდათ კვერები და მუშა ვაზზე დარტყმით ტეხდნენ, მერე კლავდნენ ქათამს და სისხლს ვენახს მოასხურებდნენ. თან ღმერთს ბარაქიანობას შესთხოვდნენ. უაღრესად გავრცელებული იყო ვენახში ცეცხლის დანთება და დიდ ხუთშაბათს ასკილისა და თელის ტოტებით ვენახის მორთვა, ვენახის დარკინვა გალესილი ნამგლით და ნაკურთხი წყლის მოსხურება ეშმაკისეული ძალების განდევნის მიზნით. ასეთი ირაციონალურ-რელიგიური წესების პარალელურად დამკვიდრებული იყო აღკვეთები, რომელთაც პრაქტიკული დატვირთვა გააჩნდათ. მაგალითად, მაისში, 10-15 დღის განმავლობაში, როცა ვაზი ყვავილობს, ვენახში შესვლა აკრძალული იყო, ხოლო ფერიცვალებამდე ყურძნის ჭამა არ შეიძლებოდა მისი ეკონომიის მიზნით და ა.შ.

## საეკლესიო ღვინო

უაღრესად საინტერესოა სალოცავისათვის ყურძნისა და ღვინის შეწირვის წესები, რომელიც თითქმის მთელ საქართველოში სრულდებოდა. ერთი ასეთი წესი იყო რთველის დროს საუკეთესო ყურძენმოსხმული ლერწის აჭრა და სალოცავისათვის მირთმევა. ამ რიტუალში პირველნაყოფის შეწირვის უძველესი ტრადიციაა არეკლილი. თუ მოსავალი არ მოვიდოდა, მაშინ ვენახს ლერწებს აჭრიდნენ, ერთ კონად შეკრავდნენ, ჭურში ჩაკიდებდნენ და დათქმულ დღესასწაულზე სალოცავის კარზე მიიტანდნენ ღვინის მაგიერ.

რაც შეეხება ღვინის ზედაშის შეწირვის ფაქტს – ესაა წარმართული ეპოქის უძველესი წესი, რომელშიც აშკარადაა გამოხატული ღვინის კულტი. ზედაშე ანუ საეკლესიო ღვინო ეკლესიასა და ხატს ეწირებოდა ავადმყოფობისაგან თავის დახსნის, მფარველობის, გამრავლებისა და ბარაქიანობის მონიჭების მიზნით. ადამიანებს სწამდათ, რომ ამგვარად შეთქმული წმინდა ღვინო ხატის კეთილგანწყობას გამოიწვევდა. საზედაშე ღვინო სხვადასხვა დღესასწაულებისა და სხვადასხვა წმინდანთა სახელზე იყო შეწახული; ასეთ ჭურებს სახელებიც კი ერქვა. მაგ.: საღმრთო, საანგელოზო, საგიორგინმინდაო, სამარიამობო, სახატო, საპურშაო, საკალანდო, საახალწლო. ზედაშე მარნის ჭურებში იხსმებოდა, მაგრამ ზოგჯერ მისთვის აშენებდნენ ცალკე ნაგებობას, რაც წმინდა ადგილად იყო შერაცხული. სამეგრელოში ასეთ ნაგებობას „ოხვამერი“ ერქვა. საზედაშე ღვინო, როგორც აღინიშნა, საუკეთესო ხარისხისა უნდა ყოფილიყო, ძირითადად აყენებდნენ თეთრი ფერისას, რომელსაც უკვე დაწმენდილს ჩაასხამდნენ წმინდანის სახელობის ჭურებში და სანამ დათქმული დღესასწაული არ მოვიდოდა, ჭური არ იხსნებოდა. საგულისხმოა, რომ ასეთი ღვინის ამოსაღებად არსებობდა საგანგებო, საზედაშე ორშიმო, რომელსაც სხვა ღვინისთვის არ იყენებდნენ.

ზედაშეს კულტი საქართველოს მთიანეთის იმ ნაწილშიც იყო შესული, სადაც ვაზი არ ხარობდა. ეს კარგად ჩანს კავკასიონის უძველესი ტომის – ხევსურეთის – მა-



გალითზე: ისინი ბარში ჩამოდიოდნენ და თავიანთი სალოცავების სახელზე (იახსარი, კოპალა, ლაშარის ჯვარი, გუდანის ჯვარი) იბევებდნენ ვენახების წლის მოსავალს. ვენახის პატრონი ვალდებული იყო, გაემზადებინა საზედაშე ღვინო დათქმული დროისათვის. მარანი და ჭური მათთვის წინასწარ იყო ცნობილი. დღესასწაულის დადგომისას ხევსურები თავიანთი დროშებით, სამსხვერპლო ცხოველებით ჩადიოდნენ ბარში, საზედაშო მარანს გარს შემოუვლიდნენ, სამსხვერპლო ცხოველის სისხლით განათლავდნენ, ერთმანეთს დღესასწაულს მიულოცავდნენ, ახსენებდნენ მიცვალებულებს და ხატს სიმრთელესა და გამარჯვებას შესთხოვდნენ.

საზედაშე ღვინოს აყენებდა როგორც კერძო პირი, ასევე მთელი უბანი ან მთელი სოფელი ერთად. ასეთი მარნები გამართული იყო სალოცავის გალავანში; მასში ისხმებოდა ხატის ზვრისაგან მოწეული მოსავალი, რომელსაც გარკვეული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი ერთობლივად ამუშავებდა. ის, რაც საზედაშედ იყო განკუთვნილი, საგანგებო ჭურში ისხმებოდა, ხოლო ზედმეტ პროდუქტს ერთმანეთში იყოფდნენ ან რაიმე საზოგადო საქმისთვის იყენებდნენ.

საზედაშე ღვინო შედიოდა ეკლესია-მონასტრებშიც იმ სააღაპე ვალდებულების აღსასრულებლად, რომლის წესი და რიგი ქრისტიანული ლიტურგიის განუყოფელი ნაწილია. საზედაშე ქვევრი სამეგრელოში საკრალურ ობიექტად იყო ქცეული და „სამგარიო“ ერქვა. ასეთი ქვევრის სახელზე იცოდნენ ძროხის, ხბოს, მამლის „დაყენება“, ე.ი. შესაწირავად არჩევა. შეწირულებს დიდ პატივს მიაგებდნენ, რომ მსხვერპლშენირვამდე მათთვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ. დღესასწაულზე მსხვერპლს დაკლავდნენ. ოჯახის უფროსი ქალი სანოვავით გააწყობდა ხონჩას და მიულოცავდნენ „სამგარიო“ ანუ საზედაშე ქვევრს. უფროსი მამაკაცი მოხდიდა ჭურს. ყველა დაიჩოქებდა, შემდეგ აანთებდნენ სანთლებს, ხონჩას წალმა დაატრიალებდნენ და დაილოცებოდნენ. როგორც წესი, სარიტუალო არც ღვინო და არც სანოვავე არავიზე არ გაიცემოდა, რადგან ეს მხოლოდ ოჯახის კეთილდღეობას ეხებოდა და უცხოს რაიმე ფორმით ამ რიტუალში ჩაზიარება ოჯახის დამიზნებებს გამოიწვევდა. ასეთი არათუ ღვინო, არამედ ის სამეურნეო იარაღებიც კი თავყვანისცემის ობიექტად იქცეოდნენ, რომელთაც საზედაშე ღვინოს მოხმარებისათვის გამოიყენებდნენ.

საგულისხმოა, რომ რიტუალის აღსრულებისას ქალს მარანში შესვლა არ შეეძლო, ასევე არ ჰქონდა შენაწირავის ჭამის უფლება. სხვათა შორის, ქართულ სანესჩვეულებო რიტუალებში იშვიათია ქალის როლის ასეთი დაკნინება, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მევენახეობა-მეღვინეობა მუდამ მამაკაცის პრიორიტეტულ საქმიანობას წარმოადგენდა.

## ქართული სუფრა

ღვინო არის უძვირფასესი საარსებო პროდუქტი, რომლის ძალა კარგად ჰქონდა შეცნობილი მუშაობით დაღლილ ადამიანს, მაგრამ მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის არ გამხდარა იგი ასეთი მნიშვნელოვანი. ღვინოში მუდამ მოიპოვებოდა სულიერი აღფრთოვანებისათვის საჭირო ენერგია, ამქვეყნიური სიხარულის მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშე კაცი ვერასდროს იქნება სრულყოფილი. ამიტომ ადამიანს ადრიდანვე უცდია ამ სრულყოფილებისა და სიხარულის განცდისთვის რაღაც





ფორმა მიეცა. ალბათ ამ სურვილმა გაამრავალფეროვნა კოლექტიური თავშეყრის ორგანისტული ქმედებები, რომელთა ნივთიერი გამოხატულების საუცხოო ნიმუშები არქეოლოგიური გათხრების დროსაა აღმოჩენილი და რომლის საბოლოო ნაყოფს ტრადიციული ქართული სუფრის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს. მსოფლიოში არ მოიპოვება მევენახეობა-მელვინეობით სახელგანთქმული ქვეყანა, რომელსაც ნაციონალური სულისკვეთებით არ ჰქონდეს გამოხატული ღვინისადმი დამოკიდებულება. ყველა ეს ტრადიცია თანაბრად მნიშვნელოვანი და პატივსაცემია.

ეს შეეხება ქართველებსაც, რომლებმაც სუფრა – როგორც მწუხარების, ასევე მხიარულების – საზოგადოებრივი ურთიერთობის საუკეთესო საშუალებად აქციეს. დღეს ქართულ ტრადიციებთან მეტ-ნაკლებად დაახლოებულ ადამიანს თავისი აზრი გააჩნია ქართული სუფრის შესახებ და თუ ეს აზრი ყოველთვის აღსაფრთოვანებელი არაა, ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, რადგან დროთა განმავლობაში ქართულ სუფრას ბევრი ზედმეტი დეტალი შეუძენია, რაც შესაძლოა გაღიზიანებასაც კი იწვევდეს; მაგრამ მისი არსი რომ ადამიანური ყოფიერების უმაღლეს ღირებულებებს შეიცავს, ეს უდავოა. ქართული სუფრა თავისი ათასწლოვანი ტრადიციებით, პირველყოვლისა, სუფრის წევრებს შორის ამკვიდრებს ურთიერთპატივისცემასა და ისეთ ზნეობრივ იდეალებს, როგორცაა სამშობლოს, წინაპრების, მშობლების სიყვარული, სიმღერის, პოეზიის, ვაჟკაცობის კულტი. მისი ძირითადი ლაიტმოტივია, სულიერი აღმადგენის საშუალებით ადამიანი გახდეს უფრო კარგი, ვიდრე ამჟამადაა. ამ ინსტიტუტის სათავეში მდგომი, დიდი უფლებებით აღჭურვილი, თამადა იქცევა უმაღლეს პირად, რომელიც განაგებს სუფრის წესსა და რიგს.

მე-17 საუკუნეში საქართველოში მოგზაურობდა ცნობილი ფრანგი იუველირი და ესთეტი ჟან შარდენი, რომელიც თბილისში მეფის კარზე ქორწილს დასწრებია. მის მიერ აღწერილი ცერემონიალი მრავალმხრივ იქცევა ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში კი, ქართული სუფრის მშვენიერების წარმოჩენით. შარდენის სიტყვით, საკვირველი წესიერება იგრძნობოდა სუფრაზე. „ჩვენ აქ სამი ევროპელი ვიყავით და უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ასორმოცდაათი კაცი, რომელიც სეფაში იყო“. ბუნებრივია, ევროპელთა „ხმაურობის“ უტრირება ერთგვარი ხერხია იმ არაჩვეულებრივი ორგანიზებულობის და წესრიგის ჩვენებისა, რაც მუდამ იყო დამახასიათებელი ქართული სუფრისათვის და რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია შარდენს. ფრანგი მოგზაურის ამ სიტყვებში ქართული სუფრის ძირითადი ნოტია დაფიქსირებული, მისი მმართველობა ამოცნობილი და ხაზგასმულია პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ჩვეულებისამებრ ხშირად ირღვევა ხოლმე ღვინოსთან შეჭიდებულ ადამიანებს შორის.

## ქართული მევენახეობა საქართველოს გარეთ

აღმოსავლურ ქვეყნებში თბილისის ეპითეტია სიხარულის ქალაქი, ეს ქალაქი კი დასახლებულია ზეიმისა და ღვინისმოყვარე ხალხით. ირანელი ისტორიკოსები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველთა მინათმოქმედების საუკეთესო უნარების მიმართ (შაჰ-აბასმა ირანის მკვდარი უდაბნოების გასაცოცხლებლად 200000-მდე ქართველი გაასახლა, საქართველოში კი ბაღ-ვენახები გააჩანაგა, რადგან მათში

ხედავდა ქართველთა ძლიერების საფუძველს) და აღნიშნავდნენ, რომ ირანში სწორედ ამ საქმეში დახელოვნებული ქართველები მიჰყავდათ ბალ-ვენახთა გასამშვენებლებლად. პიეტრო დელავალეს თავისი თვალით უნახავს ქართველი მებაღეებისაგან გამშვენიერებული შირაზისა და ისპაჰანის ბაღები, ხოლო ინგლისელი ჯონ ფრაი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შირაზიდან ისპაჰანისკენ მიმავალი გზის ერთ დიდ მონაკვეთზე საგანგებოდ დაუსახლებიათ ქართველი მევენახენი, რომლებსაც კარგად მოვლილი ზვრები ჰქონიათ და მათ, ამ საქმის გარდა, სხვა არაფერი მოეთხოვებოდათ. სწორედ ეს იყო მიზეზი შირაზული ღვინის სახელოვნებისა მთელ სპარსეთში. ადამ ოლეარუსის ცნობით, შირაზული ღვინით ძირითადად შაჰის კარი მარაგდებოდა; თუმცა ირანელებს რელიგია უკრძალავდა ღვინის დაღვევას, მაგრამ არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლები, რომელთა შორის ბევრი ქართველიც იყო, მაინც ვერ ელეოდნენ ამ ღვთაებრივ სითხეს.

ქართველების სწრაფვა მევენახეობა-მეღვინეობისადმი სასულიერო სფეროშიც გამოვლინდა. ღვინოს, როგორ ქრისტიანული ლიტურგიისათვის აუცილებელ ელემენტს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, საეკლესიო მინათმფლობელობის სისტემა ერთობ დახვეწილსა და ძლიერ უჯრედს წარმოადგენდა. ეს იყო სახელმწიფოს უძლიერესი ფეოდი მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით. ეკლესია ფლობდა უმდიდრეს მიწებს, რომლის დამუშავებაში ჩართული იყო უამრავი ყმა-გლეხი. ჩამოყალიბებული იყო მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებისა და ეკლესიისათვის მიწოდების ფორმები; მთელი ეს მკაცრად დადგენილი ვალდებულებანი განსაზღვრული იყო სახელმწიფო პოლიტიკით. მაგრამ, როდესაც ისტორიული ძნელებდობის ჟამს ეს ურთიერთობა ირღვეოდა და სახელმწიფო ვეღარ ახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას, მაშინ ეკლესია ცდილობდა ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად სხვა საშუალება გამოენახა. ბერმონაზვნური ავტონომიების წიგნი გვეუბნება, რომ სასულიერო პირები თავად ხდებოდნენ ღვინის მწარმოებლები, რასაც წერილობით წყაროებთან ერთად არქეოლოგიური გათხრების შედეგად – როგორც საქართველოში, ასევე ქართულ საზღვარგარეთულ ცენტრებში – მოპოვებული მასალაც გვიდასტურებს. იტალიელმა ვირჯილიო კორბომ იერუსალიმში, ბირ-ელ-კუთის გათხრებისას მიაკვლია ყორეებით შემოზღუდულ სამეურნეო ნაკვეთებს, კლდეში ამოკვეთილ საწნახლებსა და მარნებს და თავის დასკვნებში მალაღლი შეფასება მისცა ქართველ ბერთა სამეურნეო ცხოვრებას.

შუა საუკუნეებში იერუსალიმში შესულმა ჯვაროსნებმა თავად იხილეს ქართველ ბერ-მონაზონთა ხელით შექმნილი სამეურნეო კომპლექსები და განსაკუთრებით დაინტერესდნენ ბერების მიერ მოვლილი ვენახებით. ეს ინტერესი იმდენად დიდი ყოფილა, რომ იერუსალიმის მეფეს, ბოლდუინ IV-ს, ჯვრის მონასტრის ბერებისათვის ვენახი ჩამოურთმევია და თავად მიუსაკუთრებია.

ბერმონაზვნურ ტიპიკონებში მკაცრად იყო განსაზღვრული, თუ რა რაოდენობის ღვინო უნდა მიეღო ბერს, რათა გამორიცხულიყო ყოველგვარი გადაჭარბება; მაგრამ ზოგადად მისი მოხმარება, როგორც აუცილებელი საკვები პროდუქტისა, ყოველდღიურ მუშაობას შეჭიდებული ბერის მწირი რაციონის გაძლიერებისათვის ნებადართული იყო. წითელ ღვინოში დამბალი პური – „ბოლინო“ ხომ ბერმონაზვნური კორპორაციის მიღებული კერძი იყო. ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი უდიდესი სიმდიდრე ბიზანტიის იმპერატორთაგან ოქრობეჭდებით დამტკიცებულ და ნაბოძებ





მინებზე გაშენებული ზვრები იყო. ვენახის მოვლა მონასტრის მამასახლისის ზედამხედველობით მიმდინარეობდა. იგი თავის მოვალეობად თვლიდა საგანგებო ბრძანებით მოწვევებზე შრომის ორგანიზაცია და მიეთითებინა, რომ ბერებმა თავიანთი მოღვაწეობის დიდი ნაწილი ვენახს უნდა შესწირონ. ათონის ბერმონაზვნური ისტორიის არაერთ მკვლევარს სათანადოდ აქვს შეფასებული ივერიელ ბერთა სამეურნეო საქმიანობა და განსაკუთრებით – დახელოვნება ღვინის წარმოებაში (ღვინო გამოიყენებოდა არა მხოლოდ სამონასტრო საჭიროებისათვის, არამედ გასაყიდადაც).

## საღვინე ჭურჭელი

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ამ ზოგად მიმოხილვას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავასრულებთ ზოგიერთ საღვინო ჭურჭელთან შეხების გარეშე, რადგან ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში ეს ჭურჭელი ამჟამადაც დიდი როლდენობითაა შემორჩენილი და მისი მრავალფეროვნება კიდევ ერთი შტრიხია ღვინისადმი საუკუნოვანი დამოკიდებულებისა.

ზოგადად ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს თუ გავითვალისწინებთ, ჭურჭელი ყოველთვის გამოხატავდა უფრო მეტს, ვიდრე მისი უტილიტარული დანიშნულებაა. ამიტომ ჭურჭლის მოპოვება, გაკეთება, მოხმარება და, როგორც სამშვენიის, გამოყენება მისი ცხოვრების თანამდევი მოვლენაა. აქედან იღებს სათავეს მეთუნეობის, ფაიფურის ხელოვნების და ოქრომჭედლობის დარგები, რომელთა შემოქმედნი მუდამ ყურადღებითა და პატივით სარგებლობდნენ.

ფაქტია, რომ მეღვინეობაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა თიხის ჭურჭელს და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სწორედ მისი საშუალებით მოიხმარდა ღვინოს, მაგრამ ღვინის მოყვარული და დამფასებელი ადამიანი შეუძლებელია მხოლოდ თიხის ჯამით დაკმაყოფილებულიყო და ადრიდანვე არ ეძებნა მასზე აღმატებული სასმისი, რომელიც უფრო მშვენიერს გახდიდა ღვინის მოხმარების პროცესს.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით სამეფო საჭურჭლეში სხვა ძვირფასეულობასთან ერთად ინახებოდა „სამსახურებელნი ტაბლათანი, სასმურნი და სამნდონი“, ანუ ღვინის მოსახმარი ჭურჭელი, რომლის გამრავალფეროვნებას დიდად უწყობდა ხელს ქართული სუფრის ტრადიცია. საფრანგეთის კონსული ფრანსუა გამბა თბილისში, სამეფო სასახლეში, ქორწილს დასწრებია და აღტაცებას ვერ ფარავს სუფრაზე მოტანილი ოქრო-ვერცხლის საღვინე ჭურჭლის ღირსების ხილვით. იგი განსაკუთრებით გაუოცებია ყარყარას – ამ მართლაც უცნაურ სასმისს. ეს ნივთი დამახასიათებელი იყო თბილისური სუფრისათვის, მის სამშვენიის წარმოადგენდა და ქართული ლხინის შეჯიბრულ სულისკვეთებასაც გამოხატავდა.

საერთოდ, განსხვავებული სასმისის გამოყენების ზოგათვის ძნელად გასაგები ჩვეულება, რაც ხშირად ახსნილია ზედმეტობისა და გადაჭარბებულობის მანკიერებით, მხოლოდ ზედაპირული აზროვნების შედეგი როდია. ღვინის უფაქიზესი ბუნება, ადამიანის განწყობილება და თვით ბუნებრივი პირობებიც კი (სიცხე, სიცივე) განაპირობებენ ღვინის დაღვევის ესთეტიკას, რომელიც შესაფერისი ჭურჭლის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება სრულყოფილი. სწორედ ამ თვალთ უნდა შევხე-

დოთ ღვინის სასმისთა მრავალფეროვნებას ქართულ სუფრაზე და არა ალკოჰოლურ მიდრეკილებათა ძიებით.

ღვინო თავად ირჩევს სასმისს და ადამიანის არსი ამ მოთხოვნილებას სიამოვნებით ემორჩილება. ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანის განმარტება, რომ ყარყარა არის „სარწყული სმაში ხმის მიმცემელი“, კიდევ უფრო ასურათხატებს ამ სასმისის ფიზიკურ იერსახეს: აიღებს მსმელი სავსე ყარყარას, ნელად მიიყუდება ტუჩზე, ოდნავ წამოუნეწს ბოლოს და დაიწყებს ღვინო რაკრაკით გადმოსვლას. განაბულია სუფრა, გაღიმებული უცქერს მსმელს, აყურადებს ამ სასიამოვნო ხმას და იხიბლება ღვინის უცნაური სიმღერით.

ყარყარას ტიპის ჭურჭლებს მიეკუთვნებიან აგრეთვე კულა და ჭინჭილა. ხის ჭინჭილები და მწარე კვახის კულები ესაა დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის მონაპოვარი და მათგან განსაკუთრებით კარგად ისმევა იმერეთის მომჯაო ღვინო. ჭინჭილა, ყარყარის მსგავსად, სანადიმო ჭურჭელი არაა. იგი უფრო სანიადაგოდ გამოიყენება, მაგრამ ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ზვარში სიცხითა და შრომით დაღლილი მევენახე ძალების აღდგენას საჭიროებს. ჭინჭილას ყელში ჩასმული აქვს პანია ტიხარი – ღვინის ნაწილობრივ ჩამკეტი. ამიტომ ყელიდან ღვინო გადმოდის „ძუნწად“, რაკრაკით, რაც ახანგრძლივებს ღვინის დაღვევის პროცესს და მსმელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. რაც შეეხება კულას, მას შუალედური ადგილი უჭირავს ჭინჭილასა და ყარყარას შორის. კულას დასავლეთში მწარე კვახისგან ამზადებენ, აღმოსავლეთში კი ხისაგან და არცთუ იშვიათად ასევედებენ ვერცხლის ელემენტებით.

ამ უცნაური ჭურჭლის დახასიათებით გვსურს დავასრულოთ მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიძღვნილი ეს მცირე ეთნოგრაფიული ნარკვევი. ვფიქრობთ, რომ ქართველების დამოკიდებულება ვაზისადმი – ესაა სავსებით არაორდინალური მოვლენა, სადაც ნათლად იკვეთება მრავალპლანიანი სამეურნეო ურთიერთობის გრძელი გზა. სწორედ ასეთმა ფუნდამენტურმა გულმოდგინებამ გაუხსნა ქართველ კაცს სამეურნეო ცხოვრების იდუმალებით მოცული სამყარო და მან სავსებით დაიმსახურა ისეთი რჩეული საჩუქარი, როგორიცაა ღვინო.





## ზურაბ კიკნაძე

# ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში

### პური და ღვინო

„და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“, – ვკითხულობთ მატყანეში. ამ სიტყვებით აფასებს (ახასიათებს) მეისტორიე თავის ეპოქას. ეს სიტყვები მეტყველებენ პურისა და ღვინის ადგილზე ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი მისი კეთილდღეობის ნიშნებია. ნივთიერ სიკეთესთან ერთად პური და ღვინო მორალურ-ზნეობრივი (ხშირად რელიგიური) კატეგორიებია და არა უბრალო საკვები. მათში ადამიანის ღირსებაა განივთებული. დღემდე ცნება-კომპოზიტი „პურ-ღვინო“ ქართველი კაცის ყოფის თანამდევია და მისი ორივე ნაწილი სამინათმოქმედო კულტურის უმაღლესი გამოხატულებაა. თითქოს აქედან მოდის ქართველთა სახელწოდება გეორგიოს (ეორგიან), რომელიც ბერძნული სიტყვაა და მინათმოქმედს ნიშნავს. პურისა და ღვინის პრიორიტეტულად წინ წამოწევაში ქართველი უძველეს საკაცობრიო ტრადიციას მისდევს. პური და ღვინო – ეს ორი პროდუქტი ძველთაგანვე იყო სიმბოლო ყველაფრისა, რასაც მიწა იძლევა და რაც ადამიანს კვებავს. ბიბლიის ფსალმუნებში მაღლიერებით აღინიშნება: „რომელმან, აღმოაცენა ბალახი მათათა და მწვანე სამსახურებელად კაცთა, რომელმან გამოიღოს პური ქვეყანით, ღვინომან ახარის გულსა კაცისასა, საცხებელმა მხიარულ-ყვის პირი, და პურმან განამტკიცის გული კაცისაი“ (ფსალმ. 103, 15-15); ხოლო ევრიპიდეს დრამაში ბერძენი ტირებია საუკუნო სიტყვებს ამბობს: „ორი ღმერთია, კაცთა მოდგმას რომ ასულდგმულებს: ერთი – დემეტრე, დედამიწა, მშრალით მკვებავი; მერე მოვიდა დიონისე, ვინც ყურძნის მტევანს წვენი ადინა, განაჩინა ჩვენდა სასმელად, რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე ვნებანი“.

ღვინოს ვაზის სისხლს უწოდებენ ხალხში. ის ერთსა და იმავე დროს მსხვერპლიცაა და ნაყოფიც, რომელთაც ვაზი ადამიანთათვის გაიღებს. არც ერთი კულტურული მცენარე, რომელიც კი ადამიანს, „მოუშინაურებია“, იმდენ პატივს, სიყვარულსა და მოკრძალებას არ იმსახურებს, როგორც ვაზი. ბიბლიაში იგი ნაყოფიერ და (ამიტომაც) საყვარელ ცოლთან არის შედარებული: „ცოლი შენი, ვითარცა ვაზი მსხმოიარე“ (ფსალმ. 1237,3); ის სიუხვის განსახიერებაა, დოვლათით ავსებს სახლს; მაგრამ ქართველი მევენახისთვის იგი უფრო შვილია, რომელზედაც დიდი ამაგი აქვს განეული. ჩნდება კითხვა: ამაგის საფასურად რას მოელის მევენახე ვაზისგან? „ვაზო, შვილივით ნაზარდო“, – ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი. მისი ზრუნვა უანგაროა.

არც ერთ ხეზე, არც ერთ კულტურულ მცენარეზე, არც პურის ყანაზე, არც თუნდაც ცხვარზე, რომელზედაც არანაკლები ამაგი აქვს მწყემსს, მსგავსი რამ არ თქმულა. ვაზი კი მართლაც შვილივით არის გაზრდილი, მუდმივი ზრუნვითა და სიყვარულით გარემოცული. თუ არა ყოველდღიური ყურადღება, ის დაკარგავს თავის სახეს, რომელიც მრავალი თაობის მეცადინეობამ შესძინა, როცა ველური მდგომარეობიდან გამოიყვანა, მოაშინაურა და გააკეთილშობილა; ტყეში არავისი იყო და კაცმა ის თავისი გახადა; ბუნების შვილი ადამიანის შვილად გარდაქმნა, ბუნებიდან კულტურად აქცია; ემსახურა, რათა შემდეგ მას გაენია სამსახური და მართლაც, ვაზმა ასწილად და ათასწილად გადაუხადა ზრუნვის ამაგი. ადამიანი ვაზის პედაგოგად, აღმზრდელად გვევლინება; ის არის cultor vitis. ქართველ გლეხს ვაზზე უფრო კულტურული მცენარე არ გააჩნია თავის კარ-მიდამოში, ხალხურმა ლექსმა თავად ვაზს ათქმევინა ყველაფერი – ჩამოათვლევინა, თუკი რამ ესაჭიროებოდა. აი, რას ეუბნება მევენახეს ახალგაზრდა ვაზი, რომელსაც კარგი მომავალი ექნება, თუკი მეურნე მოთმინებით იზრუნებს მასზე:

„დიდ ვენახში მივდიოდი ბართა და ნიჩაბითა,  
ზევით ბაგამ<sup>1</sup> დამიძახა, აქ მობრძანდი, მე რა გითხრა:  
შენ სასუქი მომიმზადე, თითო ჯინი თითო ძირსა,  
ისეთ მტევანს გავიკეთებ, არ ჩავიდეს გოდრის პირსა,  
ხანდახან შემოხვიდოდე, ღიმი მოგდიოდეს პირსა,  
საგაისოდ მომიკითხე სამამულე ჩემი რქისა,  
სანნახელი მომიმზადე, პირი მოუღესე რძითა,  
თალარი კარგი დამიდგი, იყოს ორმოცი კოკისა,  
ისე გაგივსებ ქვევრებსა, ცვარი აღარ გედგას სხვისა,  
უცხო და უცხო სტუმრები გორაობდნენ ცეცხლის პირსა,  
სულ დაგითრობ მეზობლებსა, ველარ გადიოდნენ ხიდსა,  
ჭირი ბევრი მოგაშორო და სირცხვილი მეზობლისა“.

ვაზი გარედან თითქოს შეუხედავია, დაბრეცილია, მრუდე. გამოცანაც არის ასეთი: „მამა – დაბრეცილი, დედა – მარგალიტი, შვილი – გადარეული“ (ანუ: დაბრეცილი მამა ვაზის ტანია, დედა მარგალიტი ყურძენია, გადარეული შვილი ღვინოა); ვაზს არც ფერი აქვს, რომ ადამიანი მიიზიდოს, მაგრამ შინაგანი სიმართლე და მშვენიერება განასხვავებს მას სხვა ხეებისაგან; ის მართლაც ხეთა და მცენარეთა მეფეა, სამეფო ნერგია, ამიტომაც ასეთი ლექსი გამოუთქვამთ მასზე:

„ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, მაგრამ კარგო ხეო,  
მეფეთა და ხელმწიფეთა მასპინძელო, კარგო ხეო,  
ამ სოფლისა სალხინოო, საუკუნის სამოთხეო,  
მასპინძელო მხიარულო, გავიხარე, რო გნახეო“.

მას შემდეგ, რაც ღვინო ადამიანთა ყოფაში შემოვიდა, განუშორებლად თან ახლავს ადამიანს. უღვინოდ არც სიხარულია, არც ლხინი და არც შრომა.

„ვენახსა განაპირასა ჩაურიგებენ მანასა,  
ვინც ღვინოს დაგვალევინებს, იმას მოვუმკით ყანასა!“ –

ამბობენ გლეხები.

1 ბაგა – ახლადჩაყრილი ვაზი.





ქართულ სოფელში ყანის ლანდშაფტის ნაწილია ხის ჩრდილი. ჩრდილქვეშ ან იქვე წყაროში ჩასაცხივებლად ჩადგმული ღვინით სავსე დოქი დღის პაპანაქებით დამაშვრალ მუშაკს ელის. მაგრამ ეს ღვინო არ არის სალხინო და დამათრობელი, რომელსაც სტუმარს გამოუტანენ ხოლმე. მუშაკთა შესასმელი ღვინო სადაგი ღვინოა, წყალგარეული. მისი მონოდებაა, ყელი გაუფრილოს მზის გულიდან ჩრდილში მობრუნებულთ, რათა კვლავ ყანას შეეჭიდონ. მხოლოდ აქ ითმენს ქართველი წყალნარევი ღვინოს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის არასდროს ჰკადრებს სტუმარს წყალგანარევი ანუ, როგორც ასეთ ღვინოს უწოდებენ, „შამანი“ შესთავაზოს.

სხვადასხვა დანიშნულების ღვინოთა იერარქიაში, რომელიც სადაგიდან (საყოველღეო ღვინიდან) იწყება, ყველაზე მაღლა დგას ე.წ. „ზედაშე“. საერთოდ დიდად ფასობს ძველი ღვინო; თქმაც არის ასეთი: „ძველი ღვინო, ძველი პური, ძველი სტუმარ-მასპინძელი“. ხომ ძვირფასია ძველი ღვინო, რომლითაც განსაკუთრებულ დღეს უმასპინძლებიან სტუმრებს, მაგრამ ზემოთ ნახსენები ზედაშე სულ სხვაა. ის წმინდა, საკრალური ღვინოა. მისი ყურძენი მოჰყავთ საგანგებოდ რომელიმე წმინდანისადმი შეწირულ ვენახში და ღვინოც, რომელიც შესაბამისად ამ წმინდანისადმი შეწირული, მის დღეობაზე უნდა შეისვას.

ღვინის გამო მარნის საკრალიზაცია არ უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან საღვთო ლიტურგიაში წმინდა ნაწილის დასამზადებლად მთავარი ელემენტი პურთან ერთად ღვინოცაა. ღვინო და პური ქრისტეს სისხლი და ხორცია, მარანიც ამის გამო წმინდა ნაგებობად ითვლებოდა. აქ ხშირად ნათლობის და ჯვრისწერის რიტუალიც კი სრულდებოდა. აი, რას გვეუბნება ერთი ხალხური საწესრეულებო ლექსი, რომელსაც წმინდა გიორგის დღეობაზე მღერიან მთიან რეგიონში:

„წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო,  
წვერში დაუსხამ ყურძენი, საჭმელად შემოსულიყო,  
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო“.

ქართული მითოლოგიური წარმოდგენით ალვის ხე სამოთხეში დარგული სიცოცხლის ხეა („ვით ედემს ალვა რგულია“, – ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანშიც“). ხალხური ლექსის თანახმად იგი წვერში ისხამს ყურძენს რომლის ქამის შემთხვევაში ყოველგვარი უბედურებისაგან იცავს ადამიანს. აქ მითოლოგიურად არის გადმოცემული ქრისტიანული რელიგიის მთავარი საიდუმლო – ზიარება.

წმინდა გიორგის კარი ეკლესიაა, ალვად ამოსული ხე – საღვთო ლიტურგია, ყურძენი – ქრისტეს სისხლი, მისი უჭმელი ანუ უზიარებელი ქალ-ვაჟი კი – ევა და ადამი, რომელთაც ვერ იგემეს სიცოცხლის ხის ნაყოფი და დაკარგეს უკვდავება, მარადიული სიცოცხლე. ამ საკულტო ლექსმა ყოფაში სხვაგვარი სახე მიიღო, რომელშიაც მარნის საკრალიზმიც აისახა:





„ჩვენი მასპინძლის მარანში ალვის ხე ამოსულიყო,  
ძირში მიერგოთ ვაზები, ზედ წვერზე მოვლებულიყო.  
წვერში მოესხა ნაყოფი, ბოლომდე ჩამოზრდილიყო.  
დამნიფებულა ყურძენი, შიგ ღვინო გამოსულიყო,  
მათი დამთვრალი ვაჟკაცი ტალახში ამოსვრილიყო“.

ამ ქალ-ვაჟმა, რომელიც გაუფრთხილებლად დაენაფა წმინდა სასმელს, ბიბლიური ნოეს ბედი გაიზიარა.

## ვენახის ღვთაება

ახალ წელსაც კი, როცა ვენახის სეზონი დიდი ხნის გასულია, ქართველ მევენახეს ვაზი და ვენახი არ ავიწყდება. წინა დღით აცხოვენ ყურძნის მტევნის მოყვანილობის პურებს, რომელთაც „მტევანი“ ან „აგუნას პური“ ეწოდება. ოჯახის უფროსი ამ პურით მოივლის ვენახს და, როგორც ცოცხალ არსებას, ისე მიულოცავს მას ახალ წელიწადს; მსხვერპლის სახით გადატეხავს პურს და ვაზის რქაზე ჩამოკიდებს. ამ რიტუალთ ვენახის ძველთაძველი ღვთაება აგუნა, რომლის ხსოვნა ბუნდოვნად შემორჩა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, შედის ვენახში – თავის სამფლობელოში – და მსხვერპლად ეწირება დამდეგი წლის ნაყოფიერებას. ოჯახის უფროსი შემოივლის ვენახს ხმამაღალი ძახილით: „აგუნა, აგუნა, მოდი ჩვენთან! შემოდი ჩვენს ვენახში! ამხელა (მაღლა ასწევს ბავშვს, რომელიც ხელში უჭირავს) მტევნები მოგვიტანე! გვაშორე სეტყვა! აგუნა, დაიცავი ჩვენი ვენახი. სხვის ვენახში ნაფოტი და ფურცელი!“ ამის შემდეგ ოჯახის უფროსი მარანში შედის და იქაც აგუნას იწვევს: „აგუნა, აგუნა, შემოდი ჩვენს მარანში, ღვინის ღვარი დაგვიყენე. გამოლმა ყურძენი, გალმა ფურცელი!“ შემდეგ დაიმედებული, რომ აგუნა დოვლათით აავსებს მის ვენახს, გამართავს ლხინსა და პურობას.

## ღვინო და სტუმარმასპინძლობა

ქეიფს, ლხინს, წვეულებას ქართულად „პურობაც“ ეწოდება. „პურადს“ გულუხვ და ხელგაშლილ მასპინძელზე იტყვიან. როცა ამბობენ, „კარგი პური ვჭამეთო“, მხოლოდ პურის ჭამას არ გულისხმობენ. ამით სურთ თქვან, რომ კარგი ლხინი ჰქონდათ (ე. ი. კარგი ღვინო) და კარგი დროც გაატარეს.

ქართველს თუ ღვინო და პური აქვს, არაფრის ეშინია. მოულოდნელი თუ მოსალოდნელი უბედურების ან დღესასწაულებისთვის მას ყოველთვის გადანახული აქვს ღვინო საგანგებო ჭურჭელში. ზოგჯერ ათ, ოც წელსაც ინახავს, რათა განსაკუთრებული შემთხვევისათვის (მაგ., ქორწილისთვის) გამართულ სუფრაზე გამოიტანოს. ღვინით ეგებება იგი თავის ახლად დაბადებულ შვილს, ღვინით აქორწინებს მას, ღვინით ისტუმრებს იმქვეყნად თავის მიცვალებულებს, ღვინით ხვდება სტუმარს, წყლის ნაცვლად ღვინოს გამოუტანს მის კარზე ჩავლილ ადამიანს. ღვინო აუცილებელია





რელიგიურ თუ საყოფაცხოვრებო დღესასწაულებზე... სახელდახელო სუფრას, რომელიც სოფლად თუ ქალაქლად რაიმე მზადების გარეშე, მოულოდნელი სტუმრის დასახვედრად იშლება, პურისა და ღვინის გარდა, აუცილებელია ამშვენებდეს ყველი, მწვანელი და მწნილი, რომელიც ოჯახებში, განსაკუთრებით სოფელში, ყოველთვის გადანახული აქვთ. თუ ოჯახს ეს მინიმუმი მოეპოვება, დამშვიდებული უნდა იყოს; სტუმარიც მეტს არაფერს მოსთხოვს. მთავარია მასპინძლის კეთილგანწყობა. სტუმარი უნდა გრძნობდეს, რომ ის სასურველი ადამიანია და მისი სტუმრობა ოჯახისათვის სიხარულია. „ყველი, პური, კეთილი გული“, – ამბობს ქართველი...

საქართველოში სტუმარს მომღიძარი სახით ხვდებიან. რაც არ უნდა დიდი უბედურება ტრიალებდეს ოჯახში, მასპინძელი არასდროს თავის დარდს სტუმარს არ მოახვევს. ეცდება, არ შეიმჩნიოს გასაჭირი. მასპინძელმა მხოლოდ სტუმრის კარგ გუნებაზე, მის მხიარულებაზე უნდა იზრუნოს. აი, ორი სტრიქონი, თითქოს სტუმარმასპინძლობის კოდექსიდან ამოღებული:

„თუ მასპინძელი მოილხენს, სტუმარსაც მოეღბინება,  
თუ მასპინძელი მოინყენს, სტუმარსაც მოენყინება“.

მასპინძელი დირიჟორია, რომელიც მართავს სტუმრის გუნება-განწყობილებას. სხვაგვარად სტუმრობას აზრი არა აქვს. მასპინძელს უნდა უხაროდეს ოჯახში სტუმარი, სტუმრობა კი ღვთის წყალობად უნდა მიაჩნდეს. ხალხური ლექსი ხატოვნად გამოთქვამს მასპინძლის სიხარულს სტუმრის დანახვაზე:

„დავესწარი ცის გახსნასა, ქვეყნების დამყარებასა,  
ხისა ფურცლის გამოსხმასა, ხილნარის აყვავებასა,  
შენ რომ თვალით დაგინახე, ნეტა ჩემ გახარებასა!“<sup>1</sup>

მასპინძლისთვის სტუმრის გამოჩენა გაზაფხულია, ბუნების განახლება და აყვავებაა, მეტიც, მთელი სამყაროს დაბადებაა. უფრო მარტივად, მაგრამ არანაკლებ პოეტურად გამოთქვამს ამ აზრს სხვა ხალხური ლექსიც:

„გაზაფხულ ჭალაის პირსა პირი ამოყო იამა,  
იმ ღმერთმა დამბადებელმა, მე თქვენი ნახვა მიამა“.

– „სტუმარი ღვთისაა“, – ვეუბნებით ადამიანს, რომელმაც ეს-ესაა ჩვენი სახლის ზღურბლს გადმოაბიჯა. ისიც გვპასუხობს ძველთაგანვე დადგენილი წესით: „მშვიდობა სახლსა ამას“. როდის და სად ითქვა, სტუმარი ღვთის წარმოგზავნილიაო, არავინ იცის. ასეა ყველგან დედამიწის ზურგზე, განსაკუთრებით ძველ ხალხებში, რომელთა წეს-ჩვეულებანი უძველეს ეპოსებშია ასახული. სტუმარმასპინძლობა ორმხრივი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა. მასპინძელი ამაცობს როგორც სტუმრით, ასევე თავისი მასპინძლობითაც. არსებობენ ტრადიციული სტუმარ-მასპინძლებიც...

1 მცირე შენიშვნა: უფრო ცხადი რომ გახდეს ლექსის აზრი, შევნიშნავ, რომ ხალხური წარმოდგენით, ცა შვიდ წელიწადში ერთხელ იხსნება და თუკი ამ დროს რაიმეს ინატრებ, უსათუოდ აგისრულდება. ოღონდ არ უნდა გამოგრჩეს ეს წამი.

## აბრამის ლექსი

ოჯახში თუნდაც ერთხელ სტუმრად მისულ ადამიანს მთელი სიცოცხლე ახსოვს ეს სტუმრობა და სიხარულით იხსენებს მას; მეორედ სტუმრობა ერთხელ ნასტუმრები ადამიანისა ხომ ბედნიერებაა! იტყვიან ხოლმე: „დაგვიძველდა პურ-მარილი“, ე. ი. მას განახლება ესაჭიროებაო.

სტუმრისათვის ქართველი უკანასკნელს გაიღებს, რათა საკადრისი პატივი სცეს მას. სტუმრისადმი პატივისცემა მასპინძლის ღირსების საქმეა. ეს დაუნერეული კოდექსი ხალხურ ლექსშიც არის გამოხატული:

„სტუმრებო, სტუმრების მზემა, არცრა უსტუმროდ ლხინია,  
უსტუმროდ პური და ღვინო მწარეა, განა ტკბილია?  
მზეიც ნუ მოვა უსტუმროდ, მავიდას, განა თბილია?“

საკმარისია, თუნდაც უცხო კაცმა ჩაიაროს ქართველი გლეხის კართან, ის ვალდებულად თვლის თავს, სტუმარი შეიპატიჟოს, პურითა და ყველით სახელდახელოდ გაუმასპინძლდეს, რაც მთავარია, დოქით ღვინო გამოუტანოს და ოჯახის დალოცვა სთხოვოს. ერთი ლექსის მიხედვით, კაცს უცნობი სტუმარიც რომ ეწვიოს, მისთვის ყველაფერს გაიმეტებს: შეშა რომ არ ჰქონდეს, ურმის გასაკეთებლად შემონახულ ხის მასალას დანვავს; რომ არ ეყოს, ხის სხვა ნივთებს მიაყოლებს; თუ ესეც არ ექნება, გულის ცეცხლს დაუნთბებს, გაათბობს და სადილს მოუმზადებს; მაგრამ, რაც აბადია, ყველაფერი რომ მიართვას, ატლასის კაბაც რომ ჩააცვას, თუ ღვინო არ დააღვინა, მასპინძლობა ამაოდ ჩაუვლის. აი, რას ამბობს ხალხური ლექსი:

„კაცსა სტუმარი ეწვიოს, სტუმარი არნახულისა,  
დააპოს ურმისა მორგვი, ზაფხულის შენახულისა,  
დასწვას ფინალი, ორთითი, ცეცხლი დაანთოს გულისა,  
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს, დასვას და ანადიმოსა,  
ატლასის კაბა ჩააცვას, და ცხენსაც შესვას, პილოსა, –  
ყველა ტყუილად ჩაუვლის, თუკი არ ასმევს ღვინოსა“.

მასპინძლობის წესი და რიგი უკეთ არის შემონახული სოფლებში. ერთი ოჯახის სტუმარი მთელი სოფლის სტუმრად ითვლება. მის პატივსაცემად მეზობლებს პატიჟებენ, სტუმარს სადღესასწაულო განწყობილებას უქმნიან, რისი ხსოვნაც მას დიდხანს მიჰყვება ხოლმე. მეზობლები მეზობლის სტუმრის პატივისცემაში ერთმანეთს ეჯიბრებიან: ვალდებულად თვლიან, რომ მეზობლის სტუმარი თავის სახლში დაპატიჟონ და ქეიფი გაუმართონ. რამდენ ხანსაც სტუმარი სოფელში რჩება, იმდენ ოჯახში უწევს მას სტუმრობა. ამგვარად იქცევა ერთი ოჯახის სტუმარი მთელი სოფლის სტუმრად. ეს დღეები მისთვის დაუფინყარი ხდება და მოვალეობადაც მიიჩნევს, კვლავ ესტუმროს სოფელს.

სტუმრისა და მასპინძლის მოვალეობანი მკაცრად არის ჩამოყალიბებული დაუნერეულ „კოდექსში“, რომელიც ანდაზებსა და ხალხურ თქმებშია გაცხადებული. ამბობენ: „მასპინძელი სტუმრის ვირიაო“; „სტუმარმა რომ უარი თქვას, მასპინძელმა თავისი არ უნდა დაიშალოსო“; „მასპინძლის სიყვარულითა ხუცესთა მარხვა ჭამიანო“; „დაპატიჟებულ სტუმარს დიდი გული აქვსო“, – ასე ითქმის, რადგან სტუმარმა იცის, რომ მასპინძლის ოჯახში მას გარკვეული უფლებები აქვს. ის პატივით არის გარემოსილი, მისი სურვილი (თუკი რამ ისურვა) უმალ შესრულებული იქნება. საკმარისია,





სტუმარს მასპინძლის ოჯახში მოეწონოს რაიმე ნივთი (სულერთია, ღვინის სასმელი ყანნი იქნება თუ თოფი), მასპინძელი დაუყოვნებლივ და დაუნანებლად აჩუქებს. მაგრამ კარგი სტუმარი არ სარგებლობს მასპინძლობის ამ წესით; ის ფრთხილად იქცევა, ცდილობს, არ შეიმჩნიოს რაიმე საგნის მოწონება... თვალს მოჰკრავს თუ არა ქართველი თავისი სახლისკენ მომავალ სტუმარს, მაშინვე იწყებს მის დასახვედრად მზადებას: კლავს ქათამს, აცხობს ჭადებს, თავს მოხსნის ახალ ქვევრს და, სანამ ნამგზავრი სტუმარი სულს მოითქვამს, სუფრაც მზადაა. თუ სტუმარი ღამით რჩება, მას დიდი პატივით მოასვენებენ. ყველაზე გაჭირვებულ გლეხსაც კი სახლში ერთი საგანგებო ოთახი აქვს, რომელშიც არავის ძინავს; იქ მხოლოდ სტუმარს აბინავებენ. სტუმარს საუკეთესო ლოგინს უშლიან, თავად შევიწროვებიან, იატაკზე დანვებიან დასაძინებლად, ოღონდ სტუმარმა მშვიდად მოისვენოს; ფეხაკრეფით დადიან, რომ დროზე ადრე არ გააღვიძონ. გამოღვიძებისთანავე პატარა ბავშვებს მიუგზავნიან წყლითა და ხელსახოცით, ან წყარომდე მიაცილებენ. დილის სუფრა უკვე ელოდება მას, რომელიც შეიძლება სადილად და ღვინად გადაიქცეს. კარგი სტუმარი ბოროტად არ სარგებლობს. იგი უნდა გრძნობდეს იმ მომენტს, როდის გამოემშვიდობოს მასპინძელს და გაემგზავროს. ამ მომენტის დაჭერა (გრძნობა) კულტურის ნიშანია; მასპინძელი აფასებს სტუმარში ამ გრძნობას. სტუმარი მასპინძელს ისე არ უნდა მოებზრდეს, რომ მისი წასვლა ინატროს. ამ დელიკატურ სიტუაციას ერთი ხალხური ლექსი გამოხატავს:

„დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი,  
თუ დიდხანს შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.“

სტუმრის ტაქტზე, მის კულტურაზეა დამოკიდებული, რომ მასპინძლის თვალში სპილენძად არ გადაიქცეს, ანუ არ გაუფასურდეს. კარგი სტუმარი უნდა გრძნობდეს, როდის არის გულწრფელი პატიჟი და როდის – აუცილებელი ეტიკეტით გამონვებული. მან დროზე უნდა დატოვოს მასპინძლის სახლი, რათა ტვირთად არ დაანვეს ოჯახს, ერთგვარი დაძაბულობა იქმნება, როცა სახლში „გაუგებარი“ კაცი სტუმრობს, მაგრამ ეს ის უბედურება არ არის და არც გაკიცხვას იმსახურებს. ასეთი ადამიანი მხოლოდ კეთილი იუმორის საგანი ხდება და „შეგვიანებული“ სტუმრის სახელს იმკვიდრებს.

სტუმარ-მასპინძლის ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი პატიჟია. არ არის საკმარისი, რომ მასპინძელმა ნაირ-ნაირი კერძით გაუფასოს სტუმარს სუფრა. რაც არ უნდა უხვი იყოს სუფრა კერძებით, თუ მასპინძელი სიტყვიერად არ მოუწოდებს, გადაიღოს კერძი, სტუმარი პირს არაფერს დააკარებს. დასავლეთ საქართველოში წესად არის მრავალჯერადი პატიჟი. საჭიროა განმეორება, რასაც სტუმარი ელის და მასპინძელიც არ აყოვნებს. ამ ეტიკეტის აზრი იმდენად კარგად ესმით, რომ დასავლეთში ასეთი თქმაც კი არსებობს: „ჩვენი მხარის კაცია, ერთი შეპატიჟებით როგორ დარჩებაო სადილად“. აღმოსავლეთ საქართველოში პატიჟი არ იცინა. ერთხელ გეტყვიან, მიირთვიო, და აღარ გაიმეორებენ. თუ ეს არ იცის დასავლეთიდან მოსულმა სტუმარმა, შეიძლება მშვიერიც დარჩეს. ის ამაოდ ელის განმეორებით პატიჟს, რომლის გარეშეც პირს არაფერს აკარებს, რადგან პირველი პატიჟის შემდეგ ჭამას თავისი ღირსების შელახვად თვლის.

განსაკუთრებული სტატუსი აქვს სტუმარს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ანდაზა – „მასპინძელი სტუმრის ვირიაო“ – სწორედ აქ მართლდება მთელი სისრულით. ზოგიერთ თემში მასპინძელი სტუმართან ერთად არც კი დაჯდება სუფრასთან, მუხლმოყრილი იდგა და ისე აწვდიდა სასმელს, ლუდი იქნებოდა თუ არაყი.

როგორც ბატონს ყმა, ისე ემსახურებოდა. სტუმრის სურვილი მისთვის კანონი იყო, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სტუმარი არ სარგებლობდა ამ პრივილეგიით. მასპინძლის მოვალეობა იყო, დაეცვა სტუმარი, თავიც კი გაენირა მისთვის. ქართველ პოეტ ვაჟა-ფშაველას სწორედ ამ თემაზე აქვს შექმნილი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“: კაცმა მიიღო სტუმარი, რომელშიც ვერ გამოიცნო სოფლის მტერი, ბევრი ადამიანის მკვლელი, მათ შორის მისი ოჯახის წევრისაც. როცა ეს გამჟღავნდა, მთელი სოფელი მიადგა კარზე და სტუმრის გადაცემა მოსთხოვა. მასპინძელმა არ უღალატა სტუმარმასპინძლობის წმინდა მოვალეობას და სტუმრის დასაცავად იძულებული გახდა, მომხდური მოეკლა. მან შურისძიების (სისხლის აღების) ადათზე მაღლა მასპინძლობის ადათი დააყენა, რასაც შეენირა კიდევ: იგი და მისი ოჯახი თემიდან (საზოგადოებრივი) მოიკვეთეს.

...დამშვიდობების დროს სტუმარს ბოდიშს უხდიან, საკადრისი პატივი რომ ვერ სცეს. ესეც აუცილებელი ეტიკეტია და ითქმის მაშინაც კი, როცა მასპინძელს არაფერი დაუკლია სტუმრისთვის. ეს ეტიკეტი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს კუთხეებშია მიღებული.

## ქართული სუფრა, ღვინის სმის წესი

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსად იმდენ და ისეთ ძვირფას ღვინოს არ სვამენ, როგორც საქართველოში“ (შარდენი).

ქართული სუფრა თითქოს ბიბლიური ზირაქის ძის წიგნის მიხედვითაა დაფუძნებული, განსაკუთრებით კი სუფრის ხელმძღვანელის – თამადის – ზნე და წესი: „თუ თამადად დაგსვეს, თავს ნუ აიმაღლებ, არამედ იყავი დანარჩენთა შორის, როგორც ერთი მათგანი. ჯერ მათზე იზრუნე და მერე დაჯექი. როცა ყველაფერს აღასრულებ, რაც გევალება, დაიკავე შენი ადგილი, რათა თანამეინახეებში მოილხინო და სუფრის რიგიანი გაძლოლისათვის გვირგვინი დაიმსახურო. ისაუბრე, თამადას დარბაისლური სიტყვა შეშვენის, მაგრამ სიმღერას ნუ ჩაახშობ. როცა გისმენენ, სიტყვას ნუ გააგრძელებ და უდროოდ დროს ნუ ბრძენობ. რაც ლალის თვალთა ოქროს ბეჭედში, იგივეა ხმატკბილი სიმღერა ნადიმობისას. რაც ზურმუხტის ბეჭედი ოქროს ბუდეში, იგივეა საამო ჰანგი ღვინის სმისას“ („სიბრძნე ზირაქისა“, 32, 1-6).

საქართველოს სტუმარს, უცხოელს, თუ ორიოდ დღე მაინც გაუტარებია ჩვენს ქვეყანაში და კეთილ მასპინძელს შინ მიუპატიჟებია, პირველი, რაც თვალში მოხვდებოდა, არის ქართული ლხინის მკაცრი წესები, რკინისებური დისციპლინა სუფრაზე, რომელიც სტუმარსაც კი არ აძლევს შეღავათს. ქართველი არსად, ყოფაცხოვრების არც ერთ სფეროში არ არის ისეთი სერიოზული და მთელი მონდომებით არ იცავს წესრიგს, როგორც სუფრაზე.

რამ წარმოშვა სუფრის მკაცრი წესები, რა საჭიროებამ შექმნა ქართული სუფრა? პასუხი ასეთია: ღვინომ, ღვინის ძალამ. ქართული ანდაზა ამბობს: „ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიაო“. და აი, ღვინომ რომ არ „გალახოს“ კაცი, მისი ძლევაა საჭირო. ქართული სუფრა თავისი მკაცრი წესებით, თავისი ცერემონიებითა და ეტიკეტით, მჭევრმეტყველების თუნდაც უზომოდ დემონსტრაციით ღვინის ძლევას, მისი ფეთქებადი ძალის მოთრგუნვას ემსახურება. გავიხსენოთ ბიბლიური ნოე,





როგორ არის იგი დახასიათებული: სრული, მართალი კაცი იყო ნოე თავის თაობაში და ღვთის გზაზე დადიოდაო. რა დღეში ჩააგდო ეს ღვთის კაცი ღვინომ? „და შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში“ (დაბ. 9,21). და ეს ის ნოე იყო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველმა გააშენა ვაზი, მოიყვანა ყურძენი და დანუ-რა ღვინო. ამიტომ არის, რომ ქართველი მოფერებით ღვინოს ნოეს სახელს უწოდებს: ნუნუა. მანვე, ამ მართალმა და სრულმა ნოემ, პირველმა იწვინა თავის თავზე ღვინის ძალა. ის, რაც ნოეს დაემართა, რაც მას ღვინომ ჩაადენინა თუნდაც თავის კარავში, უდიდეს სირცხვილად ითვლება. მაგრამ ქართული სუფრის წევრისთვის ასეთივე სირ-ცხვილია, როცა ღვინო დასძლევს მას, ზედმეტს ალაპარაკებს, თუნდაც მცირედ გა-დაახვევინებს ზრდილობის წესებს, სუფრის ეტიკეტს, დააკარგვინებს უფროსისადმი რიდს და მოწინებს, აყალ-მაცალზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სუფრის ამრევს საზო-გადო კიცხვა ელის და ის არასდროს იქნება სასურველი სტუმარი. ამაზე თქმულა ეს ხალხური ლექსი:

„კახური ღვინით დავითვერ, სამი დღე ვეგდე ლაფშია,  
ამომათრიეს იქიდან, დამაგდეს დერეფანშია,  
მოვიდა ქალი ლამაზი, ჩამცხო და ჩამცხო თავშია“.

ქართველს გამოცდილი აქვს ღვინის დაუდევარი ხასიათი, მისი ორნაირი ბუნება – კეთილისმყოფელი და გამანადგურებელი. მან ეს გამოცდილება პოეზიაშიც ასახა. ანონიმი პოეტი ასე მიმართავს ღვინოს:

„შენ, ღვინოვ, ჭაჭანულო,  
უცეცხლოდ წამოდულდები,  
ხანდისხან ჭკუიანი ხარ,  
ხანდისხან წამოჩხუბდები“<sup>1</sup>

ლექსი ღვინის თავნებობაზე მოგვითხრობს: ყურძნის წვენისგან ანუ მაჭრისგან რომ ღვინო დადგეს, მას არ ესაჭიროება გარეშე ცეცხლი. ის „ცეცხლი“, რომელიც ღვინოს ადულებს, თავად მასშია. ღვინო ჭკვიანია, თუ მსმელიც ჭკვიანურად დახვდა და ზომიერად შესვა იგი; გადარეულია და ჩხუბის გუნებაზე აყენებს ადამიანს, თუ ზომაზე მეტი შესვა. ზომიერად შესმული ღვინო არა მხოლოდ გულს ახალისებს და მხნეობას მატებს ადამიანს, არამედ კარგი მრჩეველიც არის, მოჩხუბართა დამაშოშ-მინებელი (შემარიგებელი). აი, როგორი გამოცდილება გამოითქვა ამ ხატოვანი ანდა-ზით: „ერთმა ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგო“.

ღვინის უზომოდ მომხმარებელს თავად ღვინისგან შეხვედბა სასჯელი. თავის ბოროტად გამოყენებას ღვინო არავის პატიობს: გინდა ცემით დაუსჯიხართ, გინდა ღვინით დაგიკარგავს ჭკუა-გონება, მაგრამ ანდაზა ამბობს: „ღვინით გალახულს ჯო-ხით გალახული სჯობიაო“, ანუ ღვინით გალახვა უფრო მწარეაო.

აი, კიდევ როგორ გვაფრთხილებს ხალხური ლექსი:

„გულისა საგრილებლადა ღვინის სმას არვინ დაგვიშლის,  
ცოტა რამ მოჭარბებული ჭკუას თავიდან შაგვიშლის,  
მოყვარეს მტრად გარდაგვიქცევს, დავიდარაბას აგვიშლის“.

<sup>1</sup> მცირე განმარტება: აქ ღვინის ეპითეტი „ჭაჭანული“ გულისხმობს ღვინოს, რომელიც კახური წესის მიხედვით ჭაჭაზეა დაყენებული.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში შემორჩა წესი, რომ სუფრის ხელმძღვანელი (ან, შესაძლოა, უფროსი, ავტორიტეტისანი კაცი) რამდენიმე სადღეგრძელოს (სასმისის) შესმას უკრძალავს სუფრის წევრს, ანუ „აჯარიმებს“ მას, თუ ღვინის მოძალება (სიმთვრალის ნიშნები) შეატყო. სირცხვილია, როცა სუფრის წევრი ბარბაცით ტოვებს სუფრას. თუ ვინმე ისე დათვრა, რომ სახლში დამოუკიდებლად წასვლა არ შეუძლია, ასეთს თავად ოჯახი პატრონობს, ან სახლამდე კაცს გააყოლებენ, ან სახლში გაათე-ვინებენ ღამეს, რომ რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს, დილით კი პატივით გაისტუმრებენ. სტუმრის უსაფრთხოება და პატივი მასპინძელმა უნდა უზრუნველყოს. სუფრიდან წასულ მთვრალ სტუმარს თუ რაიმე ხიფათი შეემთხვა – ან კლდეზე გადავარდა, ან გზაში გაიყინა, ან ვინმემ მოკლა – პასუხისმგებლობა მასპინძელზეა. მას, და არა ღვინოს, დაბრალდება სტუმრის უბედურება. ასეთი შემთხვევები ხშირად ოჯახების (გვარების) გადამტერებასაც იწვევდა ხოლმე, რაც სისხლის აღებით სრულდებოდა.

მიუხედავად ექსცესების, რაც ძირითადად მთვრალ თანამეინახეთა შორის შეიძლება წარმოიშვას, ქართველი კაცისთვის ღვინის უპირველესი ღირსება მაინც იმის სიმაგრეში ანუ მათრობელობაში მდგომარეობს. ანდაზაც არის ასეთი: „ღვინო კი მათრობელა სჯობს, ძალლი – თეოზე (სახლის წინ) მყეფარი“. დიახ, ღვინო მათრობელა უნდა იყოს, რომელსაც კაცი ღირსეულად უნდა დახვდეს, თავი არ უნდა დააძლევინოს. აბა, ვის სჭირდება ძალლი, რომელიც არ ყფვს? ვის სჭირდება ღვინო, რომელიც არ ათრობს? სუსტ ღვინოზე იტყვიან, წყალიაო.

ღვინის სიმაგრეს სუფრაზე ანდამატური ძალა აქვს, ის ადვილად უხსნის ენას ადამიანს, უცხოებს აახლოებს, სუფრის დასასრულს ისინი დიდი ხნის ნაცნობებივით ემშვიდობებიან ერთმანეთს და კვლავ შეხვედრის გულწრფელ სურვილს გამოთქვამენ. ხშირია სუფრაზე დამეგობრების შემთხვევებიც. როცა ამგვარად დამეგობრებულები შეხვდებიან ერთმანეთს, ასე მიმართავენ, „დაგვიძველდა პურ-მარილი“, ანუ კარგა ხანია, რაც სუფრაზე აღარ შეხვედრივართო. ღვინისა და სუფრის ატმოსფეროს გამოა, რომ ზოგიერთი ღირსების მქონე კაცი ნებისმიერ ადამიანთან ერთად სუფრაზე არ დაჯდება. იკითხავს, ვინ და ვინ იქნებიანო, ან თავად მასპინძელი ეტყვის მიპატი-ყებულთა ვინაობას. ერთ სუფრაზე ჯდომა ასე თუ ისე ავალდებულებს თანამეინახე-ებს ერთმანეთთან სიახლოვეს, მეგობრულ გრძნობას თუ არა, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის გამოჩენას მაინც. ამიტომ თუ ადამიანს არ სურს, ღვინომ და სუფრამ თავისი სადღეგრძელოების წესითა და ეტიკეტით დაუმეგობროს მას არასასურველი პიროვნება, ის ასეთ ადამიანთან ერთად სუფრაზე არ დაჯდება. მაგრამ ისეც ხდება, რომ დამდურებული ადამიანები სუფრაზე შერიგდებიან ხოლმე.

სუფრა ქართული ყოფითი და, შეიძლება ითქვას, სულიერი კულტურის ტრადიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. დღესდღეობით იგი ქართველობის ერთ-ერთი ძლიერი საიდენტიფიკაციო ნიშანია. როდის ჩაისახა იგი, ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის რომელ ეპოქაში, არავის უკვლევიან. მთავარია, რომ დღესდღეობით მისი ტრადიცია არსებობს და, მიუხედავად მრავალი მატერიალური გასაჭირისა, რომელიც ქვეყანამ უკანასკნელ ხანს გამოიარა, იგი განაგრძობს არსებობას და გადა-შენება თითქოს არ ეშუქრება. სიღარიბემ, ხელმოკლეობამ ქართული სუფრა შეიძლება შეზღუდოს, მაგრამ მის არსს ვერ შეცვლის. იგი ყოველთვის შეინარჩუნებს თავის საზრისს.

მარტივია ქართული სუფრის სტრუქტურა, მისი ელემენტებია: ღვინო, პური (საკვების მნიშვნელობით), სადღეგრძელო და სიმღერა. ამ ოთხი ელემენტის ურთი-ერთმონაცვლეობა და ჰარმონიული შეხამება ქმნის ქართულ სუფრას.





ქართული სუფრა დიფერენცირებულია: არსებობს ლხინის სუფრა და ჭირის სუფრა, არსებობს საგანგებო მრავალრიცხოვანი ოფიციალური სუფრა და მეგობრული, შინაურული სუფრა, არსებობს სპონტანური სუფრაც – ყველას თავისი წესი აქვს, მაგრამ ყველასთვის არის ერთი კანონი, ასე ვთქვათ, ერთი დაუნერელი კონსტიტუცია – სუფრის კონსტიტუცია – რომელიც შეუზღალავია; ის შეიძლება განიცდიდეს ცვალებადობას, მაგრამ მისი ბირთვი, მისი საზრისი უცვლელი რჩება.

ქართველები სხდებიან სუფრის გარშემო არა მხოლოდ ჭამისა და სმისათვის, ეს არ არის მათი თვითმიზანი. ისინი სიხარულით იკრიბებიან იმის გამოც, რომ მათი მონაწილეობით სრულდება რიტუალი, რომლის მიზანი ადამიანთა შორის კეთილგანწყობის დამყარება-განმტკიცებაა – ერთმანეთთან კავშირი ანმყოში და წინაპრებთან – წარსულში. აქ მათ საშუალება ეძლევათ, გამოხატონ თავიანთი სიმპათიები ნაცნობ თუ ახალგაცნობილ ადამიანებთან, სიყვარული და გულითადი გრძნობები – მეგობრების მიმართ. სუფრის ეტიკეტით, გადამეტებული კეთილგანწყობა და გრძნობების გადაჭარბებული გამოხატულება ბუნებრივია. უხერხულობად არ ითვლება თანამეინახისათვის იმაზე მეტის თქმა, რასაც ის სინამდვილეში არ იმსახურებს, „ღვინო ათქმევინებსო“, – ამბობენ. რასაც ადამიანი დააკლებს, იმას ღვინო ავსებს. სუფრის სივრცე გარკვეული აზრით პირობითი სივრცეა, რომელიც გულითადი გრძნობებით არის შეფერილი და გაზავებული. ამ პირობითობას სუფრის ყველა წევრი ემორჩილება, თითოეულმა იცის, რომ სუფრაზე ყოველდღიური ყოფისაგან განსხვავებული წესები მოქმედებს.

სუფრას არ შეეფერება გაჭიანურებული სადღეგრძელოები, მაგრამ უფრო მეტად – თასის უსიტყვოდ დაცლა. ღვინოს სიტყვა უყვარს, მაგრამ არა ზედმეტი... წესია, თამადაზე დიდ ხანს სუფრის წევრმა არ უნდა ილაპარაკოს. სუფრა მისდევს XII ს-ის პოეტის – რუსთაველის – აფორიზმს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“. სადღეგრძელოც, სასურველია, ლექსის სტრიქონივით ლაკონური და შინაარსიანი იყოს. გრძელი, გაუთავებელი სიტყვა-სადღეგრძელო სიმთვრალის ნიშანია და ამავე დროს შეიძლება სუფრის არეულობის დასაწყისიც იყოს. ხალხური ლექსი ამგვარად გამოხატავს სუფრის დაუნერელ ზნეობას:

„დავეხსნათ ჭირვეულობას, სუფრას ნუ ავარევიანებთ,  
ნურც მეტსა ვეტყვით ერთმანეთს, ნურც მეტსა დავალევიანებთ.“

ძველი რომაელების თქმით, სუფრის წევრები გრაციების რიცხვზე ანუ სამზე ნაკლები არ უნდა იყვნენ და მუზების რიცხვს ანუ ცხრას არ უნდა აღემატებოდნენ. სამზე ნაკლები ვერ ქმნის სუფრის განწყობილებას, ხოლო ცხრაზე მეტი, რომაელთა ფიქრით, ძნელად სამართავია. მაგრამ ქართული სუფრის რიცხოვნებას შეიძლება ითქვას, საზღვარი არა აქვს – ათიდან ხუთასამდე ადის. ხუთასი და ზოგჯერ მეტი ადამიანის მართვა სუფრაზე, სადაც უზომო რაოდენობის ღვინო ისმევა, შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად დადგენილი წესების მეშვეობით და, პირველ რიგში, სუფრის ხელმძღვანელის – თამადის – წყალობით. თამადა მკაცრ კონტროლს აწესებს ღვინის სმაზე, რათა არ დაილიოს იმაზე მეტი, რაც დადგენილია სუფრის წესის მიხედვით, რომ სუფრა ქაოსში არ გადაიზარდოს. რაც შეეხება სუფრის წევრთა ქვედა ზღვარს, სამზე (ანუ გრაციების რიცხვზე) ნაკლები არ უნდა იყოს, რადგან ქართული სიმღერის შესრულება სამზე ნაკლები ხმით შეუძლებელია; სიმღერა კი ქართული სუფრის



აუცილებელი ელემენტია. ის სუფრის დამამშვენებელია (ამას ჯერ კიდევ ჰომეროსი ამბობდა).

ლხინის დანყებამდე, თუ წვეულება საპასუხისმგებლოა, წესად არის ღვინის წინასწარ გასინჯვა, ერთგვარი რიტუალური დეგუსტაცია. მასპინძელი ელის ღვინის შექებას „დეგუსტატორის“ პირით. შექებაც, რა თქმა უნდა, არ აყოვნებს. მცირე მასშტაბის სახელდახელო სუფრაზე ღვინის წინასწარ გასინჯვა არ იცინა. თუ მოხდა ისე, რომ ღვინო შემჟავებულია, უვარგისია დასალევად, სტუმარი არასოდეს შეიმჩნევს. ყოფილა შემთხვევა, რომ სტუმარს ნამდვილი ძმარი უსვამს მორთმეული ღვინის სახით, მაგრამ წარბიც არ შეუხრია. უსვამს პატიოსნად. რაზე მეტყველებს ეს ეპიზოდი? ჯერ სტუმრის თავდაჭერილობაზე, შემდეგ კი მასპინძლის პიროვნებისადმი რიდზე. ქართული ანდაზა „ნაჩუქარ ცხენს კბილს არ უსინჯავენო“, ღვინოზეც შეიძლება გავრცელდეს.

ქართულ სუფრაზე ადგილები წინასწარ არ არის განპიროვნებული გარდა ერთისა – სუფრის თავში – სადაც დაჯდომას ყველა გაუბრძობს. ეს სუფრის ხელმძღვანელის – თამადის – ადგილია. თამადას მასპინძელი ასახელებს. მისი არჩევანი ხშირ შემთხვევაში არავისთვის მოულოდნელი არ არის. პირიქით, ერთი თვალის გადავლებით სტუმარი ხვდება, თუ ვის დანიშნავს თამადად მასპინძელი. სიმართლე რომ ითქვას, მცირეთ თუ სიამოვნებთ ეს თანამდებობა სუფრაზე. უმრავლესობას ურჩევნია რიგით თანამეინახედ დარჩენა, რადგან თამადაობა საპასუხისმგებლო თანამდებობაა: თამადა სულ მუდამ მობილიზებული უნდა იყოს, რომ არაფერი გამოეპაროს, ყველას საკადრისი პატივი მიაგოს, არავის მოაკლოს ყურადღება, არავინ გამოტოვოს, სადღეგრძელოები რიგის მიხედვით, შეუშლელად წარმოთქვას; აღკვეთოს კონფლიქტი, რომლის საშიშროება მრავალრიცხოვან სუფრებზე არსებობს. ხალხური ლექსი ამგვარად გვიხატავს კარგი თამადისა და, საერთოდ, სუფრის წევრის, სახეს:

„ძმაო, სუფრისა ლხინი ხარ, მღერა გიყვარს და ღვინი,  
კაცი რომ გეშარებოდეს, შენ პირზე მოგდის ღვინი,  
იესო ქრისტემ მაჩვენოს, შენი ყვითელი გვირგვინი“.

თამადის უშუალო მოვალეობა სადღეგრძელოების წარმოთქმაა, რომელთაც მეტ-ნაკლებად მკაცრი თანმიმდევრობა აქვთ, რაც განპირობებულია სუფრის ხასიათითა და დანიშნულებით. თამადად უნდა წარმოთქვას აუცილებელი სადღეგრძელოები, რომელთაგან რომელიმეს გამოტოვება ნაკლად ეთვლება. სავალდებულოს ზევით იგი თავისუფალია. მას ეძლევა იმპროვიზებული სადღეგრძელოების წარმოთქმის საშუალება. სადღეგრძელოთა თანამიმდევრობა განსაზღვრულია, თუმცა დაშვებულია ვარიაციები, გადაადგილება, ზოგიერთი მათგანის ბოლოსკენ მოტოვება. ყოველ თამადას თავისი ინდივიდუალობა, თამადაობის საკუთარი სტილი აქვს.

სადღეგრძელოში ბევრი ქებაა, ხშირად გადაჭარბებული, ისე რომ ადამიანი უხერხულადაც კი გრძნობს თავს, მაგრამ იძულებულია, ფეხზე იდგეს და ისმენდეს. ერთი ბენო დამსახურება სადღეგრძელოში ხანდახან გრანდიოზულ მასშტაბებს იძენს, ადრესატი ითმენს ამას, მოთმინებით ისმენენ სუფრის წევრებიც, არავინ ამ ჰიპერბოლურ ქებას სერიოზულად არ აღიქვამს. ყველა მას რიტუალად მიიჩნევს. რომაული ანდაზის პერიფერაზი რომ გავაკეთოთ, სადღეგრძელოში უნდა ითქვას ან ქება ან არაფერი. მიუხედავად გადაჭარბებული ხოტბისა, სადღეგრძელო სუფრის წევრების ურთიერთგაცნობას ემსახურება; თამადა ცდილობს, სუფრის თითოეულ წევრში





რაიმე კარგი თვისება დაინახოს, გაიხსენოს კეთილშობილური აქტი მისი ცხოვრებიდან, ოდნავ შეალამაზოს, წინ წამოსწიოს...

არსებობს სუფრაზე შემოსწრებული სადღეგრძელოც, შემოსწრებული შეიძლება იყოს სუფრის დაგვიანებული წევრი ან სტუმარი, რომელიც დაპატიჟებული არ ყოფილა და შემთხვევით მოხვდა სუფრაზე. ეს არავითარ უხერხულობას არ უქმნის არც მას და არც სუფრას. პირიქით, მას სიხარულით და ენთუზიაზმით ეგებებიან. ყველაზე ძვირფასი ქართულ სუფრაზე დაუპატიჟებელი სტუმარია. ეს კარგი ნიშანია, რადგან „სტუმარი ღვთისაა“.

საგანგებო სადღეგრძელოს დროს სუფრაზე მოტანილმა სასმისმა უნდა ჩამოიაროს სუფრის ყველა წევრი, რათა ამ ერთი ჭურჭლით შესვას ყველამ. ამით გამოიხატება პატივისცემა სადღეგრძელოს ადრესატისადმი და ამავე დროს სუფრის კონსოლიდაცია. საერთო სასმისის ჩამოტარება სუფრაზე შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს.

როგორც დასაწყისი აქვს სუფრას, ასევე აქვს მას დასასრული. როცა ამოიწურება სადღეგრძელოების (სავალდებულოთა და თავისუფალთა) მთელი რეპერტუარი, წამოდგება სუფრის წევრი, ხშირად უხუცესი, თანამესუფრეთა დავალებით და მათი სახელით ადღეგრძელებს თამადას, შეუქებს მას თამადობას, მადლობას გადაუხდის, უსურვებს მრავალგზის ლხინის სუფრაზე თამადობას და ა.შ. ბოლო სიტყვა მაინც თამადას ეკუთვნის. ბოლო სადღეგრძელო ეძღვნება ღვთისმშობელს. ეს არის ე. წ. საყოვლადწმიდაო. „ყოვლადწმიდა“ მართლმადიდებელ სამყაროში ღვთისმშობლის უპირველესი ეპითეტია. ეს სადღეგრძელო აუცილებელია. იგი ასრულებს სუფრას. იმდენად აუცილებელია, რომ ყოფილა შემთხვევა, თამადას დავიწყნია მისი წარმოთქმა და თავის სოფელში წასული უკან მობრუნებულა ღამით ქარში და ავდარში.

საქართველოს მთიან კუთხეში, სვანეთში, დღემდე შემონახულია სუფრის წარმართვის და რიგის არქაული წესი. აქაც სუფრას ღვთისმშობლის ხსენება ამთავრებს. სადღეგრძელოთა რიგი ასეთია: პირველად წარმოითქმის დიდი ღმერთის „სადღეგრძელო“, სადიდებელი; მეორედ ახსენებენ მთავარანგელოზს (იგულისხმება მიქაელი), მესამედ – წმინდა გიორგის. ამ სამ კანონიკურ სადღეგრძელოს და ღვთისმშობლის სამადლობელო სადღეგრძელოს შორის, ამ ჩარჩოში, სუფრის მანძილზე, თამადა წარმოთქვამს სადღეგრძელოებს, რომლებიც ეძღვნება შეკრების მიზანს (ნიშნობა, ქორწილი და სხვა). პერსონალური სადღეგრძელოები აქ არ იციან. შესაძლებელია, თამადამ შესვას ვინმე პატივსაცემი სტუმრის ან უხუცესი ადამიანის სადღეგრძელო.

განსაკუთრებულია გლოვის სუფრა. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ მონაწილენი – ნათესავები, მიცვალებულის მეგობრები, ოჯახის ახლობლები, მეზობლები – სასაფლაოდან ბრუნდებიან სახლში ან მიდიან საგანგებოდ დაქირავებულ დარბაზში (დღეს უმეტესწილად ასე ხდება) და იმართება გლოვის სუფრა. ამას ეწოდება ქელეხი. იგი შედის დაკრძალვის რიტუალში, როგორც აუცილებელი შემადგენელი, დამაგვირგვინებელი ნაწილი. ამავე დროს ქელეხი ჭირისუფლებისთვის ნუგეშისცემის ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაა. ქელეხის სუფრა უფრო მეტად რიტუალიზებულია და მკაცრად რეგლამენტირებული, სადღეგრძელოთა რიგი და რიცხვი (მიღებულია კენტი – 9 ან 13) განსაზღვრულია. სადღეგრძელოები თავს იკრებს მიცვალებულის გარშემო, მაგრამ მხოლოდ მისი ხსენებით არ ამოიწურება.

თუშეთში, საქართველოს ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ რეგიონში, ქელეხის სუფრაზე აუცილებლად ითქმის სხვადასხვაგვარად დაღუპულთა შესანდობარი: ზვავში

მოყოლილთა ან წყალში დამხრჩვალთა; უპატრონოდ გარდაცვლილთა; მათი, ვისი სახლიც უპატრონოდ დარჩა; მათი, ვის სახლშიც ცეცხლი არასოდეს დაინთება; მათი, ვისაც არასოდეს არავინ გაიხსენებს; მათი, ვინც თავისი ქვეყნის გარეთ დაიხოცნენ; მათი, ვინც მტრის მიწაზე დარჩა მოკლული; მათი, ვინც მშობიარობას გადაჰყვა; ვინც მოუნათლავი ან დაუქორწინებელი მოკვდა, ვინც თავი მოიკლა... როგორც ვხედავთ, შესანდობარები საკმაოდ ბევრია, მაგრამ მათ პატარა სასმისებით სვამენ...

ქელების ტიპი განსხვავდება საქართველოს რეგიონების მიხედვით. თუ აღმოსავლეთ საქართველოსა და დიდ ქალაქებში ქელები დაკრძალვას მოსდევს, დასავლეთ საქართველოს სოფლებში ქელების სუფრა წინ უძღვის დაკრძალვას. მაგრამ ეს არ არის ერთიანი სუფრა: სხვადასხვა სოფლიდან მოსულები მიუსამძიმრებენ ჭირისუფალს, სხდებიან სუფრასთან, მიცვალებულის შესანდობრად შესვამენ სამ ჭიქა ღვინოს და დგებიან. ახლა სხვა პარტია მიუსხდება სუფრას და ასეა მიცვალებულის გასვენებამდე.

ზოგადად ქელების სუფრა მოკრძალებულია: მწვანილი, წნილი, ფხალი, თევზეული (სხვადასხვაგვარად მომზადებული), ლობიო და, რაც მთავარია, სამგლოვიარო სუფრისათვის აუცილებელია წანდილი (თაფლში არეული მოხარშული ხორბალი). ეს უკანასკნელი უსათუოდ უნდა იგემოს სუფრის წევრმა; ამბობენ, რომ ის „მიცვალებულს მიუდის“. დასავლეთ საქართველოში ქელების სუფრაზე აკრძალულია არა მარტო ხორციეული, არამედ თევზეულიც – მხოლოდ წნილი, ფლავი და ლობიო იციან. აღმოსავლეთ საქართველოში ქელების დასასრულს შემოაქვთ ფლავი (შილა-ფლავი ანუ ხორციანი ფლავი, ხოლო თუ მარხვის დღეა, სოკოიანი), რაც ნიშანს აძლევს თამადას, რომ ხელმეორედ შესვას გარდაცვლილის შესანდობარი და ამით დაასრულოს სუფრა. ქელების სუფრაზე თამადის სადღეგრძელო არ შეისმის. ჭირისუფალი მას მადლობას უხდის და უსურვებს, რომ მომავალში სამხიარულო სუფრაზე ეთამადოს.

გარდაცვალებიდან 40 დღის და მერე უკვე წლის გასვლის შემდეგ კვლავ იკრიბებიან და შლიან სუფრას. წლისთავზე ხდება „ჭირის ახდა“. ამიერიდან ჭირისუფლებს, ოჯახს და სოფელს ნება ეძლევათ, გამართონ ქორწილები და სხვა სამხიარულო ნადიმები. ზოგიერთ თემში „ჭირის ახდის“ ნიშნად ვინმე არჩეული კაცი მთელი სოფლის შუაგულში გამოდის და მხიარულ ჰანგზე უკრავს ფანდურს.

## სიმღერა

სადღეგრძელოთა შორის პაუზებს სიმღერა ავსებს. სიმღერას თამადა იწყებს ან, თუ თავად არ შეუძლია (თუმცა თამადის თვისებებში სიმღერის ცოდნაც შედის), სუფრის წევრებს მოუწოდებს, იმღერონ. იშვიათია სუფრა, სადაც თანამეინახეთა შორის ორი-სამი მაინც არ აღმოჩნდეს სიმღერის მცოდნე. უცებ იქმნება იმპროვიზებული „გუნდი“. ზოგი პირველ ხმას ამბობს, ზოგი – მეორეს, ბანის მთქმელებიც აღმოჩნდებიან და სუფრის მუსიკალური გაფორმებაც უზრუნველყოფილია. სუფრული სიმღერების რეპერტუარი ძალზე ფართოა. უსიმღერო სუფრა ნაკლულად ითვლება. ერთადერთი გლოვის სუფრაზე არ ითქმის სიმღერა. ხალხური ლექსი კიცხავს ასეთ „პურის ჭამას“:





„პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო,  
არ ვიცი, ვისმე გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო“.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში არსებობდა სუფრაზე სიმღერების შესრულების მკაცრად განსაზღვრული წესი. სუფრაზე იმღერებოდა არა ნებისმიერი სიმღერა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სუფრული სიმღერები, თანაც მკაცრი თანმიმდევრობით. ტრადიციულ სუფრაზე ორი ან სამი გუნდი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა: ჯერ ერთი გუნდი იწყებდა სიმღერის ერთ სტრიქონს, შემდეგ მეორე გუნდი მეორე სტრიქონით უპასუხებდა და ბოლოს მესამე გუნდი – მესამეთი. იწყებდნენ მოხუცები. ისინი სიმღერის პირველ სტროფს მღეროდნენ; მეორე სტროფით შუახნის ხალხი ჩართვებოდა; ახალგაზრდები კი მესამე სტროფით აჰყვებოდნენ. სიმღერების თანმიმდევრობაც განსაზღვრული იყო: იცოდნენ, რომელი სიმღერით უნდა დაწყებულიყო ლხინი, რომლით გაგრძელებულიყო და რომლით დასრულებულიყო. კლასიკურ სუფრაზე სამი სიმღერა იმღერებოდა – ეს აუცილებელი იყო.

შემუჩნევიათ და უთქვამთ, სუფრული სიმღერები საგალობელს ჰგავსო. ეს ჭეშმარიტად ასეა: ბევრი ქართული სიმღერა საეკლესიო წარმოშობისაა. როცა დროთა ვითარებაში ეკლესიაში ახალი ჰანგის საგალობლები შემოდიოდა, ძველი არ იკარგებოდა და სუფრაზე გადადიოდა. სუფრამ „მიიბარა“ ისინი და დღემდე შემოინახა, თუმცა გარკვეულად სახეცვლილი. მათ საეკლესიო წარმოშობას ზოგიერთის სახელწოდებაც მოწმობს. განთქმული „მრავალჟამიერი“, რომელიც მთელ საქართველოში მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული, სხვა არაფერია, თუ არა საეკლესიო საგალობელი, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ასრულებენ ეკლესიაში. მაგ., თბილისის „სიონში“ პატრიარქის შებრძანებას გუნდი ომახიანი გალობით – „მრავალჟამიერით“ – ეგებება. ეს არის იგივე პოლიქრონიონ (ბერძნ. polychronion „many years“).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართულ სუფრას ბევრი საერთო აქვს ზოგიერთ საეკლესიო რიტუალთან, განსაკუთრებით – ჟამისწირვასთან. შეიძლება ითქვას, რომ საერო სუფრა საეკლესიო დალოცვების სეკულარული გარდაქმნის შედეგია. როგორც საეკლესიო გალობები იქცა სუფრულ საერო სიმღერებად, ასევე ეკლესიაში წარმოქმნილი კვერექსები, სადაც სახელდებით იხსენებენ ცოცხლებსა და გარდაცვლილებს, სუფრაზე სადღეგრძელოებადაა სახეცვლილი. ქართული პურობის ლიტურგიული წარმოშობა ყველაზე თვალსაჩინოდ შემდეგ მოქმედებაში ჩანს: მიცვალებულთა მოსახსენებლად სუფრის თითოეული წევრი პურის ნაჭერს ღვინოში ჩაანობს, იგემებს მას და მხოლოდ ამის შემდეგ შესვამს სასმისს, თან დასძენს: „ღმერთმა შეუნდოს, გაანათლოს მისი სული, დაუმკვიდროს სასუფეველი, ნათელში ამყოფოს“ და სხვა. ეს აუცილებელი წესი ევქარისტული რიტუალის გამოძახილია. ამით არის გამოწვეული, რომ საქართველოში ღვინოს მოწინებით ექცევიან, მის სმას პასუხისმგებლობით ეკიდებიან. არ არის მიღებული ღვინის შესმა ნაჩქარევად, უსიტყვოდ. მასპინძელი სახლში შესულ სტუმარს (თუნდაც შემთხვევით) თასს აწვდის და დალოცვას სთხოვს. სტუმარიც ორიოდ სიტყვით დალოცავს ოჯახს: „კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ სახლში, ღმერთმა გამრავლოთ, ჭირი გაშოროთ და ა.შ.“ ხალხს სწამს, რომ ღვინით დალოცვას დიდი ძალა აქვს...

## რევაზ სირაძე

## ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში

*ამქვეყნიურ მოვლენებს ხომ ათასგვარი კავშირი აქვთ, მაგრამ საოცარია კავშირი ისეთ მოვლენებს შორის, როგორიცაა ვაზი, ქართული ჩუქურთმა და მზე. თითქოსდა, რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ?!*

*მათ შორის კავშირს ამყარებს ესთეტიკური თვალთახედვა. და თუკი ესთეტიკას შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს ეგრერიგად დაშორებული მოვლენები, მაშინ მთელი სამყაროც ესთეტიკურად ერთიანი ყოფილა.*

*მართლაც, ესთეტიკა მთელი სამყაროს გამთლიანებას ესწრაფვის.*

საქართველოში ღვინისა და ვაზის კულტი მრავალმხრივ ვლინდება; განსაკუთრებით კი ნადიმზე. ნადიმი თანამეინახეთა ისეთი ერთიანობაა, სადაც სუფრის თითოეული წევრის ინდივიდუალობაა გამოვლენილი – ყველას ეძლევა სიტყვა, ყველას ეძღვნება ქება, თუნდაც ზედმეტი; აქ წესის აღსრულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალობა. სადღეგრძელო არაა განსჯა, ის უფრო სასურველი ილუზიაა. აქედან გამომდინარე, ნადიმს ახლავს პურობის ესთეტიზება – არა თვითმიზნური მხიარულება, არამედ სევდის დაძლევა. ესაა ესთეტიკური უდარდელობა, რასაც უილიამ ალენი ქართველთა ერთ-ერთ ნიშან-თვისებად მიიჩნევდა.

ქართული ნადიმის ხასიათს ქართული სიმღერა, მისი პოლიფონიურობა განსაზღვრავს. პოლიფონიურობაც ქართველთა ინდივიდუალიზმის დაძლევაა. მღერიან სამ სხვადასხვა ხმაში – პირველს, მეორესა და ბანს. სამგვარი ინდივიდუალობა – სამი ხმა – ერთიანდება, მაგრამ ისე, რომ თითოეული ნამღერი თავის ხმაზე რჩება, ინდივიდუალობა არ იკარგება.

საქართველოში ღვინისა და ვაზის კულტი ყოველთვის ერთიანობაში მოიაზრება, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მათგანია წარმოდგენილი. ეს ეხება როგორც წინაქრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ ხანასაც.

მითოსური წარმოდგენით ვაზი ღვთაებრივ მცენარედ ითვლება. მას თაყვანს სცემდნენ და „სიცოცხლის ხედ“ მიიჩნევდნენ (რუსეთში ღვთაებრივ ხედ ნაძვი ითვლებოდა. ამიტომაც რთავდნენ ნაძვის ხეს საახალწლოდ. თუმცა რუსულ ორნამენტშიც კარგად ჩანს ვაზის ფორმები).

როცა ჩვენში უმთავრესი ღმერთი მზე გახდა, მცენარეთაგან მის ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნევიათ, რადგან ვაზი ყველაზე მეტად შეინოვდა მზის ძალას,





რომელიც შემდგომ ღვინოში გადადიოდა და ადამიანს ათრობდა. მაშინდელი რწმენით, მზის ძალას არა მხოლოდ მტევანი და ფოთლები, არამედ ვაზის ტანიც ისრუტავდა. ეს იყო მზისგან მონიჭებული სიყვარულის ძალა, რომელსაც მტევანისა და ვაზის ტანიც ქალური სიყვარულით განიცდიდნენ. ამ ძალით იყო დაგრეხილი ვაზი და ამავე ძალით ეტმასნებოდა ჭიგოს, რაშიც სილამაზე, თუ გნებავთ, მზიური სილამაზე აღიქმებოდა. ამიტომაც დაამსგავსეს ვაზის მიმოხრას ქართული ჩუქურთმა. უფრო სწორად, ჩუქურთმაში ვაზის სილამაზე ჩაანნეს. ვაზი, ღვინო და ქართული ჩუქურთმა მზის ძალითაა გამსჭვალული.

ქართული ჩუქურთმის მთავარი ხაზი ვაზის მიმოხრას გვაგონებს, თითქოს ვაზი ეხვევაო ჭიგოს. ვაზის ორნამენტი ჩანს უძველესი ხანის თრიალეთის თასზეც და ბედიის ბარძიმზეც. ვაზისეული ხაზები უძველეს ქართულ ასოებშია (მრგვლოვანშიც) გამოკვეთილი. ქართულ ორნამენტში ვაზის ფოთლები და მტევნებია გამოსახული. ამგვარადაა მოხატული დავით აღმაშენებლის სამეფო სამოსი გელათის ფრესკაზე, ასევე სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადებზე, ანანურის ეკლესიის დასავლეთ კედელზე და სხვა მრავალ ტაძარზე. აგრეთვე – უძველეს ბალთებზე, ქართულ ნაქარგობაზე, ტაძართა სვეტისთავებისა და ტრადიციული ქართული

ოდის ორნამენტებზე, ქედური ხატების ჩუქურთმებზე. ზოგჯერ ნაქანდაკარ ჯვრებს ნაქანდაკარი მტევანი ჰკიდია...

ასე ხშირად და მრავალფეროვნად არც სხვა რამ მოტივი გვხვდება ქართულ ორნამენტში და არც სხვა რომელიმე მცენარე.

წმინდა ნინო მოდიოდა საქართველოში და თან მოჰქონდა ჯვარი ვაზისა. ამ ჯვრით უნდა დაელოცა ხალხი, უნდა დაენერგა ახალი რწმენა. თითქოსდა, მოულოდნელია ჯვარის გაკეთება ვაზისაგან. მაგრამ ნინოს უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგანვე აღმერთებდნენ. ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას; შეიძლება, არც მაცხოვრის სიმბოლური შინაარსით ნათქვამი სიტყვები გაეგონათ; მე ვაზი და მამაჩემი კი მევენახეო (ი. 15,1), მაგრამ ცნობდნენ ვაზის ძალას, ვაზის კულტს. ამიტომ ქართველები ვაზის ჯვარს უფრო ირწმუნებდნენ. გადმოცემით, ვაზის ჯვა-

რი ნინოს თავისი თმებით შეუკრავს. თმები, ძველთაძველი წარმოდგენით, მზის სხივის სიმბოლოა. ღვთიურობის მომნიჭებელი. ქალღმერთი დალი თავისი ოქროსფერი თმებით მზიურ ძალასთანაა ნილნაყარი. ვაზის ჯვრის თმებით შეკვრაც მზისა და ვაზის ურთიერთკავშირს მოასწავებს. ამგვარი ჯვრით ნინოს ხალხი უნდა მოენათლა. სიტყვა – „მონათვლა“ – ხალხში ნათელის შეტანას ნიშნავს. საქართველოში დღემდეა შენარჩუნებული რწმენა, რომ ყურძნის მარცვალში მზის სხივია. ეს უკვე მითოსური რწმენა კი აღარ არის, არამედ ვაზის ესთეტიზაციაა. თუ ადრე ღვინისა და ვაზის კულტის ესთეტიზაცია მითოსით ხდებოდა, ქრისტიანობაში იგი მაცხოვარსა და მაცხოვრის სიმბოლოს – მზეს – დაუკავშირდა. საერთო მოტივი ორივეგან ღვთიური სინათლეა, იმ განსხვავებით, რომ ადრე ღვთაება მზე იყო, შემდეგ კი ღვინითა და ვაზით სიმბოლიზებული მაცხოვარი გახდა.

## ბიბლიური სიმბოლოები

ღვინისა და ვაზის სიმბოლურ გააზრებას მთელი ბიბლია განსაზღვრავს, განსაკუთრებით „ახალი აღთქმა“ (წესიცი ხომ ასეთია: „ძველი აღთქმა“ „ახალი აღთქმის“ მიხედვით უნდა წავიკითხოთ).

„ახალ აღთქმაში“ განსაკუთრებით ყურადსაღებია საიდუმლო სერობა. „სერობა“ ღამეულ პურობას ნიშნავს („სერი“ მეგრულად ღამეა და ეტყობა, იგი საერთო ქართულ სიტყვადაც იქცა).

ნმ. ლუკას სახარება (ლ. 22, 14-20) მოგვითხრობს:

„როცა მოაღწია ჟამმა, დაჯდა მაცხოვარი და მასთან ერთად მოციქულებიც. და უთხრა მათ: „დიდად მსურდა თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასეკი ჩემი ტანჯვის წინ. რამეთუ მე გეუბნებით თქვენ, რომ აღარ ვჭამ მას, ვიდრე არ აღსრულდება იგი ღვთის სასუფეველში“. აილო სასმისი, მადლი შესწირა და უთხრა მათ: „აიღეთ და გაიყავით ერთმანეთს შორის. რამეთუ გეტყვით თქვენ: ამიერიდან აღარ შევსვამ ვაზის ნაყოფისაგან, ვიდრე არ მოვა ღვთის სასუფეველი“. აილო პური, მადლი შესწირა, დატეხა, მისცა მათ და უთხრა: „ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“. ასევე აილო სასმისი სერობის შემდეგ და თქვა: „ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში, თქვენთვის რომ იღვრება“.

ნმ. მათეს სახარება ამას უმატებს: სერობის შემდეგ „იგალობეს და გასწიეს ზეთისხილის მთისაკენ“ (მთ. 26,30).

აღწერილი საღვთო ლიტურგიის, უმაღლესი ღვთისმსახურების პირველნიმუშია, რომელსაც შემდგომ მაღალი ღვთისმსახურნი აღასრულებდნენ ხოლმე. ჩვეულებრივი პურობის დროს კი „საიდუმლო სერობა“ შეახსენებს ადამიანს, სინმინდით მიირთვას პურ-ღვინო და ღვინოში მაინცდამაინც სიმთვრალე არ ეძიოს.

ქრისტესმიერი სასწაული გალილეის კანაში გამართულ ქორწილზე, როდესაც ღვთისმშობლის თხოვნით იესომ წყალი ღვინოდ აქცია (ი. 2, 1-10), კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ადამიანის საკვებთაგან ყველაზე წმინდა პური და ღვინოა.

გავიხსენოთ, რომ თავად იესოც ზოგჯერ მიირთმევდა ღვინოს და მავანნი მას აყვედრიდნენ, როგორ აკეთებს ამას მეზაყეებთან და ცოდვილებთანო (მთ. 11,17, ლ. 7,34).





„სიბრძნე ზირაქისა“ გვასწავლის:

„კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ. რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე?! იგი ხომ კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა“ (31,27), თუმცა იქვე ნათქვამია: „ნუ ამხილებ ახლობელს ნადიმზე ღვინის სმისას და მხიარულებაში მყოფს ნუ დაამცირებ; ნუ დაუნყებ საყვედურს და თხოვნით ნუ შეაწუხებ“ (31,31).

„ქებათა-ქება“ ასე იწყება: „ღვინოზე ტკბილია შენი ალერსი“; ღვინოზე ძლიერია სიყვარული.

ბიბლიიდანვე ეცნობოდნენ ქართველები ასეთ ამბებს: წარღვნი შემდეგ „და-ინყო ნოემ მიწისმუშაკობა და გააშენა ვენახი. შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში; დაინახა ქამმა, ქანაანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას. აიღეს სემმა და იაფეტმა სამოსელი, მოისხეს მხრებზე, უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე. პირი უკან ჰქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ“.

ამის შემდეგ მოსემ დაწყევლა ქამი და ქანაანი და დალოცა სემი და იაფეტი (რომლის შთამომავლად ზოგჯერ ქართველებსაც თვლიდნენ).

ბიბლიური ამბები და სიმბოლოები ასახულია ქართულ ფოლკლორშიც, ძველ ქართულ მწერლობაშიც და ყოფაშიც – საქართველოში ვაზის ერთ-ერთ ჯიშს „ნოეს ვაზი“ ჰქვია.

## ჰაგიოგრაფია

ქართულ ჰაგიოგრაფიაში მრავალმხრივ ჩანს ვაზი („ვენახი“) და ღვინო.

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ (IV ს.) ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოებია ჯვარი ვაზისა და სამოთხე. ამასთანავე, ფრიად საყურადღებოა, რომ სამოთხეც ვაზითაა წარმოსახული. წმინდა ნინო ყვება: „იმ დღეებში ორგზის და სამგზის ვიხილე ჩვენებაში ფეხზე დგომისას მცირე მირულების დროს, რომ მოდიოდნენ ცის ფრინველები, მდინარეში ჩადიოდნენ, განიბანებოდნენ და ბაღში შემოდიოდნენ, ბაბილოს მოჰკორტნიდნენ, ყვავილს მოძოვდნენ და ჩემს მიმართ გულიანად ღაღადებდნენ, თითქოსდა, ჩემი ყოფილიყოს ეს ბაღი. ჟღივილით ირგვლივ მეხვეოდნენ და ჩემს მიმართ ხმიანობდნენ. მშვენიერი იყო მათი ხილვა და ეს მეორედებოდა მრავალგზის“ (ძქაღძ, I, 123).

წმინდა ნინოს მიერ ჩვენებაში ხილული ბაღი სამოთხეა. მის მიხედვითაა წარმოდგენილი სამოთხე ქართულ ფრესკებზეც, მათ შორის, ახტალის ქართულ ტაძარში (რომელიც ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს). სამოთხის ამ სურათებზე ჩვენ ვხედავთ „ბაბილოს“ ანუ მალღარ ვენახს. მტევნებიანი ვაზი სამოთხის ცენტრში დგას, ე. ი. ის სიცოცხლის ხეს გამოხატავს. მას სამოთხის ჩიტები ეხვევიან. როგორც ვხედავთ, ქართულ ქრისტიანობაში ვაზმა სიცოცხლის ხის ფუნქცია შეინარჩუნა და სამოთხის ცენტრში მოექცა.

ზემოთქმული ერთ რამესაც გვაგვარაუდებინებს. მცხეთაში, სვეტიცხოვლის სი-ახლოვეს არსებული მიხეილ მამულაშვილის ცნობილი ბაღი შესაძლოა შემორჩენილი ნაწილი იყოს ძველი სამეფო ბაღის (ძველქართულად სამოთხის), რომლის გვერდით



გეთსიმანიის ბალი უნდა ყოფილიყო. გეთსიმანია, როგორც ბიბლიიდან მომდინარე სიმბოლო, აქაურობის სახელდებად დღემდე შემორჩენილი.

პურისა და ღვინის სინმინდეს გამოხატავს „შუშანიკის წამების“ (V ს.) ცნობილი ეპიზოდიც – პურობა. სამშობლოს, სარწმუნოებისა და ოჯახის მოღალატე ვარსკენი შუშანიკის შემორიგებას შეეცდება. ამ მიზნით ოჯახურ პურობას გამართავს, რომელზედაც თავის ძმას, ჯოჯიკს, მის მეუღლესა და შუშანიკს მიიწვევს. ჯოჯიკის ცოლი შუშანიკს ღვინით სავსე ჭიქას მიანოდებს, რაზედაც დედოფალი განრისხდება და ჭიქას ხელს კრავს, იგი ძირს დაეცემა, გატყდება და ღვინო დაიქცევა. ეს არ იყო შუშანიკის წუთიერი აფეთქების შედეგი. მან რძალი ვარსკენის თანამოაზრედ ჩათვალა. ოჯახის წევრები მხარდაჭერის ნაცვლად შუშანიკის გადაბირებას ცდილობდნენ. დედოფალს კი არ სურდა ვარსკენთან და მის თანამეინახეებთან პურისა და ღვინის გაზიარება, რადგან ქრისტიანისთვის ეს მაცხოვრის ხორცსა და სისხლთან ზიარების სიმბოლოდ აღიქმებოდა. მაშინაც კი, თუ ასეთი სიმბოლოური გააზრება გამოირიცხებოდა, შუშანიკი ამ პურობას მაინც უკეთურობად ჩათვლიდა, რადგან უკეთურ პირებთან პურობა როგორც ამჟამად, ძველდაც უკეთურობად ითვლებოდა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს.) ერთი მეტად საყურადღებო ფრაზა გვხვდება: „დასხდეს სერობად, ინვდიეს ღვინო და სულიერი და ხორციელი სიხარული განაზავეს“ (ძქალძ, I, 336). აქ „სერი“ სასულიერი ტრაპეზი ანუ სასულიერო პურობაა, რომელსაც სასულიერო პირები ესწრებიან. ღვინოც საღვთისმსახურო აქვთ და, რაც მეტად საყურადღებოა, „ხორციელი სიხარულის“ სურვილიც გააჩნიათ. იგულისხმება, რომ „ხორციელი სიხარული“ სულიერებამდე უნდა ამალდეს, ერთმანეთს შეუზავდეს სულიერი და ხორციელი და ეს ყოველივე სერობაზე ღვინის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ (X ს.) საყურადღებოა შემდეგი ეპიზოდი: გრიგოლმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ჯერ შატბერდს ეწვია, მერე ხანძთას დაბრუნდა, შემდეგ კი ოპიზის გზაზე მდებარე ვენახის მონახულება იწემა (აქ გასახსენებელია მაცხოვრის სიტყვები: მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი – მევენახე“ (ი. 15,1). ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან დღემდე გვხვდება ვაზი, რომელიც უპატრონობით გაველურებულია. არადა ქართველთა შრომის კულტურა სწორედ ვენახთან დაკავშირებით წარმოჩნდება. ვენახი ხომ ისეთივე დიდ შრომას მოითხოვს, როგორც ქართული ჩუქურთმის ჭრა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კარგად გამოჩნდა ქართული სუფრის კიდევ ერთი დანიშნულება – ის იყო განსჯის ასპარეზი. თხზულებაში აღწერილია ჯავახეთის კრება, რომელზედაც საქართველოს კათოლიკოსს ირჩევენ. საერო გამგებელს, გუარამ მამფალს, კათალიკოსად სურს ეფრემი – აწყურის ეპისკოპოსი. იქაურობის სულიერი მამამთავრის, არქიმანდრიტ გრიგოლ ხანძთელის ზეგავლენით კათალიკოსად არსენს აირჩევენ. განანწყებული მამფალი წყენას გულში ჩაიკლავს და ყველას პურობაზე მიიწვევს. მერე კი, როცა „გამხიარულდა გუარამ ღვინითა“, იკითხავს: აქვს თუ არა ერისკაცს უფლება, სულიერად მნიშვნელოვანი რამ ხალხს აუწყოს. მას უპასუხებენ, რომ თუ ეს მართლაც აუცილებელია, ეპისკოპოსს უნდა გადასცეს და ის აუწყებს ხალხს. აქ ჩანს ნაღვინევი კაცის სიმართლე, თანაც სხვისთვის არასასურველი სიმართლე. საამისო განწყობილებას კი ღვინო ქმნის.





## საერო მწერლობა

მოსე ხონელის სარაინდო-სადევგმირო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ (XII ს.) ასე იწყება:

„იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული (ანუ ძლევამოსილი) და განგებიანი და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა... ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთხშაბათს – ამა სამსა დღესა – უხმის ათასი დიდებული და გასცემდის საბოძვარსა, რაცა ვის ხვდებოდის. ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებდის, კვირაკესა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის“. აქ ნადიმი უშუალოდ არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება. ნადირობას პურობა მოჰყვებოდა-ხოლმე. ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“.

გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (XI ს.) ერთგვარად მოულოდნელი თხრობა ჩნდება: ტრაპეზზე ანუ სამონასტრო პურობაზე ივერონის მამასახლისი ექვთიმე ათონელი თურმე თავად გაუსინჯავდა-ხოლმე გემოს ღვინოს და მერე მევაჟინეს (ღვინის მნეს) ასე ეტყოდა: „ძმაო, ამათ ძმათა ნუგეშინის საცემელი სხუაჲ არა სადაჲთ აქვს ამის ტრაპეზის კიდე. უკუეთუ სუბუქი ღვინო იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა, და უკუეთუ საშუალი იყოს, ჯერისაებრ ურიეო“. ე. ი. თვით ექვთიმე ათონელი ნებას რთავდა ათონელ ბერებს, ღვინო საზრდელად მიეღოთ და ამით მცირედი ნუგეში ეგრძნოთ (მოგვიანებით „სერი-მიმწუხრი“ სულხან-საბასთან უკვე საზრდელია და მხოლოდ სასულიერო ტრაპეზს აღარ გულისხმობს. ასეა საბას ქადაგებებშიც).

„ღვინო“ და „ღვინო-სმული“ „ვეფხისტყაოსანშიცაა“ ნახსენები მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება მაჰმადიანურ სამყაროში ხდება. ირონიზებულ კონტექსტშია ნათქვამი ფატმანზე:

„მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი“ (1087).

უღირსი ღვინისმსმელია ფატმანის ქმარი, ვაჭართუხუცესი უსენი. მან ფატმანს პირობა მისცა, რომ არ გაამხელდა ნესტანის მათთან ყოფნას, მაგრამ ძღვენის მიტანის დროს ხელმწიფესთან უაზროდ დათვრა და ფიცი გატეხა:

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი (სასმისი),  
კვლა შესვეს და კვლა აუვსნეს სხვა ფარჩნი (სასმისი) და სხვა ჭიქანი,  
დაავინყდეს იგი ფიცნი...“ (1175).

ვაჭრები არა თუ ომის უმეცარნი არიან, მათ ნესიერი ნადიმობაც არ ძალუძთ. მდაბალი ღირსებისაა ჭაშნაგირიც, ღვინის მეჭაშნიკე, თუმცა ეს თანამდებობა მეფეთა კარზე საპატიოდ ითვლებოდა.

ავთანდილისა და თინათინის ქორწილი პოემაში ასეა აღწერილი:

„იაგუნდის ჯამები, იყვის ლალისა ჭიქები,  
კვლა უცხო-ფერთა ჭურჭელთა ჰსხდის უცხო-უცხო სიქები...  
მუტრიბთა მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა,  
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბალახშისა თლილისა;  
მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,  
ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა“.

ტარიელის ხატაელებზე გამარჯვების აღსანიშნავად სამეფო კარმა ნადიმი გამართა:

„შეიქმნა დიდი პურობა, მსგავსი მათისა ძალისა;  
 სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა!  
 ჯამი და ჭიქა – ყველაი ფირუზისა და ლალისა.  
 არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა“ (489).

ცხადია, აქ ჩანს არისტოკრატიული ნადიმის ზედმეტობა და არაპირდაპირ ისიც ჩანს, რომ თამარ მეფის დიდნარმატებულ ხანას უარყოფითი ნიშნებიც ახლდა. ეს კიდევ უფრო ნათლად გულანშაროს მაგალითზე ვლინდება. გულანშაროელი მებაღე ამბობს:

„აქა მოსლვითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:  
 სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,  
 ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვაველი ფერად-ფერები,  
 ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინცა მტერები“ (1075).

მებაღის სიტყვებზე ამგვარი პარადოქსული ნამღერი გვახსენდება: „თუ ასე ვიმხიარულებთ, რას დაგვაკლებს მტერიო“, სადაც მთქმელის თვითირონია ძალზედ ნათელია. იგივე შეიძლება ითქვას მებაღეზეც.

მ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ რიგიანად წარმოჩნდა სამეფო ნადიმის ზოგიერთი ფსიქოლოგიური მხარეც.

უნდა გავიხსენოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, სადაც თამარ მეფის ხანის სამეფო კარის ცერემონიალური კულტურაა ასახული, აშკარად ჩანს, რომ ეს ნორმირებული კულტურა სოციალურ წესრიგსა და დარბაისლურ არისტოკრატიზმს ნერგავს. რაში გამოიხატება ეს?

თინათინის გამეფების შემდეგ გამართულ ნადიმზე როსტევეან „მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა“, მაგრამ

„დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა ჭამა იყო ხილობა,  
 ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.  
 მეფემან თავი დაჰკიდა, და ჰქონდა დაღრეჯილობა.  
 „ნეტა, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ – შექმნეს ამისი ცილობა“. (58)

როსტევეანის მოწყენილობამ ყველა განაცვიფრა, განსაკუთრებით კი სპასპეტი ავთანდილი და ვეზირი სოგრატი. სწორედ აქ გამოჩნდა ელიტარული ნადიმის ცერემონიალური კულტურის დახვეწილობა.

„ავთანდილ თქვა: სოგრატი, ვჰკითხოთ, გვითხრას, რადმცა შეგვეცილა?  
 ვჰკადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გაგვიწილა?!“

სუფრა ითმენდა, რომ მეფისთვის სალალობო სიტყვით მიემართათ. ეტიკეტი დაირღვეოდა, სრულიად მოულოდნელი დასვედიანების მიზეზი სერიოზულობით რომ ეკითხათ. ავთანდილი და სოგრატი ადგნენ, „თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა“. ჭიქით ხელში მისვლაც სანადიმო ეტიკეტია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ნადიმი ერთგვარად აწონასწორებს თანამეინახეთ, თვით მეფესა და ვაზირებსაც კი, თუნდაც გარეგნულ თავისუფლებას ანიჭებს მათ, ამსუბუქებს სიტუაციას, ხსნის დაძაბულობას. ამიტომაც მეფე როსტევეანს ავთანდილი და ვაზირი, მოცინარი პირით, წინ მიუსხდებიან; „ვაზირი ლალობს ენითა წყლიანად მოუბარითა“ (60). ლალად ეკითხებიან მოწყენის მიზეზს: ახლადგამეფებულმა შენმა ასულმა ძალზე დიდი საბოძვარი გასცა და ხომ არ ნანობ, მეფედ რომ დასვიო? ისეთი რამე ჰკითხეს,





რისიც თავადაც არა სჯეროდათ. ეს ქვეტექსტით იგრძნობა. მეფემ თავდაპირველად მათ „გაცინებით შემოჰხედნა“, შემდეგ კი უფრო მკაცრად გაიკვირვა: „ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?!“ მაგრამ მაინც მოუწონა საქციელი: „კარგი ჰქმენო, დაუ-მადლა“, ბოლოს კი ასე აუხსნა დარდის მიზეზი:

„კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,  
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“ (69).

ამაზე ავთანდილმა „თავ-მოდრეკით გაიღიმნა“. მეფეს შეჰკადრა შვილდოსნობაში გავეჯიბროთ და სიმართლე იქ გამოჩნდებოა. ასეც გადაწყდა. მეფემ თვითონაც კარგად იცოდა თავისი გაზრდილი ავთანდილის ვაჟკაცობა. ავთანდილს კი, მეფესთან სიახლოვის გარდა, ნადიმმა გააბედინა, გაჯიბრება რომ შესთავაზა.

„ვეფხისტყაოსანში“ ყურადღებას იქცევს, თუ როდენ დახვეწილია ნადიმის ცერემონიალური კულტურა, სიტყვახმარების ეტიკეტი, რომელსაც კარგი იუმორი ახლავს, როგორ ათანასწორებს ნადიმი თანამეინახეებს. მეფე დიდად მოილხენს, ღვინოსაც მიირთმევს და კიდევ ამღერდება. ამით იგი, თვით მეფეც, მხიარულების განწყობას უქმნის სუფრის წევრებს. ასეთი იყო ტრადიციული ნადიმი.

მაგრამ მაინც რჩება კითხვა: რალა მაინცდამაინც ამ ნადიმზე გაახსენდა როსტევან მეფეს, რომ სამეფოში ღირსეულ რაინდს ვერ ტოვებდა? ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ როსტევანი, თუნდაც ფრიად კმაყოფილი ამ ნადიმით და მისი გულითადი მონანილე, მაინც გრძნობდა ნადიმისეული განწყობილების ცალმხრივობას; იმას, რომ სინამდვილეში ნადიმზე აღარავის ახსოვს ქვეყნის სარაინდო მომავალი, რომ სანადიმო რაინდობა ბუტაფორიულია და ილუზიური. ამ ყოველივეს როსტევანი ალბათ თავის ახლო წრეზეც ავრცელებდა, რასაც უნდა დაესევდიანებინა იგი და დაეფიქრებინა ჭეშმარიტ სარაინდო მომავალზე.

ღვინოსა და ვაზთან მიმართებაში შეუძლებელია არ გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „ლექსიკონი“, სადაც ამ თემასთან დაკავშირებული მთელი ტერმინოლოგიაა ჩამოყალიბებული. გვხვდება სიახლენიც და ტრადიციული სიტყვახმარებაც.

„ვაზი ყურძნის ხეა“, – წერია ლექსიკონში. ყურძენტან დაკავშირებით კი მითითებულია, ნახეო: „კატის-ყურძენა, მოჰყურძნე, ძაღლის-ყურძენა, ხმელი ყურძენი (ჩამიჩთან)“. მანამდე მითითებულია რიცხვთა 13, 21, სადაც თვით სულხან-საბა ორბელიანისავე ნარედაქტორალ ბიბლიის ტექსტში წერია:

„რაჲ არს ქუეყანა იგი, ანუ პოხილ არს, ანუ მჭლე, ანუ თუ არს ხე მას ზედა ანუ თუ არა. და განეკრძალენით და მოიღეთ ნაყოფისა მისგან მისს ქუეყანისა. და დღენი იგი იყვნეს დღენი ზაფხულისანი და ჟამი მსთვისა (მნიფობისა – რ. ს.) ყურძნისა“.

„ვენახიც“ ხეა, ე. ი. უკვე გაიგივებულ იქნა ვენახი და ვაზი. ადრე სიტყვა „ვაზი“ უფრო ვაზის ნახსლევს ნიშნავდა და არა ხეს, თუმცა საბასთან უკვე არის „ვაზი – ყურძნის ხე“. გვხვდება „უსურვაზიც“, რომელიც ასეა განმარტებული: „კრიკინას ვაზი, რძღვამლი – ქართულად“, „კრიკინა – ველური ყურძენი“. აქვე წერია: „რძღვამლი იმიერთაგანააო“. არის ბაბილოც – „მალლარი ვენახი“.

ძალზედ საყურადღებოა ღვინის განმარტებანი:

„ღვინო (ესაია 5,11) – ღვინონიცა განიყოფებიან: რამეთუ რა დაინიხა ყურძენი, ეწოდებიან ტკბილი; უკუეთუ ტკბილსა აღაზავეს წყალი, დგვიფინას უწოდენ. და ურწყოსა ტკბილსა – ქუმასა, ვიეთნი არმუნჭსა უხმობენ; უკუეთუ ნაწნესსა ჭაჭასა

წყალი დაასხა და გამოქანჩა, უწოდეს შამანსა; უკუეთუ ტკბილსა ძლიერად არ დაედულოს – ამბობსა; ახალსა ღვინოსა მაჭარი ეწოდების და შემდგომად – ღვინო; და განწყალბულსა ჟოქო ეწოდების“.

„საღვინენი არიან: სურა, სანდე, ქიშა, ფარჩი და მისთანანი; ჭურნი და წნედანიცა საღვინედ ითქმიან“. „სასხლევი – მევენახის დანაა“; „ზედაშე – შესანიშნავი ღვინო“. მას სხვაგვარად „მეზედაშე“ და „ბესინიც“ რქმევია.

„სმად ითქმის ყოვლისავე სასმელისა სმა, არამედ უფროსად ღვინისა“;

„პურობა (9,12 ტობია) ნადიმია“, „ნადიმი – მეჯლიში“, „მეჯლიში სპარსთა ენაა, ქართულად ნადიმი ჰქვია“; „ტაბლა არს სუფრა და ყოველი ფეკედი ფიცარი წინ სადგმელი“ (გამოსლ. 25,23) (სუფრა ნიშნავს არა მაგიდის გადასაფარებელს, არამედ თავად მაგიდას).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ქართული ტრადიცია მოიშალა, სუფრა მაგიდამ შეცვალაო (ეს უფრო XVII ს-ში ხდება. სულხან-საბა განმარტავს: „მაგიდა მაღალი სუფრააო, ფეხებიანი“). ქალაქურ ყოფასა და თბილისურ ფოლკლორს შემორჩა ასეთი სიმღერის ტექსტი: „ჭრელ ბაღდადზე გავშლი სუფრას, ზედ დავიდგამ დოქით ღვინოს“. სპარსული ტიპის სუფრასთან, რომელიც იატაკზე იყო გაფენილი, ინახით ანუ ფეხმორთხმით ისხდნენ.

ძველ ქართულ მწერლობაში, არათუ საეროში, სასულიეროშიც, ღვინის სმა აკრძალული არსად არაა, თვით ბერთა ტრაპეზზეც. ოღონდ ყველგან დაგმოზილია სიმთვრალე. ასეა ჯერ ბიბლიურ ტექსტებში, მერე კი, განსაკუთრებით, სასულიერო ქადაგებებში. იოანე ბოლნელის (X ს.) ქადაგება „ღვინის მსმელთა და მომთვრალთათვის“ გვიჩვენებს, თუ როგორ კარგავს კაცი თავის ადამიანურ სახეს და ხდება „უმსგავსო“, ღვთის მსგავსების დამკარგველი.

სულხან-საბა ორბელიანს აქვს ორი ქადაგება სიმთვრალის წინააღმდეგ. სულხან-საბა გვიჩვენებს, რომ სიმთვრალე არაა მხოლოდ ღვინისეული, ყველა უკეთური ფანატიკური სწრაფვა იგივე სულიერი სიმთვრალეა, რომელსაც ადამიანი ჰეროდესეულ ბოროტებამდეც კი მიჰყავს. სულხან-საბა ბიბლიურ სწავლებას მიჰყვება და გვინერგავს, რომ ვაზი და ღვინო ღმერთმა სიკეთისათვის შექმნა და არა სიმთვრალისთვისო.

„დავითიანში“ ვაზი და ღვინო ხშირად არ გვხვდება, უფრო ვაზი წარმოჩნდება და ისიც არაპირდაპირი, სიმბოლური მნიშვნელობით.

დავით გურამიშვილი დალესტნის ტყვეობიდან გაიპარა და დიდხანს მიდიოდა უგზო-უკვლოდ მშვიერ-მწყურვალი. ამისდა მიუხედავად, მწერალი არ კარგავს იუმორს და ყვება:

„თუმც არ მეჭამა მე პური თბილ-თაჯა ჯავახურია,  
არ მესვა ღვინო კახური, არ ვიყავ ნაბახურია,  
ათის დღის მშვიერს მომერთვა სადილი საკვეხურია,  
მოუნეგარი კვინჩხი და მკვახე მე კონახურია“ (439).

აქ ყველაფერი ხუმრობითაა ნათქვამი, თუმცა ჩანს ყადრი კარგი პურისა და ღვინის, რაც, ბუნებრივია, ენატრებოდა კახელ თავადს.

ურცხვი კახელი დიაკვნები ატენურ ღვინოს მოისაკლისებენ. მათ კახეთიდან მოსალაპარაკებლად ქართლში აგზავნიან, ისინი კი საქმეზე მეტად სხვა რამეზე ფიქრობენ:





„ერთმან იხუმრა: ვიძინებ თაფლის აბანოს ნურიტა,  
მეორემ – თევზით გავძღები ზურგიელ-გელაქნურიტა,  
მესამემ – მივიბრუეები ღვინითა ატენურიტა“ (292).

დავით გურამიშვილთან ვაზის კულტი სიმბოლოებში ჩანს. ასეთი რამ სასულიერო ლირიკაში, ჰიმნოგრაფიაში, იწყება. გავისხენოთ დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე-დამიანეს ცნობილი ლექსი:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,  
მორჩი კეთილი ედემს შინა ნერგული,  
აღვა სულნელი სამოთხით გამოსრული,  
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,  
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

ესაა ღვთისმშობლის ჰიმნი, „ავე მარიას“ ციკლის ქართული ნიმუში. აქ ღვთისმშობელი სიმბოლოურად წარმოდგენილია „ვენახით“ ანუ ვაზით. ამით თავისებურად ხდება ვაზის გაკულტება, არა თავისთავადი სახით, არამედ გადატანითი ფორმით – ვაზის გასულიერებით, მისი ღვთისმშობლის სახით გაშინაარსებით. აქვე ღვთისმშობელი გასიმბოლოებულია მზით – ვაზი ბრწყინავს მზის ბრწყინვალეობით. ეს შორეულად ეხმიანება მითოსს, როცა მზე თავად იყო ღმერთი, ხოლო მის სწორფერ, ღვთაებრივ მცენარედ ვაზი ითვლებოდა. ქრისტიანობამ ეს ყოველივე შეცვალა. მზეც და ვაზიც თავისთავადი რაობით ღვთაებრიობას დააშორა და მხოლოდ სიმბოლოებად აქცია. ამრიგად შეიცვალა ვაზის გაკულტების ფორმებიც.

ლექსში „ტირილი ღვთისმშობლისა“ დავით გურამიშვილი წერს:

„ვაიმე, თვალთა ნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!  
სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ, შრტოვ ვაზისაო.  
გამარკვეველო, განმნმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,  
შენ იყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ რაზისაო“ (107).

აქ „ვაზის შრტო“ (ანუ შტო) ქრისტეს გულისხმობს. ისაა სახე მზეთა-მზისა. მზეთა-მზე კი მამა-ღმერთია. აქაც თავისებურადაა განდიდებული ვაზი იმით, რომ მისი შტო ქრისტეს სიმბოლოა. იგულისხმება, რომ თავად ვაზი ღვთისმშობელია. ცხადია, ამგვარი სიმბოლიკა, რაც ძალზედ ხშირია „დავითიანში“, ვაზის სიყვარულიდან მოდის. ერთ-ერთ ლექსში დავით გურამიშვილი ასე მიმართავს ღვთისმშობელს:

„ნაყოფიერო ვენახო, ვით ვაზო მორჩ-უჭკნობელო,  
უკვდავებისა მტევანთა მოკვდავთა მოსართლობელო,  
მაჩრდილობელო ნერგო და კეთილთა შრტოთა მყნობელო!  
მიგრილე ცოდვით სანვავსა, იესოს ქრისტეს მშობელო!“ (425).

როგორც ვაზი და ვენახი, ასევე ღვინოც დავით გურამიშვილს მაღალსულიერ გააზრებათა სფეროში შეაქვს. იგი ამბობს:

„სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია;  
ხორცი ამ სოფლის გემოთი ნებიერობით მთვრალია,  
სული ამ სოფელს დასჯისთვის შიშითა სულ გამქრალია.  
ეს სიტყვა ჩემთვის სხვას უთქვამს, ახლა მოვუთხრობ მე სხოსა:  
უნდა მეღვინემ საღვინე კარგვარად გამორეცხოსა,  
განაყრევინოს, განმინდოს, რაც შიგნით მნიკვლი ეცხოსა,  
თუ მისგან ნახდეს ღვინო-ლა, მე თავში კეტი მეცხოსა“ (460-461).

აქ სულისა და ხორცის სინმინდებეა საუბარი ღვინისა და მისი წმინდა ჭურჭლის ანალოგიით, რაც მხოლოდ პოეტური გააზრება კი არ ყოფილა, არამედ ქართული მენტალობისათვის დამახასიათებელი რამ, რაზედაც დავით გურამიშვილიც მიანიშნებს.

ისევე, როგორც სხვა მრავალი წყაროდან, ძველი ქართული მწერლობიდანაც ჩანს, რომ ქართულ ნადიმს ყოველთვის ახლდა სიმღერა, ისეთი სიმღერა, რომელსაც ღვინისეული სიმთვრალე, ასე ვთქვათ, სიმღერისეული „სიმთვრალით“ უნდა დაეძლია. უსიმღერო პურობა სიმღერის უპატივცემულობა იყო (ხალხური სიმღერის სიტყვებიც ხომ ამაზე მიუთითებს: „პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცი, რასა გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო“).

სიმღერას დიონისურ ანუ თავდავინყებით ნადიმში, როგორც იტყვიან, აპოლონური წესრიგი შეაქვს. იგი უბრალოდ სილამაზეს კი არ ანიჭებს სუფრას, არამედ სილამაზის არდავინყებას ავალდებულებს. სიმღერის თანამონაწილე ხდება ყველა; ისიც კი, ვინც არ მღერის, მაგრამ თანაგრძნობით ისმენს მას.

სიმღერამაც შეუწყო ხელი, რომ სასულიერო სიტყვახმარება საერო ნადიმებისათვის შეძლებისდაგვარად მიესადაგებინათ (დაგლოცავ, მრავალჟამიერ და სხვა). ასეთ კონტექსტში და ასეთი განწყობილებით უნდა აღვიქვათ დავით გურამიშვილის სიტყვებიც: „სულიაო ღვინო კეთილი“ (460,2).

სიმღერაა სუფრისეული ილუზიების ყველაზე მნიშვნელოვან ესთეტიკურ რეალობად გარდაქმნა.

თანამედროვეობის დიდი მწერლის, ჩინგიზ აითმატოვის რომანში „Плаха“ („საჯალათო კუნძი“) ვკითხულობთ:

„როცა ვისმენ ძველ ქართულ სიმღერას, ჩემთვის ძნელად გასაგებია, რა არის ეს. მაგრამ საკმარისია დაინყოს სიმღერა, თუნდაც სამმა ქართველმა, თუგინდ სრულიად ჩვეულებრივმა, – და გადმოიღვრება სული და სუნთქვის ხელოვნება, უბრალო და იშვიათი თანაზომიერებით და სულიერი ზემოქმედების ძალით. ალბათ, ეს მათთვის მინიჭებული განსაკუთრებული წყალობაა ბუნებისა, ტიპია კულტურისა. ჩემთვის გაუგებარია, თუ რაზე მღერიან ისინი, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მე მათთან ერთად ვმღერი“.





## თამარ შარაბიძე

### XIX საუკუნე

#### (ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში)

გამორჩეული, საინტერესო და ჩვენთვის ყველაზე ახლობელი საუკუნე, რიგით XIX... გამორჩეული – პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმებით, ყოფისა და ნების მასშტაბური ცვლილებებით, ძველისა და ახლის, აღმოსავლურისა და ევროპულის სინთეზით; საინტერესო – პიროვნებებითა და მოვლენებით, თეატრით, ოპერით, სხვადასხვა ახლად დაარსებული საზოგადოებით, პრესის დაბადებით, განათლების სისტემის დანერგვით, ევროპეიზმისაკენ სწრაფვით, ლიტერატურული მიმართულებებით (განებივრდა ქართული საზოგადოება!); ახლობელი – როგორც ჩვენი წინამორბედი საუკუნე, ახალი კულტურის ნიადაგის შემქმნელი, ძველის შემნახავი და გადმომცემი ... და უაღრესად თვითმყოფადი, როგორც დანარჩენი სხვა საუკუნეები, ჩაძინებული „ქართველის“ არა მარტო გამომღვიძებელი და გამომაფხიზლებელი, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ უმოქმედობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამგორებელი. ამ მღელვარე საუკუნემ ერთდროულად შემოგვინახა და დაგვიკარგა კიდევ კულტურული ტრადიციები. და თუ ხელოვნების დარგებმა პოლიტიკური მიზეზებისდა გამო დროებით დასვენებას მისცეს თავი, მწერლობა, საბედნიეროდ, იშვიათი გამონაკლისი გამოდგა და სხვათა ტვირთის ზიდვაც, როგორც ყოველთვის, თავის თავზე აიღო.

აილო და შესძლო სინამდვილის არა მარტო რომანტიკული თუ რეალისტური ასახვა, არამედ ძველის, ტრადიციულის წარმოჩენაც ახალი გააზრებით, დროის შესაბამისი დატვირთვით. ეს ძველი და ტრადიციული, ასე ხშირად რომ ვახსენებთ, ეროვნული ცნობიერების ნაყოფია, რომელსაც VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იოანე საბანისძემ ისეთი სიტყვიერი გამოხატულება მოუწინა, რომ დღემდე გაუცვლელად შემოგვინახა: „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლისა...“ მამულის სვლის ტრადიცია სარწმუნოებასთან ერთად ეროვნულ აზრს იტევს და გულისხმობს. კიდევ უფრო ადრე, ქრისტიანობამდე, იგივე სხვა სიტყვებით ითქმებოდა. ეს იგივე XIX საუკუნეშიც გამოითქვა და XX-შიც. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სიტყვიერი ფორმით გადმოცემული აზრები მოიცავს რწმენის, ტრადიციის და პირველ რიგში მინის სიყვარულს; მინაში დამარხულისა და მისგან აღმოცენებულის, მინაზე და მინის ზემოთ მყოფის: მცენარეების, ფრინველების და ა.შ. მაგრამ როგორც ფლორის, ასევე ფა-



უნის, მრავალფეროვანი სამყაროდან სიყვარული და პატივისცემა ყველას ერთნაირად როდი ერგება. საუკუნეთა განმავლობაში იკვეთება ერთი, რომელშიაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდება მიწა და მისი მკვიდრი ადამიანი თავისი ბუნებით, რწმენითა და მისწრაფებით; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნული (კოლექტიური) ცნობიერება ამ სამყაროს წარმომადგენელთაგან საკულტოდ მხოლოდ ერთს ამოირჩევს ხოლმე. კულტის აღმოცენებასთან დაკავშირებული ლეგენდები დროთა განმავლობაში იკარგება, რჩება მხოლოდ სიყვარული, ზოგჯერ გაუცნობიერებელიც, მაგრამ იმდენად შორეული დროიდან მოსული, რომ თითქმის მუდმივად არსებული.

ასეთი კულტივირებული მცენარე უძველესი დროიდან (ძვ.წ. VI-V ათასწლეული), სადამდეც კი მისულა საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება, იყო და არის ვაზი. ვაზმა ხელოვნებასა და ლიტერატურაში არა მხოლოდ ღრმა, არამედ მრავლისმთქმელი და მომცველი სახე-სიმბოლოები შექმნა. ის ჯერ მითოსურ სამყაროში გაჩნდა სიცოცხლის ხის ფუნქციით; ამ სამყაროშივე შეიძინა რიტუალური და ყოფითი დანიშნულებაც. პოეზიამ გააერთიანა მისი მითოსური – სიმბოლური წარმოსახვა – და ყოფითი მხარე, ანუ მისი ნაყოფის წვენისაგან მიღებული სიამოვნება, მუზის აღმძვრელი და ღვთაებრიობის შემაგრძნობინებელი, და ორივეს ესთეტიზირებული მნიშვნელობა მიანიჭა: მითოსურად ღვთაების – მზის – გარდასახვა ხდება ვაზის ტანსა და მტევანში, ღვთაებრივი ენერგია კი ღვინოში გადმოდის, რომელიც ადამიანს ათრობს და ამ ღვთაებრივს შეაგრძნობინებს; ამასთანავე, როგორც გამორჩეულმა და ყველაზე საყვარელმა მცენარემ, ვაზმა რწმენის სიმბოლოს მნიშვნელობაც იტვირთა, განსაკუთრებით ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ (თუმცა რწმენასთან დაკავშირებული რიტუალური დანიშნულება მას ადრეც ჰქონდა): „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი – მევენახე...“ (იოანე 15, 1); „მე ვარ ვაზი, თქვენ რტონი...“ (იოანე 15, 5); „ეს არის ჩემი სისხლი (ახალი) აღთქმისა, მრავალთათვის რომ იღვრება ცოდვების მისატევებლად...“ (მათე 26, 28). XIX საუკუნის ლიტერატურაში ვაზმა კიდევ ერთი ფუნქციაც – პატრიოტული გრძნობის გამოხატვა – შეითავსა, რომელიც მას ყოველთვის ჰქონდა, უბრალოდ XIX საუკუნემ ის მკვეთრად წარმოაჩინა და სიმბოლოს მნიშვნელობა მიანიჭა. რწმენა და სიყვარული – ეს ორი მთავარი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული ნიშანი ეროვნული ცნობიერებისა იტვირთა ქართულმა ვაზმა და ხელოვნებაში გაახმოვანა. ამ ნიშან-სიმბოლო-





თა შერწყმითა და ყოფით კულტურაში თავისი განუზომლად დიდი ადგილით იხატება ვაზი და ღვინო XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში; მათი ქების შემსხმელი პოეტი კი ერთგვარი მოდელიერის როლს ასრულებს, ძველსა და ახალს ერთმანეთში აქსოვს, აერთიანებს და ქმნის შეუდარებელ „პოლითემადიკურ“ (სხვადასხვა იდეის ერთდროულად შემცველ) მხატვრულ სახეებს: „შემოდგომამა ბახუსი საწინახელში ჩააყენა“ (ალ. ჭავჭავაძე), „თოვლ-ღვინო – სახე შენი“ (გრ. ორბელიანი), „ვაზებს შუა უდროვო“ თამარის წმინდა სამარი (ვახტანგ ორბელიანი), „ობოლი ვაზი“ (ილია), „მოხუცი ვაზის რძე“ (ვაჟა), „წითელი ღვინის დედა“, უღვაშებგადაგრეხილი ვაჟკაცი (რაფიელ ერისთავი), „ჩვენი ქვეყნის ღვინო“, ანუ წინაპრების ძვლებსა და სისხლზე აღმოცენებული ვაზიდან (აკაკი) და ა.შ.

ვაზი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში რჩება კულტივირებულ მცენარედ, აღიქმება მისი წარმომავლობა, ის ინარჩუნებს ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს (ქვეყნის განათლების) მნიშვნელობასაც; ღვინისაგან მონიჭებული სიამოვნებისა და ქალაქური ლხინის აღწერა აღმოსავლურ პოეზიასთან ამჟღავნებს სიახლოვეს, მაგრამ არ გააჩნია სუფისტურ-სიმბოლური დატვირთვა. დაბოლოს, 60-იანელთა პოეზიაში ვაზი პატრიოტული გრძნობის წარმომჩენ ერთ-ერთ უძლიერეს მხატვრულ სახედ წარმოგვიდგება პოეზიასა და პროზაშიც.

ვაზსა და ღვინოს მეტ-ნაკლებად მოეფერა XIX საუკუნის ყველა მწერალი და პოეტი, განურჩევლად მათი წვლილისა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ მღელვარე და უაღრესად პოეტური საუკუნის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობა ქრონოლოგიურად ალექსანდრე ჭავჭავაძიდან დავიწყეთ.

## ალექსანდრე ჭავჭავაძე

*„ნეტავი ნატვრა მანატრა,  
ის ნატვრა ამიხდინაო;  
მუხრან-ბატონი ყმად მომცა,  
კახის ბატონის ბინაო...  
ჭავჭავაძის კარგი ღვინო  
მილით შინ მომიდინაო“.*

(ხალხური)

სანიმუშო სამხედრო, ორდენებითა და მედლებით მკერდგაჭედული გენერალი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, საუკეთესო მემამულე გახლდათ და კიდევ უფრო კარგი პოეტი. მხედრულ ყოფას მასში არ ჩაუკლავს მყუდრო, ოჯახური ცხოვრების იდეალი. „ყველამ იცის, რომ მე პირველი მემამულეთაგანი ვარ საქართველოში“, – განაცხადა დაკითხვის დროს 1832 წლის შეთქმულების გამო დაპატიმრებულმა. ამ სიტყვებში არა მარტო ქონებასა და სახელს გულისხმობდა. პირველ მემამულეს საამაყოდ თავისი ოჯახი მიაჩნდა, ამასთანავე საუკეთესოდ მოვლილი და ნაპატრონევი მამული; განსაკუთრებით კი ვენახითა და ღვინით მოჭქონდა თავი. მის მარანზე ასეთი გადმოცემაც არსებობს: თითქოს პოეტს პირველი ქვეყრი ქალიშვილის – ნინოს – დაბადების დღეს ჩაუდგამს მარანში და მხოლოდ 16 წლის შემდეგ გაუხსნია, როცა ნინომ და გრიბოედოვმა იქორწინეს. ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინო რომ მთელ საქართველოში

იყო განთქმული, ამას რაფიელ ერისთავის „ივერიაში“ გამოქვეყნებული ფელეტონიც ადასტურებს, სათაურით „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალს წელიწადის დღეს“. ერისთავი ჩამოთვლის, თუ რას ინატრებდა კახელი, ქართლელი, გურული, იმერელი, რაჭველი და მეგრელი. კახელი კაცი თურმე აუცილებლად ჭავჭავაძიანთ ღვინოს ისურვებდა.

კარგი ღვინის პატრონი მასპინძლადაც კარგიაო; ალექსანდრე ჭავჭავაძის მასპინძლობა მართლაც საქვეყნოდ იყო ცნობილი. საფრანგეთის კონსული, გამბა, აღტაცებული წერდა მისი სტუმართმოყვარეობის შესახებ. პოეტის სახლი, თბილისისა თუ წინანდლის, ქართველი არისტოკრატიისა და რუსეთიდან ჩამოსული ელიტარული საზოგადოების შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა. მის სალონში ნახავდით ჩონგურს, „მაგრამ ფორტეპიანოც იდგა და მამადავითის კედლებზე კენჭების ნაცვლად ბილიარდის ბურთებს ათამაშებდნენ. გარდა ამისა, იცოდნენ რუსული ლაპარაკი და ყოველგვარი ევროპული ცეკვა“ (იოსებ გრიშაშვილი). შპალერგაკრულ მის ლამაზ სახლში ბევრ გამოჩენილ ადამიანს შეუსვამს პოეტის სადღეგრძელო წინანდლის ღვინით. პოეტის ოჯახში და მის სახლს გარეთაც ქართულ სუფრებზე ჭავჭავაძის მშვენიერი ლექსები ისმოდა, რომლებიც ზეპირად იცოდნენ დარდიმანდებმა და მღეროდნენ ყველგან: ბაღებსა და ოჯახებში. განსაკუთრებით პოპულარული სანადიმო ლექსები ყოფილა, მათ შორის „მუხამბაზ-ლათაიური“, რომელიც იმთავითვე სუფრულ ჰიმნად იქცა:

„ლოთებო, ნეტავი ჩვენა,  
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,  
შემოდგომამა ბახუსი  
სანნახელში ჩააყენა.“

ლექსს მეორენაირად „ლოთური სიმღერა“ ჰქვია და ნაკლებად ასახავს ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინისადმი დამოკიდებულებას, მაგრამ შეუძლებელია მასში მოქეიფე პოეტის გუნებ-განწყობა არ დავინახოთ, რომელსაც ღვინის სმასთან ერთად გარკვეულ მომენტში ლოთობაც მოსწონს და აქებს:

„დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,  
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა,  
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს  
და ლოთი გამარჯვებასა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცოდნა-განათლებას კი არ უარყოფს, უბრალოდ თავდავინწყებას მისცემია. ასეთი მდგომარეობა რაღაც მომენტში მისაღებია, მით უფრო – პოეტისათვის. სიმთვრალის საშუალებით სინამდვილის დავინწყება ლიტერატურაში ერთგვარი მხატვრული ხერხია. აღსანიშნავია ისიც, რომ ღვინოს ალექსანდრე ჭავჭავაძისა თუ მისი გმირი ლოთისათვის მხოლოდ გართობა, დროსტარება და თავდავინწყება როდი მოაქვს, ის ვაჟკაცობის, მხნეობისა და თავდადების გრძნობის გამომღვიძებელია:

„ვაჟკაცნო, მოდით დავლიოთ,  
სუობს რომე ღვინო დავძლიოთ,  
ომამდინ სისხლად იქცევა,  
მერე ბრძოლაში დავსთხიოთ.“





როგორც ცნობილია, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლის გასაღვივებლად ყველაზე უფრო ეროვნული სიმბოლოების გამოყენება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლებისათვის. გავისხენოთ თუნდაც აკაკის „წინაპრების სისხლით გაჯერებული ღვინო“ („ბა-ში-აჩუკი“). ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ ეროვნულ სიმბოლოთა ძიების პირველ მოციქულად ჩანს. თუ მის შემოქმედებაში ღვინო იმ სისხლად იქცევა, რომელიც ბრძოლაში უნდა დაითხიოს, აკაკისთან ამ დათხეული სისხლიდან აღმოცენდება ვაზი, რომლის ნაყოფისაგან მიღებული ღვინო „ჩვენი ქვეყნის“ ღვინოა და მას სხვა გავლენა აქვს ქართველზე, ვიდრე სპარსულ შარბათებს. ეს ღვინო ნათესაური, სისხლხორცეული კავშირით გადაბმულა ერზე; ბუნებასა და საუკუნეებს შეუხორცვბია ისინი ერთმანეთთან, ამიტომაც აღანთებს იგი ბრძოლისათვის და ჭირსაც ადვილად ატანინებს; ამიტომაც ტირის ილიას „ობოლი ვაზი“ ქვეყნის ბედნიერების მოლოდინში, ხოლო ვაჟას „მოხუცი ვაზის რძე“ სხვანაირად ერგება მის შემსმელს.

ღვინო ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის, გარდა ამ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებისა – სისხლად გადაქცევის უნარისა – დაჩაგრული, შეშინებული კაცის გამამხნევებელია; გრძნობამორეული, შეყვარებული ადამიანის დარდის შემამსუბუქებელი და თვით უკუურნებელ სენთა წამალია:

„აქიმო, თუ გაქვს ქამალი,  
სცადე ეს ჩემი ნასწავლი,  
რაც სენი უკურნალ იყოს,  
ღვინოა მისი წამალი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სხვა ლექსებშიც დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ღვინო „ავთვისება“ არ შეიძლება იყოს, ის ადამიანს კი არ ასხვაფერებს, არამედ ძალასა და გამბედაობას ჰმატებს. თუ ადამიანი „კეთილ-თვისებაა“, ღვინო კიდევ უფრო უმრავლებს მას კეთილს:

„ღვინო თვისებას არ ჰსცვალებს,  
არამედ უმატებს ძალებს,  
კეთილ-თვისებათ მქონემან  
ჯერ-არს სვას, კეთილს უმრავლებს“.

(„ღვინის თვისებათათვის“)

ალექსანდრე ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ღვინის ერთ უნარსაც – ჭიქა ღვინოს ადამიანთა შორის შურისა და მტრობის მოსპობა შეუძლია. ამ უნარს პოეტი ღვინის სასწაულებრივ თვისებას არქმევს.

ასე თუ ისე წარმოვაჩინეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინოსთან მიმართება, მაგრამ პოეტის სიტყვის დიდოსტატობა, განსხვავებული, პოეტური ხედვა მაშინ გამოჩნდა, როცა ქალს თავისი სილამაზე და სიფაქიზე სარკის ნაცვლად წითელ ღვინოში დაანახვა და თავადაც მასში აღიქვა:

„შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტროფობ და ჰყვარობ,  
მაგრა წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელს ღვინოს სარკედ ჰხმარობ.  
სახე შენი მას ღვინოში სჩანს, ვით ვარდი, ზე დაჰხარობ,  
მერე ეშყით აღნატაცი თავსა შთანთქმად აღარ ჰხარობ“.

(„მემთვრალისადმი“)

შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე მთელ საუკუნეში ყველაზე მეტად იყო ზომა-წონის ყადრის მქონე კაცი, როგორც საქმეში, ასევე ღვინოსთან მიმართებაში. სრულებითაც არ მოსწონდა გაუთავებელი და უზომო სმა; თვლიდა, რომ ზოგჯერ განგებაც უნდა აარიდო თავი ლხინს, რომ უკეთ შეიგრძნო მისი ფასი, რომ მოგენატროს; ლხინი აუცილებელია, ოღონდ მას შრომა უნდა ედოს საფუძვლად („შექცევათათვის“). ეს აზრი კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებას, როგორც სამაგალითო მეურნეს და ოდნავადაც არ აქარწყლებს მის სიყვარულს ღვინისადმი.

ღვინომ და ვაზმა მართლაც რომ ჩამოაყალიბა ალექსანდრე ჭავჭავაძე ისეთად, როგორც ის იყო, ყოველმხრივ გამორჩეული და კოლორიტული. თავის მხრივ, პოეტმაც განავითარა წინაპრების დანატოვარი ვაზის კულტურა და წინანდლის ღვინის წარმოება ევროპულ დონეს გაუთანაბრა. მანვე დაუდო საფუძველი ქართული ლხინისა და ევროპული სალონის სინთეზს, რითაც ქართული არისტოკრატიის ცხოვრების ახალი სტილი შექმნა.

## გრიგოლ ორბელიანი

გრიგოლ ორბელიანი ქართველ პოეტებს შორის ლხინის ყველაზე დიდი მოტრფიალეა როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. ყველასათვის ცნობილია, რომ უმაღლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, მეფე ერეკლეს შთამომავალი გრიგოლი, რომელიც თავისივე საზოგადოების ზოგიერთ წევრს არც კი კადრულობდა, ქალაქის უბრალო საზოგადოებასთან მეგობრობდა. სიჭაბუკის ხანაში ხშირად უქეიფია თბილისის ყარაჩოხელებთან, უქეიფია და კარგადაც მოუღებინა. ერთ-ერთ იმათგანს, ლოპიანას, თურმე გრიგოლ ორბელიანის ადიუტანტსაც ეძახდნენ, რადგან დილაობით ცოცხალი მიჰქონდა პოეტთან, საღამოობით კი მისი სუფრის თანამეინახე ხდებოდა. მოკრივეთა და მეთევზეთა წრიდან გამოსული ყარაჩოხელების კოლორიტული სახეები ყაფლანიანთა გვარის წარმომადგენელმა თავის მუხამბაზებში ძალზედ რეალისტურად დახატა. ამ ლექსებში თითქოს არც კი ჩანს ავტორი – დაბალი წრის პრიმიტიული ფსიქოლოგია, მეტყველების მანერა და სტილი, ენობრივი სისადავე და ჟარგონია თვალში საცემი. მუხამბაზები გრიგოლ ორბელიანის იმ პერსონაჟთა სიმღერებია, რომლებთანაც პოეტს სიახლოვესთან ერთად გარკვეული დისტანციაც ჰქონდა, რაც ბუნებრივია; მაგრამ ზოგჯერ ყარაჩოხელის ნიღაბქვეშ შეუძლებელია თვით ავტორიც არ დავინახოთ; ისიც მათსავით „მჭმუნვარებს“ და ლხინსა და ღვინოში ეძებს თავდავინწყებას. არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ ამ მუხამბაზთა უმრავლესობა გადასახლების დროსაა დაწერილი – ყაზარმობის მძიმე დღეებში და გასაკვირი არ არის, რომ სამშობლოსგან მოწყვეტილსა და მარტოდმყოფ პოეტს სევდის მოსაკლავად თბილისური ყოფა და ნაცნობი მოქალაქეების სახეები გაეცოცხლებინა. გრიგოლ ორბელიანი თავის გმირებს ხატავს, როგორც ლალი ბუნების ადამიანებს, ნადიმისა და ღვინის მოყვარულებს; თითოეულის ხასიათსა და გარეგნობაში კი ინდივიდუალური ნიშნები შეაქვს:

ქალების „ლხინი და თაიგულია“ ბეჟანა მკერვალი, რომელიც თავისუფლად ყნოსავს სხვადასხვა ყვავილის სურნელს, რადგან „რაციფნი დიდ-კაცი და მამობილან“ და





„მას დარჩენია ბურთი და მოედანი“. გარემოებამ ბეჟანა ისე გაანებივრა, რომ გარეთუბნის ტურფებთან აღარც კი კადრულობს წასვლას და არისტოკრატიულ სალონში, სალომესთან (ალ. ჭავჭავაძის ცოლთან) მიიჩქარის სადილად. მეორე მუხამბაზის მიხედვით, ბეჟანა სალომეს „მაკრატლის გვირგვინს“ უწოდებს და თან აფრთხილებს: „ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ მეფევე, რომ ზოგჯერ იასაც ვყნოსავო“ („სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგირ“).

ბეჟანასაგან სრულიად განსხვავებული პერსონაჟია „ლხინის პაპა“ – მირზაჯანა მადათაშვილი. იგი ლხინისა და ეშისათვის არის დაბადებული. მუდამ თამადაა და ნადიმი უყვარს მეთარე ალავერდასა და მომღერალ ყოფა ბულბულთან ერთად („სულით ერთნო“). მირზაჯანას მუქი ფერის კანი აქვს, „სახით არაბისტნელსა“ ჰგავს და მუდამ „ქუდჩაკეცილი“ დაიარება.

დიმიტრი ონიკაშვილი „ცეცხლშია ჩავარდნილი“. ეს უაბჯრო, შეყვარებული რაინდი თავისი მზის აივნის ქვეშ ათენებს და აღამებს, იმ იმედით, რომ იქნებ სატრფო გამოჩნდეს, „ლამაზ თვალებით შეხედოს“ და სირინოზის ხმა გააგონოს; მაშინ „ეშისაგან გონება გამოცლილი“ ონიკაშვილი თავს ცამდე აიღებს და ძალმოცემული ორთაქალის ბაღებისაკენ გასწევს. „ყელზე ჩითმერდინიანი“, „საკინძჩამოსნნილი“ დარდიმანდების სუფრაზე სატრფოს სადღეგრძელოს შესვამს („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“).

ნამდვილი ყარაჩოხელია მეთევზე ლოპიანა, სატრფოზე შეყვარებული და მისი ერთგული, „ათი გზა აქვს და ათივე სატრფოსკენ მიდის“; ძილში მხოლოდ მას ხედავს, თვალს გაახელს და ზედ წამნამზედ უზის. ლოპიანა ნატრობს, ორთაქალის ბაღში ნახოს მისმა სანატრელმა არსებამ, როცა „დარდიმანდის ლხინში“ ტოლუმბამადაა და ხელში ჯამი უპყრია, ან როცა მუშტი-კრივშია, მაშინ შეიძლება სატრფოსაც შეუყვარდეს და უთხრას – „ძვირფასი ხარ“. მეთევზე ლოპიანას მიერ წარმოთქმული მუხამბაზი – „გინდ მეძინოს“ – საუკეთესოა გრიგოლ ორბელიანის ამ ციკლის ლექსებს შორის.

მარტივია ძველი თბილისის რაინდთა ოცნებები, სურვილები, გულის დარდები, ისევე როგორც უბრალოა და ხალასი მათი გული, უბოროტო და პირდაპირი, ამიტომაც ყარაჩოხელთა სიტყვები მიამიტობასთან ერთად მათი სულივით ლამაზი და მიმზიდველია:

„რტო აღვისა შენი წელი მგონია,  
 მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,  
 ეგ თვალები – ცაში ელვა მგონია,  
 ვარდის სუნთქვა – შენი სუნთქვა მგონია.  
 გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,  
 თვალთ ავახელ – ზედ წამნამზე მიზიხარ“.

(„გინდ მეძინოს“)

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში, ამ ჟანრში, იშვიათია ასეთი ემოციურად და სახეობრივად დახვეწილი ტაეპები. გრიგოლ ორბელიანს ერთნაირად მაღალპოეტურად შეეძლო საკუთარი ანუ მაღალი წრის მშფოთვარე, ღრმა განცდებისა და უბრალო ხალხის მოქალაქეობრივი გრძნობებით გამთბარი მსუბუქი გრძნობების გამოხატვა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ყარაჩოხელთა ხმაში, მიუხედავად მათთან პოეტის დისტანციისა, მაინც ჟონავს გრიგოლ ორბელიანის დაფარული სურვილები და განცდები, რასაც მაღალი არისტოკრატიული წარმოშობის გამო პოეტი ასე აშკარად ვერ

იტყოდა. თუმცა, მიუხედავად მისი დახვეწილობისა, პირადად ორბელიანისთვისაც უცხო არ იყო დროის ღვინოსა და ეშუში ჩაკვლა. მირზაჯანას „ეპიტაფიაში“ პოეტი თავის გმირს ათქმევინებს:

„მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!  
დალუპე ეშუში და ღვინოში ყოვლი სიმწარე,  
რომ გზა ცხოვრების განვლო ღვინით, ვით მე ვიარე...“

დარდიმანდთა თანამეინახემ ძალიან კარგად უწყის, რომ უსიყვარულოდ სულაც არ არის სანატრელი „სიმრავლე დღეთა“ („ალბომში ღრ. ოპერმანისას“), მაგრამ არისტოკრატიული ზვიადობის გამო დუმს და თავის გმირებს ათქმევინებს სათქმელს:

„ვითა ბალი უყვავილოდ, უვარდოდ,  
არა მიყვარს ღვინი უეშხ-უსატრფოდ!  
მოდო, მნათო, სავსე თასი საღვინოდ  
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ...“  
(„სულით ერთნო“)

სუფისტური პოეზიისაგან განსხვავებით გრიგოლ ორბელიანთან ღვინისა და ქალის რელიგიურ-სიმბოლური გააზრება გამორიცხულია. ღვინოცა და სატრფოც მუხამბაზის გმირისათვის პირველ რიგში მინიერი მადლია და ორივე თრობის მომენტს შეიცავს:

„სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ...  
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქნა მტვერ!“  
(„მირზაჯანას ეპიტაფია“)

დარდიმანდული სულისკვეთებაა ჩაქსოვილი გრიგოლ ორბელიანის მიერ აზარფემის წარწერად ნავარაუდევ აფორიზმშიც:

„ბედსა რად ჰსწყველი? რად ჰსწუხარ?  
რას გარგებს სულმოკლეობა?  
შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება“.

გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზების მხატვრული შემკობა – სახეები და შედარებები – ძირითადად აღმოსავლური ხასიათისაა. მაგალითად, მუხამბაზებში „სავათნავას მიბაძვა“ და „სულით ერთნო“ შექმნილია ხალი, რაც ქალის სილამაზის წმინდა აღმოსავლური აქსესუარია:

„მაგონდების რა მის ღანვზედა ხალი,  
სიყვარულის გულს მეგზვნება ახ ალი“  
(„სავათნავას მიბაძვა“)

„სატრფოს ხალი არს ტახტი სიყვარულის,  
ეს ფიალა იყოს სადღეგრძელო ხალის!“  
(„სულით ერთნო“)

1834 წელს გადასახლებაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი თავის მეგობარ ანტონს სწერდა: „ცუდია უეშყოდ ცხოვრება. ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა – ვალკის ქალაქში სოფიო კრუზე და აქ პეტრონელა; ამ უკანასკნელისა რადგანაც ვარ აზი-ატი, მომწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარიან ესრეთი ქება. ამიტომ ხომ იცი ევროპაში ხალის ქება არ იციან, გემო არ აქვსთ“ („წერილები“, ტ. I).





ღვინო, ქალი, სატრფოს ლოყაზე ეშხის აღმგზნები ხალი... – აღმოსავლურ-მუხამბაზური პოეზიის ეს ატრიბუტები ქართულ დარდიმანდულ პოეზიაშიც გადმოდის და სახეობრიობის თვალსაზრისით ყველაზე ნატიფად გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში იკვეთება. სანიმუშოდ მოგვყავს ორბელიანის ლექსი ინიციალით „ს“, სადაც სატრფოს გარეგნობაა აღწერილი:

„მერცხალნი – თვალნი შენნი,  
გონებისა სხივთ მომფენნი!  
ვარდნი – შენნი ბაგენი,  
მარად მოლიმარენი.  
თოვლ-ღვინო – შენნი ღანვნი,  
მათზედ გარდაშლილ ზილფნი!  
შენი წელი – კიპაროზ!  
და შენი ხმა – სირინოზ!  
ხან სიამით მავსებენ,  
ხან ცრემლთ მაფრქვევინებენ“.

„თოვლ-ღვინოთი“ გრიგოლ ორბელიანმა ქალის სახის შეუდარებელი ფერი დახატა, რომელშიაც სატრფოს მხოლოდ გარეგნობა კი არა, პიროვნული ნიშან-თვისებები წარმოაჩინა. ის თოვლივით ცივია და ღვინოსავით ცხელი, ორივე ერთდროულად: ამიტომაცაა ღვთაებრივი, ტანჯვისა და ლხენის თანაბრად მომნიჭებული. თოვლი ამავე დროს უმანკოებას აღნიშნავს, ღვინო კი ზიარებას. ეს სახე სცილდება დარდიმანდული პოეზიის ფარგლებს და „ჩვენი სიტყვიერების მეუფის“ (როგორც ილიამ გრიგოლ ორბელიანს უწოდა) ინდივიდუალური ნიჭის გამოვლინებაა.

როგორც ვხედავთ, მუხამბაზთა გმირების სატკივარი სრულ დისჰარმონიაში მამულის ბედზე მწარედ ჩაფიქრებული გრიგოლ ორბელიანის განცდასთან, მაგრამ ამ თუნდაც დარდიმანდულ პოეზიაში შეუძლებელია პირადად პოეტის თავშეკავებული ნადილიც არ დავინახოთ; რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ გრიგოლ ორბელიანი არ იყო მხოლოდ მგლოვიარე რომანტიკოსი, ის გახლდათ სიცოცხლით აღსავსე ადამიანი, რომელსაც იზიდავდა ჯანსაღი ცხოვრების ყველა მხარე, მათ შორის ღამაში ქალი და ლხინი. ღვინო იყო პოეტისათვის ის ნიჭი, რომელიც ქალის სილამაზის ქებას წარმოათქმევინებდა. არამუხამბაზური ციკლის ლექსებშიც აშკარადაა გამოხატული გრიგოლ ორბელიანის სწრაფვა და სიყვარული დროსტარებისადმი, მისი მახვილი თვალი კი ყველგან და ყოველთვის აღიქვამს ქალის სილამაზეს, თუნდაც ის მისი სატრფო არ იყოს. ამ მხრივ შესანიშნავ მასალას გვანვდიან გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილებიცა და პოეტური შემოქმედების ის ნაწილიც, სადაც იგი საკუთარი ხმითა და პერსონით წარმოდგება, ე.ი. არ მალავს თავის დამოკიდებულებას არც ლხინისადმი და არც ქალის სილამაზისადმი. როგორც ცნობილია, პოეტი თავად ახორციელებდა ყოველივე იმას, რასაც თავის მეგობარ ანტონ ორბელიანს ურჩევდა:

„ჰე, ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი ანეტარე;  
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;  
ერთს წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულებს გული ვიდრე“.  
(„ანტონს“)

იგივე განწყობილებისაა გრიგოლ ორბელიანის პუშკინიდან თარგმნილი „ლხინიც“. სხვა ლექსში – „ეკატერინა ჭავჭავაძისას“ – პოეტს დროსტარება მარტო მამა-



კაცთა კუთვნილ საქმედ არ მიაჩნია და ეკატერინეს სილამაზით მოხიბლული ასე მიმართავს „წინანდლის ვარდს“:

„იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენივრობს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;  
ვიდრემდის შენ ზე  
დაგნათის, ვით მზე,  
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!“

თუმცა პოეტის მონოღება ლხინისადმი უპირველეს მიზანსწრაფვად და სხვა საქმის უგულვებლყოფად არ უნდა მივიჩნიოთ. გრიგოლ ორბელიანის რუსულიდან გადმოთარგმნილი პროზაული ესკიზი „სამნი მეგობარნი“ მის ჭეშმარიტ, გააზრებულ დამოკიდებულებას წარმოაჩენს როგორც ამქვეყნიურ სიამეთადმი, ასევე ადამიანის ნამდვილი მოვალეობისადმი – სიკვდილის ჟამს კაცს თავის სამ მეგობართაგან პირველ რიგში ტოვებს უპირველესი მეგობარი – ქვეყნიური სიამენი; ნათესავები და მეგობრები სამარის კარამდე მიაცილებენ; მხოლოდ მესამე მეგობარი – კეთილი საქმე – წარუძღვება მას იმქვეყანაში („სამნი მეგობარნი“).

30-იან წლებში დაწერილ პროზაულ კონსპექტში „საქართველო ჩემის დროისა“ გრიგოლ ორბელიანი ჩამოთვლის ყველა იმ სისაძაგლეს, რასაც იმ დროის საქართველოში ჰქონია ადგილი და მათ შორის ასახელებს ლოთობასაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირადად გრიგოლ ორბელიანის ლხინისადმი დამოკიდებულება ასე უნდა გავიგოთ: ნადიმი და გართობა ადამიანისათვის აუცილებელია, ოღონდ ის არ უნდა გადაიზარდოს ლოთობაში, ისეთ თავდავიწყებაში, რომელიც კაცს სიფხიზლეს აძულებს; ლხინი სხვადასხვაგვარია; პოეტისათვის კი ყველაზე მეტად მისაღები და მოსაწონია მამაპაპური ნადიმი, ვაჟკაცური დროსტარება, დარბაისლური ქეიფი გონივრული სჯა-ბაასითა და ძველებური „იარალი-არალით“, რომლის დროსაც სატროფოსაც აქებენ, სიყვარულსაც უმღერიან და მეგობრობასაც, მაგრამ ადამიანის უპირველეს მოვალეობად მაინც სამშობლოსადმი თავდადებას მიიჩნევენ. სწორედ ასეთ ნადიმს აღწერს გრიგოლ ორბელიანი თავის ცნობილ, პატრიოტული შინაარსის ლექსში „იარალი“ და პოემაში „სადღეგრძელო“.

უნდა აღინიშნოს, რომ „იარალიში“ პოეტის მიზანი არ არის ქართული სუფრის აღწერა – მწვადის შიშინისა და კახური ღვინის სმის, ქართული სუფრა სამშობლოს მონატრებაა, უცხო ცის ქვეშ გარდახვენილი ორი ქართველის მიერ მძაფრად აღქმული.

რაც შეეხება პოემა „სადღეგრძელოს“, ეს არის კლასიკური ნიმუში ეროვნული ცნობიერების ადამიანთა სუფრაზე სადღეგრძელოების თანმიმდევრობისა. მისი პირველი ნაწილი – „წინაპართა სადღეგრძელო“ – ლექსად თქმული საქართველოს მოკლე ისტორიაა თავისი ყველაზე ღირსეული, თავდადებული შვილების თაიგულით. გრიგოლ ორბელიანმა ალექსანდრე ორბელიანის (თეკლა ბატონიშვილის შვილი) რჩევებითა და დახმარებით ზუსტად შეძლო საქართველოს წარსულიდან იმ პიროვნებათა სახეების გამოყოფა, რომელთაც მართლაც გამორჩეული ღვაწლი დასდეს ქვეყანას. სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს ის მოსაზრებაც, რომ ილია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილის“ ისტორიული ნაწილის შექმნა საჭიროდ აღარ ჩათვალა მხოლოდ იმიტომ, რომ გრიგოლ ორბელიანის მიერ უკვე ჩამოყალიბებულ ისტორიულ პირთა მხატვრული სახეების გავლენას ვერ ასცდებოდა.





რა თქმა უნდა, „სადღეგრძელოს“ განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ მოქმედების ადგილიც, რაც პოემის სრულ სათაურში აისახება კიდეც – „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს“. ლხინის ადგილს მნიშვნელობა აქვს ნადიმის შინაარსობრივი მხარის განსაზღვრისათვის. ომის დროს, როცა სულ ახლახან მიმდინარეობდა სისხლისღვრა, სადაც დაიღუპნენ თანამებრძოლები და მეგობრები, შეუძლებელია იუმორითა და მხიარულებით აღსავსე სადღეგრძელოების წარმოქმნა, ან ღვინით უზომო თავდავიწყება; ამ დროს მებრძოლი შეზღუდულია, ერთი მიზნით – მტრის დამარცხებით – განმსჭვალული და ომის გაგრძელებისათვის მზადმყოფი. ამიტომაც არის, რომ „სადღეგრძელოს“ თემატიკა ძირითადად პატრიოტულია, რასაც ნადიმის სპეციფიკა განსაზღვრავს; თამადა პირველ რიგში სახელოვანი წინაპრების სადღეგრძელოს სვამს, ამით თანამემამულეთ ქართველ გმირთა საქმეებს შეახსენებს და ეროვნული სიამაყის გრძნობას უღვივებს:

„ძმანო, აღვაკვსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,  
რომელთა დასდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,  
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნეველად,  
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!“

ამავე დროს თამადა ხოტბას ასხამს ღვინოს და „ჭირთ მანელებელ ციურ ნიჭად“ მიიჩნევს:

„და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,  
ლხინით, შექცევით გულნი აღვიგზნე;  
გულის ჭირთმდევნო, ნიჭო ციერო,  
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხინე!“

ეს სიტყვები ლხინის სადიდებელ ნამდვილ ჰიმნს წარმოადგენს და ამ პოემაში რომ არ ყოფილიყო ჩართული, უთუოდ დარდიმანდული ლირიკის ნიმუშს მივაკუთვნებდით. პოემის სპეციფიკა არც იმით ზღუდავს ავტორს, რომ თავის ტოლუმბაშს ზოგადსაკაცობრიო – გონივრული, სიბრძნით აღსავსე და მებრძოლთათვის დამაფიქრებელი – სადღეგრძელოები წარმოათქმევინოს; მაგალითად, ადამიანის არსებობის აზრის შესახებ:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!“  
ადამიანის მოვალეობის –  
„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?  
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?  
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?  
სხვის კვნესა თუ არ გვანუხებს, სხვისი არ გვესმის ტკივილი?“

პოეტი დიდად აფასებს ადამიანის ნიჭს და თვლის, რომ მას გვარიშვილობა არ განსაზღვრავს:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას:  
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის შვილობას!“

გრიგოლ ორბელიანის თამადა წარმოთქვამს მეგობრობისა და სიყვარულის სადღეგრძელოებს, იმ გრძნობების, რომელიც სულიერად ამაღლებს კაცს და სიცოცხლის ძალას მატებს. ამ ამაღლებული სულისკვეთების პოემაშიც სიყვარულს გრიგოლ ორბელიანი ღვთიურ, მაგრამ ხელშესახებ მინიერ გრძნობად ხატავს:

„მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა!  
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!“

სიყვარულის სადღეგრძელოს შესმისას ბრძოლის ქარცეცხლში მყოფი პოეტი (პოემის წერა გრიგოლ ორბელიანმა რუსეთ-სპარსეთის ომის დროს, 1827 წელს დაინყო) მაინც თავდავიწყებას ეძლევა და სიყვარულს უმაღლეს ბედნიერებასა და ნეტარებას – სასუფეველს ადარებს, რომელიც უსიყვარულოდ კარგავს თავის დანიშნულებას:

„თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე, უკვდავევბამან  
მის წილ რა მომცეს?  
უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს!“

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანს XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ყველაზე მრავალმხრივად აქვს შექებული ლხინი. ეს გარემოება არ გამოორჩენია აკაკი წერეთლის მახვილ თვალს, როდესაც ე.წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის დროს, 60-70-იან წლებში, გრიგოლ ორბელიანის გაკილვა მოინდომა, დაცინვის ობიექტად კი სწორედ მისი ლხინისადმი სიყვარული აქცია:

„როდესაც ჩემ წინ სუფრაზე  
ცხელი, შუშხუნა მწვადია,  
მაშინ მე სამშობლოსათვის  
ყოველი კარგი მწაღია!“

(„ქართული პატრიოტობა“)

ეს მართლაც მახვილი სატირა იყო „იარალის“ ავტორზე, რომელიც ნატრობდა, „ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დატრიალებდესო!“ კიდევ უფრო შავი დღე დააყარა აკაკიმ გრიგოლ ორბელიანს ლექსით „პატრიოტის აღსარება“, სადაც მისი ქართველობა მხოლოდ გაშლილ სუფრასთან წარმოაჩინა. (იმასაც ამბობენ, ასე მწარე დაცინვა სამაგიეროს გადახდა იყო აკაკის მხრიდან, რადგან გრიგოლ ორბელიანმა ერთ-ერთ ხელნაწერში – „პასუხი“ – აკაკიები-ბაკაკიებიო – იხმარა.)

აკაკის ეს ტენდენციური შეხედულებები ბევრი კრიტიკოსის აზრს დაედო საფუძვლად, რის გამოც ისინი გრიგოლ ორბელიანს „კუჭის პატრიოტიზმის“ წარმომადგენლად თვლიდნენ. რასაკვირველია, ეს მცდარი მოსაზრებაა და სოციალურ-ისტორიული მოვლენით – „მამათა და შვილთა“ პოლემიკური ხასიათის ბრძოლით უნდა აიხსნას. გრიგოლ ორბელიანის მთელი შემოქმედება პატრიოტიზმის გამოვლინებაა; ახალ თაობასთან ჭიდილსაც თავისი მიზეზები (მართალია, არაობიექტური) ჰქონდა („პასუხი შვილთა“). რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანის ლხინისადმი სიყვარულსა და მის მუხამბაზურ პოეზიას, სწორედ ამან მოუტანა ისეთი დიდი პოპულარობა, რომ საქართველოს პირველ პოეტად, „ლექსთა მეფედ“ ითვლებოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას ძალაუნებურად შვილთა თაობაც იყენებდა. გრიგოლ ორბელიანს ხომ ყველა იცნობდა – უბრალო ქალაქელი მოსახლეობაცა და მაღალი არისტოკრატიული წრეც; მის მუხამბაზებს მღეროდნენ როგორც ლიტერატურულ სალონებში, ასევე ორთაჭალის ბაღებსა და სამიკიტნოებში; თუ პოეტის ღრმა და შინაგანი სევდით გაჟღენთილი ლექსები მაღალი წრის საზოგადოებას კვებავდა, ყარაჩოხურმა ლხინმა და მსუბუქმა ტრფობამ ორბელიანი უბრალო ქალაქელი საზოგადოების უსაყვარლეს პოეტად აქცია.





## ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ ორბელიანი XIX საუკუნის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა; გამორჩეული ოჯახით, წარმომავლობითა და თუნდაც პოეზიით. მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსები დიდი მრავალფეროვნებითა და განსხვავებული პოეტური ხედვით არ ხასიათდება, მაინც მოგვწონს სინრფელითა და უაღრესად დიდი პატრიოტული განცდით. ეს განცდა იმდენად მნიშვნელოვანი იყო პოეტისათვის, რომ ვახტანგ ორბელიანმა უარყო პოეზიის ყველა თემა და მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის იდეას უძღვნა თავისი თავიცა და პოეზიაც. მან უარყო ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის დარდიმანდული ლირიკა და პოლემიკური შინაარსის ლექსით – „პოეტს“ – დაიწუნა მუხამბაზის კილო, თუმცა თავად ეს ლექსი ამგვარივე, მუხამბაზურ კილოზე ააჟღერა:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა,  
იმ კილოთი რა იმღერო პოეტო,  
თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო...  
მე არ მიყვარს სურათები ამ-გვარი,  
მუხამბაზით სხვა რას იტყვი მითხარი?“

ამ ლექსითვე უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელმა, თეკლე ბატონიშვილის შვილმა, უარი თქვა ქალაქურ ნადიმზე, ღვინის სმასა და გართობაზე. ეს არც არის გასაკვირი, ვახტანგ ორბელიანი ყოველთვის გარკვეული პოზით წარმოდგება როგორც ცხოვრებაში, ასევე პოეზიაში. მისი შინაგანი ქედმაღლური ბუნება კარგად ჩანს მაღალფარდოვან ლექსიკასა და პათეტიკურ ტონშიც, რაც მისი ლექსების პირველივე სტრიქონებიდან იგრძნობა. თუმცა, რასაკვირველია, ყველანაირ ლხინს არ უარყოფს პოეტი; მისთვის მისაღებია ბუნების წიაღში, გომბორის მთაზე, ფიქრით ქეიფი, როცა სამშობლოს ბუნების ცქერით ხარობს თვალი და როცა სამშობლოს სადღეგრძელო ისმევა (ღვინით კი არა) კახური ვაზის ნექტარით:

„ვზივარ ფიქრითა გომბორისა ზურმუხტის მთაზედ,  
და თვალი ხარობს შენს მშვენიერს გაფურჩქვნილს ველზედ;  
ესვამ შენთ ვაზთ ნექტარს, და ვლილინებ: იყავ ბედნიერ,  
იყავ ბედნიერ, იდღეგრძელე მრავალ ჟამიერ!“

ვახტანგ ორბელიანმა როგორც პოეზიის თემა შემოსაზღვრა მხოლოდ სამშობლოთი, იგივე ტენდენცია სადღეგრძელოსაც მიუსადაგა და ბუნებასაც, – სადღეგრძელო უნდა იყოს მხოლოდ სამშობლოსი; კახეთი იმიტომ არის ლამაზი, რომ სამშობლოს სახეა, იქ პატარა კახის გმირული სული ტრიალებს; კახეთშივე ეგულება პოეტს თამარის საფლავი და თავადაც კახეთში სურს დამარხვა:

„იმ არეს ახლო მოყვასნო,  
სადაც მარხია თამარი,  
იქ ვაზებს შუა უდროვო,  
სჩანს მისი წმინდა სამარი!..“

„ვაზებს შორის თამარის წმინდა სამარი“ ისტორიული თვალთახედვით მოულოდნელი, მაგრამ პოეტურად დახვეწილი მხატვრული სახეა. თამარი ქართველთათ-

ვის ღვთისსადარია და თუ ღვთის (რომლის სიმბოლური სახე მზეა) წილი მიწაზე ვაზია, მაშინ თამარის საფლავიც ვაზებს შორის არის მოსალოდნელი. ამ მხატვრულ სახეში იმდენი სიყვარული, ტკივილი და სიამაყეა ჩაქსოვილი, რომ ჟრუანტელს გვრის ადამიანს, რომელმაც იცის საქართველოს ისტორია, იცის თამარისა და ვაზის ფასი ქართველებისთვის და მათ სიმბოლურ კავშირსაც აცნობიერებს.

ვახტანგ ორბელიანი ვაზის ჯვრის აპოლოგეტია ქართულ ლიტერატურაში. მის ლექსებში პოეტიზირებული სახით გვხვდება ვაზის ჯვარი და წმინდა ნინო. მისთვის ეს ჯვარი და ივერია ერთ მთლიანობად მოიაზრება. ვაზის ჯვრის მაღლი მთელ ერზე გადმოდის, რაც იძლევა ივერიის კვლავ აღდგენის იმედს, ეს უკანასკნელი კი უპირველესი მოტივია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ ორბელიანის საზოგადო კვნესა-ობვრაში ვაზისა და ღვინის თემატიკამაც იჩინა თავი და, როგორც მოსალოდნელი იყო, პატრიოტულ გრძნობას დაექვემდებარა.

## მიხეილ თუმანიშვილი

ბარათაშვილის სიყრმის მეგობარმა, პირველი ლიტერატურული აღმანახის, ე.წ. „ანთოლოგიის“ და ხელნაწერი ჟურნალის «Цветок Тифлисской Гимназии»-ის გამოშვების ინიციატორმა, მიხეილ თუმანიშვილმა, გიმნაზიის დამთავრებისთანავე სახელმწიფო სამსახურში დაიწყო მუშაობა. ცალკე სამსახურმა და ცალკე მრავალრიცხოვანმა ოჯახმა ( 12 შვილის მამა იყო ) იგი თანდათან ჩამოაშორა მწერლობას, მაგრამ მისი რამდენიმე ლექსი იმდენად პოპულარული იყო, რომ მიხეილ თუმანიშვილს პოეტის სახელი დაუმკვიდრა, თუმცა მას პოეზიაში ახალი არაფერი უთქვამს; მისი განწყობილებანი და ჩივილი გაცილებით ადრე გამოხატა რომანტიკოსების უფროსმა თაობამ – ალექსანდრე ჭაბჭავაძემ და გრიგოლ ორბელიანმა; ხოლო რაც შეეხება მის თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილს, მიუხედავად ერთნაირი თემატიკისა და მსგავსი მხატვრული სახეებისა, მიხეილ თუმანიშვილმა ვერ შეძლო ბარათაშვილის პოეზიასთან ახლოს მისვლაც კი. ერთი ინტერესების მქონე ორი მეგობრიდან ერთი გენიოსად ჩამოყალიბდა, მეორე კი ჩვეულებრივ პოეტად დარჩა და დაიწრდილა კიდევ დიდი ნიჭიერების გვერდით.

და მაინც, როცა ბარათაშვილის ლექსთა ხსენებაც კი არ იყო საქართველოში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მიხეილ თუმანიშვილის რამდენიმე ლექსი და მათ შორის „ფიალა“, რომელიც ლადა-ზაბლოცკიმ პოლონურადაც კი თარგმნა. ეს თარგმანი დაიბეჭდა ლადა-ზაბლოცკის თხზულებათა ლაიფციგის გამოცემაში.

ლექსის შინაარსი მარტივია: ღვინის ნაპერწკალი ფიალაში დულს და ელავს; ქალის ღიმილიანი ბაგე სიყვარულის ნყურვილის კოცნით დამაამებელია, უეშხო და ღიმილგამქრალი კი დაცლილ ფიალას ჩამოჰგავს.

ქეიფისა და ქალის დამფასებელმა ქართველებმა, და არა მხოლოდ მათ (აღბათ პოლონელებმაც), ლექსში დამაამებელი, თავიანთი განწყობილების შესაბამისი აზრები აღმოაჩინეს.





## ნიკოლოზ ბარათაშვილი

წარმოუდგენელია, ისაუბრო ქართველ რომანტიკოსებზე და ბარათაშვილი არ ახსენო, თუნდაც იმის გამო, რომ ვაზისა და ღვინის თემას პოეტი საერთოდ არ შეხება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ზოგადსაკაცობრიო ფიქრებმა ისე მოიცვა მისი გონება, რომ ყოფითისა და ამქვეყნიურისათვის აღარ ეცალაო. ეროსულ გრძნობას, განსაკუთრებით ქალისადმი ტრფიალს, ბარათაშვილმა საკმაოდ მიუძღვნა ლექსები. ამ მხრივ მან თავისი წინამორბედების – ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის – გზა გააგრძელა და მეგობრებს მიმართა:

„აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,  
ნუ მოარიდებთ სიყმანვილეს ტრფობისა ალსა!  
სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს,  
და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!..“

(„ჩემთ მეგობართ“)

ბარათაშვილი ქალის ხორციელ სილამაზესაც მოეფერა. მისი ამგვარი ლექსები განსხვავდება სატრფიალო ლირიკის იმ ნიმუშებისაგან, სადაც პოეტი ნამდვილ სიყვარულზე – „მშვენიერ სულთა კავშირზე“ – კოსმიური მასშტაბებით მსჯელობს; მაგრამ ხორციელ გრძნობასაც უნაზესი სიტყვიერი გამოხატულება მოუნახა ჩვენმა მგოსანმა და გრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ღვინით შეთამამებული კაცის სიტყვებია, რომელიც თავის გულისნადებს აღარ მალავს სატრფოსთან – სურს, რომ ბაგე მისი საყურის ქვეშ „დაიტკბარუნოს“, იქვე შესვას უკვდავების შარბათი და სულითაც ზედ დაეკონოს. ბარათაშვილის ეროტიკაში ბევრია ტრადიციული, მაგრამ ბევრია სიახლეც, ინდივიდუალური, პოეტური თვალითა და სულით დანახული, სიცოცხლის აზრის, ხალისის შემცველი და ღირებული.

...რაოდენ გასაკვირია, რომ ბარათაშვილს სანუთროებას ღვინო კი არა, ცა ავიწყებს, თუნდაც ის ნელად მოდუღუნე მტკვრის ზვირთებში მოსჩანდეს; გადაუდებელ საქმეებს არაგვიანი არაგვი ადებინებს და რაც უნდა შორ გზას ეშურებოდეს ქართველი, როგორ იქნება, რომ არაგვის ბუჩქებში არ „ჩამოხდეს“ და არ „განისვენოს“?!

„სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,  
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოაღვიძებს – შუბლს განიგრილებს,  
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,  
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,  
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,  
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს!“

მხოლოდ ამ ერთ ლექსში გაიელვა ღვინომ ბარათაშვილის შემოქმედებაში და ისე შეუმჩნევლად ჩაჯდა პოეტის მშფოთვარე და მღელვარე თემატიკაში, რომ კინაღამ გამოგვრჩა.

კიდევ ერთ წარწერას გვინდა შევეხოთ, რომელიც ბარათაშვილმა პეტრე ბარათაევისადმი მიძღვნილ აზარფემაზედ გააკეთა:

„ამავსებ ღვინით,  
აგავსებ ლხინით,  
შესვი? გაამოს!“

ბარათაშვილმა ამ წარწერისათვის უთუოდ გამოიყენა სოლომონ რაზმაძის „ღიანას მეჯლისი“, სადაც ღმერთქალი ქართველ ბანოვანთა ქებას წარმოთქვამს, თითოეულს ფიალით ასმევს სიყვარულის ალს და თან დასძენს:

„შესვი? გაამოს!  
ან კვალად იამე  
სოფლისა სიამე,  
მერე განანონ მუზებმა ნანა.  
შესვი? გაამოს!“

ბარათაშვილმა ამ მოზრდილი ნაწარმოებიდან მხოლოდ რეფრენი აიღო – „შესვი? გაამოს!“ და თვითონაც მხოლოდ ოთხიოდე სიტყვა დაუმატა. ეს ექვსი სიტყვა სამუდამოდ დარჩა, როგორც ბარათაშვილის მოსწრებული ნათქვამი, სისხარტით თქმული აფორიზმი, რომელიც დღესაც სიამაყით ჟღერს ქართულ სუფრებზე.

## რაფიელ ერისთავი

„ბოდბეში ჩავუარე ერთი ღვინის დუქანს, სადაც რამდენიმე ქართველი დროს მხიარულად ატარებდა. როცა დამინახეს, დაჟინებით მთხოვეს მათთან დავრჩენილიყავი და დამელია, მაგრამ მადლობა გადავუხადე და მოუბოდიშე. უკან ვბრუნდებოდი, ისინი შუა ქუჩაში გამოვიდნენ, ქუდები მოიხადეს და თასი მომანოდეს. ამჯერად მის დაცლაზე უარი ვეღარ ვუთხარი, ჩემი კეთილი მასპინძლები სერიოზულად რომ არ გამენანწყებინა. ეს პატარა ინციდენტი ქართული ხასიათის საუკეთესო გამოვლინებაა – როცა ქართველი მხიარულობს, სურს რომ ეს სიხარული ყველამ გაიზიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უბედურად ჩათვლის თავის თავს.“

მე მინახავს ერთი ქართველი მემამულე, რომელმაც რამდენიმე წუთით მიატოვა ლხინი და თავლაში შევიდა, რომ თავისი ერთგული ცხენისათვის გაეზიარებინა საყოველთაო მხიარულება იმით, რომ მას ბავაში უამრავი ქერი დაუხვავა.“

რაფიელ ერისთავი

„გაუმარჯოს გლეხკაცის მარჯვენას, ცის ნამს და დედამინის მოსავალს!“ – ეს პირველი ჭიქით ნათქვამი რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოა; რაფიელ ერისთავი კი ის ქართველი პოეტია, რომელიც ზედმინევნით იცნობდა ვენახებით დაფარულ „საქართველოს ბაღნარს“, თავისი ხალხის შრომისმოყვარე ბუნებასა და სტუმარმასპინძლობას, ქართული ღვინის თავისებურებას, ღირსებასა და ნაკლს, ღვინის სმის ტრადიციებს, სადღეგრძელოთა წესსა და რიგს, ღვინის სასმისებსა და ა.შ.

რაფიელ ერისთავმა იმ გლეხთა შრომის დასაფასებლად, ვინც „ნამდვილ“ ღვინოს აყენებდა, არ ერიდებოდა გარჯას იშვიათი, ძნელად მოსავლელი ჯიშების გადასარჩენად, თბილისში (დღევანდელი პუშკინის ქუჩაზე) დუქანი გახსნა, მაგრამ, ბუნებით პოეტს, ვაჭრობის ნიჭი არ აღმოაჩნდა, ყიდვა-გაყიდვის მაგივრად დუქანი





საქველმოქმედო დაწესებულებად აქცია და მალე გაკოტრდა კიდეც. მართალია, პოეტმა ღვინით ვაჭრობას თავი ვერ მოაბა, მაგრამ ღვინის დამფასებლად სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ის იყო ვაზის, მის მოვლაზე განეული შრომის, ქართული სუფრისა თუ ქართული ტრადიციული სასმისების პოეტური სიტყვით შემამკობელი. „ღვინო“, „ყანნი“, „რთველი“, „ფერხულის ხმაზე“, „მევენახის სიმღერა“... – ზემოთქმული ლექსთა ამ სათაურებითაც აშკარაა.

რაფიელ ერისთავის მამა – დავით ერისთავი – მთელ კახეთში ცნობილი და შეძლებული მებატონე გახლდათ, დედა – ავთანდილ ამილახვრის ასული – მსხვილ ფეოდალთა შთამომავალი; მათი შვილი რაფიელი კი იმით გამოირჩა ქართულ მწერლობაში, რომ გლეხთა ცხოვრებისა და ოცნების გამომხატველად იქცა; „ტეტიათა მოტრფიალეს“ კი უწოდეს, რადგან სოციალური თემა არა მარტო პროზაში შემოიტანა, არამედ პოეზიის საგნადაც აქცია. 1824 წელს დაბადებული რაფიელი ქრონოლოგიურად „ძველ თაობას“ ეკუთვნოდა და წესით რომანტიკოსი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამჯერადაც ისე არ მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო და, ნახევარ საუკუნეს გადაცილებული, რეალისტთა ლიტერატურული თაობის რიგებში აღმოჩნდა. მეტად ნიჭიერ მწერალს დრო და ეპოქა ალბათ უფრო წარმოაჩენდა, მაგრამ XIX საუკუნემ ის ილიასა და აკაკის ჩრდილქვეშ მოაქცია.

სამი ძირითადი მოტივი გამოიყოფა რაფიელ ერისთავის პოეზიაში: სატრფიალო, სოციალური და პატრიოტული. ამ სამივე მოტივში პოეტმა სახეობრივად გააცოცხლა ვაზი და თავისი მყარი ადგილი მოუნახა საკუთარ შემოქმედებაში.

რაფიელ ერისთავი პირველი პოეტია ქართულ მწერლობაში, ვინც ქალის ბუნება და სილამაზე, კვიპაროსისა და საროს ნაცვლად, ვაზში აღიქვა და მას შეადარა:

„რისთვის მიყვარხარ? – მისთვის რომ ხარ ეგრე ლამაზი:  
წყნარი და მშვიდი, მასთან მარდი, ვით რომ გავაზი,  
ვარდის და ბროლის ხარ სადარი, ტურფა და ნაზი...  
მისთვის მიყვარხარ, რადგან ხარ უფლისა ვაზი“.

(„რისთვის მიყვარხარ?“)

ვაზთან შედარება ქალის ტანის ვაზისებურ მოხრილობად არ უნდა წარმოვიდგინოთ; ვაზი მიხრილ-მოხრილია, რადგან მასში მზის ენერგია ანუ უფლის მადლია დატეული; ქალის სილამაზეც ამ მადლის გამოვლინებაა, – გვეუბნება პოეტი, – მისი გარეგნული მშვენებისა და უმანკო ბუნების შერწყმაა.

სოციალური თემატიკაც რაფიელ ერისთავმა ვაზის სიყვარულით გაათბო, როცა მუდამ გაჭირვებული გლეხის ერთადერთ იმედად და ნუგეშად ვაზი დასახა; ვაზი, რომელიც „წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა“. ამიტომაც ეთაყვანება გლეხკაცი მას და ერთგულად მსახურობს:

„შენის ზედაშის მადლს ვფიცავ,  
შენ არ მოგაკლო ბარია,  
გაგსხლა, შაგყელო, დაგთოხნო,  
არც კი ჩნდეს მონათხარია,  
გაგფურჩქო, გაგალამაზო,  
როგორც რომ პატარძალია,  
ალარ დავზოგო მე შენთვის  
ჩემი ღონე და ძალია“.

(„რთველი“)



პოეტი წარმოაჩენს ვაზის უდიდეს ღირებულებას გლეხისათვის, მისი მოვლის სირთულეს, იმ მრავალგვარ სამუშაოს, რომელიც მას ესაჭიროება (გასხვლა, გათხვნა, შეყვლა, გაფურჩქვნა), და ამავე დროს იმ სიხარულს, რომელიც ნაყოფის მიღებას მოაქვს. რაფიელ ერისთავისთვის რთველი რიტუალური პროცესია – შრომაში ყველა ჩართულია, ყველა აღგზნებული და გახარებულია, თითქოს შემოდგომის ბარაქიანობა და სავსეობა ადამიანებზეც გადმოდის და ბუნებრივად ათრობს მათ:

„მტევნებს ჰკრეფენ, ჰგლეჯენ, სჭრიან,  
გაჰკრეს, გაჰკრეს ვენახს ხელი,  
კალათები იზვირთება –  
და შეიქნა ხშირი რთველი...  
საურმეზე გოდრები სდგას,  
კალათს სცლიან ზედი-ზედა,  
აბა ბიჭო მარნისაკენ,  
თორემ ძლიერ გაიჭედა...“

(„რთველი“)

პოეტი ბოლომდე და თანაც დანვრილებით აღწერს რთველის პროცესს, თავადაც ტკბება მისით და სხვასაც ამ განწყობილებას გადასცემს:

„აგერ ტკბილმაც მოიმატა,  
ძლივსლა იტევს მოკლე ღარი,  
ჩქაფა-ჩქუფით მოჩქრიალებს,  
ქვევრი დახვდა უმაძლარი!“

(„რთველი“)

რაფიელ ერისთავმა გვიჩვენა, რომ გლეხის ცხოვრება, რომელიც ლოგიკით მწუხარე უნდა იყოს, სიხარულითაა აღსავსე, რადგან თავად გლეხიც ბუნების შვილია და ბუნებისგან მიღებული ჯილდოც უზომო სიხარულსა და სიყვარულს ანიჭებს. გლეხს და მასთან ერთად პოეტს ქალზე არა ნაკლებ ვნებიანად უყვარს ვაზი და გრძნობამონოლილი დასძახის:

„ვაზის ჭირიმე, ვაზისაო...“

მის ალერსიან განცდებში პატრიოტული, მშობლიური გრძნობაც ერევა:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,  
ულვაშებ გადაგიგრეხია,  
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა,  
შუაზე გადაგიტეხია...  
მოკვდები მე შენს ძირშია,  
შენით ვარ მხნე და გულადი  
იმედით გასაჭირშია“.

თუ სატრფიალო ლექსებში ვაზი ქალურობის განსახიერებაა, პატრიოტულ მოტივში იგი ულვაშებგადგრეხილი ვაჟკაცის სახეს იღებს, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია (ჭიგოს კი არ ჩასჭიდებია, არამედ ჩაჰკონებია) და ძალის გამოვლინებაც (ეს ჭიგო შუაზე გადაუტეხია). ამიტომაც ნატრობს პოეტი მის ძირში სიკვდილს, მისით არის მხნე, გულადი და იმედია.

რაფიელ ერისთავის ესთეტიზირებული დამოკიდებულება ვაზისა და ღვინისადმი ქართული ხასიათის საუკეთესო გამოვლინებაა ზოგადად.





## ილია

„ილიას პურადობა, მასპინძლობა ნამდვილი „ქართველური“ იყო, „ჩვენებური, ძველებური“. აიღეთ თუ გინდა იმის დღეობა, ილიაობა, ოცს ივლისს... ვინ აღწერს ამ დღისათვის სამზადისს, სიუხვეს საჭმელ-სასმლისას, სანოვაგისას? ასეთი ლხინი, შექცევა, ნადიმი, შეჰშენით მხოლოდ ტროადის გმირებს, როგორც თვალწარმტაცის ფერადებით აგვიწერს ჰომიროსი თავის „ილიადაში“. მეც უნდა ჰომიროსის კალამი მქონდეს, რომ ღირსეულად აღვწერო ილიაობა.“

იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებები“

ილიაობა საგურამოში იმართებოდა და სამი დღე გრძელდებოდა. დღეობისათვის რამდენიმე დღით ადრე იწყებდნენ მზადებას. სტუმრებს წინა დღით ავჭალასა და მცხეთაში ახვედრებდნენ ეტლებს, შეკაზმულ ცხენებს და ურმებს ბარგისთვის, რადგან ისინი წინა დღესვე იწყებდნენ საგურამოში ჩამოსვლას. ილიას კარმიდამოში ოთხი-ხუთი სუფრა იშლებოდა: კაკლის ქვეშ – ქალაქელი სტუმრებისათვის, რომელთა შორის იყვნენ საზოგადო მოღვაწეები, მსახიობები, ბანკის და რედაქციის თანამშრომლები, სულ ასიოდე კაცი; კაკლის გაყოლებაზე, ხეებქვეშ წინამძღვრიანთ სკოლის მოსწავლეები ისხდნენ თავიანთ მასწავლებლებთან ერთად; მათ მეთაურობდა ამ სკოლის დამფუძნებელი და მისი მუდმივი გულშემატკივარი ილია წინამძღვრიშვილი; იქვე, გაყოლებით, საგურამოსა და წინაშურის სამასამდე გლეხისთვის ცალკე იყო გაშლილი სუფრა; ტრადიციულად ტოლუმბაშად შეუდარებელ თამადას – რაფიელ ერისთავს – ირჩევდნენ. ნადიმი საუცხოო იყო როგორც სუფრით – საჭმელი საჭმელს ცვლიდა, ერთი თავი მეორეს, ღვინო ისმებოდა ჯერ ჭიქებით, შემდეგ თასებით, ჯამებითა და ბოლოს ყანწებით, – ასევე თეატრალური სანახაობით, პირველ რიგში კი სიმღერით. ქალაქელები მღეროდნენ „მრავალყამიერს“, „ყანწით ვსვამ ღვინოს“, „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმესა“ და სხვა ამისთანებს. აქ მოისმენდით ასიკო ცაგარელის შიქასტებსაც, ზურნა-დუდუკზე შესრულებულს, და მის ზომავადასულ ხუმრობებსაც. ღვინის დაღვევის თეატრალურ სანახაობას (ღვინით სავსე ჭიქის ხელის გულზე ტრიალს და სხვა ამისთანებს) ქალაქელი დარდიმანდი გიგო ყარანგოზიშვილი მართავდა. წინამძღვრიანთკარის მონაფეები აღნიაშვილის ხოროს რეპერტუარიდან ტკბილად და შეწყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერა იყო „მწყობრი, სმენის დამატკობელი, გულის გამამხიარულებელი. ის არა ჰგავდა უხამს შიქასტას“; გლეხები მძლავრად და ღონივრად გუგუნებდნენ. ლხინის დროს იცოდნენ თამაში, ცანგალას ჩამოვლა, ფერხულის გაბმა, ჭიდაობის გამართვა... საღამო ხანს ჯერ მონაფეები იშლებოდნენ; სკოლამდე საკმაო მანძილი ჰქონდათ გასავლელი; მათ გლეხები მიჰყვებოდნენ და ბოლოს ქალაქელი სტუმრები, რომელთა უმრავლესობა საგურამოშივე რჩებოდა. დიდ ოთახში სამოცამდე ლოგინი იყო პირდაპირ იატაკზე მწკრივად გაშლილი... მეორე დილას ზოგი ჩაის მიირთმევდა, ზოგი – ღვინოს და ზოგიც ჭრიანტელას ანუ ტყემლის წვენს ამჯობინებდა, რომ უფრო ადვილად შედგომოდა ახალ სუფრას, სმასა და ჭამას. ილია ყველას ურჩევდა ხელი არაფრისთვის ეხლოთ, რადგან მათ მსუქანი ხაში ელოდებოდათ. ნაადრევად მომზადებული სადილის შემდეგ სტუმრები ზედა ზენს მიაშურებდნენ, სადაც ლხინი ღამისთევით იმართებოდა, მხოლოდ მესამე დღეს ემშვიდობებოდნენ თავიანთ „გულუხვსა და პურად მასპინძელს“.

იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებები“ (გვ. 128-134)

არ მოიძებნება მეორე ქართველი პოეტი, რომელსაც იმდენი ცოდნა ჰქონდეს მეღვინეობის დარგში, რამდენიც ილია ჭავჭავაძეს აქვს. ჩამოვთვალოთ თუნდაც პუბლიკაციები: „ღვინის ქართულად დაყენება“ (1887წ.), „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“ (1886-1887წწ.), „მევენახე გლეხთა მდგომარეობა“ (1887წ.), „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში“ (1889წ.), „ფილოქსერა“ (1889წ.), „ვაზის სნეულებანი“ (1889წ.), „ვენახების წამლობის შესახებ“ (1890წ.), „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“ (1892წ.), „ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში“ (1900წ.); ჩამოთვლილ წერილთა მხოლოდ სათაურებიც კი გვიჩვენებს, როგორი მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვებია პროფესიით არამეღვინე ავტორს ამ დარგში. მიზეზი? ილიას მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზეზი პატრიოტიზმია – ქართველი ხალხის საჭიროება; მით უმეტეს, თუ საქმე ერის სულიერსა და მატერიალურ სიმდიდრეს ეხება. ქართველთა სიმდიდრე კი პური და ღვინოა. „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ,“ – ამაყად განაცხადებს ილია და ქართველობას ამ დარგების აღორძინებისაკენ მოუწოდებს, რადგან სწორედ ეს დარგებია ქართველის „ეკონომიურის ცხოვრების სახსარი“. „მინათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძლოლად“, – წერს ილია, – „ღვინო და ყოველიგვარი ეგრეთნოდებული საპურე მარცვალი. ამ ორგვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგივართ და დიდი ხანია მის გზაზე ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ“ („ღვინის დაყენება ქართულად“, ტ.VII, გვ. 73). ილიას გული სწყდება, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან და თვით ქართველებისგანაც შესაბამისად არ არის დაფასებული ამ ორ დარგში ათასწლეულების მანძილზე ჩვენ მიერ დაგროვილი გამოცდილება; უპირატესობა უცხოურ ცოდნას ეძლევა და უგულვებლყოფილია ღვინის ქართულად დაყენების უძველესი მეთოდები, ზოგადად ქართული მეღვინეობა, „რომელიც ყოველისფრით დედაა ღვინისა“; ქართველი დადუმებული უგდება ყურს უცხოეთიდან ჩამოსულ კაცს და ჭკუის მასწავლებლად სახავს განურჩევლად იმისა, სწავლულია ის თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი. დიდ მამულიშვილს გული უკვდება, რომ ქართველები დავბრმავდით და დავიჯერეთ, რომ „ყველანი ყველაფერში ჩვენზედ უკეთესნი ოსტატები არიან. დავიჯერეთ და მერე როგორ? ჩვენი აღარაფერი ვინამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ. ის-კი გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მინათმოქმედებისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიში ჩასაგდება, გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემონმებული საქმე და საქმიანობა“ (იქვე, გვ. 75). ქართველის ასეთ შეშინებას, გამძლეობის დაკარგვას ილია უცხო ქვეყნებით „თავბრუსხვევას“ აბრალებს და დაწვრილებით, თითოეული დეტალისა და წესის გათვალისწინებით იწყებს მსჯელობას ღვინის ქართულად დაყენების მეთოდის უპირატესობაზე. ილია წინასწარმეტყველებს: „...იგი ნაკლი ჩვენი ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენნი შინაურნნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის...“ (იქვე, გვ. 77). ღვინის ქართულად დაყენება პირველ რიგში გულისხმობს მის ბუნებრიობას – რომ ყურძნის წვენს არაფერი შეერიოს: „ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ ღვინის კე-





თებაში ბუნებას კაცმა აჯობოს“ (იქვე, გვ. 85). ილია უარყოფს ღვინის დაყენების ევროპულ მეთოდებს, რომლებიც ყურძნის წვენში სხვა მასალების ჩამატებასა და შერევაზე დაფუძნებული. მისი აზრით, მხოლოდ ბუნებრივ ღვინოს აქვს ის სასარგებლო და სამკურნალო თვისებები, რომელიც ადამიანს ძალზედ რგებს, აღონიერებს, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, „აღამაღლებს მის ჭკუასა და გულს. ერთი ყლუპი კარგის ღვინისა გამოახალისებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძღურებულს და დასუსტებულსა“ (იქვე, გვ.85).

თავის წერილებში ილია საუბრობს ვენახის მიწის დამუშავებაზე, ყურძნის კრეფის დროზე, დაწურვის მეთოდებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ღვინის დაყენების სპეციფიკაზე, შენახვის წესებზე, ქვევრის უპირატესობასა და მის ნაკლზეც, ქვევრის შერჩევის სიძნელეზე, მარნის მოწყობაზე, ღვინის ხელოვნურ გაკეთებაზე, უცხოეთში შემუშავებულ „ღვინის კეთების“ სისტემებზე, ღვინის გამძლეობაზე, ღვინით ვაჭრობაზე, ღვინის კანონზე და ა.შ. როგორც ვხედავთ, ილიას, ამ საქმით დაინტერესებულ პირს, მეცნიერულ დონეზე შეუსწავლია ღვინის ქართულად დაყენების ხელოვნება და მასში ის უპირატესობაც დაუნახავს, რაც ევროპულად დაყენებულ ღვინოს აკლდა. მეღვინეობაზე შექმნილ წერილებში გვხიბლავს ილიას ლოგიკურობა, აზრთა ისე ოსტატურად ერთმანეთზე გადაბმა, რომ დასკვნა თავად მკითხველს გამოაქვს. ილიას სტილი – ლოგიკურობა, ღრმა აზრი და ამ აზრის გამოხატვა ზუსტად მისადაგებული ტერმინოლოგიით – მეღვინეობის თემაზე შექმნილი წერილებისთვისაც ნიშანდობლივია, ხოლო მწერლის გამოცდილება სოფლის მეურნეობის ამ დარგში, რასაკვირველია, მხატვრულ ნაწარმოებშიც აისახება. ამ მხრივ საინტერესოა „ოთარანთ ქვრივიდან“ „მადლიანი შემოდგომის“ აღწერა და არჩილისა და გიორგის საუბარი ვენახის მოწყობის საკითხებზე. განსაკუთრებით ამ მეორე ეპიზოდზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან სწორედ აქ გამოჩნდა ილიას პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება. ახალი ვენახისათვის არჩილმა ჭადრაკის ფიცარივით უჯრა-უჯრად დაყოფილ მიწაზე მწკრივად და ლარზედ გააშენა ვაზი. ასეთი განაწილება, ერთი მხრივ, კარგი იყო, რადგან ვაზს მზე და ნიავი თანაბრად დაუვლიდა, მაგრამ არ გამოდგებოდა მშრალ მიწაზე და თანაც ფერდობზე გაშენებული ვენახისათვის, სადაც ვაზს წელიწადში ერთხელ მაინც ესაჭიროებოდა მორწყვა; მაღლიდან დაქანებული წყალი მიწას ქვევით ჩაიტანდა და ჩარეცხავდა. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ ათქმევინებს ილია თავის გმირ არჩილს, – „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის ... ყველა გონიერი კაცი, თუნდა უნიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისთვისაც კი ოსტატია“. ასეთი ოსტატია ილიასათვის ქართველი გლეხი, რომლის ცოდნა-გამოცდილება არა მხოლოდ ჩვენ უნდა დავაფასოთ, არამედ ჩვენზე ბევრად წინ წასული ევროპელებისთვისაც სამაგალითო უნდა გახდეს.

საკვირველია, მაგრამ ილიას ლირიკაში ღვინის თემაზე მხოლოდ ერთი ლექსი მოიძებნება – „ლოთის რჩევა“ – და ისიც მწერლის თვალთახედვას ნაწილობრივადაც არ გამოხატავს. პირიქით, ლექსში გაკრიტიკებულია ჭკუისა და გონების ავტორიტეტი, რაც ნამყვანია ილიასათვის მუდამ – ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში. ლექსის სათაურიც სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ლოთის რჩევებია და არა ავტორის, ლოთისა, რომელსაც ყველანაირ დიდებას ქალის კოცნა და კახური ღვინით სავსე თასი უჯობს. სხვასაც ამასვე ურჩევს: ცალი ხელით მიჯნურს ეხვიოს, მეორეთი კი კა-

ხურს ყლაპავდეს, არ დაუჯეროს „უგემურ ჭკუას“, რომელიც მუდამ ბრმაა გრძნობის განსჯაში.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ ილიამ ეს ლექსი ახალგაზრდობის ასაკში, თითქმის სიყრმის დროს დაწერა, თავს მაინც არ მისცა უფლება, რომ ის საკუთარ ნააზრევად წარმოეჩინა და ლექსს „ლოთის რჩევა“ დაარქვა.

ქართული პოეზიისათვის დაუფინყარი, ღვთიური და ეროვნული ნიშნის მატარებელი სახე-სიმბოლო შექმნა ილიამ ლექსში „გაზაფხული“ ობოლი ვაზის სახით, რომელიც ბარბარე ჯორჯაძემ (იმდროინდელი მწერალი, „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელი) დაუნუნა „მერცხლის ჭყვივითან“ ერთად. ილიამ „მერცხლის ჭყვივითან“ დაკავშირებული შენიშვნა მიიღო, „ობოლ ვაზზე“ კი განაცხადა: „უკაცრავად არ ვიყო, თავის ალაგას კარგად არისო. თქვენ რომ „შინიდან კარში ფეხი გამოგედგათ“, გაიგებდით, რომ ხმარობენ: ობოლი მარგალიტი, ობოლი ხე, ობოლი შტოო...“

ილიამ ვაზს ეპითეტი „ობოლი“ შეურჩია. რატომ არის ვაზი ობოლი? ობოლი ღვთიურობის მანიშნებელი ეპითეტია, ძვირფასი საუნჯის, ხელშეუხებელისა და მიტოვებულის. სიძვირფასის გამოა ის ღვთისსადარი; მიტოვებულობა და მარტოდმყოფობა ის ნიშანია, რომლის გამოც უნდა გამოირჩეს. მიტოვებული და ობოლი ღვთის ანაბარა მყოფია, ანუ მასთან უფალია. ილიას ობოლი ვაზი „მეტის ლხენითა სტირის“. ვაზის ტირილს ხალხში უნოდებენ ვაზის გასხვლის შემდეგ ვაზის წვეროებიდან სითხის დენას: გასხვლა აუცილებელი პროცესია ვაზის მოვლისათვის, რათა „ფესვის ძალა კენწეროში ტყუილა არ ავიდეს და მცენარეებში განაწილდეს“. ვაზის ტირილს, რომელიც მცენარისადმი სიბრალულის გრძნობას ბადებს, ლხენა მოაქვს. ლხენა ნაყოფია. ვაზის მოვლასთან დაკავშირებული ეს პროცესი მშვენივრად უწყოდა ილიამ, მევენახეობის მეცნიერმა, და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ თავის პოეზიაში არა მხოლოდ გამოიყენა, არამედ სახე-სიმბოლოს გააზრება მისცა. ვაზი ობოლია, ვაზი მტირალია, ის უფლის ანაბარაა და უფალი მას ბედნიერებას – მტევანს – მიანიჭებს. ცხადი ხდება, თუ რატომ აირჩია ილიამ სამშობლოს განახლების სიმბოლოდ „ობოლი ვაზი“. ის ზუსტად ასახავს ქრისტიანულ იდეალს – უბრალოა, რომელსაც ძვირფასი მოაქვს; მტირალია, რის საფასურადაც ლხენა ენიჭება; და ობოლია, ამიტომ ღმერთი არ მიატოვებს. იგივე ეპითეტები საქართველოზეც შეიძლება გამოვიყენოთ – უბრალო, მტირალი, ობოლი, მაგრამ ამავე დროს ძვირფასი, ტირილის საფასურად განწმენდილი და ობლობისათვის – ღვთისგან რჩეული. როგორც ვაზი და მის მოვლაში ჩადებული ტანჯვა-შრომა იძლევა ნაყოფს, ასეთივე წვალეებით, შრომითა და განწმენდით მოხდება საქართველოს განახლება, საქართველოს ამწვანება, მისი გაზაფხულობა. თუ არ ივნო, ვერ აღდგება. ეს ქრისტიანული იდეა მსჭვალავს ძველ ქართულ მწერლობას და ასეთივე სიმბოლური მნიშვნელობით გადმოდის ახალი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა აზროვნებაშიც. მიჯაჭვული და ტანჯულია აკაკის ამირანი, ობოლია ვაჟას შვლის ნუკრი, ხმელია წიფელი, დაჭრილია არწივი და ობოლია ილიას ვაზიც.

„ობოლი ვაზი“ ქართულ ცნობიერებაში მყარად დამკვიდრებულ, მრავლისმთქმელ, ფართო მასშტაბის მხატვრულ სახედ ჩამოყალიბდა, რომელიც გასცდა ვაზისადმი, როგორც ღვთიური მცენარისადმი, თავყვანისცემის გამოხატულებას და მასში ქვეყნის მომავლის რწმენის იდეა აისახა.





## აკაკი

„სანდრო თოიძემ და იაგორ მამინეიშვილმა განიზრახეს საკუთარი რესტორნის გახსნა. მოაწყვეს ყველაფერი და ახლა იმის ფიქრში შევიდნენ, ისეთი რა სახელი დაეარქვათ, რომ მოკლე იყოს და მუშტარიც ბევრი მოიზიდოს. ბევრგან იკითხეს და ბოლოს აკაკის მიჰმართეს.

– „მუქთი“ დაარქვითო, – მოუჭრა მოკლედ აკაკიმ, – სიტყვა მოკლედ არის და მიმზიდველიც, მუშტარს ველარ აუხვალთ, ისე დაგებხვევიან, როგორც ბუზი თაფლსაო.

ბოლოს ამ რესტორანს „პურ-ღვინო“ დაარქვეს.“

იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებები“ (გვ.151)

„ერთხელ გრიგოლ გურიელმა მითხრა ოზურგეთში, რომ ერთ მოხუცს, ნაკაშიძეს, შენი ნახვა ენატრება და, თუ ნებას მომცემ, ცხენს გავუგზავნი – აქედან შეიდ ვერსტზეა – და ჩამოვაყვანიებო. მართლაც, იმ ღამესვე მოვიდა მოხუცი და სიამოვნებით შემომყურებდა, თუმცა კი ლაპარაკით თავს არ გვანწყენდა. გავაბით საუბარი ჩვენებურ ლხინებ-შექცევაზე და მე მაშინ ის აზრი წარმოვსთქვი: რა სჯობს იმას, როდესაც მასპინძელი ისე მიგიღებს, როგორც შინაურს-მეთქი? მოხუცი ნაკაშიძე ყურს გვიგდებდა, არას ამბობდა და როცა გამოგვეთხოვა, დიდის მონინებითა გვთხოვა, რომ პარასკევს იმას ვწვეოდით. ჩვენც, რასაკვირველია, სურვილი ავუსრულეთ. მიგვიღო შინაურულათ, სადილზე სამარხვოს მეტი არა მოუტანია რა, მაგრამ იმ სამარხვოების ჭამას არა სჯობდა-რა... დღესაც კიდევ პირში მაქვს მაშინდელი გემო... სუფრაზე არც ტოლუმბაში, არც „მრავალჟამიერი“ და არც სადღეგრძელოები, მაგრამ ისე-კი გავმხიარულდით ყველა, რომ ძალ-დაუტანებლად შევზარხოშდით, თითქოს რაღაც უმანკო ძალა გვხიბლავდა ყველას. ნასადილევს, ნასვლის დროს, მასპინძელი მიუბრუნდა გრიგოლ გურიელს და მადლი გადაუხადა: „ბატონიშვილო, ღმერთმა ნუ დაგივიწყოს, რომ გახსოვარ და ეს ყმანვილი გამაცანი, – მე მეგონა, რომ ღვინის დაძალება და სმა ახალისებდა კაცს, ახლა გამოდის, რომ მხიარულება და სიამოვნება ასმევს თურმე კაცს ღვინოს. იცოცხლე, დღეს მე დაგიხვედებოდით, როგორც ჩვეულება მქონდა; ძროხასაც თავს გავავადებდი და საკლავებსაც ბევრს მივაყოლებდი, მაგრამ თურმე სულ ტყუილი ხარჯი იქნებოდა, თქვენ ლობიო გრჩევენებით. სხვა რომ ვინმე დამეპატიჟნა, ასი მანეთით ვერ გადავრჩებოდი და თქვენზე კი არა დამხარჯვია რა, მაგრამ, რავარც ვხედავ, არც თქვენ, სტუმრები, დამირჩით ნაკლებ ნასიამოვნები და მეც კმაყოფილი ვარ!... ახლა კი, ჩემო ბატონიშვილო, ეს შესანიერი, თქვენ რომ უფასო შკოლა გამართეთ, მისი იყოს, იმას ცოტას წაეხმარება და მეც მოგებაში ვარო...“ ეს უთხრა და ოცდახუთმანეთიანი გადასცა. მას აქეთ ბევრი ლხინი დამეინყებია, მაგრამ ეს კი საფლავის კარებამდი მიმყვება.“

აკაკი წერეთელი, „კახეთში მოგზაურობა“, (ტ.13, გვ. 310)

აკაკი წერეთელი გამორჩეულად ვარდის მოტრფიალე პოეტიცა, ანუ ბულბული-სა და ვარდის ტრფობის ამბავს ხშირად იყენებს სხვადასხვა იდეის გამოსახატავად; დაპირისპირების მხატვრულ სახეებსაც მის შემოქმედებაში, ერთი მხრივ, ვარდნი და

იანი, ხოლო, მეორე მხრივ, ეკალ-ბარდები და ბაყაყები ქმნიან. ვაზს აკაკი წერეთელი არ მოჰფერებია, თუმცა ამ მცენარემ თავისი მხატვრული სახე მაინც შექმნა აკაკის შემოქმედებაში. აკაკი წმინდა ნინოსა და ვაზის ჯვრის თემას შეეხო, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვაზისა და ჯვრის მხატვრული სახეები მის ლექსში ქართული ღვთისმეტყველებიდან უცვლელად გადმოდის. ვაზის ჯვარი ქრისტიანული იდეალის თანახმად უბრალოში – ხეში – ჩადებული ბრალი და სიმდიდრეა; სიმდიდრეა, რადგან რწმენა, გრძნობა და გულისთქმაა. ვაზი კი, მიუხედავად მასალის უბრალოებისა, ნიშანია ეროვნულობისა; ამიტომაც ვაზის ჯვარმა ორი სიმბოლო ერთდროულად იტვირთა და ერის რწმენის გამოხატულებად იქცა. სწორედ ამ სიმბოლიკის ახსნას გამოხატავს აკაკის ლექსიც „ნინობას“:

„მას არ ჰქონია საუნჯე  
დაუდებელი ფასისა,  
სიმდიდრედ ხელში ეჭირა  
უბრალო ჯვარი ვაზისა,  
მისის ცრემლებით ნაბანი,  
შეკრული იმისივე თმით,  
სურვილით გამაგრებული,  
განმტკიცებული გულისთქმით.  
და ის მოგვიძვნა ქართველებს  
საშვილიშვილო სიმდიდრედ,  
ჩვენც სჯული და ეროვნება  
ორივე მასზედ ვამკვიდრეთ“.

(„ნინობას“)

ვაზს აკაკი შედარების სახითაც იყენებს, თუმცა მისი მეშვეობით ღრმა მხატვრულ სახეს არ ქმნის. ლექსში „მესტვირული“, სადაც აკაკი საზოგადო მოღვაწეების მამათა თაობას ახალ წელს ულოცავს და თითოეული მათგანის დახასიათებას იძლევა, ლევან მელიქიშვილისადმი (გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც 1883 წელს მთავარ-მართველის მოადგილედ დანიშნეს; ცდილობდა ლიბერალად მოეჩვენებინა თავი ქართული საზოგადოებისათვის, მაგრამ თავისი შეხედულებებით მაინც მამათა თაობას ეკუთვნოდა) სიმპათიას და მის ოჯახიშვილობას ამგვარი შედარებით გამოხატავს:

„ერთხმად აქებენ ყველანი:  
კარგი არის ლევანიო,  
ქართული ყურძნის ვაზია...  
სანაქებო მტევანიო“.

(„მესტვირული“)

ახალგაზრდა ქართველი ქალბატონების ბუნების გადმოსაცემად კი აკაკი შეუდარებელ, საუცხოო მეტაფორას – „უმანკოების ვაზებს“ – იშველიებს:

„ალავერდი „კნიაჟნებს“!  
უმანკოების ვაზებს!“

(„ალლა-ვერდი“)

უმანკოება, რომელიც ქალს უნდა ამკობდეს, მცენარის თვისებად იქცა, რითაც ადამიანისა და მცენარის – ორივეს – ბუნება ერთდროულად იტვირთა.

აკაკის მრავალ გამოცანათა შორის ერთ-ერთი ყურძენსა და ღვინოს ეძღვნება და თითოეული მათგანის თვისებებსაც წარმოაჩენს:





„დედასაც ვჭამთ, შვილსაცა ვსვამთ,  
ორივე გემრიელია;  
დედა ახალი სჯობია,  
შვილი – რაც უფრო ძველია.“

(„გამოცანები“)

ღვინის სიძველეს აკაკი სხვა ლექსშიც („ჩემს მეგობარს“) აქებს და მას მოხუცის სულს ადარებს:

„და გვამი, რაც უნდ დასუსტდეს,  
მაინც ძლიერობს სულიო,  
როგორც ძველ, ნახმარ ჭურჭელში  
კახური შენახულიო“.

(„ჩემს მეგობარს“)

დაძველებულ ღვინოს მეტი სიძლიერე აქვს ისევე, როგორც ცხოვრებაგამოვლილ სულს; დასუსტებული სხეულიც ნახმარი ჭურჭელივითაა, რომლის სიძვირფასეც მის შიგნითაა მოთავსებული. ღვინის შედარება ადამიანის სულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს და ამ სასმელის ღვთაებრიობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

აკაკი თავის ლექსებში ხშირად და სხვადასხვა კონტექსტით მოიხსენიებს ქართულ ტრადიციულ სასმისებს და, შეიძლება ითქვას, მათი ასეთი მრავალფეროვნებით წარმოჩენა მე-19 საუკუნის მწერლობაში მხოლოდ აკაკისთან გვხვდება: ერთგან პოეტი ირონიულად საუბრობს „ქართულ პატრიოტობაზე“, რომელიც ზოგიერთებს ღვინის დაღვევის შემდეგ ეხსნებათ:

„როცა გადავკრავ ნუნუას  
თას-ყანნით, გინდა კულითა,  
მაშინ მეც ზეცას ვავედრებ  
ამ ჩემს სამშობლოს გულითა.“

(„ქართული პატრიოტობა“)

მეორეგან, ხალხურ მოტივებზე შექმნილ ლექსში, სადაც წელიწადის 12 თვეა დახასიათებული, აკაკი ღვინობისთვის ამბობს:

„ღვინობისთვის დააცივებს,  
რთველში კათხას დაიჭერსო.  
გიორგობისთვის ქორნილში  
ეტყვის „მრავალ-ჟამიერსო!“

(„ხალხური“)

მესტირულ ჰანგებზე შექმნილ ლექსში კი ასე ეპატიჟება პამპულას:

„უნდა ლხინში დაგვენვიოთ,  
დაგიხვდებით წინილითა:  
გოჭის-კუდს ზედ დაგითავებთ,  
ღვინოს გასმევთ ჭინჭილითა“.

(„პამპულა“)

ლექსში „გამოფხიზლება“ პოეტი კულით სვამს წინაპრების შესანდობარს:

„და აქ კი შესანდობარსა  
ჩავარაკრაკებ კულითა



და შემოვძახებ თამამად  
გრძნობით აღვსილის გულითა“.  
(„გამოფხიზლება“)

როგორც ვხედავთ, სახეზეა ქართული ტრადიციული სასმისების მთელი არსენალი: თასი, ყანწი, კულა, კათხა და ჭინჭილა. ეს სასმისები, რომელთაც დღეს იშვიათად ხმარობენ, ახლობელია მე-19 საუკუნის ქართველისათვის, ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსახმარი; აქედან გამომდინარე, ისინი პოეზიაშიც მოხვდნენ, რადგანაც გარემოების საყვირმა და ტრადიციების მოტრფიალე აკაკიმ ისინი „ცხოვრების სარკეში“ აღმოაჩინა და ლექსში ფოტოფირსავით დააფიქსირა.

ზემოთ ჩამოთვლილ აკაკის ლექსებში სხვადასხვა თემა იშლება, სადაც ვაზი და ღვინო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ ქართული ყოფისაგან განუყოფელია. სპეციალურად ღვინისადმი კი აკაკის მიძღვნილი აქვს საკმაოდ ვრცელი ლექსი „ჩაისა და ღვინის ბაასი“. უღვაშაპრეხილი, დოინჯუმეორტყმული, მკვებარა ნუნუა თავს არ უყადრებს მდულარე და წყალ-წყალა ჩაის, რომელსაც თავის უპირატესობად ის მიაჩნია, რომ უცხო ქვეყნის შვილია და განათლებას შემოჰყვავს საქართველოში; უწყინარია და ჭირსა თუ ლხინში ყველასათვის სიამოვნებით მოსახმარი. ღვინის აზრით, ჩაის პოპულარობა დროის ბრალია – „დრონი მეფობენ“, თორემ ძველად ჩაი ჩირადაც არ მოვიდოდა ნოეს გამოგონებულ სასმელთან, რომელსაც პატივისცემის ნიშნად ზედაშეს ეძახდნენ. იგი იყო ჭირვეულის ნუგეშიცა და წყლულის დამაამებელიც, მისი მეშვეობით ისმებოდა სულის მოსახსენებელი – მკვდრების შესანდობარი და ცოცხალთა სადღეგრძელოც. ჩაი ასე არ ფიქრობდა: ღვინის კარგ თვისებებთან ერთად მის ცუდსაც ხედავდა. მას შეეძლო ბრძენისთვის ჭკუის დაკარგვინება, ვაჟკაცისთვის ღონის გამოცლა, მჭევრმეტყველისთვის ენის დაბმა, უწყინარისთვის ცოდვის ჩადენინება. ბევრჯერ მოჰყოლია მას ჭინჭყლი, ჩხუბი, სისხლის და ცრემლების ღვრა. ღვინის მტკიცებით, ესეც უკუღმართმა დრომ მოიტანა, მის შემხედვარე კაცს კი გზა-კვალი აერიო, ვეღარ გაარჩია კარგი ცუდისგან. ახალმა დრომ ყველაფერი შებლალა – ყურძნის სინმინდეც და ძველი ჩვეულებაც. ადრე სად გაიგონებდით ყურძნის შენამვლას გოგირდით და შაბიამნით, გველი ხომ არ იყო?! ნანამლი ღვინოც არავის ერგებოდა. აკაკის აზრით, მოუნამლავი აღარაფერი დარჩა – აღარც გრძნობა და აღარც ჭკუა. ამის გამო ხალხს მტერ-მოყვარეც აერიო.

აკაკის სწამს, რომ დროის შესაფერს ისევ დრო წაიღებს, როგორც ქარის მონაბერი ისევ ქარს მიაქვს. სიმართლის მთქმელი კი დარჩება ისევე, როგორც ძველი და ტრადიციული სასმელი ღვინო. როგორც ვხედავთ, აკაკი გამართლებას უძებნის ღვინის საქვეყნოდ ცნობილ თვისებას – ადამიანის გონებაზე ზემოქმედებას და მას ზედმეტ დოზას კი არ აბრალებს, არამედ ახალ დროებას.

ამ ერთი ლექსით – „ჩაისა და ღვინის ბაასი“ – აკაკიმ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ღვინოს და იგი ტრადიციულის, მუდმივისა და შეუცვლელის სიმბოლოდ დასახა. როგორც აკაკის ბუნებაა ზოგადად მსუბუქი, ასეთივე სიმსუბუქით წაიმღერა მან ღვინოზეც; მხოლოდ ჩაფიქრების შემდეგ თუ მიხვდება მკითხველი, რომ „ჩაისა და ღვინის ბაასით“ აკაკიმ შესაბამისი სახე მოუნახა იმ იდეას, რომლის გამოხატვაც სურდა, და მისი სიმბოლური გააზრებით მასშტაბურობა შესძინა კონკრეტულ შინაარსს. სხვათა მსგავსად, ამ ლექსშიც იდეა და სახე იმდენად განუყრელი არიან, რომ გიჭირს





თქმა, რომელი იყო მისთვის მთავარი, ღვინის ტრადიციულობა თუ ახალი დროის კრიტიკა, თუ ზოგადად ძველისა და ახლის ურთიერთმიმართება, როგორც მათი მუდმივი ჭიდილი.

ძველი და ახალი დროის ღვინის შედარება ყველაზე უკეთ პოემა „თორნიკე ერისთავში“ გამოიხატა. აკაკიმ საუკუნეებისნინანდელი ღვინი გააცოცხლა, როდესაც მშვიდობიან დროს ბატონი და ყმა ერთად მოილხენდა „უქმე-დღეზე“. მის მიერ აღწერილი სადღეგრძელოებიცა და მათი თანმიმდევრობაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, აკაკის პოეტური ენით კი ასე გამოითქმის:

„მთვრალობა და „სადღეგრძელო“  
 სათვითო არ იცოდნენ;  
 ჩვენი ღვინი რომ ენახათ,  
 სირცხვილითაც დაიწვოდნენ.  
 პირველ სმაზე ახსენებდნენ  
 საქართველოს და უფალსა,  
 დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ  
 მეფესა და დედოფალსა;  
 ბოლოს გმირებს იგონებდნენ,  
 მამულისთვის ომებში მკვდარს,  
 და მღვდელთმთავრის კურთხევითა  
 სვამდენ იმათ შესანდობარს...  
 სულ ამითი თავდებოდა  
 მაშინდელი სადღეგრძელო,  
 თუმცა მათში მეტი იყო  
 საქები და სასახელო“.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ ტრადიციული, დარბაისლური და ვაჟკაცური, ქართული ღვინის აღწერით აკაკიმ კიდევ ერთხელ გაილაშქრა რუსული ყოფის, ღრეობისა და მთვრალობის წინააღმდეგ, რაც, პოეტის დაკვირვებით, ჩვენში XIX საუკუნეიდან დამკვიდრდა. საინტერესოა ის ვარაუდიც, რომ საქართველოში პირადი – „სათვითო“ – სადღეგრძელოები არ ყოფილა და ესეც სხვა ერთან აღრევის, უცხო, მლიქვნელური ჩვევების დამკვიდრების ნაყოფს წარმოადგენდა.

ბოლოს გვინდა აკაკის პროზასაც შევხვით და გავიხსენოთ ბიძინა ჩოლოყაშვილის სიტყვები „ბაში-აჩუკიდან“: „ტკბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავცვლი იმ ჩემ ღვინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი!.. გემრიელია თქვენი მურასა-ლავაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მირჩევნია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძველების ნაწილები ურევია... დიახ, ნაწილები!.. ჩვენი საყანეები მათის ძვლებითა და ხორციით არიან დაპოხიერებული! მართალი არის ჩვენი გლეხკაცობა, როდესაც ღვინის დაღვევის დროს პირჯვარს იწერს და, პურის გატეხის წინეთ, ჯერ პურს ემთხვევა!.. ის წმიდა-წმიდათა, ზიარებაა ჩვენთვის...“

აკაკისათვის ღვინო და პური არა მხოლოდ ქრისტეს სისხლსა და ხორცთან ზიარებაა, არამედ მშობელი მიწის უპირველესობის, მისი „წმიდათაწმიდობის“ აღიარება, ეროვნულთან ზიარება, ქართველის ცნობიერების გამოხატვა ანუ ერთმანეთისგან განუყოფელი რწმენა და სამშობლო.

## ვაჟა-ფშაველა

*ერთხელ ვაჟას შუა ქორწილში ნეფიონისთვის (სიძის ნათესავებისათვის) უთქვამს, ერთ ბოთლზე გეპატიუებითო. ნახევარი ქორწილი გამოჰყოლია, ლუკას ცოტა აქვს სასმელი, მარტო ნეფიონს პატიუებსო; აბა ვნახოთ, ერთი ბოთლით ვის დაგვათრობსო, – მისი დაცინვა, გახუმრება მოუნდათ. ლუკას ოცდაექვსბოთლიანი ერთი შუშა გამოუღია, მაგიდაზე დაუდგამს და თან სტუმრები გაუფრთხილებია: სანამ არ დასცლით, არ გაგიშვებთო. – აკი სთქვი, ერთი ბოთლი მაქვსო, – გაცეცებულა ხალხი. – მაშ, ცხრა ხომ არ არისო, – უპასუხია ვაჟას. თურმე ერთიმეორეს ეუბნებოდნენ: ერთი ბოთლი გვეგონა და ერთი შტოფი ყოფილაო... ლუკამ ჭკუით გვაჯობაო ... აჯობა კიდევ!*

გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი – „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“ (გვ.62)

ვაჟასთვის უცხოა ღვინისა და ვაზის კულტი. მწერალი იმ კუთხის შვილია, სადაც ვაზი არ ხარობს, ამიტომაც ვერც ღვინოს აყენებენ. ვაჟა „მთის არწივია“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, მთაში კი არაყს ხდიან და ლუდს ხარშავენ. ეს არის და ეს. ღვინო მხოლოდ ბარიდან ამოაქვთ, რაც ოჯახის სიმდიდრისა და მასპინძლის სიუხვის გამოხატულებაა. ვაჟასთვის ვაზი მშობლიური, ახლობელი მცენარე არ არის. მწერლის სათქმელს იანი, დეკანი, ღვიანი, პირიმზე და ქუჩი გამოხატავენ; ისინი არიან ვაჟას დობილებიცა და ძმობილებიც. მიუხედავად ამისა, ვაჟა მარტო ფშაველი ხომ არ არის, ქართველია, რომელსაც სამშობლოდ მთელი საქართველო ესახება თავისი მითითა და ბარით; ამიტომაც წარმოუდგენელი იყო, რომ მის შემოქმედებაში ვაზს, ქართული სამეურნეო ყოფისაგან განუყოფელ ამ საკულტო მცენარეს, თავისი მხატვრული სახე არ შეექმნა. და მართლაც, ილიას „ობოლი ვაზის“ მსგავსად მის შემოქმედებაში ვხვდებით „მოხუც ვაზს“. ეპითეტი „მოხუცი“ ისეთივე ინტიმურია, დიდი სიყვარულისა და ახლობლობის გამოხატულებაა, როგორც „ობოლი“, იმ განსხვავებით, რომ „ობოლს“ ძვირფასის მნიშვნელობა ეძლევა – „ვით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები“, „მოხუცი“ კი მის უძველესობასა და ქართულ მიწაზე მის მკვიდრობაზე მიგვანიშნებს. ღვინო მოხუცი ვაზის რძეა, რომელიც წამოზრდილ ყმანვილს შუბლს უხურვებს, ავაჟკაცებს და სამშობლოს მტრის წინააღმდეგ წელზე გორდას შემოარტყმევიანებს („ბავშვს“). როგორც რძეა აუცილებელი ჩვილის გამოსაზრდელად, ასევეა ღვინო ყმანვილის დავაჟკაცებისათვის; ისიც იგივე რძეა, ოღონდ მოხუცი ვაზისა, რომლის ასაკშიც ჩვენი ქვეყნის უძველესი ადათი, ტრადიციები და ეროვნებით თანდაყოლილი ვაჟკაცობა იგულისხმება:

„გვერდს გისხდებიან სწორები,  
ვისმენ თქვენს სუფრულ მღერასა.  
იძახებთ „ჰარუნანოსა“,  
ზედ დართულს „დელი-დელასა“,  
რა რძე მოხუცის ვაზისა  
შუბლს შეგიხურებთ ყველასა.





ჰხარობდი, ხარო-ირემო,  
თვალი დაუდგეს მელასა!“  
(„ბავშვს“)

ეს რძე მხოლოდ ხარ-ირმებს ერგებათ, ომიდან დაბრუნებულ და ისევ მტრისკენ მზირალ ვაჟკაცებს, მშიშრებისა და მელიებისთვის ის განკუთვნილი არაა.

ღვინო ვაჟასთვის, უპირველეს ყოვლისა, მისი დადებითი თვისებებით ფასობს. ის ავინყებს ადამიანს რეალური ყოფით გამონვეულ სიდუხჭირეს, ვარამს და, მიუხედავად მისი ჩაგრული მდგომარეობისა, საბრძოლველად განაწყობს, ე.ი. ის ადამიანის გამამხნეველი და ცხოვრების სწორი გზისკენ წარმმართველი სასმელია, ამიტომაც მოეფერა ვაჟა მის „მშობელს“ და პატივისცემის გამოსახატავად ერთადერთი, მაგრამ განუმეორებელი ეპითეტიტ მოიხსენია – „მოხუცი ვაზი“ უწოდა და ჩადო მასში ის განცდა, რომელსაც ეს მცენარე ზოგადად ქართველი კაცის შეგნებაში ტოვებს. ეს შეგნება კი ვაჟამ მთის ყოფისათვის დამახასიათებელი სიტყვებითა და კილოთი ჩამოაყალიბა ლექსში „ქეიფი“, რომელიც ნებისმიერი ასაკის ქართველისათვის საყვარელი ლექსია:

„დამისხი, დამალევიწე,  
ე ღვინო ოხერ-ტიალი,  
ეგება წალმა ვიფიქრო  
სოფლის უკულმა ტრიალი!  
ეგება გულის ვარამი  
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,  
თვალწინ დამიდგეს ლამაზი,  
ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია.  
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,  
გადავერიო ზღვაშია.  
თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს  
სიკვდილი მიჯობს ცდაშია,  
ვერ მაანონებთ კარგ ყმასა,  
რაც არ უფდება ჭკვამია!“  
(„ქეიფი“)

„კარგი ყმა“ ფოლკლორული გმირია, რომელიც მუდამ მზადაა სახელოვანი სიკვდილისათვის; „ცდა“ იგივე გამოცდაა კარგი ყმისათვის, ომია; მხოლოდ ამ დროს – ბრძოლაში – ეძლევა მას იღბალი ანუ ღვთის მადლი, რომელიც გამოარჩევს კარგ ყმას სხვა ყმებისგან. ფოლკლორულ მოტივზე შექმნილ ამ ლექსში კარგი ყმის პიროვნულ სიძლიერესთან ერთად იხატება ღვინის ის თვისება, რომელიც ხელს უწყობს ვაჟკაცის კარგ ყმად ჩამოყალიბებას.

ვაჟას ლექსში „მთა და ბარი“ მოსავალმდიდარი და „სთველ-ზაფხულ ბარაქიანი“ ბარის უპირატესობად ისიც არის მიჩნეული, რომ იგი გულის დარდებს „წითლის კახურის ღვინითა“ გადაიყრის ხოლმე, რასაც მთა მოკლებულია, მაგრამ საქართველო ხომ მთისა და ბარის ერთიანობაა და მთიელნიც სარგებლობენ ბარის სიმდიდრით. მართალია, ძირითადად არაყსა სვამენ, მაგრამ ერთ-ერთი ლექსის მიხედვით „ძველთ შესანდობარს“ ხარის ყანწში ჩასხმული ღვინით მიირთმევენ და ძველ დროსაც ამგვარად განადიდებენ:

„კარგად ცხოვრობდნენ ძველად,  
არაყსა არც კი კადრობდნენ,  
ღვინოს შოვობდნენ ხელად,  
ვინც ყანნს არ დასცლის, მასპინძელს  
ის მიაჩნია მგელადა“.

(„შემოდგომა მთაში“)

ლექსში ყანნის ბოლომდე დაცლის ტრადიციაც გამოიხატა. ყანნი ხარის ან თხის რქისაგან გაკეთებული სასმისია, რომლის სუფრაზე დადგმა ხშირად ვერ ხერხდება (ყირავდება), ამიტომ ის ბოლომდე უნდა დაიცალოს. ტრადიცია ამ რიტუალში აქსოვდა მტერზე გამარჯვების სიმბოლურ მნიშვნელობასაც – ყანნის ბოლომდე დაღვევით ბოლომდე ნადგურდებოდა მონინალმდევე. ამიტომაც სასმისის დაცლის შემდეგ გავრცელებულია გამოთქმა: „ასე მტერი დაგეცალოს“, რასაც ვაჟას ლექსში უკიდურესი სახე მიეცა:

„ვინც არ დასცალოს, რაც შასვა,  
შხამად შაერგოს, გველადა!..“

(„შემოდგომა მთაში“)

ვაჟკაცობის უკიდურესი სახით გამოხატვა ნიშანდობლივია როგორც ფოლკლორისათვის, ასევე ვაჟას ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილი ლექსებისათვის.

ყანნის ბოლომდე არშემსმელი იტოვებდა მტერს, რომელიც მისი პირადი კი არა, ქვეყნის მტერი იყო, ამიტომ ასეთ არავაჟკაცურ საქციელს მასპინძელი და სუფრის წევრები მას არ პატიობდნენ. მთაში ღვინის იშვიათობის გამო ბარად მომავალ მწყემსს იმის გაფიქრებაც კი ახარებდა, რომ კახეთში მოელოდა ღვინო და მაჭარი, რაც ძალ-ღონეს შეჰმატებდა:

„და რაკი კახეთში ჩავა,  
დაჰლევს ღვინოს და მაჭარსა,  
მუხლებში გაიმართება,  
დაეფერება ჩაფარსა“.

(„შემოდგომა მთაში“)

ვაჟკაცობის და ძალ-ღონის მომატებასთან ერთად ღვინოს ვაჟას შემოქმედებაში კიდევ ერთი საუცხოო თვისება გააჩნია. ის შხამს სასარგებლოდ გარდაქმნის; ოღონდ ყველასთვის – არა. სწორედ ამ თვისებას ემყარება კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ვაჟას მთელს შემოქმედებაში გამორჩეული და ანდაზად ქცეული ხატოვანი თქმა:

„სიცოცხლემ შხამი მასმია,  
მე კახურ ღვინოდ შავირგე“.

(„სიცოცხლემ შხამი მასმია“)

ვაჟას გენიალურ სიტყვებში მთელი ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი ისახება, რამაც გადაარჩინა ქართველობა – ეს არის სასონარკვეთილების გადალახვა და სწრაფვა სიხარულისკენ, მხიარულებისკენ; ანუ დამთრგუნველ ატმოსფეროში სიხარულითა და ბედნიერებით ცხოვრება, რაც ვაჟას არაერთი ლექსის თემაა, მისი მსოფლმხედველობაა და არა მარტო საკუთრივ მისი. ამ აზროვნების საფუძველი ქრისტიანული ოპტიმიზმია, ვაჟა კი მას არაჩვეულებრივ სიტყვიერ გამოხატვას უძებნის.





ღვინო სიმბოლური და, შეიძლება ითქვას, საკრალური მნიშვნელობითაც იხატება ლექსში „დამისხი, დამალევი“. აქ ღვინო დედის რძესთან არის შედარებული და „კახური ვაზის ნაჟური“ ჰქვია. ეს ნაჟური, ჩვენდა საკვირველად, არ ესმევა პოეტს, ყელში არ გადასდის, უგუბდება; ნაძალადევად მიღებული კი შხამ-ნაღველად ექცევა. ამ საოცარი ფაქტის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ დაბერდა და ვერ უშველა თავის მიწას. „თმაგათეთრებულს“ კი რაღა შეუძლია?! უკვე გვიანია, ე.ი. ღვინოს ორგვარი დანიშნულება ჰქონია: ზოგისთვის შხამს სასარგებლო ნივთიერებად გარდაქმნის, ზოგისთვის კი თავად იქცევა შხამ-ნაღველად. აქედან გამომდინარე, ის ღვთიური სასმელია: საპირისპირო თვისებების მქონეა და თავის მოქმედებას ადამიანზე თვით არ წარმართავს (ე.ი. მასში ღვთის ნება ვლინდება, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებულის მხარეზეა). საპირისპირო თვისობრიობის შემცველობა კი ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ყოველთვის აღიქმებოდა ღვთაებრივ ბუნებად, გამომდინარე დიონისე არეოპაგელის ტრაქტატიდან „საღვთო სახელთათვის“, სადაც ღმერთი გამოიხატება როგორც შეცნობადი და შეუცნობელი, ხილული და უხილავი, უჟამო ჟამი, უსახო სახე და ა.შ. კონტრასტის პრინციპზე აგებულ ასეთ სახეებს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ანტინომიურ წყვილთა ერთობას უწოდებენ. ეს უაღრესად საინტერესო წარმოშობის სიმბოლიკა გადააზრებულია როგორც ზოგადად ქრისტიანულ აზროვნებაში, ასევე ამ აზროვნების საფუძველზე შექმნილ ლიტერატურაში და ღვთიურის მნიშვნელობა ენიჭება. ღვინოც ღვთიური სასმელია, კონტრასტული თვისებები აქვს, რომელთა მოქმედება ღვთის ნებაზეა დამოკიდებული. ღვინო ვაჟკაცად აყალიბებს ადამიანს, გამბედაობას, ბრძოლის უნარს გამოუმუშავებს, ყოველდღიურ წვრილმანსა და ბეჩაობას ავიწყებს და მთავარი მოვალეობისაკენ – სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად წარმართავს. თუ ადამიანმა ვერ შეძლო სამშობლოს წინაშე თავისი ამქვეყნიური ვალის მოხდა, მაშინ „კახური ვაზის ნაჟური“ შხამად ექცევა. ამრიგად, ვაზი და ღვინო ვაჟასთან რწმენით თვითშემეცნებაზე დამყარებული პატრიოტული თვალთახედვით მოიაზრება და ეროვნული გრძნობის გამომხატველ მხატვრულ სახეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

## თამარ შარაბიძე

## XX საუკუნე

ყოველ საუკუნეს ახალი მოაქვს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე ხელოვნებასა და ლიტერატურაში. XX საუკუნემაც თავისი სიახლე მოიტანა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საქართველოს სამწლიანი თავისუფლება – უდიდესი მნიშვნელობის აქტი ერის სულიერ ცხოვრებაში – და შემდგომ მისი ხელახალი ანექსია, ამჯერად უკვე საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ამ ყოველივეს მოჰყვა 20-50-იანი წლების საბჭოთა რეპრესიები და ქართველ მწერალთა „მოგზაურობანი“ ერთი ციხიდან მეორეში, კატორღა, თვითმკვლელობა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში სიცოცხლის დასრულება, უკეთეს შემთხვევაში – ემიგრაცია და ა.შ. რა ხდება ლიტერატურაში? საზოგადოებრივ ცვლილებებს ახლებური ხედვა მოაქვს, საგნებისა და მოვლენების სხვაგვარი აღქმა, რაც, თავის მხრივ, გამოსახვის ფორმების განახლებას მოითხოვს. ამიტომაც იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმართულებები, რადგან ძნელი გახდა მწერლობის კლასიკური ხაზის გაგრძელება და გამოხატვა სათქმელისა, რომელიც პოეტურთან ერთად ეროვნულ საკითხსა და პიროვნულ ხედვას შეიცავდა. ამ პერიოდში, ლიტერატურაში, კვლავ გაცოცხლდა მითოსი, რომელშიაც დრომ თავისი პრობლემატიკა ჩააქსოვა. მიუხედავად ამისა, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ლიტერატურული პროცესები ამდაგვარად აზრის შენიღბვის





მიზნით წარიმართა (სიმართლის თქმას ლიტერატურა მუდამ, ყოველგვარ პირობებში ახერხებდა. ეს მისი ფუნქციაა), უბრალოდ ცხოვრების „ზოგადი კანონები“ ახალ თემატიკასთან ერთად გამოსახვის ახალი ფორმების ძიებაშიც ვლინდება. ესაა და ეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „ახალი“ ყოველთვის არ უარყოფს „ტრადიციულს“, რადგან ჭეშმარიტი ლიტერატურა ტრადიციულიდან ითვისებს ყოველივეს, რაც კი ახლის ძიებაში ეხმარება და ესაჭიროება.

ვაზი და ღვინო, როგორც ქართული ლიტერატურის ტრადიციული, წინაპართაგან ნაანდერძევი თემა XX საუკუნის ლიტერატურაშიც გადმოდის, ოღონდ, რა თქმა უნდა, იცვლება მისი გამოხატვის საშუალებანი – ლექსის ფორმა და მხატვრული სახეები, გარკვეულწილად იცვლება მწერლის აღქმაც, მაგრამ რჩება ტრადიცია ვაზის კულტურისა, რომელსაც ვერც XX საუკუნის მწერლობა აცდებოდა. უტყუარი აზრია, რომ ტრადიცია და მემკვიდრეობა ხელოვნებისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც სიახლე და ნოვატორობა.

## კონსტანტინე გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდია სამეგრელოს ერთ პატარა სოფელ აბაშაში დაიბადა. მამამისი, სიმონ გამსახურდია, აზნაური იყო და, როგორც თავად ბატონი კონსტანტინე აღნიშნავს, „ვიდრე 40 წლის გახდებოდა, ქეიფსა და ნადირობას უნდებოდა“. ბოლოს კი მის ცხოვრებაში უცნაური ამბავი მოხდა: ის დაუმეგობრდა და შვილიც კი მოანათლინა პარიზიდან ჩამოსულ მონპელიეს, სამეურნეო ინსტიტუტის აბსოლუტის თავად დიმიტრი დადიანს. „დიმიტრი დადიანის შთაგონებით“, – წერს კონსტანტინე თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „ლანდებთან ლაციცი“, – „მამაჩემმა თავი მიანება „პურ-მარილს“, ქეიფს, ნადირობას და ჩვენს მამულში მოაწყო ინგლისური პარკი, თითქმის პირველად შემოიტანა სამეგრელოში ციტრუსები, ინდური ხურმები და სხვა ექზოტიკური მცენარეული, ზანას გადაღმა, მდინარე აბაშამდე მისი საუფლო იყო, მოაშენა შესანიშნავი ვენახი, დაბლნარი. ჩვენებური აზნაურები მას სასაცილოდ იღებდნენ: აზნაურმა თოხნა და ბარვა დაინყოფო ... „

როცა გენერალ ალიხანოვის საექსპედიციო რაზმის უფროსი კაზაკთა ასეულით კონსტანტინეს ძმის – ვიქტორის – დასაპატიმრებლად გამსახურდიების ოჯახში შევიდა და ხმლით აკაფა კაკლის ხეებზე გასული იზაბელას ვაზები, სიმონი წინ გადაეღობა „ურიადნიკს“, ქართულად შეაგინა და უთხრა: „თუ ამ თავხედობას არ მოიშლით, ახლავე აგკეპავთო ხანჯლითა ... „ პატარა კონსტანტინეს ბავშვობიდანვე ჩაენერგა ქართული მიწის, მისი ნაყოფიერი ნიადაგის სიყვარული და გამბედაობა ამ მიწის დასაცავად. ცხოვრების შემდგომ გზაზეც – სენაკის სასაწავლებელსა და ქუთაისის გიმნაზიაში – გამორჩეული პედაგოგები ასწავლიდნენ და ამ გარემოებამაც უდიდესი მნიშვნელობა იქონია მწერლის პატრიოტად ჩამოყალიბებაში. სტუდენტობის წლები უცხოეთში გაატარა: პეტერბურგის, კენიგსბერგის, ლაიპციგისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. ამას თან ერთვოდა დაპატიმრებები სამშობლოსა თუ უცხოეთში, „მოგზაურობა“ ერთი ციხიდან მეორეში, გადასახლება, კატორღა, მუდმივი რეპრესიები მთავრობისა თუ მწერალთა კავშირის მხრიდან, მასწავლებლობა და სამწერლობო მოღვაწეობა საბჭოური წნეხის ქვეშ... კონსტანტინე გამსახურდიას არც ახალგაზ-



რდობაში და არც შემდგომ დრო აღარ დარჩენია მამამისივით ქეიფისა და მოლხენი-სათვის, მაგრამ ვაზის კულტი მის შემოქმედებაში მაინც აისახა და, რა თქმა უნდა, არა დროსტარებისადმი ნოსტალგიის გამო.

კონსტანტინე გამსახურდია – XX საუკუნის დიდი პროზაიკოსი – უაღრესად დიდი პატრიოტიც იყო; ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვაზის თემა მის რომანებში არა მარტო აისახა, არამედ უძვირფასესი სიმბოლოს – სიცოცხლის ხისა და მამულის მნიშვნელობა მიიღო. ყველაზე ღრმად ვაზის მხატვრული სახე მის ორ რომანში – „დიონისოს ღიმილსა“ და „ვაზის ყვავილობაში“ გამოიკვეთა.

რამდენჯერმე გაგვაფრთხილა კონსტანტინე გამსახურდიამ: გმირისა და ავტორის ფსიქოლოგიას, აზროვნებასა და ზნეობას ნუ გააიგივებთო. „დიონისოს ღიმილს“ ბოლოსიტყვაობაც კი დაურთო, „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო“. და მაინც, კრიტიკამ და მკითხველმა კონსტანტინე სავარსამიძეში კონსტანტინე გამსახურდია დაინახა, სავარსამიძის გაორება კი მის გაორებად აღიქვა. რასაკვირველია, მწერლის შენიშვნა მისაღებია, სხვა რომ არა იყოს რა, მხატვრული ნაწარმოების გმირი კონკრეტული რეალური პიროვნება ბოლომდე მაინც ვერ იქნება და ვერც მწერალი დარჩება თავისი ავტობიოგრაფიული მომენტებით, ფიქრებითა და განცდებით გმირისაგან ესოდენ დაცილებული, რომ მათი მსგავსების საფუძველზე საუბარი გამორიცხული იყოს; მით უმეტეს, ავტორიცა და მისი გმირიც სამშობლოს მონყვეტილნი, მაგრამ თავის ქვეყანასთან მყარად დაკავშირებულნი, ევროპულის შეთვისებისა და აქედან გამომდინარე არჩევანის – ევროპული თუ მშობლიური, მათი შერწყმის ძიების პროცესში მყოფი ადამიანები არიან, ორივე – კონსტანტინე. არ დავინწყებიათ მათ პატრიარქალური ოჯახი, ნახევრად მითოსურ სამყაროში გატარებული სიყრმე: თუ როგორ ევედრებოდნენ ზამთრის ყინვისაგან ხელ-ფეხდამზრალი ბავშვები გაზაფხულს: „ჩხანა მორთია, მორთია“ და მერე როგორ როკავდნენ და უვლიდნენ ფერხულს.

განსაკუთრებით ვენახის დალოცვა უყვარდა კონსტანტინეს: „ნების კვირას ძიდა კვერებს დააცხოზდა ოჯახის როგორც ცოცხალ, ისე მიცვალებულ წევრებისათვის. კვერებს, კაკალს, თაფლის სანთლებს, ფეტვის მარცხვლებს მორდუ ხონჩაზე დაალაგებდა. ძიდა სახლში დარჩებოდა. მორდუს ვენახში მივყავდით. აქ ვაზის ძირში დაიჩოქებდა, სუჯუნის წმინდა გიორგის შეავედრებდა თავის ვენახს: „შენ დაიფარე, წმინდაო გიორგი“. მე გაოცებული შევჰყურებდი მის ლიტანიებს. ლოცვის შემდეგ, რომელიმე ჩვენგანი მინას შემოათხრიდა ვაზს. ფეტვსა და კაკალს ჩავყრიდით, ისევ მინას დავაფარებდით“. (ტ. V, გვ. 660).

უცხოეთში მყოფი, უნაყოფო თხმელას დაემსგავსა კონსტანტინე სავარსამიძე; საქართველოში დაბრუნებას კი მხოლოდ სიზმრებშილა ხედავდა: თითქოს თაფლის სანთლებით განათებული ჩიჩილაკი მიჰქონდა საქართველოში და თავის გამზრდელ ტაია შელიასავით გარშემო უვლიდა ვენახს. ვენახზე ფიქრი არ ასვენებს მსოფლიოს გზებზე მოხეტიალეს.

გერმანიაში, საფრანგეთსა თუ იტალიაში – ყველგან ვაზსა და ყურძენს აკვირდება: ბუნებასა თუ ხელოვნებაში, ნახატებსა თუ კედლის ბარელიეფებში.

ვაზი ქართველისათვის ერთდროული სიმბოლოა „მშობლიური წარმართობისა და ნაციონალიზებული ქრისტიანობისა“ (ს. სიგუა), ამიტომაც უკავშირდება ის ტაია შელიასაც (თანამედროვეობაში შემორჩენილ წარმართს) და მამასაც (მამულსა და მამულის რწმენას – ქრისტიანობას).





კონსტანტინე სავარსამიძეს ახსენდება მამა და მისი ოცნება ვენახზე; მამა, რომელმაც უდარდელ ცხოვრებას ზურგი შეაქცია, ოცი ქცევა მინა გადააბრუნა და კახური ვენახი ჩაჰყარა მეგრულ მიწაში: „ხედავდა, ამ საქმიანობიდან არაფერი გამოდიოდა, მაინც გულს არ იტეხდა. მამა არაჩვეულებრივი ნებისყოფის კაცი იყო, ამიტომაც ვაფასებ მის ხსოვნას. მე შევეძულდი მას, რადგან მე არ მესმოდა მისი საოცარი ოცნება ვენახზე“.

მამისაგან გათიშვა, ქრისტეს უარყოფა და წარმართულის – დიონისოს გზის – არჩევა სულიერად ღუპავს კონსტანტინეს. ნახევარი ცხოვრების გზაგამოვლილი, გვიანდა ხვდება თავისი ტანჯვის მიზეზს, რაც მამის ანდერძის ღალატში მდგომარეობს: მამის მიწები გაყიდა და ევროპაში მგზავრობას მოახმარა, სიჭაბუკე ევროპელ ქალებს შეაღია, ამიტომაც დაემსგავსა უნაყოფო თხმელას. ამას ხვდება კონსტანტინე, ამიტომაც სულ მამის ვენახი ეზმანება. სურვილი კლავს, საქართველოში დაბრუნდეს, მამის ნასახლარი მოძებნოს და ვენახი გააშენოს; მაგრამ მისი სურვილი ოცნების სფეროშივე რჩება.

კონსტანტინეს გაორება ყველაზე შთამბეჭდავად დიონისოს ტრფიალში იხატება. ეს წარმართული ღვთაება, რომლის სახეც რომანში როგორც მხატვრობაში, ასევე მოქმედ გმირებშიც ვლინდება, აღიქმება როგორც მაგია და მისტერია; დიონისოს კულტს უპირისპირდება ქრისტე, „უდაბნოს სახედაღრეჯილი ღმერთი“. მორდუს გზას მიჰყვება სავარსამიძე და არა მამისას. ორი ღმერთი ებრძვის ერთმანეთს მის სულში, ამიტომაცაა გაორებული – ცხოვრება და ოცნება ერთმანეთთან ვეღარ თავსდება. ბუნებით კაცთმოყვარე მრავალ ცოდვას სჩადის, „უფსკრულების ბილიკებზე დახეტილობს, უფსკრულები ეძახიან ჯოჯოხეთური ხმით“, მამის ვენახში კი წილი აღარ უდევს.

და მოგვითხრობს მწერალი იგავს მეფეზე, რომელმაც დაუტევა ოქრო და ვერცხლი, გამოეთხოვა ყველას, მეფის პორფირზე გადაცვალა მათხოვრის ძონძი და უდაბურ ადგილას გაიშენა ვენახი. მწირის სახით გამოეცხადა მას დიონისო, გაუმიჯნურდა მეფეს და დაღუპა შეყვარებული.

დიონისური თრობის ექსტაზით რომანში გმირის სულიერი თვითმკვლელობაა აღწერილი. აუხდა მამის წყევლა კონსტანტინე სავარსამიძეს, „დაექცა ძველი ვენახი და ვეღარც ახალი გააშენა“. ჯოჯოხეთს ჩასული მამას სთხოვს შენდობას, მაგრამ მკვდარს ამის უნარი აღარ აქვს. გარს ბნელი არტყია მამისაგან უარყოფილს – ცოდვის, უმეცრების, წარწყმედის. ვენახი კი სინათლის სახეს იღებს: „სინათლის ვენახი ფისონის ნაპირას! და ხეებს წითელი რუბინი მოუსხამთ, და ვენახი ასულა პინის ხეებზე. ვენახის ლერწებზე ლაპის ლაზულის ფოთლები სმარაგდის მტევნები.“

„პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია „დიონისოს ღმერთის“ მეორედ გამოცემის გამო, – „ამ შიფრის დახსნა არცაა საჭირო“. მოდით, მაინცდამაინც ჩვენც ნუ შევეცდებით. რომანის უმოკლესი ამონარიდებიდანაც თვალნათელია ვენახის მხატვრული სახის მნიშვნელობა, რომელიც მშობლიური წარმართობაცაა (ტაია შელიაც ვენახის პატრონია), სინმინდეც (ბავშვობასთან დაკავშირებული), ნაციონალიზებული ქრისტიანობაც (მამა და მამული) და ამ ყოველივეს სინთეზიც. ვენახი პოლითემეტიკური მხატვრული სახეა. მასში ასევე შეიძლება დავინახოთ პიროვნული სიძლიერე, ნებისყოფა, სიმხნევე, რწმენა. მასთან დაპირისპირება იწყება ვენახის მოვლაზე უარის თქმით, მხოლოდ მისი ნაყო-

ფისგან მიღებული სიამოვნების ტრფობით, რომელიც დიონისოს დამლუპველი ექსტაზით ბოლოვდება.

ვენახის გაშენება, როგორც პირდაპირ, ასევე სიმბოლურად, რაც სავარსამიძისათვის ოცნების სფეროში დარჩა, რეალობად იქცა კონსტანტინე გამსახურდიას მეორე რომანში „ვაზის ყვავილობა“. ვახტანგ კორინთელი კახეთში, კერძოდ გველეთის ზეგანზე, ვაზის უძველესი ქართული კულტურის გავრცელებას ჩაუდგა სათავეში. იგი თვლიდა, რომ ყურძნის წვენისაგან ღვინო პირველად ქართველმა ტომებმა დააყენეს. ვაზი და ღვინო კი ქართველებისგან უნდა წაეღოთ ბერძნებს;

„ვაზის ყვავილობა“ სოციალური რომანია. მწერლის მიზანია კოლმეურნეების შრომისა და თავდადების ფასად აყვავებული ვენახის – სიცოცხლის აღორძინების – ჩვენება. სოფელ ბერმუხაში კოლმეურნეობა გვიან ჩამოყალიბდა. ბერმუხელები მეცხოველეობას მისდევდნენ, „მიუხედავად ამისა, ჰქონდათ მარტივად, გლეხურად მოვლილი ვაზი თავიანთ საკარმიდამოში. სახელმწიფო მასშტაბი მევენახეობისა ჯერ არსად სჩანდა“. ბერმუხის ჩრდილოეთით მდებარე არაშენდას ზეგანი, რომელსაც მოსახლეობამ გველეთიცი კი შეარქვა, ჯაგიანი კორდებით იყო დაფარული, მაგრამ ნასახლარები და ვაზების ნამუსრევეები მოწმობდნენ, რომ აქ ოდესღაც სიცოცხლე ჩქეფდა. სოფლის გავერანება და ვენახების გადაბუგვა შაჰ-აბასის დროს მომხდარა. მოსახლეობა მთებში გახიზნულა, შინდაბრუნებულს აღარ მოუსურვებია გავერანებულ ადგილზე დასახლება და ოდნავ სამხრეთისაკენ, ბერმუხის მიდამოებში, გადაუნაცვლებია. ძველთაძველი არხები და ირმის ტბა, რომელიც არაშენდას მიდამოებს წყლით კვებავდა, ნიაღვრებს ამოუესიათ შლამით და ჭაობად ქცეულა.

„ყოველივე ამის მიუხედავად – წერს კონსტანტინე გამსახურდია – ვერც უწყლობამ და ვერც ყიზილბაშების ვერაგობამ ვერ მოსპო ბერმუხაში ვაზის გასაგისი. შაჰ-აბასის მიერ ამოძირკვეულ ვენახების ნაფესვარებმა კვლავ იფეთქეს მინიდან და მათმა გავერანებულმა ნაშიერებმა ჩვენს დრომდე მოაღწიეს“.

ვაზი კონსტანტინე გამსახურდიასათვის ახალი სიცოცხლის ხეა, რომელსაც ვერ ერევა ფიზიკური მტერი – შაჰ-აბასი, ბუნების მოვლენები – უწყლობა თუ ნიაღვრები, სოფლის უხუცესთა წარმართული მსოფლხედვა და კონსერვატიზმი – რომ არაშენდას სანახები საძოვრებად იყოს განკუთვნილი; ვაზს უპირისპირდება მითოსიც – რვა ნამუხარი იბრძვის არსებობისათვის (სხვა დატვირთვა ენიჭება მეცხრე მუხას – ბერმუხას, რომელიც ქართველი ხალხის უკვდავი სულის სიმბოლოა), ვაზი იმარჯვებს მათთან ჭიდილში და სწორედ აქ მჟღავნდება მისი სიცოცხლისუნარიანობა, სიცოცხლის ხეობა.

კონსტანტინე გამსახურდია, რეალისტების მსგავსად, ბუნების მოვლენებს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს. ვაზი ტირის, როცა გმირთა სულიერი მდგომარეობა უნუგეშოა. როცა ხსნა არსაიდან ჩანს, ბუნებაც კი ჯიბრში ჩასდგომია ადამიანებს და სეტყვა დაუნდობლად ანადგურებს ვენახს: „ნაგვემი ვაზები სტიროდნენ, ნასეტყვარი ჭრილობებისაგან იღვრებოდა სითხე. სტიროდა მრავალი ათასი ვაზი ალაზნის გაღმა-გამოღმა იმ დღეს... და განა მარტო ვაზები!“ ვაზის ყვავილობის სასწაული გადაჯავუღია ადამიანთა ბედთან და ვერ იტყვი, რა განაპირობებს მას: ადამიანთა შრომა და ნებისყოფა, ვაზის სიცოცხლისუნარიანობა თუ ზეციური მნათობი, რომელიც სასწაულებრივ ძალას ერთნაირად ანიჭებს ბერმუხას, ვაზსა თუ ადამიანებს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ანალიზისას შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ მის რომანებში უხვად მიმოხვეული ქართული სუფრების





აღწერასა და მსჯელობებს ვაზისა და ღვინის შესახებ, რომლებშიაც ავტორის მიერ აღქმული მრავალი საინტერესო დაკვირვებაა ჩამოყალიბებული. მოგვყავს მაგალითები ტეტრალოგიიდან „დავით აღმაშენებელი“:

„მთელი სამყარო სვამს, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური, მაგრამ ეგაა: ღვინო, ხელოვნება და მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბაზარზე გატანილი არც ერთი მათგანი არ ვარგა. მეჯადაგეებსა და მეხამლეებს ეს ტრიადა არ ესაჭიროება“ (ტ. IV, 476).

„ზოგს წარყვნილსაც უყვარს ღვინო, მაგრამ ღვინის მოტრფიალეთა შორის ყველაზე უფრო დიდი მეჭაშნიკეა რწყილი. იგი გემოს ატანს მხოლოდ სურნელოვანსა და კეთილად დაყენებულ ღვინოს, თხლენარევსა და დაძმარებულს უკადრისობს კიდევაც“ (ტ. IV, 478).

„მე ძლიერ მიყვარს ისინი, ვინც დიდ გემოვნებას იჩენენ სამნდეურების შერჩევამაც. საგანგებოდ შეიძენენ ხოლმე ფიალებსა და ფსკიტირებს თირიკლიის შუშისაგან ნაკეთებთ, წეროსყელიან ჭინჭილებს, რომელთა პირიდან გადმოდენილი ღვინო ლივლივით ისხმება ღვინის მოყვარულთა პირში.“

ჩვენ შორის განა ყველანი თანაბრად განიცდიან ამ სილამაზეს?“ (იქვე).

„ღვინო ბროლის სარკესავით გამოაჩენს ადამიანის შინაგან ბუნებას. დათვრენ თუ არა ეს დიდებულები, მყისვე დაემსგავსნენ ღვინის სარდაფებში გამოლეპილ უპოვარებს“ (იქვე. 483).

„ბერძნები მინაზე აწვენენ ვაზს. ეს არ ვარგა, კუ, ზღარბი და მაჩვი, ყოველივე ქვენარმავალნი და მწერნი წამოესევიან ხოლმე მწიფე ყურძენს. კარგია ქართული წესით სარზე და ბაბილოზე მიშვება“ (იქვე. გვ. 185).

ამაღელვებელია დავით აღმაშენებლის ნახევარძმის, მახარას, თხოვნა მეფისადმი, რომელსაც ვენახის სიყვარული, ტრადიცია და ამავე დროს მითოსური რწმენა უდევს საფუძვლად:

„ვინძლო მოვკვდე, მხოლოდ ამას გთხოვთ, ნულარ დამმარხავთ ბაგრატოვანთა საძვალეში ხარჭისნაშობს, ნურც ბედიამი, ნურც ქუთათისში, ნაჭარმაგევის ვენახში დამმარხე, მეფევე ბატონო, სადაც სულკურთხეულ მამაჩემს, ბაგრატს, გაუშენებია თითას, ძელშავის, ბუდეშურისა და ცხენისძუძუს ვაზები.“

სადმე უხუცეს ვაზისქვეშ, რათა მისმა ფესვებმა ასაზრდოონ ჩემი დამზრალი სხეული ამ ღვთაებრივი წვენიტ (ტ. III, გვ. 397).

„დავით აღმაშენებელში“ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრული სახე შექმნა კონსტანტინე გამსახურდიამ, სიყვარულისა – როგორც ვენახის:

„შენ ხარ ვენახი ნაყოფსავსე, ლხენის ბაღნარი“, – მიმართავს მეფე თავის სატრფოს, დედისიმედს, – „შენთვის სათქმელი სიტყვები იდუმალ ჰხარობენ ჩემს სულში, როგორც ყვავილნი ვაზისა, რადგან შენა ხარ ჩემი ვენახი, სულო. ეს შენ იყავი მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული ჩემი... ამიერიდან მე ვარ ამ ვენახის პატრონი და სვებედნიერი მეზვრე“ (ტ. III, 153).

მეფემ მიიზიდა სატრფო „და დიდხანს სვამდა თავის ვენახის სურნელოვან ღვინოს“ (იქვე.). იშვიათია სიყვარულის ვნების ამდაგვარი წარმოსახვა და შემდეგ მისი სიმბოლური გამოსახვა. აქ კომენტარიც კი ალბათ ზედმეტია.

ცნობილია, რომ კონსტანტინე გამსახურდია წერის პროცესში წყალში გარეულ წითელ ღვინოს სვამდა. ეტყობა, „ამ ღვთაებრივი წვენიტ“ საზრდოობდა მისი პოეტური მიუზა.

## გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძე მითოსს გოეთეს სწავლებით ხსნის, რომელსაც თავის წერილში „ვაჟას ენგადი“ ასე აყალიბებს: „...მცენარე ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თავისი ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისას ან ყლორტობისას ან თუ ფოთლებისას. ასე ვთქვათ. წლობით და არა „მთლად“. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მცენარე მთელი ყოველ ხტილში მისი ვითარებისა ვირტუალურ უნდა იმყოფებოდეს. და აი 1776 წელს ხედავს ვაიმარელი მესაიდუმლე (გოეთე) სიცილიაში წარმოსახვით „თაურმცენარეს“ მცენარეში. ესე იგი: უხილავ მყოფად მცენარეს, ანუ შინა-სახეს მცენარისა... დასკვნა: „თაურმცენარე“ მცენარისათვის მითოსია – ვითარ არაოდეს ხილული მყოფადი, ხოლო ყოველთვის გულვებული. ხედავთ, როგორ ესიტყვება ესე ფორმულას: არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვისა არის!“

გრიგოლ რობაქიძის მითოსის ეს განმარტება ჩვენთვის ორმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, ქართულ მწერლობაში რობაქიძემ, ვაჟა-ფშაველას შემდგომ, ყველაზე მეტად მიმართა მითოსს და მეორეც, მან გააცოცხლა მითოსური მცენარე – ვაზი, უფრო სწორად ამ მცენარეში დაინახა მისი შინა-სახე და იდეა, არა ხილული, მაგრამ ყოველთვის საგულვებელი:

„...ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლევისაგან გამოსჭრის. სხვების ჯვარი: ან ქვისაა ან რკინის ან უბრალო ხის. ყოველთვის მშრალი და წუთხე: აქ კი: ჯვარი – ვაზის. ვაზი ხომ სახეა: მიწის – ნიადაგის – სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამების და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი: ლხინია თვითონ... ქალწული ვაზის ნასხლავს თავის თმებით შეკურავს. თითქო ჭრილობა შეუხვია ნასხლავს: რომელიც იცრემლება. ჯვარი – ქალის თმებით შეკრული. მიჩვენეთ სხვა სახე უფრო მწველი და უფრო ლამაზი!! ჯვარი – ვაზის ნასხლევისაგან გამოჭრილი. ჯვარი – ქალის თმებით. ქალის თმები ხომ სახეა... ქალობის – ქალწულობის – დედობის... არა... სხვა ჯვარი ბერნია. ჩვენი კი ნოყიერი და ნაყოფიერი“ („გველის პერანგი“, გვ. 79).

ეს სიტყვები ქართველთათვის მითი არ არის. ნინოს თმებით შეკრული ჯვარი დღესაც ინახება სიონის საკათედრო ტაძარში. მაგრამ რობაქიძისთვის ისტორიული ამბავი გრძელდება: „...ჯვარს ლერნები აუყრია და ლერნებს მტევნები აუსხამთ“ („გველის პერანგი“). ეს აზრი მრავალჯერ მეორდება და ფიქსირდება გრიგოლ რობაქიძის პროზასა თუ პოეზიაში („წმინდა ნინო“, „ფალესტრა“, „წმინდა გრაალის მცველნი“). მოთხრობაში „წმინდა გრაალის მცველნი“ მითი გრძელდება: მტევნები, რომლებიც ნინოს ჯვარმა გამოიღო, რაინდებმა დაწურეს და თასში შეინახეს. ეს თასი „გრაალია“, გული საქართველოსი...

რობაქიძე ვაზში მის შინა-სახეს ხედავს. ეს შინა-სახე მითოსია, რომელიც არასდროს ყოფილა და მუდამ არის. ნინოს ჯვრის ამბავში მითოსურია არა საკუთრივ ჯვარი (იგი რეალურია), არამედ ვაზის ნაყოფიერება, ჯვარის მიერ მტევნების გამობმა, ანუ სიცოცხლის გაგრძელება. თავისთავად ეს იდეა ქართული სინამდვილისთვის ძალზე ახლობელია. ქრისტიანული ძეგლების – ეკლესია-მონასტრების მონუმენტური სკულპტურები მდიდარია ჯვრისა და ვაზის ერთმანეთთან ღრმა სიმბოლური აზრით დამაკავშირებელი გამოსახულებებით. გვხვდება მტევანმოსხმული ჯვარიც, რომელსაც ფრინველები (ქრისტეს მორწმუნენი) კენკავენ სულიერ საზრდოდ. ძველი ქართული ლიტერატურა და, კერძოდ, დემეტრე I-ის „შენ ხარ ვენახი“ მთლიანად რე-





ლიგიურ-სიმბოლური ხასიათისაა. რელიგიური დატვირთვა, რასაკვირველია, გრ. რობაქიძის შემოქმედებაშიც აღიქმება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის თხრობას სიმბოლურზე მეტად ზღაპრის, მითის მოყოლის სახე აქვს, რომელშიაც ვერ გრძნობ ქვეტექსტს – ეს ნამდვილად ასე იყო და თუ ხანდახან მწერალსაც ეჭვი ეპარება, რომ რეალურად ასე არ იყო, ამ საზრუნავს საოცარი (ასეთი მწველისა და ლამაზის) მითის შემქმნელს – ქართველ ხალხს – მიანდობს. ერთი სიტყვით, ისევეა, როგორც ზღაპარში. ამიტომაცაა რობაქიძისთვის ვაზი მითოსური მცენარე, რომელმაც საქართველოში საკრალური მნიშვნელობა მიიღო და ყველა სფეროში – ყოფასა და ბუნებაში, ხელოვნებასა თუ ზეპირსიტყვიერებაში გაიდგა ფესვები; რომელიც არსებობს, როგორც რეალური მცენარე და როგორც – წარმოსახვითიც; რომელიც წმინდა ნინოს შემოსვლის შემდეგ ახალი სარწმუნოების სიმბოლოდ – ახალ სიცოცხლის ხედ – ჯვრად – იქნა მოაზრებული. ეს ჯვარი რობაქიძისთვის გამოირჩევა სხვათაგან თავისი სინედლით, სიცოცხლისუნარიანობით, რისი ნიშანიცაა გამოსხმული მტევნები. სწორედ ეს პირველშობილი სინედლე შეიგრძნობა ქართულ რასაში, მის ბუნებასა და წეს-ჩვეულებებში. ძლიერია სპარსი ტაბა ტაბაის მზერა: „მისი თვალები ცივია და გამხვრეტი“; ქართველი ვამეხის თვალებში კი „სიძლიერესთან ერთად სითბოა და სინელი“; ირუბაქიძეთა ხასიათში სჭარბობს სიფიცხე და მასთან ერთად – „ჩვილობა, წვა და დაუდევრობა ერთდროულად“. ათასი ქალის თვალებში გამოიცნობ ივერიის ქალწულთა თვალებს – „ნელს – ლბილს – ნაზსა და თვინიერს“. „ივერიის ქალწულის თვალები. რასსა შეურეველი და ხალასი. სიამაყე და დარცხვენა – ერთად“, – სიამაყით აღნიშნავს მწერალი („გველის პერანგი“, გვ. 214). ქართველ ქალს – მატასის – დანურული მტევნის სურნელი ასდის და თვითონ არის მტევანიც, ტაროც და ქართული მიწაც თავისი ხნულებით და ჯეჯილებით. მიწა და ადამიანის ბუნება განუყოფელია ერთმანეთისაგან. „თქვენში ჯერ მიწა არ ამომშრალაო“, – თავისთვის ბუტბუტებს ტაბა ტაბაი. ამიტომაც არის ამოუმშრალი მიწის მკვიდრთა ხასიათში სინორჩე, სინედლე, ჩვილობა, ის, რაც აყვავებულ, ცოცხალ ხეს ახასიათებს და არა ქვის ან ლითონის ჯვარს.

სიხალისე და სიხარული იხატება ქართველთა ქეიფში – „მწვადები ყოლის შამფურებზე. თასები“ ... „სუფრაც რასსის ნიშანია“, – იმეორებს რობაქიძე ერთი ქართველი პოეტის სიტყვებს და თავადაც ამჩნევს იმ დადებით თუ უარყოფით ნიუანსებს, რომელიც მხოლოდ ქართული სუფრისთვის არის დამახასიათებელი და სხვათა სუფრაზე ვერ იხილავ. ეს არის ქართული სულის – ცოცხალის, განუსაზღვრავის – შფოთვა, ფორიაქი, ვნებიანი გრძნობა, რაც განონასწორებული ევროპელისათვის (ამ შემთხვევაში ინგლისელი არჩიბალდ მეკეშისათვის) თვალში საცემია და შეიძლება ითქვას – შესაშურიც.

„მღერიან „მრავალჟამიერს“ კახურს: რომელიც მიდის როგორც ალაზნის ველი. ჯერ ნელი. მერე ახშირებული. მერე ამწვარი. შემდეგ ნაპირებგადალაზხული. ბოლოს: მოქნეული როგორც სალტე. აქ ლხინია ვაჟკაცის, რომელიც ომიდან დაბრუნდა გამარჯვებული. მღერიან „მრავალჟამიერს“ ქართლურს: რომელიც იღვრება როგორც ქართლის ველი მდორე. ჯერ ისიც შენელებული, შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედ გაზნექილი. ბოლოს ქედამართული. აქ არის ციხის დაცვა მეციხოვნეთა მიერ: რომელთაც იციან განდობა და გატანა. გაუძლებს ციხე ყოველთვის შემოსულებს?! და სიმღერას ბოლოში გაგუდული ბოლმა გადაჰკრავს ოდნავ. მღერიან მაღალ „დელიას“ თითქო დამცხრალ გრიგალს იმერთა მთებიდან შენელებით ხევებში ჩაშვებულს. ეს სიმღერა იშვიათია: საქართველოშიც კი. აქ არის: კახის ლხინი და ხმალი – ქართლის სიმტკიცე და ფარი – სვანის ჯავშანი და „ლილე“ – ხევსურის შუბლი და შემართება“

(„გველის პერანგი“, გვ. 37). სიმღერისა და ცეკვის მონაცვლეობაა ქართული ლხინი: „ცეკვავენ „ლეკურს“, ეს სახელი შეუსაბამობაა: ლეკს აქ რა უნდა?!“ – განმარტავს მწერალი, – „ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ: რასსა არ ეყოფა... რამდენი ვაჟური შეტევა და რამდენი ქალური გარინდება?! რამდენი კამარა სიყვარულის თუ ტრფიალის პოემის?! ბოლოს: თითქოს ქალის დატყვევება და აჭრილი კამარით მის გატაცება. მაგრამ არა. ტყვე ქმნილი ქალი ვაჟის მკლავებისათვის მთელი სხეულით გადახსნილი... უეცარი მოსხლეტით ვაჟის რკალიდან გავარდება ქალწულური დარცხვენით. ცეკვა თითქო წყდება. არ თავდება. ეს ბეჭედია ქართული რასის და მისი სირაინდის“.

იშვიათია ისეთი ნიუანსური შეგრძნება რასის, რაც რობაქიძეს, როგორც რასისტს, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ახასიათებს. რობაქიძისეული აღწერის დეტალებს ალბათ მარტო ქართველი თუ იგრძნობს ან ის, ვისაც თავისი თვალთ უნახავს ქართული ლხინი, სიმღერა და ცეკვა... „ლეკურს“ „მთიულური“ მოჰყვება: „რიტმი სადა – მაგრამ ლამაზი როგორც პირველსუნთქვა ატეხილი ჭალების. მარტო ცეცხლი. მარტო ატეხვა. მარტო სიგიჟე. ხალისი პირველმინის. ლხენისათვის ეს პირველრიტმი უფრო საღია და ზღუდეგადამლახავი“.

რობაქიძე დიონისოს ფენომენსაც ხსნის, როგორც ზოგადფილოსოფიურ მოვლენას და ქართულ სინამდვილეს მას მხოლოდ იმდენად უკავშირებს, რამდენადაც ყველა ერში (როგორც შემოსულ კულტს) რაღაც გამოხატულება ჰქონია (მწერალი „გონჯას“ იხსენებს, მაგრამ მის აღწერას არ იძლევა („ფალესტრა“)). დიონისოს ფენომენს იგი აღიქვამს, როგორც „მეს“ გარღვევასა და ყოვლადთან ზიარებას, ადამიანს კი „დიონისოს მიმართ გავარდნილ მენადად“ მიიჩნევს, რომელიც სულ მუდამ ძიებაშია – საკუთარი თავის, სატრფოს და თვით სამშობლოს ძიებაშიც კი. სწორედ ამ დიონისური ზოგადის ფონზე ხდება „გველის პერანგში“ საკუთარის შეცნობა, თავის აღმოჩენა, ჭეშმარიტი ვენახის პოვნა. შეცნობა ხშირად ეროტიკული სცენებით გამოიხატება, სადაც ყოველთვის ფიგურირებს ყურძენი, როგორც ქალური სისავსის გამომხატველი მხატველი სახე. ამ სცენებს შერწყმის, შეერთების სიმბოლური დატვირთვა აქვს, საიდანაც უნდა გამოიკვეთოს საკუთარი, პიროვნული და ჭეშმარიტი. შეიძლება ითქვას, რომ ეროტიზმი პირველად, აშკარად და შეუნიღბავად, როგორც მხატვრული ასახვა, XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ჩნდება და მას რობაქიძე ამკვიდრებს.

„ვაჟის სიტყვა ქალს მხრებს უწვავს.  
ქალის ტანი – თითქოს მოცელილი – ხალიჩაზე დავარდება,  
ფეხს ფეხზე გადაიდგამს –  
ასე ეკიდება ხანდანაზე დაყურსული მტევანი“.

(„გველის პერანგი“, – ოლლა ბალაშოვასთან ტრფიალის სცენა, გვ. 64)

თავიდან ბოლომდე ეროტიკული შინაარსისაა ლექსი „ირუბაქიძის ხასა“. „მხეცის წყურვილით“ ანთებული ირუბაქიძე, პოეტი, ასე მიმართავს „სხეულმზიან“, ვაჟის გასახელებლად გაქცეულ, სატრფოს:

„მეც დაგენვეი და ცხელწვიანს  
აგიყვან ხელში  
და გადაგისვრი დიდ საწნახელში –  
რომ შენი ტანით დავსრისო მაგრად  
მწიფე მტევნები...“

(„ირუბაქიძის ხასა“)





სიყვარულის ვნების მთელი სიმძაფრით გამოსახატავად ხასადაც მთის ქალს ირჩევს პოეტი – თმანითელ ჩერქეზს, რადგან მთაშიც და მის მკვიდრშიც ბუნების პირველქმნადობაა დაცული. მისი ვნებაც ხასისადმი ინსტინქტურია და ველური, ამიტომაც სატრფო ქარვისფერი ღვინის სახეს იღებს, რომელიც პოეტმა ერთბაშად უნდა შესვას ნყურვილის დასახშობად; მისი ვნება იმდენად დიდია, რომ მზადაა, ცხენის ძუაზეც გამოაბას „უძღები ხასა“, „ნელი და ტკბილი“, რომ მასთან ერთად „წყვილად“ გადაიქცეს და შემდეგ „დარბილებულმა და რისხვამოშლილმა“ ერთხელ კიდევ იგემოს სატრფო. აქ თითქოს დიონისური ექსტაზი ცოცხლდება ჩვენს თვალწინ (ექსტაზი, რომელიც თავიდან ბოლომდე ძიებაა):

„და ერთხელ კიდევ  
გასუდრულ მტევანს  
გაგმოლტავ ლოშნით...“

ეროტიკულ ელფერს ატარებს არჩიბალდ მეკეჰის სამშობლოში დაბრუნების სცენაც, რადგან სამშობლოც იგივე სატრფოა, რომელშიც (დიონისოს კულტის მსგავსად) გაერთიანებულია ქალური და კაცური სანყისი. დეპეშით ვამეხი საქართველოში ჩამოსვლას სთხოვს არჩიბალდს. ჩნდება მძიმე, შიშნარევი ასოციაცია, რომელიც ასოციაციადვე რჩება მწერლის თხრობაშიც – „ყურძნის კრეფა. ვამეხ. საირმე. საქართველო“.

საქართველო დაკავშირებულია ყურძნის კრეფასთან და იმ ადგილთან, სადაც დაიბადა არჩიბალდი და სადაც უნდა დაბრუნდეს. მისი გადაწყვეტილება – ვამეხს სტუმრად ეწვიოს – ხორციელ, ვნებიან სიყვარულში გამოიხატება, რომლითაც ქიმერა ბუნების სურათს ხატავს:

„ნათელი ხვითო. დაყვითლული სივრცეთა გუგა.  
ღია ზაფრანა. ყარამფილი. მტევანი ფალოს.  
საძროხეს სუნი. ატეხილი მოანგრევეს პალოს  
აკვირვებული ტანმაგარი ზანგელა ბულა.  
ხურუში თესლი მატერიის და ავი ხორცი.  
ღვრია სურნელი. ვნების ტეხა. ტიტველი ხვატი“.  
(„მზის კევრი“)

ამ ყოველივეს ვერ ახსნი და ვერ გადათარგმნი. ეს ბუნების მოვლენებთაგან მიღებული ასოციაციაა. კევრის ლენვასა და ყურძნის ჭყლეტას – ანუ რთველს – ერთი სიმბოლური დატვირთვა ენიჭება – ყურძენი დაიწურება, მარცვალი დაიფქვება, ქალი ივნება და ეს ყოველივე სიცოცხლის გაგრძელებაა; დაბადება – ღვინის, პურისა და თვით ადამიანის. „კევრი ილენება. ქიმერა კვდება. არჩიბალდ მეკეჰი მიემგზავრება საქართველოსკენ“. საქართველოში კი რთველია. „ცხრამუხის ტალავარში სიმღერა გაისმის ქვესკნელის გუგუნით“. ქვესკნელი შემთხვევით არაა ნახსენები. არჩიბალდი ქვესკნელითაა საქართველოსთან დაკავშირებული. ქვესკნელურია – ძირძველი – სიმღერაც. მუხები გორაკზეა შეფენილი. ჭურებიც მათ ქვეშაა. ეს მითოსური ხეები იცავენ მათ. გორაკზე ჩამარხულ ქვევრებს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. წვიმა მიწაში არ ჩერდება და ღელედ ჩაივლის. „მინა არანესტიანია, ხმელი და ხურვალი“. „შიგ ჩაკირულია მრავალი ჭური. ასჩაფიანი, სამოცჩაფიანი, ორმოცჩაფიანი, ოცჩაფიანი, ათჩაფიანი, ხუთჩაფიანი“. გრიგოლ რობაქიძე ქართულ ლიტერატურაში პირველად იძლევა ჭურების რეცხვის უაღრესად მხატვრულ სურათს:



„ჭურის მრეცხველი ასჩაფიანშია. სარეცხელი უჭირავს ორტარიანი. ხეხავს და-  
ჟინებით და მღერის. მეორე მრეცხავი ორმოცჩაფიანს თავს ადგას. ჭურის თავზე ფი-  
ცარია ნახვრეტისანი. ნახვრეტში მრეცხავს ტარი გაუყრია გრძელი. ტარს ბოლოში მო-  
გებული აქვს სარცხელი. ისიც ხეხავს ჭურს. ისიც ლიღინებს.

განზე მესამე დგას. სჭრის ბლის ტყავებს დალბობილს.

ახალ სარცხელს ამზადებს.

პატარა ბიჭს აყალო მიწა მოაქვს.

მეორე ბიჭი ამ მიწას ზელავს ფეხებით.

ეს მიწა ჭურის დასაგნისია.

მესამე ბიჭი რეცხავს სარქველს: პრკე-მოდებულს.

ჭურისთავი ლობეშემოვლებულია. მესერის სარებზე აქა-იქ ცხენის თავებია ჩა-  
მოკიდებული. ცხენის თავებს ორშიმოები მისდევენ. ზოგი დიდია. ერთ თუნგ ღვინოს  
დაიტევს. ზოგი მომცრო: ქვევრისთვის. ზოგი რგვალი. ზოგი ნონოლა. ზოგი გამობე-  
რული. ზოგი შეფერდილი.

ცხრამუხის წრე არაა სრული: ერთი მხარე სწორი ხაზით გადაიჭრის. აქ განოლი-  
ლია თუჯისფერი საწნახელი დაჭრილ გველემაპივით.

საწნახელიდან მოსჩანს ვაზნარი დაზნექილ და დაფენილ სერზე.

ვენახის ფოთლებს ხმობა შეჰპარვიათ: შაბიამანის მური გოგირდში გადადის.

მოაქვთ მტევნები ყვითელი და მოშავო.

მოაქვთ კალათებით და გიდელებით...”

გრ. რობაქიძე ნიუანსური სიზუსტით გვიხატავს საკრალურ ადგილს და საკრა-  
ლურ მოვლენას, რომლის დროსაც კანას სასწაული უნდა განხორციელდეს – წვენი  
ღვინოდ იქცეს.

მზადებაა. ბავშვები ფეხებს იბანენ და საწნახელში ხტებიან. „მტევნები იწყებენ  
ცრემლვას, მაგრამ სიხარულით“. მწერალმა შესანიშნავად გამოხატა რთველის არსი  
– მტევანი ივლება, მაგრამ სიხარულით და თავადაც სიხარული მოაქვს. „საწნახელი  
ილეშება დაწურულის ტბორით. ტბორს მოაქვს სურნელი – (არის ქვეყანაზე რაიმე  
ამ სურნელის სადარო?!“ ეს სამშობლოსთან პირველი ზიარებაა, რომელიც ყურძნის  
სურნელით ხდება. მას მოჰყვება გლეხური სუფრა. „პატარა ძლივს მოათრევს კალათს:  
კეცზე შემწვარი ქათამი. წვენი – ისრიმისა და მაცვლის. ისრიმი – გვიანი ყურძნის.  
ჭადები: ვაზის თუ ნიგვზის ფოთლებში გამოცხობილი. ღვინით სავსე დოქი ნემოთი  
თავდაცმული: ახლად ამოღებული წყაროს მუცლიდან. ჭიქა. ჭინჭილა. კულა.

მუხების ქვეშ: სიგრილე ხავსიან კლდეების.

მუხების თავზე: მზის მარცვლების აჯგუჯილება...” („გველის პერანგი“. გვ. 140).

ბუნების სურათშიც კი შერწყმულია ქართული ხასიათი – სიგრილე და სიმბურ-  
ვალე ერთად: ის, რაც თავად ღვინისათვის არის დამახასიათებელი. მეორედ ზიარება  
სწორედ ღვინით უნდა მოხდეს. არჩიბალდი და ვამეხი ცხენდაცხენ შესვამენ ღვინით  
სავსე ხელადას. დაცლილ დოქს ვამეხი ქვას შეანარცხებს, რომ სხვა ტურები აღარ შე-  
ეხოს მას და აღარც სხვა ღვინო ინატროს მისმა შემსმელმა.

„მიწამ ნახა შვილი... ნიშნად: მისი ზედაში...“, – თითქოს კომენტარს აკეთებს  
მწერალი.

მესამე ზიარება აერთიანებს ყურძნის ნაყოფს, სამშობლოსა და საყვარელ  
ქალს.

„დიდ ნამორზე ზის არჩიბალდ. ვაზნარს დაჰყურებს... ვაზნარი იშმუშნება: თით-  
ქო შიგ ველური ცხოველია რომელიც ლოშქრიანი ტურებით მნიფე მტევნებს დონ-  
დლავს“.





სასურველ ქალს დედის დავალებით პურის ღეროებისაგან მოწნული კალათი მიაქვს სტუმართან. კალათი სავსეა ყურძნით. გოგონა მორცხვობს. არჩიბალდი მტყვენებს ამოლაგებს და ყურძნის ჯიშთა სახელებს ეკითხება მატასის. რქანითელი, ციცკა, კრახუნა, საფერე, ცოლიკაური, ალექსანდროული... – ჩამოთვლის მატასი (თითქოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჯიშები ერთად შეყრილან, რომ ერთიანი საქართველოს სახე შექმნან). უკვე აღარ მორცხვობს. მორცხვობას აქრობს ვენახის შვილის ბუნებისგან ბოძებული ცოდნა. მატასი და ვენახი ერთ ხატს ქმნის. არჩიბალდი თვალს არ აშორებს ვენახს. „იქ მატასი იმალება ფოთლებში“. მატასი მისთვის არც დაა, არც სატრფო, არც მეგობარი და იმავდროულად, დაც არის, სატრფოც და მეგობარიც. უნდა, რომ სხვა სახელი მოუნახოს მას. მაგრამ რა?

ძნელია. მატასის კალათი მიაქვს ჭურის თავისკენ. არჩიბალდი დაედევნება და კალათს ართმევს. თავისი ხელით ყრის სანახელებში ყურძენს. მატასის „ტკბილით“ სავსე ხაპი უჭირავს ხელში და სტუმარს სთავაზობს. არჩიბალდი შესვამს, შემდეგ თვითონაც ავსებს ხაპს და მატასის სთხოვს, მისი ხათრით დალიოს. ქალიც სვამს. მერე უცებ მოწყდება ადგილიდან და ვენახში გარბის. მოძრაობა, სისხარტე, ვენახი, სიცოცხლე – გადაჯაჭვულია, გართმულია ერთმანეთთან. არჩიბალდს მატასი წმინდა ნინოს აგონებს, თავისი თმებით რომ უშრობს ვაზს სიხარულისგან წამოსულ ცრემლებს. არჩიბალდის ცნობიერებაში მატასის სახელი მოენახა, ის ნინოა, ივერიაზე, მის მიწასა და ვენახზე შეყვარებული, ამიტომაც ის უნდა გახდეს ქართული რასის, მისი შთამომავლობის დედა.

ყურძნის „ტკბილის“ შესმა ვენახთან, საყვარელ ქალთან და სამშობლოსთან ზიარებაა. სამშობლოსაგან ასხლეტილ დიონისოს მენადას უკვე ველარაფერი დააშორებს თავის ქვეყანასთან, მისთვის ხელახლა აღმოჩენილ და ზიარებადმილებულ სამშობლოსთან. დიონისური სანყისიდან ჭემმარიტ ვენახთან მისვლას აღწერს მწერალი. ვენახი სამშობლოა, საყვარელი ქალია და ბოლოს რწმენაა, რომელიც ქვეცნობიერად ფესვებს იდგამს პიროვნებაში და მყარდება მატასის ცრემლებით. რობაქიძესთან ცრემლიც კი ეროვნული ნიშნითაა დადალული. თამაზ მაცაშვილის (ბედის გამო მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს მოხეტიალე და ბოლოს სამშობლოში დაბრუნებული თავადის) „თვალეზე გადმოგორებული ორი დიდი ცრემლი – თითქო გასრესილი ისრიმია ქართული ვაზის“ („გველის პერანგი“, გვ. 285).

და აი, ქორწილის საიდუმლოება იშლება მწირის წარმოსახვაში. თბილისი – საქართველოსა და არჩიბალდის დედაქალაქი – სასურველი დედოფალია, რომელსაც მრავალი საქმრო ჰყოლია – „ბიზანტიელი. რომაელი. სპარსები. ხორეზმელი. სარატილები. არაბები. ყაფჩაღნი. მონგოლნი. რუსნი.“ და არავის დანებებია. „სიონის კაჟისფერ ტანს ეხლაც ახსოვს ლორწიანი ხვევნა მტარვალის (ჯალალ-ედდინის). სიონის ხსოვნას უფრო სწავს ტირილი ვაზის – მის კედლებში ჯვარად დასვენებულის“ („გველის პერანგი“, გვ. 219). გრძნობს რობაქიძე თბილისთან საკრალურ კავშირს – თბილისი მისი სხეულია, მისი ზრახვაა და რომ „არსის ხვედრი არსია თვითონ.“ თბილისი ხედავს „ივერიის ქალწულის თვალებს. ხალასს და რასაშეურველ თვალებს: საცა მედიდურობა და დარცხვენა ერთი და იგივეა. თვალებს: რომლებშიაც დაინახავ გაჩენის პირველ დღეებს“ (იქვე. გვ. 225).

ამიტომაც იხდის გველის პერანგს არჩიბალდ მეკეში და არჩილ მაცაშვილად იქცევა – უბრუნდება თავის ნასახლარს, თავის ვენახს, მამა-პაპათა საფლავებს და ქორწინდება ქალზე, რომლის სახეშიც წმინდა ნინოს ხედავს, ქართულ მტევანს, სიმინდის

„გაქურულ“ ტაროსა და ქართულ მიწას. ორსულ მატასის კი მუცლით მისი ქვეყნის საშო დააქვს – ასეთია მწერლის მითოსური ხედვა, რაც გრიგოლ რობაქიძის სტილურ თავისებურებაზე მიგვითითებს.

კიდევ ერთ უაღრესად ორიგინალურ, რელიგიურ-მითოსურ მხატვრულ სახეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც გვხვდება ხორალში მისტერიიდან „ჯვარი ვაზისა“, სადაც საწინახელი ყურძნით გაღებული გველეშაპია, რომელსაც ნებისმიერი გიორგი სიამოვნებით ჩასცემდა მახვილს, რათა პეშვით დაეღია მტევანთა ტბორები:

„და პირგაგუდული დიდი საწინახელი –  
ყურძნით გაღებული ლუში გველეშაპი  
რომელმა გიორგიმ არ ჩასცეს მახვილი  
მტევნების ტბორები რო ხვრიპოს პეშვებით“.

(ხორალი მისტერიიდან „ჯვარი ვაზისა“)

გრიგოლ რობაქიძე, ქართულ მიწაზე, ვენახსა და ქართულ რასაზე შეყვარებული მწერალი, „ცისფერყანწელთა“ უფროსი მეგობარი, მათი იდეური სულისჩამდგმელი, ცხოვრების სტილით – ქართველი დენდი – უცხოეთში, ემიგრაციაში გარდაიცვალა (სწორედ ამიტომაც გახდა გერმანულენოვანი მწერალი). მისი ნაწარმოებები აკრძალული იყო საბჭოთა სინამდვილეში და დღემდე მას არაპროფესიონალი ქართველი მკითხველი მხოლოდ „გველის პერანგით“ იცნობს, რომლის დაბეჭდვაც მწერალმა ემიგრაციამდე მოასწრო და რომელსაც დავეყრდენით ჩვენც, როგორც ქართველი მკითხველისათვის ცნობილ და ხელმისაწვდომ ნაწარმოებს.

## გალაკტიონი

„დალევ ღვინოს და დატრიალდებიან მთები, აირვეიან ღრუბლები. მთებო, რა მოგივიდათ, ღვინოს მე ვსვამ და თქვენ თვრებით?!“

(გალაკტიონი. უბის წიგნაკი, გვ. 15)

თრობა პოეტური ალეგორიაა და ლოთობას როდი ნიშნავს. გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო, მთვრალი პოეზიით, გრძნობებით – სილამაზის, სიკეთის, სიყვარულის – საკუთარი თავის სიდიადის და ზოგჯერ ალბათ ღვინითაც, რა თქმა უნდა.

ყველა, ვინც კი გალაკტიონს იცნობდა, ერთხმად აღიარებს, რომ იგი ცოტას სვამდა, მაგრამ მალე თვრებოდა და მთვრალი იყო მაშინაც, როცა საერთოდ არ სვამდა. ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო თავის დროზე და თავად გალაკტიონსაც არაერთხელ გამოუთქვამს აზრი:

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,  
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით  
და შემდეგ უცნობ პიანინოებს  
ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით“.

გალაკტიონის ლექსის „გარჩევა“ ხომ შეუძლებელია, ამ ლექსსაც ვერ „განვსაზღვრავთ“, ის უნდა ვიგრძნოთ და ვგრძნობ კიდევ, რომ ის „სულ სხვას“ ეძებს





ღვინოში, არა ლოთობასა და თავდავინყებას, არამედ პოეტურ ექსტაზს, ხელოვნებით, გრძნობებით თრობას. ამიტომაც ხარკს უხდის ღვინის კულტს, როგორც გრძნობების გადმოფრქვევას, შვებისა და სიმშვიდის მონიჭებას:

„წყნარზე წყნარი მზე და ღვინო,  
შვების წყარო მზე და ღვინო,  
მე მთვრალი ვარ სიყვარულით,  
არ დამცარო მზე და ღვინო,  
მშვიდად წყარო,  
შვების წყარო,  
არ დამცარო, მზე და ღვინო...“

მზე და ღვინო ერთი მთლიანობაა, ერთი პოეტური სახეა და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გალაკტიონი განუწყვეტლივ მთვრალი იყო – მზითა და ღვინით, პოეზიით და სიყვარულით და რომელიც გნებავთ იმ გრძნობით, ეს ღვინის კულტია და არავითარ შემთხვევაში – ლოთობის. გალაკტიონი „ხელოვნებით გაბრუებას“ თრობად მიიჩნევდა და სტატიაც კი დაწერა სათაურით: „ნარკოზი და ხელოვნება“. „ნარკოტიკების სრულად მოსპობა კი არა, შეცვლა საჭირო!!! ხელოვნება საუკეთესო ნარკოზია ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. ხელოვნება იძლევა ყოველივე იმას, რასაც იძლევა ალკოჰოლი!!! როცა წიგნს კითხულობს ადამიანი, თეატრში ზის, სურათს ათვალიერებს ან მუსიკას ისმენს, იგი შორდება ყოველდღიური ცხოვრების ზრუნვებს და დავიდარაბებს, თავს ივინყებს, ისვენებს დამლაღავ ანდა სულისშემხუთავ შთაბეჭდილებებისაგან...“

პოეზია გალაკტიონისათვის საუკეთესო ალკოჰოლია. სვამს არარსებულ „ცისფერ ღვინოებს“ და თვრება ვარდებით:

„ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა“

ანდა ყვითელი ფოთლებით დათრობა ახსენდება (ინტელექტუალური თრობა):

„სულ რამდენიმე წლის წინ  
ყვითელ ფოთლებით თრობა  
ხედავს ვარსკვლავთა ციმციმს  
მოგონებათა გრძნობა“.

გალაკტიონი თასს ითხოვს ვარდების ბუჩქის ჩრდილით:

„მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის  
მომეცით – თასით“.

გალაკტიონისათვის მტევანი ყურძნის მარცვლებით კი არა, მზის ალუბლებითაა სავსე („...მტევნები სავსე მზის ალუბლებით“); ის ამჩნევს ტირიფზე ასულ მაღლარ მტევანსაც („...და ტირიფიც მაღლარ მტევნით, სასაცილო ტირიფი, გადახრილი ზედმინვენით, მსუბუქი და ირიბი“), გალაკტიონი პოეტურ ხილვებში ცხოვრობს და ბოდლერისებურად წერს:

„ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,  
ლამის მეეტლე რომ ველარ დაატია.  
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი, –  
რომელი საათია, რომელი საათია?  
ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი  
თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,  
ალარ გათენდება ღამე საზიზღარი!“

რომელი საათია, რომელი საათია?  
 იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი  
 თრობის საათია, ღვინის საათია!“  
 ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე –  
 რომელი საათია?“

(„რომელი საათია?“)

ასე რომ, გალაკტიონი თუ რაიმეთი მთვრალი იყო – პოეზიით, მუსიკითა და გრძნობებით. თვითონ წერს, „სიმღერით დავთვერიო“. სიმღერით დათრობა გალაკტიონისათვის იგივე როდია, რაც სხვისთვის. „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურ-სო,“ – ამბობდა გალაკტიონი და არაჩვეულებურად ფიქრობდა. ერთხელ მისთვის უგრძნობინებიათ, რომ ცუდად მღეროდა. გალაკტიონს სწყენია და უთქვამს: „არც ილია მღეროდა, მაგრამ პირველი თამადა კი იყო“. აბეზარი მოკამათე არ გაჩერებულა: „ილია როცა თამადობდა, წინამძღვრიშვილის მონაფეები სიმღერით უვსებდნენ ნაკლსო“. ამაზე გალაკტიონს საოცარი რამ უთქვამს: „აბა ერთი ილიას გულში ჩაგეხედა მაშინ, რა სიმფონიები გუგუნებდა!! ილიას არ უმღერია ილიაობაზე, მაგრამ „განდეგილზე“ კი ფიქრობდაო“. (მ. კვესელავა, „პოეტური ინტეგრალები“, 1977, გვ. 521).

გალაკტიონისათვის „განდეგილზე ფიქრი“ და „სიმფონიების გუგუნი“ ერთი ყოფილა და ჩვენ მას გინდა პოეტური პროცესი დავარქვათ და გინდა „სიმღერით დათრობა“.

თავიდან ბოლომდე სიმღერაა მისი „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“: სიზმრისეულია სვეტები, ქვების სიმფონია, ხვეულებში მიკარგ-მოკარგული გზნება, ფრთოსანი ფასკუნჯები, ქართული მზერა... ამ ყოველივეთი თრობა თვალისათვის შეგიძლია და მუსიკითაც, რომელიც გალაკტიონის ლექსიდან ისმის.

გალაკტიონმა თვითონ მოუნახა თავის პოეზიას გასაღები:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,  
 ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

„ერთხელ თურმე გალაკტიონი გელათის გუმბათს შეჰყურებდა და სიმღერა მოუნდა: მოდით, „შენ ხარ ვენახი“ ვიმღეროთო“ (მ. კვესელავა, გვ. 352).

ასე მომენტალურად გადავიდა სურათი (ქვა) მუსიკაში და მუსიკა პოეზიაში (მის „ქებათა-ქება ნიკორწმინდაში“ ქვა არა მარტო „ჟღერს“, არამედ „ლულუნებს“; „შენ ფრთამოლულუნეს...“); „შენ ხარ ვენახი“ კი პოეტის მიერ შემთხვევით არჩეული საგალობელი როდია.

გალაკტიონის უბის წიგნაკში შემორჩენილია ერთი ისეთი ნაწერი, რომელიც ძალიან კარგად გვიხსნის მისი მუშაობის სტილს, პოეტური აღმადრენისათვის საჭირო გარკვეულ ნიუანსებს:

„1917 წელს მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს შემატყობინეს, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს განკარგულება მიეცა პოლიციის მიერ ჩემი დაპატიმრების შესახებ... სახლიდან არც დღით, არც ღამით არ გამოვდიოდი. ასეთ მდგომარეობაში განვაგრძობდი „ქართული ორნამენტის“ წერას! საქმე იმაშია, რომ ყრმობიდანვე ძალიან მიტაცებდა ქართული ორნამენტის იშვიათობა, მასში ვგრძნობდი და ვხედავდი ქართველი ერის, მისი ხელოვნების, მისი ადამიანების მთლიან ბუნებას, ნიჭს. ვწერდი დღითა და ღამით, ძალიან გულმოდგინედ. წიგნმა ისე გამიტაცა, რომ სულ გადამავინყდა გუბერნატორი, მისი განკარგულება. ჩემთან სანახავად მოსულ პოეტს,





ბეგლარ ახოსპირელს ვთხოვე ჩამოეტანა ჩემთვის ჩვენი ტაძრის ნანგრევებიდან რაიმე ორნამენტი. მომიტანა დროთა სვლისაგან ხავსმოდებული ორნამენტი, ყურძნის მტევნის გამოსახულებით. დავიდე მაგიდაზე და ასე განვაგრძობდი წერას... მას მერე ბევრი ხანი გავიდა, ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ ის ორნამენტი არ დამიკარგავს. ეხლაც დევს სამუშაო მაგიდაზე (გ. ტაბიძე – უბის წიგნაკი, ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატთანე“, თბ., 1998, გვ. 61).

„შენ ხარ ვენახის“ საგალობელი, ქართული ორნამენტი ყურძნის გამოსახულებით, მასში ჩატეული მზე და მზის ძალა იყო გალაკტიონისთვის შთაგონების მიმცემი, პოეზიით დამატორობელი და მშობლიური მინანქლის შემაგრძნობინებელიც – „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული!“ ვენახში მოსიარულე მოხუცი მამის ნოსტალგიური მოგონებაა მამული:

„გაშალა ველი ნელმა ნიავმა  
და მელანდება მე მის წიაღში  
მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
სასხლავით ხელში დადის ვენახში.  
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
მასზე ოცნებას დაემგვანება!  
ისევე ამწვანდა მდელო და კორდი!..  
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

(„მამული“)

ვენახი მამის ტრადიციული სახეა და მამულს მიემართება. ვენახზე ოცნება კი მამულის გაშენებაზე ოცნებაა, ამიტომაც არის ეს სახე გალაკტიონისათვის შორეული და ღრმა სევდით მოცული.

ვენახსა და ღვინოს, ღვინოსა და თრობას გალაკტიონმა, ისე როგორც ყველა ქართველმა პოეტმა, ხარკი გადაუხადა. გადაუხადა როგორც ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში, მაგრამ თავისი პოეტური ასპექტით გალაკტიონმა კვლავ გამორჩეულად, სხვანაირად, „არა ჩვენებურად“ თქვა თავისი სათქმელი, რითაც კიდევ ერთხელ ადღეგრძელა საქართველო გრძნობებითა და პოეზიით ავსებული ყანწებით:

„მე ვადღეგრძელებ საქართველოს სავესე ყანწებით,  
მე ვადღეგრძელებ...“

ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა პოეტმა საბოლოოდ მაინც ღვინოში იპოვა თავშესაფარი. დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ და არა წუთიერი განწყობილების შედეგად, ნიშნად პროტესტისა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

## „ცისფერყანწელები“

„...დიდხანს ჰქონდათ მსჯელობა, თუ რა დაერქმიათ აღმანახისათვის... პაოლომ თქვა „ცისფერი ყანწელები“ და გაიტანა კიდეც, ვინაიდან მის მეტს ფული არავის ჰქონდა და აღმანახის გამოსაცემად... ამის შემდეგ შეუდგნენ სატარებელი ნიშნის ძებნას, ვინაიდან ქუთაისში არ იმყოფებოდა შესაფერი გრაფიკოსი, რომ „ყანწელები“ გაეკეთებინა გულზე სატარებელ ნიშნად. ხოლო ნამდვილი, ვეებერთელა ყანწის მკერდზე ტარება დიდ უხერხულობას წარმოადგენდა, აფრინეს კაცი არგვეთში, იქ ექვსი მამალი დაჰ-

კლეს, მამლის დეზები ძალიან ჰგვანან ყანებს, მხოლოდ მინიატურულია, და ასე, – თორმეტი ცალი „ყანნი“ არგვეთიდან ჩამოტანილი, დაურიგა პაოლომ დანარჩენებს, და ერთ მშვენიერ დღეს (ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს!) ქუთაისის მზიან ბულვარზე, დემონსტრაციულად გამოვიდა თორმეტი ახალგაზრდა მკერდზე „ყანნის“ ნიშნით...“ (გ. ტაბიძე, „უბის ნიგნაკი“, „ლიტერატურის მატრიანე“, თბ., 1998, გვ. 12)

## პაოლო იაშვილი

„...ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე – ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავამყოფს, რომელმაც იგრძნო კოცნა სიკვდილისა და კიდევ ელის სიცოცხლეში დაბრუნებას. ჩვენ ვკლავთ შიშს თავის ბნელ მანტიასში და ვუმღერით რაინდობას, სიჭაბუკეს და ალურ სიყვარულს...“

(პაოლო იაშვილი, ნაწყვეტი ცისფერყანწელთა მანიფესტიდან; „ცისფერი ყანწები“, 1, 1916 წ.)

როგორ გაბედულად, როგორი შემართებით გამოვიდნენ ეს ახალგაზრდები ცხოვრებისეულ თუ ლიტერატურულ სარბიელზე და თითქოს ყანწის დაღვეის წინ წარმოთქმული სადღეგრძელოები ლექსებად, ექსპრომტებად და ეპიგრამებად მიმოაბნიეს.

ახლებური იყო მათი ლექსი, დისონანსი შეჰქონდა უკვე დამკვიდრებულ ლიტერატურულ გარემოში, უცნაური იყო მათი ქცევა: ქუჩაში გაჰკიოდნენ ლექსებს, მაცხოვრებლებს არ აძინებდნენ, „ექსპერიმენტებს ვატარებთ“; ჩასუქებულ ვაჭრებს ყვირილით მისდევდნენ ქუთაისის ქუჩებში, „მისცხე სპეკულანტებსო“, – აქეზებდნენ ერთმანეთს; არასასურველი დასის გამო აურზაურს აწყობდნენ თეატრში და სპექტაკლს შლიდნენ, ღამით უცნობ სადარბაზოში ქეიფობდნენ, მრავალჯერ ამოუყვიათ თავი მილიციაში, ქუთაისიდან ბოჰემური ცხოვრების გამო ასახლებდნენ; მათხოვრებთან და შეშლილებთან ახლობლობდნენ; კაფეებში მართავდნენ პოეზიის საღამოებს და რასაც შოულობდნენ, ხელგაშლილად არიგებდნენ, ჯიბეში კი ფული არასდროს ჰქონდათ... იცოდნენ ძმობა და მეგობრობა, უყვარდათ სამშობლო, დაეძებდნენ სულხან-საბას საფლავს; იყვნენ არტისტული სულის პატრონები, მეგობრობდნენ რუს პოეტებთან: ესენინთან, მაიაკოვსკისთან, ანდრეი ბელისთან, ალექსანდრე ბლოკთან, ბორის პასტერნაკთან... მხარში ედგნენ გაჭირვებულ ქართველ ხელოვანებს და სპეციალურად გამართული საღამოებით მათ პოპულარიზაციას ახდენდნენ; რევოლუციის პირველ ხანებში, როცა ქვეყანაში სრული ანარქია სუფევდა, ქალაქში წესრიგს ამყარებდნენ.

მათი ლიდერი და მეთაური პაოლო იაშვილი იყო, ცისფერყანწელთა ორდენის ანუ საქართველოში დასავლეთევროპული სიმბოლისტური სკოლის დამაარსებელი.





თანამედროვეთა მეხსიერებაში პაოლო ასეთნაირად წარმოსდგება: „დარდიმანდი და ოქროპირი, მომლხენი, რომელიც მოხდენილ სიტყვებს უხვად ფანტავდა, შეუდარებელი თამადა, სუფრის მშვენიება – ასეთი იყო პაოლო ცხოვრებაში (შალვა აფხაიძე, „მზიური იაშვილი“, მოგონებები პაოლო იაშვილზე, „მერანი“, 1995, გვ. 41).

„წლობით შეგედლო გემიჯნურა, გეგრძნო, გელოთა, მაგრამ ზეიმად, მუდამ ლხინად გამზადებული. ძმობის შემკვრელი, სუფრის თავი, ბეჭის დამჭრელი, გადაყოლილი მრუდს და მართალს... ჰაი, დედასა! ასე გიცნობდა, თუ გიცნობდა, სადმე ქართველი“, – ამ სიტყვებით მიმართავს ირაკლი აბაშიძე ტრაგიკულად დაღუპულ პოეტს.

ალბათ მისი ბუნებიდან გამომდინარე, პაოლოს ლექსებში სულ ყანნი, ალავერდი და სადღეგრძელო ჩანს, მათში კი პოეტის სულიერი ტკივილები, ნაზი სიყვარული, ბოჰემური აღმაფრენა და სიმბოლისტური ხატებანი ისახება. კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი მოსკოვიდან იჭვნიულად კითხულობს:

„ძმაო, მომწერე ისეთი რამე,  
ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი:  
ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენ,  
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი“.

(„კოლაუ ნადირაძეს“).

„ავტოპორტრეტში“ რუსთაველთან გადადის ალავერდს:

„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.  
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა  
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა“.

(„ავტოპორტრეტი“)

ეთიმ გურჯის გაცნობით აღფრთოვანებული, სახალხო პოეტს ლექსად მიმართავს.

„დღეს პირველად ვნახე ხალხის ეთიმი,  
ის ყოფილა ჩვენი გულის ექიმი.  
ღვინო, ლექსი არის მისი ადათი  
და ქონება – ერთი შავი ნაბადი“.

(„ეთიმ გურჯი“)

მიხეილ ჯავახიშვილს ცოლთან წარსადგენ მონმოზას აძღვეს:

„ედღევა ესე მონმოზის ცალი  
„ჯაყოს ხიზნების“ და „კვაჭის“ ავტორს,  
რომ ის დავტოვეთ ვახშამზე ძალით  
და ტიცვიანი მას ძალით ათრობს“.

(„მონმოზა“)

სიმბოლისტური ხატებანი იშლებიან პოეტის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ლექსში „წითელი ხარი“. „მზის ნადიმს“ ესწრაფვის პაოლო და აქებს წითელ ხარს, მზის ცხოველს, ყვითელ რქებას და ცეცხლის ფრთებიანს. მისი წმინდა ქება „ალური ნადიმის“ შემადგენელი ნაწილია (როგორც სადღეგრძელო – სუფრის).

პაოლო პოეზიაშიც ფართო ასპარეზს აძღვეს თავის არტისტულ სულს და ბოჰემურ ნადიმს შთამაგონებლად, ინტენსიური ნიუანსებით, დიალოგით ასახავს ლექსებში:



„ბაგენი ლალის მღეროდნენ სიმთვრალეს,  
 პასუხი ალის ისმოდა ნელი.  
 „ჩვენ დავიღალეთ, – „ჩვენ დიდხანს გელით“  
 „შენ სიდან მოხვალ?“ – „შორეულ ველით“  
 „ო! მსურხარ ძლიერ! მსურს კოცნა მწველი!“  
 („სტიროდნენ“)

რაფინირებული გემოვნებაა ამეტყველებული „მეფის ქორწილში“. თეთრი სა-  
 ქორწინო ტანსაცმელი, ვეზირები – ლალის ფარჩა და ოქრომკერდი, ვერცხლის სუ-  
 რებში ღვინო და სხვა სასმელები, „...ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო“. ამ  
 ელვარე ფერებში მხოლოდ დედოფლის სახეა ფერმკრთალი, „ვით ნისლში გედი“. სუ-  
 რათს თითქოს პოეტი კი არა, მხატვარი ქმნიდეს.

პაოლოს ბოჰემური ცხოვრების სტილი ცნობილმა რუსმა მხატვარმა სერგეი სუ-  
 დეიკინმა კაფე „ქიმერიონის“ კედელზე აღბეჭდა, როცა პოეტი ესპანური შლაპითა და  
 ყანნით ხელში გამოსახა ბრონეულის ხეს მიყრდნობილი ტიცციანის გვერდით. პაოლოს  
 ქცევაც მისი ცხოვრების სტილიდან მომდინარეობდა: უაღრესად გულღია და კეთილი  
 იყო, თან არტისტული. ძალიან იტანჯებოდა, როცა მათხოვრებისათვის მისაცემი ფუ-  
 ლი არ ჰქონდა. ნინო ტაბიძე, ტიცციანის მეუღლე, იგონებს, როგორ აესვეტა ერთხელ  
 პიონერთა სასახლის ნინო პაოლოს ნაცნობი მათხოვარი კაჩეგარა. „პაოლო აღელდა,  
 რადგან ფული არც ერთს არ გვექონდა. მაშინვე შლაპა მოიხადა, გამვლელებს გაუ-  
 ნოდა და ნაიმღერა: „აჩუქეთ ხელმოკლე პოეტს კვარტი ღვინისათვის.“ ქუჩაში ზღვა  
 ხალხი ირეოდა. გამვლელები იღიმებოდნენ და ქუდში ფულს უყრიდნენ, გროშებს კი  
 არა, მანეთიანებს. ოცი ნუთის შემდეგ ქუდი პირთამდე აივსო. პაოლომ ფული მათხ-  
 ოვარს გადასცა“ (ნინო ტაბიძე, მოგონებები პაოლო იაშვილზე, „მზიური პაოლო“, გვ.  
 103).

არტისტული ბუნებიდან გამომდინარე, რომელსაც ხშირად ნიღბის სახე აქვს,  
 პაოლო ებრძოდა ტრადიციას, მაგრამ სინამდვილეში მისი უპირველესი დამფასებელი  
 იყო. მისი დეკადენტური ლექსები ყურადღებას იპყრობდა, დისონანსად იჭრებოდა  
 საზოგადოების მაშინდელ ესთეტიკურ შეხედულებებში, არღვევდა ლექსის დაკანო-  
 ნებულ ფორმას და გამომსახველობით საშუალებებს, ებრძოდა დიდ სახელებს. დი-  
 დი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მისმა ლექსმა „პაოლო იაშვილს – მომენყინა ყვითელი  
 დანტე“:

„პაოლო იაშვილს მომენყინა ყვითელი დანტე.  
 ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა – შექსპირს უარი,  
 რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი  
 და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი“.

(„პაოლო იაშვილს – მომენყინა ყვითელი დანტე“)

პაოლო ქართული, ძველი პოეტური თაობის უდიდეს ფიგურას – აკაკისაც შე-  
 ებრძოდა. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი იყო ისევე, როგორც შექსპირისა  
 და დანტეს უარყოფა. სინამდვილეში პაოლო და მასთან ერთად ცისფერყანწელები  
 აკაკის, ილიასა და ვაჟას პოეზიის უდიდესი დამფასებლები იყვნენ, რაც კარგად ჩანს  
 მათ ლექსებში. პაოლო იაშვილი, მიუხედავად თავისი სიმბოლისტიკობისა და ფრანგი  
 დეკადენტებისათვის მიძღვნილი ლექსების სერიისა, თავისი პოეტური მიდრეკილე-  
 ბითა და ლექსიკით ამ სკოლას მაინც არ ეკუთვნოდა. მის ლექსებს, აკ. განერელიას  
 მოხდენილი თქმით, „ქართული ქვევრის სურნელი უფრო ასდიოდა“, „მის ვიზუალურ





ხედვებს ჩვენი ქვეყნის ბუნების ნიშანდობლივი ლანდშაფტები და სანახები კვებავ-  
დნენ, ხოლო ემოციებს – რაინდული ნადიმები და მოლხენები.“ ავიღოთ თუნდაც მისი  
ლექსი „წერილი დედას“. ქალაქის აურზაურის გავლენით შექმნილი სულიერი დეპრე-  
სია საოცარ სევდიან განწყობილებას ქმნის. ხელშეუხებ, ნაუბილწავ სინმინდედ რჩე-  
ბა ოცნება სოფელზე:

„დავტოვე სოფელი,  
მყუდრო სამყოფელი,  
ქვიტკირის მარნები  
და კატის კნუტები – სიმინდის ყანა!  
ჰა, კინტოს პროფილი,  
საეჭვო ტარნები,  
და დავიკუნტები  
ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა“.

(„წერილი დედას“)

კინტოებისა და ყარაჩოხელების მოტრფიალე არც პაოლო და არც მისი ჯგუფის  
სხვა წევრები არასდროს ყოფილან. სალახანას პოეტი თავს მწარე ირონიით უწოდებ-  
და. სოფლის სინმინდეს მოწყვეტილი ქალაქში ვერ პოულობდა საყრდენს. ლექსში სო-  
ფელი და ვენახი სულიერების სახეს იღებს, შვილის დარდით უპეგალურჯებული დე-  
დის თვალები კი ვაზის ფოთლებზე შაბიამანის გალურჯებას ემსგავსება:

„როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,  
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი  
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი,  
ვით თვალის უპე – როცა მე არ მახურავს ღამეში საბანი“.

(„წერილი დედას“)

საოცარი სულიერი მღელვარება იხატება შვილის თხოვნაში, რომ ფეხშიშველ-  
მა დედამ მოინახულოს წმინდა ხახული, ქალაქში დაკარგული შვილისთვის გაათიოს  
იქ ღამე, დაუნთოს მისი სიგრძე სანთელი, რათა დაყურდეს შვილის გულში „გრიგალი  
და კორიანტელი“. და საოცარია დედის სახეც, რომელიც ამ ყოველივეს აუცილებლად  
გააკეთებს შვილის გულისთვის.

შინაგანი სიმშვიდე და ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმის სურათები იხატება  
პაოლოს იმ ლექსებში, რომლებიც მშობლიურ სოფელში მიღებული შთაბეჭდილე-  
ბებით არის ნასაზრდოები. „ზემოურ რთველში“ პაოლო მისთვის ჩვეული მკაფიო და  
ელვარე საღებავებით ხატავს რთველის სურათებს, თავის „კბილა“ კატის ღიღინს, მე-  
ზობლებთან მხარი-მხარ შრომას, მარანს, რომლის „ყავრის ჭერში ოქროს დანა გა-  
ურჭვია დილის მზესა“. საკმარისია, ერთი სტროფი მაინც მოვიყვანოთ ამ ლექსიდან,  
რომ თვალწინ წარმოგვიდგება შემოდგომის მომხიბვლელი სურათი – რთველი – არა  
მარტო ყურძნის ნურვა, არამედ მასთან დაკავშირებული ტრადიციების ნიუანსები და  
დეტალები და, რაც მთავარია, პაოლოს პოეტური ფანტაზიით შექმნილი განუმეორე-  
ბელი ხილვები:

„და გაისმის სოფლის ველად  
ნანინა და ოროველა  
ჩანგურული კილოს ხმაზე...  
უკვე რაჭის მთებში ბნელა,

მთვარე – ძროხის ერთი წველა  
დედს პერანგას ქიმის ჯამზე“.

(„ზემოური რთველი“)

არა მარტო მშობლიური სანახები კვებავენ პაოლოს, მისი სტიქიაა სანადიმო ბალები, ნახევარსარდაფებიცა და სასტუმროებიც, ერთი სიტყვით – მოლხენა. კრიტიკოსი აკაკი განერელია იხსენებს, როგორ წაიყვანეს პაოლო იაშვილმა, ტიცვიან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ დროის გასატარებლად კახეთში და როგორ აღმოჩნდნენ სართიჭალის სასადილოში, რომლის პატრონსაც პაოლომ დაავალა დედას ლევანას მოძებნა, „თბილისელი ძმები გეპატიჟებიანო“:

„სად იყო, სად არა, მალე დედას ლევანაც გამოჩნდა. თხელი, საშუალო ტანის მამაკაცი იყო... თუშური ქუდი ეხურა, ძალზე დინჯი და მშრომელი გლახის ტიპს მოგონებდათ. იფიქრებდით, ეს-ესაა ეზოში ოჯახურ საქმიანობას მოაცდინესო. სტუმრები მეფურად შეეგებნენ მას. დედას ლევანამ დინჯად შეიფერა შეხვედრის საზეიმო რიტუალი... შეეცქეროდი ჩვენი პოეტების ნადიმს, რომელშიც ასე ნათლად გამოსჭვიოდა ქართული ლხინის ყველა შესანიშნავი თვისება: სმაში თავდაჭერილობა (მარტო პაოლო ცლიდა ვეება ფიალას) და ჩინებული მჭერმეტყველება, რასაც ლექსების ზეპირად წარმოთქმა, ექსპრომტები და დედას ლევანას შეუდარებელი ტენორი აგვირგვინებდა. დედას ლევანა შეუდარებელ piano-ს ფლობდა, არაჩვეულებრივად მიმზიდველი იყო მისი ხმის ქართული ტემბრი, რიტმული თრთოლა გაბმული სიმღერისა... დედას ლევანას ყოველი სიმღერის დამთავრების შემდეგ პაოლო წარმოდგებოდა, მისკენ გასწევდა და ფეხზე მდგარნი ორივენი მხარზე ეამბორებოდნენ ერთმანეთს. კახური ვოკალისა და იშვიათი ღვინის ემბაზში თითქოს ხელახლა ინათლებოდნენ ქართველი პოეტები!

...ერთი სიმღერა უიღბლო სიყვარულის გამო ტირილი იყო... სიმღერის დასასრულს პაოლო იაშვილმა წითელი ღვინით სავსე ფიალა უმალ იატაკზე დაანარცხა და თავი ჩაქინდრა. დედას ლევანას ბოლო სიმღერამ თუ ააფეთქა მისი „ტვინი ვერანი“ – აკი სიფხიზლის ჟამს პოეტის არსებას დარდითა და სიმძიმით ავსებს ხოლმე ნუთისოფელი“ (აკ. განერელია, მოგონებები პაოლო იაშვილზე, „მზიური პაოლო“, „მე-რანი“, თბ., 1995, გვ. 74).

პაოლო იაშვილმა სიცოცხლე სიფხიზლეში, დარდითა და სიმძიმით ავსებულმა, თვითმკვლელობით დაასრულა. ეს მოხდა მწერალთა კავშირის სხდომაზე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ლავრენტი ბერიამ მას დაავალა მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიცვიანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდების დაწერა. ამას წინ უსწრებდა 1924 წელს მისი ძმის დახვრეტა და ის ნუმზე, რომლისკენაც მუდმივად ექაჩებოდა საბჭოთა მთავრობა – სოციალისტური რეალიზმის „ადეპტი“ გამხდარიყო. ბერიასაგან წამოსულ პაოლოს გზადაგზა მიუღია ეს გადაწყვეტილება.

## ტიციან ტაბიძე

თუ პაოლო იაშვილი ცისფერყანწელთა ორდენის ლიდერი და დამაარსებელი იყო, ტიცვიან ტაბიძე მის თეორეტიკოსად გვევლინება. ჟურნალის ორივე ნომერში მან გამოაქვეყნა ცისფერყანწელთა მანიფესტი სათაურით: „ცისფერი ყანწებით!“ ტიცვიანი წერდა:





„ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნილაბის, და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“ (ტიციან ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, „ცისფერი ყანწები“, 1, ქუთაისი, 1916 წ.)

ამ აქტიორული სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ცისფერყანწელები, სულ ცამეტნი (ეს რიცხვი, ცხადია, სიმბოლური იყო. ქრისტესა და მისი მოწაფეებით მათ ერთი მრწამსი და საძმო ფიცი აერთიანებდათ. როცა ამ ორდენის ნევრთა ბოჰემურ ცხოვრებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, არ უნდა დავუშვათ, რომ ასეთ ცხოვრებას მათ სიმდიდრის გამო მიჰყვეს ხელი. ზოგჯერ პირიქითაც ხდება და ასე იყო ამ შემთხვევაშიც. გაჭირვება, არა მარტო ეკონომიური, არამედ უფრო სულიერი (ისინი ხომ იძულებული იყვნენ საბჭოთა მწერლების რიგებში ჩამდგარიყვნენ, „ერთი ეფიქრათ და მეორე დაენერათ“) ხშირად აიძულებს კაცს ღვინოში ეძიოს გამოსავალი დარდის გასაქარვებლად, ბუნებით უბრალო ადამიანი იყოს და ამაყად ეჭიროს თავი. ტიციანსა და გალაკტიონ ტაბიძეს 1914 წელს ქუთაისის ბაღში მწერალთა ჯგუფთან ერთად ერთი სურათი აქვთ გადაღებული. გალაკტიონს ამ სურათთან დაკავშირებით პატარა ჩანაწერიც კი გაუკეთებია: „ტიციანს ახლად შეკერილი კოსტუმი აცვია. გიმნაზია ესესაა დაამთავრა. ტიტია! მაშინ ტიციანი არ ერქვა. ათი წლის განმავლობაში ის ხელს აწერდა ტიტე ტაბიძე, ტ. ტაბიძე. ტიტია!.. იმ სურათზე აღბეჭდილთა შორის ყველა უზრუნველყოფილი იყო, მე კი იმ დღეს მახსოვს, სადილის ფულიც არ მქონდა. მაგრამ თავს ღორღივით ვიჭერდი, საბრალო ტიციანიც ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ისიც თავს იჭერდა.“

სიღუბსიერე პოეტებს ხელს არ უშლიდათ ღორღებივით მოქცეულიყვნენ, უცნაურობებით აღსავსე თავგადასავლები გამოეცლოთ, დახეული შარვლით ევლოთ, მოყვასისათვის კი ნამდვილი ძმები ყოფილიყვნენ. ახალგაზრდულ სულისკვეთებას და პოეტურ სულს მაინც თავისი გაჰქონდა; ისინიც ქეიფობდნენ და ლხინობდნენ სხვაგვარად, არტისტულად, ჩვეულებრივ ხალხს კი მათი ქცევა აკვირვებდა. 1919 წელს ტიციანის ქუთაისში ჩასვლა ცისფერყანწელებმა მდინარე წყალწითელას ხიდან მდებარე ერთ განაპირა წისქვილში აღნიშნეს. ყველანი იქ იყვნენ, მხოლოდ გიორგი ლეონიძე აკლდათ. ტრიალებდნენ წისქვილის ქვები, იატაკქვეშიდან ღარის წყლის ხმაური ისმოდა, წისქვილის ხის შენობა სულ მთლად ზანზარებდა. ამ დროს სანდრო ცირეკიძეს მის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი მალარმეს ლექსების წიგნი ამოუღია, ტიციანის და პაოლოსათვის საგანგებოდ გამზადებული სიურპრიზი. ყველა აღტაცებით შეხვედრია ამ გამოცემას.

- სად წისქვილი და სად მალარმე! – ეცინებოდა ტიციანს.
- არავითარი მალარმე! – ზეზე ნამოჭრილა აქამდე ტომარაზე წამოწოლილი პაოლო, – აქ ქართული ლექსები უნდა ვიკითხოთო, – და დაუწყია ტიციანისადმი მიძღვნილი თავისი ახლად დაწერილი სონეტის კითხვა. მთელი დღის მანძილზე მატარებით ნამგზავრ ტიციანს თუმცა დადლილობა ემჩნეოდა, მაგრამ პაოლოს ლექსს გამოუცოცხლებია და თვითონაც აჰყოლია:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.“

ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

(„ლექსი მენყერი“)

მისი სიტყვა ყოველთვის მღელვარე იყო. კაცს სულში ატანდა. ტიცვიანი, პაოლო, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე ლექსებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. გარეთ მყოფნი ჯერ კარებთან მდგარან და იქიდან გაოცებულნი უგდებდნენ ყურს მათთვის უცნაურ თავყრილობას, მერე თითო-ოროლად დაუნყიათ შემოსვლა. მალე ნისქვილი ხალხით გავესებულა. გაჩენილა ჭაჭაცა და ჭიქებიც. როცა პაოლომ „წერილი დედას“ წაიკითხა, მენისქვილეს ტიცვიანისთვის უკითხავს: დიდი ხანია, რაც ეს ყმანვილი ციხიდან გამოუშვესო? ტიცვიანს სიცილი წასკდომია. საჭირო გამხდარა, აეხსნათ მათთვის ლექსის ბუნებისა და პოეტური ფანტაზიის შესახებ. გლახები ყურადღებით ისმენდნენ და ხალისიანად შესცქეროდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც თავს პოეტებს უწოდებდნენ; თუმცა მათი ნაკლებად ესმოდათ (სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან).

„ცისფერყანწელებს“ პოეზიაზე მეტად არაფერი ანაღვლებდათ. ტიცვიანს ერთი წუთითაც არ შეეძლო ეცხოვრა პოეზიის ატმოსფეროს გარეშე და ამ ატმოსფეროს მას ნაწილობრივ მაინც ღვინო უქმნიდა. რესტორანში გამოღვიძებული, შერცხვენილ-ჩამოგლეჯილი პოეტის სულში „რალაც მეფურს“ აღიქვამდა და წინაპრებივით მზეს უძღვნიდა ქებას, თითქოს ძველი მითოსური რწმენა ცოცხლდებოდა მასში და ახალ დროში „დაგვიანებულ“ საგალობელს ქმნიდა.

„ჰკივის ორკესტრი ხმაჩახლეჩილი,  
ზარხოში ზანგი ბარბაცებს, ცეკვავს.  
მეც შერცხვენილი, ჩამოგლეჯილი  
მოვდივარ, როცა მსახური რეკავს.  
...და ბალაგანის მოვკვდები მეფედ, –  
რალაც მეფური იყო ჩემს სულში,  
დაგვიანებულ ხმად შემეიერთეთ  
თქვენ, ვინც მღეროდით მზეზე წარსულში!..“

(„ბალაგანის მეფე“)

ღვინის მეშვეობით მზის ძალით აღვსილი პოეტი სიყვარულს, მარადისობასა და წამს შეიგრძნობდა, შეეძლო – „ზეცისთვის ჩამოეხსნა სხივთა პირბადე“ და ვნებით ლექსად „ამოექსოვა“ („სერენადა“). ტიცვიანიც გრძნობდა პაოლოს „წითელი ხარის“ – მზისა და ღვინის – ჯიშგამძლეობას, რომელიც პოეტებს შიშს უქრობდა და „ლექსის ნიაღვრად“ გარდაქმნიდა:

„წითელი ხარის გამძლეობა მაგარი ჯიში  
და იალალზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრად,  
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდე შიში  
რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“.

(„პაოლო იაშვილს“)

ტიციანის პოეზიაში ცა, როგორც ქიმერიელთა („ცისფერყანწელთა“) დროშა, მენამული ფერისაა. პოეტმა იცის, რომ მოწამეობრივი სიკვდილი არც მათ ასცდებათ, ახალი ქრისტეს ოთხ მახარობელს – პაოლოს, გიორგი ლეონიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილსა და მას – იოანეს (ანუ ცისფერყანწელთა ნათლიას), ამიტომაც სიკვდილის





წინ (თითქოს საიდუმლო სერობა იყოს) სადღეგრძელოს სვამს ლექსად („დროშა ქიმერიელთა“). ღვინო ტიცვიანისთვის ოცნებისა და ლექსის საფუძველია:

„შენზე ოცნებას ვერვინ მომპარავს  
და დღესაც ღვინით დავითუთქები“.  
(„ოცდასამი აპრილი“)

ღვინოა ვაჟკაცობის შთამაგონებელი, ყველა ვაჟკაცი კი საქართველოს უკვდავების მზის მადიდებელია:

„სავსეა ისევ საქართველო ღვინის მარნებით  
და რაინდები გადადიან ყანებს ყანებზე.  
ჯერ არ მომკვდარა აქ ვაჟკაცი სხვა დანანებით,  
რომ არ ედიდოს საქართველოს უკვდავების მზე“.  
(„გაჭიანურებული მადრიგალი“)

ტიციანიც ამ ვაჟკაცთა რიცხვშია, ოღონდ ის სხვაგვარად – ლექსად – აქებს თავის ქვეყანას და მისი სიტყვა – „ეს ჰიპერბოლა“ – სახტად ტოვებს ბევრ პოეტს (ამ სიტყვებში მკვეთრად წარმოჩნდება „ცისფერყანნელთა“ მრწამსი ლექსთწყობისა და პოეტური გამომსახველობითი საშუალებების შესახებ, ასევე დაპირისპირება წინამორბედთა პოეზიასთან).

ტიციანმა თავად განსაზღვრა „ცისფერყანნელთა“ მანიფესტში, რომ მათი მიზანი „ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერებაა“, რაც ათამამებს მათ პოეტურ ფანტაზიას, პირველ რიგში ქმნის ახალ ლექსთწყობას:

„...და როგორც პულისი მომაკვდავ კაცის,  
ეს რიტმიც ისე გამოიცვალა“.  
(„ახალი მცხეთა“)

ახალი დრო სხვა რიტმით, სხვა სიტყვებით უნდა გამოიხატოს. ამ სიტყვებში ვხედავთ მოულოდნელ მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, ვხედავთ უხეშობასაც, რაც ახალი ცხოვრების შესაფერია; და, რაც არ უნდა იძულებითი ქება უთხრას ტიცვიანმა პროლეტარიატს, ახალ მცხეთას შეასხას ხოტბა, მის ლექსებში მაინც ჟონავს სიყვარული წარსული დროის:

„ოი, „არაგვო, არაგვიანო“,  
მტკვარო ფეხმარდო, მუდამ მქუხარე,  
ვარ მოგონების ცეცხლით მწუხარე,  
უტახტო, როგორც ის ალექსანდრე,  
რომელის სევდაც ამ დიდ ხეობას  
ჯერ აქამდისაც ვერ აულობავს“.  
(„ახალი მცხეთა“)

ლექსში ცნობილი მთიულეთის აჯანყება (1804) იგულისხმება და ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; აქვე ცოცხლდება ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ დასმული პრობლემატიკაც და არაგვის ხეობაში შეფარებული ერეკლესა თუ ბარათაშვილის ხატებაც. ტიცვიანის წარმოდგენით, ბარათაშვილიც ამ ხეობაში, ბუნების წიაღში სვამდა ღვინოს („ერთხელ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს“ (ნ. ბარათაშვილი „ბედი ქართლისა“)); ახალი თაობა კი კაფეებში დაიხრჩობა,

საფლავის მაგივრად კრემატორიუმში დაიფერფლება, ვაჟკაცი ველარ დალევს „საკუთარი სისხლით დაკვეთილ ზედაშეს“, „რომ შემდეგ თათრებს უტიროს დედა“, საქართველოში მოისპობა ქართული სული, რომელიც ტიცციანის ლექსში ქართული ღვინითა და მისი სმის ტრადიციითაა გამოხატული:

„დასაბამიდან დღეცისმარადი  
საქართველოში ამ ღვინოს სვამდნენ,  
გადადიოდა ხელში ხელადა  
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე“.

(„დასაბამიდან...“)

პოეტის წარმოსახვას საქართველოს ძველი დიდება, მისი საზღვრები – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე – ხელიდან ხელში გადასული ხელადით გაუზომია, ეროვნება ღვინის სმის ტრადიციითა და ვაჟკაცობით განუსაზღვრავს. გული სწყდება, რომ ახალ დროში ქართველობა ლოთობით გამოიხატება, ამიტომაც მის არტისტიზმსა და პოეტობას, როგორც ახალი დროის შვილისას, ლოთობად ჩათვლიან და შეაგინებენ. ეს ახალი დროების ირონიაა, რომელიც შეფარვით, მაგრამ მკვეთრად, აღიქმება ტიცციანის ლექსში:

„დამისხით, ძმებო, დამალევენეთ,  
ამივსეთ ყანნი ნითელ ღვინოთი.  
საქართველოში ბევრი მაგინეს,  
მიუმატებენ, რომ მე ვარ ლოთი“.

(„დასაბამიდან...“)

ახალი დროის ირონია ყველაზე მეტად პოეტის სულში აისახება, სულიერი მდგომარეობა კი თავის მხატვრულ გამოხატულებას ყანნის სახით წარმოდგენილ პოეზიაში პოულობს:

„ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის,  
ცრემლით საესეა ჩემი წილი ჩვენი ყანნების“.

(„ორი აპრილი“)

მიუხედავად დროის სიდუხჭირისა, მიუხედავად იმისა, რომ „სხვისი გული ჩაუდეს პოეტს საგულედ“, ტიცციანს სწამს, რომ ქართველი მაღალი უნდა იყოს, ღირსების მქონე, რადგან მისი ქვეყნის ცაც მაღალია და მთაც; და ერთხელაც იქნება, გაირღვევა მთების გალია და იქიდან ქორის „ბახალი“ გადმოფრინდება, ამიტომაც:

„სანამ სამშობლოს ცა ბაირაღობს  
და მყინვარს აფენს შვინდისფერ ხავერდს,  
სანამ კახეთი ღვინოთი ღვარობს  
და ალავერდთან მიდის ალავერდს,  
სანამ თბილისზე დგას ოქროყანა,  
ტაბახმელაზე – ქოროღლის ციხე,  
თუ ვერ ვადიდო ჩემი ქვეყანა –  
ამხანაგებო, მართლა ჩამწიხლეთ.  
ცაც მაღალია, მთაც მაღალია,  
და კაციც უნდა იყოს მაღალი;  
გამოირღვევა მთების გალია –  
გადმოფრინდება ქორის ბახალი“.

(„ცაც მაღალია, მთაც მაღალია...“)





საქართველოს სულიერ სიმდიდრედ ტიციანი თავისი ქვეყნის ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებთან ერთად კახურ ღვინოს მიიჩნევს. და „სანამ კახეთი ღვინოთი ღვარობს“, საქართველოშიც არ დაიკარგება მებრძოლი ქართული სული, რასაც გალიის გარღვევა და იქიდან ჯერ კიდევ ბრძოლის უუნარო ქორის „ბახალის“ გადმოფრენა მოასწავებს.

ღვინო ღვინისმოყვარულ სახელოვან წინაპრებს ახსენებს პოეტს და მათთან სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულში გაჯიბრების სურვილით აღანთებს: „მეზურნეები დილას ებრძვიან გააფთრებით“, „ამ დროს მოდიოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალიდან“, ღვინომონყურებული საიათნოვა კი ამ დროს გაჰკიოდა და მტკვარს აღვიძებდა თავისი ლექსებით:

„– არუთინა მქვიან, საიათნოვა ვარ,  
ლექსებს გეტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს...“

ტიციანიც, გრიგოლ ორბელიანის მსგავსად („მუხამბაზი“), ლექსით და ღვინით ეჯიბრება საიათნოვას და შეფარვით, თავად გრიგოლ ორბელიანსაც. საოცრად ვაჟკაცური, მძლავრი ხმითა და ამ ხმაში ჩადებული სიმკაცრით, შეუვალობით თითქოს ყვირის მისი ლექსი:

„სავსე ყანწები თამადას ელიან,  
მესმის დაძალება: „დალიე, აიტან!“  
ტიციან მქვია, ვრჩები ტიციანად,  
ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით.  
ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი?!  
საიათნოვას შიგ საფლაგვი გავეუტეხო ფიცარი“.

(„მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“)

პოეზია სულის მოთხოვნილებაა, გულის იარაა, ზეციური მადლია; მას დრო ვერაფერს დააკლებს, დროს მხოლოდ პოეტის ფიზიკური მოსპობა შეუძლია – ეს აზრი იკვეთება ტიციანის სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში:

„არ გამოცვლილა ხომ პოეზია –  
მუზები ცისკრის კარებს ალებენ,  
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,  
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ“

– წინასწარმეტყველებს ტიციანი და იმედად ესენინის ანდერძს იხსენებს, ამით გამოთქვამს თავის გულისნაღებს:

„და გულში სტირის შენი ანდერძი:  
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად.  
ნითელ ღვინოში – შენ პურის კერძი  
წამოიზრდები სისხლის ტომარად“.

(„სერგეი ესენინს“)

უაღრესად შთამბეჭდავია ზიარების საიდუმლოს ამგვარი პოეტური, ჰიპერბოლური აღქმა. სადღეგრძელოთი, ნითელი ღვინით შეიცნობ ამ საიდუმლოს; ერთი ყლუპი კი არა, სისხლის მთელი ტომარა მოგაწვება ესენინის პოეზიის სახით („როცა ტიციანმა გაიგო ესენინის თვითმკვლელობის ამბავი – სახე შეეცვალა; თითქოს დამბლა დაეცაო, დაემხო და აქვითინდა, იმიტომ, რომ ის გრძნობდა, ესენინის სახით რუ-



სულმა პოეზიამ დიდი დანაკლისი განიცადა; ახლო მეგობარი დაჰკარგა. იგი წერდა: „ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს“. შალვა აფხაიძე, მოგონებანი).

კვლავ ზიარების საიდუმლოთი – პურითა და ღვინით – მოიგონებს ტიცვიანი ფიროსმანს, რომელიც ქართული მირონით ბანს ქართველ ხელოვანებს:

„რომ დავჯდებოდეთ დღეს პურის ჭამად,  
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს.  
მისი გული გვაქვს ჩვენ ღვინის ჯამად  
და აქამდისინ ქართულ მირონს გვბანს“.

(„იმათი იყოს ეს სადღეგრძელო“)

სადღეგრძელო ხელოვნებასთან ზიარებაა პურითა და ღვინით, ხელოვნების თემა კი სამშობლოა; მაგრამ ხელოვანი ყველა ვერ იქნება – შვიდმა (7 საკრალური რიცხვია და სხვადასხვა სიმალლედ, სიძნელედ, შეძლებად უნდა წარმოვიდგინოთ) ესროლა ჯიხვს, მაგრამ ის ბერი პაპის ერთხელ ნასროლზე ჩამოიკეცა (ვაჟას თქმით, „უძვირფასესი პაპა“ ქართულ პოეზიაში დავით გურამიშვილია); შვიდმა თქვა ლექსები, მაგრამ შვიდივემ ააცდინა, მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ „დაგვიარა თავს“ და „ზვავად გვანვება ილია“; ან „ვინ დათვლის კახელ ვაჟკაცებს“ ანუ კახელ პოეტებს, ისინი პოეზიაში საკმაოდ ბევრნი არიან (პოეტობა და ვაჟკაცობა, ტიცვიანის აზრით, ერთი და იგივეა); მათი „მშობელი დედა“ საქართველოა, თამადაობა კი სწორედ „ხელოვანთა მშობელზე“ სიტყვის თამამად თქმა არის და სხვა არაფერი:

„ძმებო, ასწიეთ სავსე ყანნები,  
და ვუდღეგრძელოთ მშობელი დედა.  
ამაზე რომ ვთქვათ სიტყვა თამამად,  
ამიტომ გვირჩევს სუფრა თამადად“.

(„კახეთში“)

„...ხელოვნება ერთი გამწევი ნადიმი“, – წერს ტიცვიან ტაბიძე „ცისფერყანწელთა“ მანიფესტში, – „ხშირად იყო ჟამიანობა და თავზე გვაზვავდებოდნენ ყვითელი ურდოები. ხოლო ქართული ხელოვნების ნადიმი, არასდროს არ ყოფილა „ნადიმი ჟამიანობის დროს“, სადაც თამადათ არის სასონარკვეთა“ („ცისფერი ყანწები“, 2, ქუთაისი, 1916 წ.).

ქართული სუფრა ტიცვიანისთვის ხელოვნების ნადიმი; სუფრის მშვენება კი ქართული ხალხური სიმღერაა დედას ლევანასი თუ ყარალაშვილის (სახალხო მომღერლები):

„სოფლიდან სოფლად მეხად გადადის  
მრავალჟამიერ ჩვენი თამადის,  
თითქო წინანდალს სეტყვა ურტყამდეს, –  
რა გული იტევს სიმღერას ამდენს“.

(„კახეთში“)

ქართული სუფრის, სიმღერისა და ლექსის, ქართული ხელოვნების საფუძველია სამშობლო – გოლიათი მთები, „ქონდრის კაცსაც რომ დევად აგანთებს“, თვალუნვდენელი ზვრები, ბოლო რომ არ უჩანს:

„ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,  
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.  
სჯობს აღარ გვქონდეს სულაც სამშობლო,  
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!“

(„მამ გამარჯვება“)





დაბოლოს, ღვინის მშობელი მინა და მზე, ფერსაც რომ თავისებურს აძლევს ღვთაებრივ სითხეს:

„ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,  
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,  
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს  
გავარვარებულ ოქროს თაველებს!“

(„მამ გამარჯვება“)

სამშობლოს ბუნებად ტიციანისთვის მოიაზრება ცა, მთა, მინდორ-ველები, მათზე დათესილი ხორბალი და აუცილებლად – ვაზი და ვენახი!

ტიციან ტაბიძემ პაოლო იაშვილთან და სხვა „ცისფერყანწელებთან“ ერთად ღვინის კულტი პოეზიის ახალ საფეხურზე აიყვანა, სიმბოლიზმს აზიარა. რეალურ ყოფაში დაკარგული ჭეშმარიტება პოეტმა ღვინოში დაინახა და ამიტომაც წაანერა თავისი ცხოვრების თასზე:

„ვინა სთქვა, ტიციან ღვინოს ვერ იტანს,  
მამ ტყუილად უთქვამთ: „In vino veritas!“  
ერთხელ სიკვდილს სიკვდილიც არ ჰქვია.  
ეს ყველას მოელის, ყველას ხარკია.  
მე სიყვარულით ათჯერ ვარ მკვდარი.  
გულის წვერზე მაქვს დანა ჩამტყდარი.  
„ღვინოში არის ჭეშმარიტება“ – ეს კი ვიცანი,  
სხვაფრთ უგონო დავრჩი ტიციანი“.

(„წარწერა თასზე“)

1937 წელი ტიციანისთვის უკანასკნელი წელიწადი აღმოჩნდა. წაიყვანეს და კაცმა არ იცის, სად უნია სიკვდილმა, მაგრამ სიყვარულით ათჯერ მკვდარს ვერაფერი დააკლო. ტიციანს უკვე ნაპოვნი ჰქონდა ჭეშმარიტება.

## გიორგი ლეონიძე

თავისი ყრმობის მოგონებებს გიორგი ლეონიძემ – XX საუკუნის პოეტმა („ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრმა), მწერალმა და მეცნიერმა, საქართველოს ისტორიის მკვლევარმა – „ვაზფურცელა“ უწოდა. ამ მოთხრობებში ცოცხლდება პატარძელში, მის მშობლიურ სოფელში, გატარებული ბავშვობა; იქაური მეზობლები, მეგობრები, სოფლის უბრალო ხალხი – მისი პირველი მასწავლებლები – „ჩითისკაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭიანები, ქალამნებიანი.“ ამ ხალხმა ასწავლა სიყვარული, მისცა ღირსება, პოეტური სული. ლეონიძეს ეამაყება, რომ მათ შორის გაიზარდა, გამოიწრო და დავაჟუკაცდა. პატარძელის ბუნება მისი ლექსის დედა გახდა, „ვაზებით გარმოდგმული“ და „ქართულკაბიანი“, რომელიც არ შორდებოდა პოეტს; „იქიდან მეღიმილებაო“, – ამბობდა („მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“).

დასაფიქრებელია წიგნის სათაურიც – „ვაზფურცელა“. „ვაზფურცელა“ – „ასფურცელა“, თითქოს ერთმანეთს ჰგავს, ზღაპარს ხომ არ გულისხმობს?! თუ ქალაქის მაგივრად ვაზის ფურცლებზე ნაწერ მოგონებებს?! უფრო ამ მეორეს. ვაზი ხომ

მართლაც ლეონიძის ყველა მოთხრობაშია. ის თითქოს შეზრდილია პატარძეულთან, კახეთთან, პოეტის ყრმობასთან და მის ყველა გმირთან:

ომიდან შინდაბურუნებული რაჟდენა სულ „აჭრილი ვაზის აკიდოს ჰკოცნიდა“ („ორი შემოხედვა“); ჭამპურა კი იმას ამტკიცებდა, რომ „ნითელ ღვინოში მზის მადლი ინახება; მაშ, რათ არის ნაკურთხი ზედაშეო?!“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“); ჩირიკს „ერთი ბუდრუგანა ვენახი ჰქონდა ორიოდე ვაზით და ერთთავად ვაზებში ტრიალებდა, ვაზებს მტლად შემოდებული: ხან სარს უდგამდა, ხან ჰფურჩქნიდა, ხან ჰყელავდა, ხან ვაზის ძირს ბალახს აცლიდა, ასუფთავებდა, შაბიამანს ასხამდა, გოგირდს აყრიდა, ხან რწყავდა, ხან ყარაულობდა. ვაზი კი არა, ვაზის კაპწნალებიც კი უყვარდა, – ვაზის ძაფები... თუ ვენახში ესტუმრებოდი, ხახალით მოგეგებებოდა – მეზალის ნობათით... ვაზებში ხილის ხეები ჰქონდა ჩარიგებული, როგორც ძველად იცოდნენ... ვენახიდან დაბრუნებული ცოლს მხიარულად შესძახებდა: – გაიხარე, ვაზმა რქა ცისაკენ ასწია! რა მსხვილ მტევანს უჩანს პირი! ყორნებივით ჩამოსხდებიან ვაზებზე შავი საფერავის მტევნებიო!“ („ჩირიკი და ჩიკოტელა“).

დეიდა ჩახტაურა, „მძღვარი და მკაცრი დედაკაცი“, „ყველასაგან პატივდებული, სოფლის ქალთათავი“ გახლდათ. ახალგაზრდობაში ცხენოსნობას უქებდნენ, ქვრივობაში ოჯახის ბურჯი გახდა. უამრავი საქმის მცოდნე, განთქმული შემლოცველიც ყოფილა. „ბანი იძრა, ტყე იძრა, ვენახი იძრა... ირმის მუცელში შველი იძრა, შვლის მუცელში ნუკრი იძრა“, – ასე პოეტურად ულოცავდა ორსულ ქალებს და ამ შელოცვაში ვენახიც ერია, როგორც მათი ყოფის განუმორებელი ნაწილი, ცხოვრების დედაბოძი („სახელის მილოცვა“).

ომიდან წერილები მოდიოდა სოფელში: „ყანების დარდი გამოგყვია! ვაზი არ გამიტილოთო!.. ღვინით მითხარი, ძმაო, შესანდობარი, სიზმრად ვნახე, რომ ვარსკვლავი მოსწყდა მაღლიდან, დაბლა დაენარცხაო, ველარ მოგივალო“ („დეიდა მაიკო“). და სოფელიც სვამდა მათ შესანდობარს სახელის მილოცვის დღეს, რომელიც გაზაფხულზე აღდგომის კვირას იმართებოდა. მიცვალებულებს სასაფლაოზე სახელს ულოცავდნენ; ყველას – ვინც რამე სახელი დატოვა – სამშობლოსათვის სისხლდათხეულებსაც და „ჭირნახულის ამაგდარებსაც“ (ისინიც გმირებად ითვლებოდნენ) („სახელის მილოცვა“).

ყველას ჭკუის დამრიგებელი, სოფლის თავი ციციკორეც კი „კარზე ვენახით“ (სახლის წინ გაშენებული ვენახით) სულდგმულობდა, გულს უხარებდა „შეფოთლილი ვაზი, მსხმოიარე მტევანი“. გზის პირას მიმავალი ციციკორე თუ ვენახში გულმოდგინედ მომუშავე გლეხს დაინახავდა, მის გასაგონად ჩაილაპარაკებდა: „მაგ ვენახიდან არა გამოვა რაო“. შეძრწუნებულ გლეხს ასე აუხსნიდა თავის ნათქვამს: „განა შაბიამანი შეიძლება? არ იცი, რომ ზიარებას ნამალი არ მიეკარება! ნანამლი ღვინო და ზიარება რაღა ღვინოაო“ („ციციკორე“).

ანარქისტი იორამი კი, ქვეყნიერების დაქცევის მოსურნე, როცა ჯავრი შემოანვებოდა, თავში ხელებს წაიშენდა და „მიშველთ, მიშველეს“ ძახილით, ქვეყნიერების ნაცვლად, ვაზებს დაერეოდა შლეგივით (ალბათ მათ მიიჩნევდა ქვეყნიერებად). ამტვრევდა, ლენავდა ჭიგოებს, თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, გულს იოხებდა („სოფლის შარაზე“).

საუკეთესო თამადა ყოფილა ღვინჯუა – „მონაფებული ყანწის სარდალი“, „სიტყვის ჭახრაკების“ მცოდნე, „სიტყვამზიანობასთან ერთად დაუთრობელი“. იმდენად ღვინო კი არა, ნადიმი და ლხინი ჰყვარებია. ზედმეტი სმა არ სცოდნია. „– ღვინო,





როგორც ვარდი, ისე უნდა იდგეს მინაში! წყლის დასხმა როგორ შეიძლება ღვინოზე! ჭიქა არ უნდა შეაჭანჭყარო, რომ ღვინო არ გაფუჭდეს!.. ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სანადიმოდ, სამეგობროდ, განა ჩხუბისა თუ კაცის კვლისათვის? ღვინო ქართველი კაცის ხმალიაო!“ – იტყოდა ხოლმე ღვინჯუა. მისი სადღეგრძელო კი ასე იწყებოდა: „ამ ყანნითა და ამ წმინდა ქართული გულით, მინდა გადღეგრძელო, იცოცხლე იმდენი ხანი, ვიდრე კახეთის სანნახლებსა და ქვევრებში ღვინო იწურებოდესო“ („ღვინჯუა“).

სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა თავა. ის იყო „ვენახიანი, ბარაქიანი მეკომლე“. სუფრაც უყვარდა და სუფრის ლაზათიც, ამიტომ თამადის არჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: „კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდესო; ენა თაფლივით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი უნდა იყოსო... რაგინდარა მიზეზით, სუფრა არ უნდა აშალოს. არ ჩაამწაროს პურტკბილობა. უნდა ასახელოს თემი და სოფელიო“; ასეთ თამადად კი მას ღვინჯუა ეგულებოდა („ღვინჯუა“).

მოთხრობაში „ღვინჯუა“ ლეონიძე თავიდან ბოლომდე აღწერს ქართულ სუფრას, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, იმ ნიუანსებით, რომელსაც მხოლოდ დაკვირვებული თვალი და სუფრის ზედმინევენით მცოდნე თუ შეამჩნევდა. მაგალითად, ის გამოყოფს დროის იმ მონაკვეთებსა თუ ეტაპებს, როდესაც ლხინი იწყება, ვითარდება, სრულდება და შემდეგ კი აურზაურში გადადის (ამ აურზაურის მიზეზებსაც ნათლად წარმოაჩენს, რომელიც ხშირად თამადის ბრალი არცაა): ლხინის დასაწყისში „ცივად დაბრძანდნენ სტუმრები“... ცოტა ხანში გამხიარულდნენ, „გაიშალა საუბარი... სიტყვამ გაინავარდა“. მესამე ეტაპზე – „ღვინო დარუვდა“, მეოთხეზე – „ზარხოშობა შეიქმნა...“, მეხუთეზე – „ღრეობა გახურდა“, „შელვინიანდნენ“; შემდეგ – „სიტყვა გაღორდა: ზღვის რყევა დაიწყო“, შეიქნა ზედახორა, ჯლება“; ეს ყოველივე დასრულდა „დაწიოკებული სუფრით“. ასეთი დასასრულის მიზეზად მწერალი უწესო და უზნეო სუფრის წევრებს მიიჩნევს, რომელთაც მოთხრობის დასაწყისში „ფიცგანყვეტილი ღარიბები“ უწოდა, ანუ ისეთი ღარიბები, საფიცარიც რომ არაფერი აქვთ.

ძალზედ საინტერესოა გიორგი ლეონიძის მიერ ლხინისადმი დამოკიდებულების მიხედვით ადამიანების კატეგორიებად დაყოფა და შესაფერისი პოეტური მეტაფორებით შემკობა. ერთნი არიან „ფიცგანყვეტილი ღარიბები“, მეორენი – „ლიტრის კაცები“ ანუ კარგი მოქეიფეები და მსმელები, ამავე დროს საუკეთესო მეურნეები, „რომელთაც მსხვილი კისერიცა აქვთ და მსხვილი სამამულე რქაც! ბელელი და ჭურმარანი სავსე!“ სუფრის წესის დამრღვევს და ამრევს მწერალი ასე ახასიათებს: „ენამთვრალი, ლიკლიკა როხილა, თავაქარა, ყალღანა“ („ღვინჯუა“). დიაკვან ელეფთერს ლეონიძე მოფერებით „ლხინიკოს“ ეძახის, რადგანაც ღვინის კაცი უფროა, ვიდრე სულისა, „ღვინის ხაპია!“ „საღვთო წერილს“ უღიმღამოდ კითხულობს, მაგრამ იმ ადგილს, სადაც წერია – „ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“ – დიდი სიყვარულით, რიხითა და ამაღლებით წარმოთქვამს („ნატვრის ხე“).

უსაზღვროდ მრავალფეროვანი და პოეტურია გლეხკაცის სადღეგრძელოთა სიაც: „ღმერთი დაუსაწყისი, ცამზე, დედამინა ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებალის ნობათი, ხარის ქუდი, აკვნის ფიცარი, ნისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალ-ნერგი; რქადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი გუთანი და ხმალი!“ და ვინ იცის, კიდევ რამდენი სადღეგრძელოაო, – დასძენს მწერალი და იმასაც შენიშნავს, რომ ეს სია აუცილებლად „საყველანმინდოთი“ სრულდებოდა. ეს რომ დავინყებოდა თამადას, უკანვე უნდა დაბრუ-

ნებულიყო სუფრაზე, თუნდაც უკვე შინმისული, და „საყოველწინდოს“ სადღეგრძელო დაელია, თორემ ღმერთი ამ შეცდომას არ აპატიებდა („ღვინჯუა“).

საოცარია გიორგი ლეონიძის მიერ ხალხური მეტყველებიდან შეთვისებული ღვინის მახასიათებელი სიტყვები და ეპითეტები. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს. „თაფლია თუ თაფლღვინო? რძეც არის და თაფლიც, ერთად შეზავებული“, – ამ სიტყვებით აჭაშნიკებდა გლეხი კარგ ღვინოს. ლეონიძე ზოგჯერ ისეთ სიტყვათშეხამებასაც ხმარობს, რომელიც ხალხური მეტყველების წიაღიდან შეუთვისებია, მაგრამ ახალი და გაუცვეთელი ელფერი მიუცია. მაგალითად, „პირის მეღვინეს“, „ღვინის ნათლულებს“, „ღვინის კაპს“. „პირის მეღვინე „ქართულ ხალხურ საისტორიო მწერლობაშია“ დადასტურებული და ასეა ახსნილი: „თამარ დედოფალს ჰყვანდა პირის მეღვინე (ღვინო ვისაც ებარა)...“ „ღვინის ნათლულები“ ღვინის მოყვარულებს უნდა ნიშნავდეს, ხოლო ღვინის კაპი („სულ მუდამ ღვინის კაპი სწყუროდა“) სრულიად მოულოდნელი შესიტყვებაა და მისი ახსნა შესაძლებელი გახდა კაპის ანუ კავის (ხის კავი) გადატანითი მნიშვნელობის დადასტურებით „მოხვეურ ლექსიკონში“. კაპი ყოფილა „მდინარის შენაკადი, რიყეზე ძლივს რომ მოჩანს: წყლის კაპი მოწანწკარებს“ (ე. კოშორიძე, „ენა მდიდარი და მშობლიური!“, „ბურჯი ეროვნებისა“ 5, 2000 წ.). ღვინის კაპი წყლის კაპის ანალოგიით ნაწარმოები შესატყვისი უნდა იყოს.

მწერლისეულ თხრობაში ხშირად გვხვდება გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბებული აზრი როგორც სუფრის წეს-ჩვეულებების, ასევე თამადის პიროვნების შესახებ. მაგალითად, კარგ თამადას „ღვინო ვერ დასჯაბნის, თუ გულში წყენა არა აქვს... გაჯავრებული კაცი კი მალე თვრება!“ („ღვინჯუა“).

გ. ლეონიძის შემოქმედებაში ძალზედ შთამბეჭდავად არის აღწერილი გლეხკაცის სიყვარული ვენახისადმი და ტრადიციათა მოუშლელი მობრუნება. მოხუცი ჩირიკი ჩამორთმეულ და სოფლის საერთო მამულად გამოცხადებულ ვენახს ვერაფრით მოშორდა. ვერანაირად ვერ აუხსნეს და ვერც გაიგო, თავისი კერძო საკუთრება მას რატომ აღარ ეკუთვნოდა. მთლად ვენახში დაიდო ბინა. აღარ გამოდიოდა. „ისეც თავს დასტრიალებდა ვაზებს თავისი მოქანცული მარჯვენით.“ სიმბოლურია მისი სიკვდილის სურათიც: „არც აღდგომა დღეს მოშორებია ჩირიკი საყვარელ ვაზებს. ვაზის ძირში სააღდგომო სანთლები დაენტო. სუფრა გაეშალა, ლიტანია შემოევლო ვენახისათვის, მერე მიმჯდარიყო ვაზის ძირში, გულზე ხელები დაეკრიბა და მიცვლილიყო. შვილიშვილს აღდგომის წითელი კვერცხები ჩაეტანა ვენახში და ეგრე კი ენახა!“ მწერლის მიერ აღწერილი ეს შთამბეჭდავი სურათი კიდევ ერთხელ მიუთითებს ვაზის კულტზე საქართველოში. ის არა მარტო მწერლობასა და პოეტურ აზროვნებაში უკავშირდება ზიარებასა და აღდგომას, არამედ ხალხის მსოფლმხედველობაშიც და გლეხთა შეგნებაშიც სიცოცხლის ხედ მოიაზრება, რაც მწერალმა რეალისტურად გააცოცხლა ყრმობის მოგონებების საფუძველზე, უბრალოდ მეტი მხატვრობა და პოეტურობა შესძინა.

არა მარტო მოთხრობებში, არამედ ჩანაწერებსა და წერილებშიც ლეონიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვენახთან და ღვინოსთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. ის შეისწავლის და თავის აზრს გამოთქვამს შემდეგი სიტყვებისა და ვაზის ჯიშების ეტიმოლოგიის შესახებ: „ბადაგონი“, „მუკუზანი“, „ქისი“, „კარდენახი“, „სხვილთვალა“; მსჯელობს რთველის დროს გავრცელებულ ზოგიერთ ხალხურ ჩვეულებაზე – ვენახში გოგოს წამოკოტრიალებაზე – და ა. შ. (გ. ლეონიძე, „ნამცვრევეები“, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2000 წ.).





როგორც ვხედავთ, გ. ლეონიძის პროზაულ შემოქმედებაში, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ წარმოვაჩინეთ, ვაზისა და ღვინის კულტის საკმაოდ დიდი პოეტური მასალაა. ეს ბუნებრივიც არის, მწერალი ხომ კახეთში აღიზარდა, იმ მხარეში, რომელიც „ვაზებშია გამოხვეული“. ეს მხარე იყო მისი შთაგონების პირველწყარო, პირველსაზრდო და პირველსაწყისი. ამიტომაც უნოდებს პოეტი თავის თავს „ვენახში რქავაზით ფესვგამდგარს“, ამიტომაც მიაჩნია, რომ მან „კახეთის მსუქან თეძოებს სწოვა მტევნები“.

რაც შეეხება გიორგი ლეონიძის პოეზიას, მისი ლექსები სულდგმულობენ ვაზებით, ვენახითა და კახური ღვინით. როგორც უკვე ვთქვით, კახეთი პოეტისათვის „ვაზებში გამოხვეული“ მხარეა:

„ყანა კახური, ათქვირებული,  
და ყამირები ყარაიისა;  
ვაზი – თორმეტი ფურის ნანველი,  
დასხმული ოქროს ბარძიმივთა,  
წინანდლის ღვინო დედისრძიანი;“

*(„მხარე – ვაზებში გამოხვეული“)*

ამაზე მეტი ვაჟკაცური სულისა და გულის ჩატანება ლექსში, სიტყვით გამოხატვა ბუნების საგანთა მიმართ აღძრული გრძნობისა, წარმოუდგენელია. თუმცა კახური ყანა ლეონიძისთვის ბუნების საგნებზე მეტია, ის ათქვირებულია ქალივით; ვაზში 12 ფურის ნანველის სისავსე და ოქროს ბარძიმის სინმინდე ერთადაა ჩატეული; წინანდლის ღვინო კი იგივე დედის რძეა, რომელიც აუცილებელია როგორც ყრმის დავაჟკაცებისათვის, ასევე მის მამულიშვილად ჩამოყალიბებისათვის. ლეონიძის პოეტური წარმოსახვით ვაზში არა მარტო მზე ჩადის, არამედ ის „ვარსკვლავჩახვეულიცაა“ („ქართლის ბალი“); კახეთი მისი „ვაზდაბურული სამშობლოა“, სადაც ბუნების ულამაზეს ხატებთან ერთად პოეტი აღიქვამს „ვაზფურცლის ნიავექარობას“ („კახეთი“); განსაკუთრებით კი „მშუქარი ვაზის ყვავილი“ ანიჭებს სიმშვიდეს („მაისური“); გ. ლეონიძისთვის ქ. გორის ერთ-ერთ სილამაზესა და ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მოჩუქურთმებულ აივნებზე „ხეივნებადაა ვაზი გასული“ („გორი ქართლის მეთაური“); თბილისი კი მისი ღვინის ჭიქაა და მარჯნის ვარსკვლავთა ჯამი:

„თბილისი – ჩემი ღვინის ჭიქაა,  
მუხამბაზებით, ატმით, მაჯამით...  
ხმელეთის გული სითბო შიგა მაქვს...  
თბილისი – მარჯნის ვარსკვლავთა ჯამი!“

*(„მე შენს სიყვარულს ზღვად ავიდევნებ“)*

საქართველო მტევანია, რომელიც „სწოვეს, განურეს, ვერ ამოსწურეს“, ასჩაფიანში მაჭრის დუღილია; პოეტიც სწორედ მაჭრის შხეფებით უპირებს სიკვდილს აკუნვას. მხოლოდ ლეონიძის პოეტური ფანტაზია თუ დაიტევდა ამ დიდებულ მხატვრულ სახეს – ვაჟკაცურ ბრძოლას სიკვდილთან ხმლის მაგივრად „მაჭრის შხეფებით“ („წარწერა წინანდლის მარანზე“); თვით ბუნებაც კი – ივრის ღამე და მისი ფშატების ნაჟური – გ. ლეონიძის ლექსებში მაჭარივით ჩქეფს („ივრის ღამე“); მისი პოეტური ფანტაზია იქამდე მიდის, რომ მთვარე ღამის თამადად წარმოუდგება, რომელიც „სიყვარულის ტბორს“, ასმევს და ასმევს („მთვარე – ღამის თამადა“).

პატრიოტული ლექსებიდან, სადაც ვენახის მხატვრული სახე ფიგურირებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია „მესხი ვარ!“ მესხეთის სიძლიერეს პოეტი მტრის ძლევაში, კლდეში ნაკვეთ ტაძრებში, ვენახსა და სიყვარულის გრძნობაში ხედავს:

„მესხმა დავასხი ვენახი,  
კლდეებში ვკვეთე ტაძარი,  
ნიგნი დავწერე ვეფხვისა  
შიგ სიყვარული დავძარი“.

(„მესხი ვარ“)

ვენახი და ტაძარი განუყოფელია ერთმანეთისგან; მტრების შემოსევებმა, მართალია, ბევრი დააკლო მესხეთს, მაგრამ წინაპართა ხსოვნად მაინც რჩება კლდეში ნაკვეთი ტაძარი და „ხეზე გამოსული მტევანი“. ამ ლექსში ვენახი რწმენისა და სახელმწიფო სიძლიერის მნიშვნელობას იძენს და პოეტიც იმედად ახალ რთველს მოელის.

ლეონიძის ერთ პატარა ლექსში „ვაზის რტო“ ისე არის აღწერილი ვაზისა და ქრისტიანული საიდუმლოს – ზიარების – განუყოფლობა, რომ მკითხველს, ლექსის სიმსუბუქისა და ჰაეროვნების გამო, შეიძლება არც კი დაეხადოს ეს აზრი და ტრაპეზს შემოხვეული აკიდოს უდიდესი სიმბოლური – რწმენის საზრდოს – მნიშვნელობა უცაბედად ვაზის „უგუნური“ (გულუბრყვილო) რტოს სიმთვრალეს გადააბრალოს:

„ძველ ტაძარში სარკმლიდან  
ჩაპარულა ვაზის რტო,  
ტრაპეზს შემოხვევია  
ქარვისფერი აკიდო.  
ამოსვლა რომ მოუნდეს, უკან ვილამ აზიდოს?  
ეი, ჰეი, მთვრალია,  
უგუნური ვაზის რტო!“

(„ვაზის რტო“)

ლეონიძის ეს პოეტური ხატი და ქართული მონუმენტური სკულპტურის საოცარი გამოსახულებანი – ჯვარს შემოხვეული ვაზი და მტევნები – ერთი და იგივე, წინაპართა ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან იღებს სათავეს.

ვაზი და ვენახი ლეონიძისათვის არა მარტო სამშობლოსა და მისი რწმენის მხატვრული სახეა, არამედ პოეტური სიტყვის მშობელიცაა. ლეონიძე ეფერება, ესიყვარულება, თავზე ევლება სამშობლოს, მის გულისძგერას და შესთხოვს:

„ვაზდაბურულო,  
გაზაფხულურო,  
სიკვდილისათვის გზადახურულო,  
გთხოვ, ერთი სიტყვა მეც დამანებო...“

მისი სიტყვა უნდა კრთოდეს უკუნეთში, ეღვარებდეს ქართლის მახვილში, რადგანაც ის უბრალო სიტყვა კი არა, სამშობლოს მადლიანი ნაყოფი იქნება:

„მეც ვაზის რქა ვარ  
ხომ ნართვლევარი!  
ლექსებზე ლამეგანათევარი!“

– ამყად აცხადებს პოეტი. მართლაც, როცა მის სიტყვას ძალა ეძლევა, „გადანგენილი ვაზივით“ იშლება („უტრუხუნე“). პოეტური პროცესიც კი ვაზთან პოულობს შე-





დარებას! მისი ლექსი კი ვაზს ეძღვნება, როგორც ბუნებისა და ადამიანის სულიერი სამყაროს სახეს – თავის წიგნს პოეტი, „გულის ჟრჟოლით“ ნაწერს, ჩიტს ატანს, რათა ვაზის რქას შემოახვიოს („ჩიტო, წაიღე ეს წიგნი!“). პოეტისათვის ქართული სიტყვა მისი „მოიერიშე დროშა, ვენახი და ტაძარია“ („ქართულო სიტყვავ!“).

პოეტი ვაზსა და ღვინოს იყენებს სატრფოს მხატვრული სახის გამოხატვის დროსაც. სატრფო წინანდლის აყვავებული ვაზია – „წინანდალის ვაზი აყვავებული, ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა“ („წინონწმინდის ღამე“); „მისი ტუჩები ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისა“ („ყვივჩაღის პაემანი“); პოეტს უდიდეს სილამაზედ მიაჩნია სავსეობა, როგორც ადიდებული მდინარის, დამწიფებული ყანის, ასევე ვენახისა და ქალის („სიჭაბუკე და ლექსი ერთია“); იგი ვენახში ელოდება პაემანზე სატრფოს („სულამით“); სადღეგრძელოს კი მისი „ტუჩის ძონის ჭიქით“ სვამს („ჩარი-რამა“).

პოეტი ვენახის ხატს ასევე იყენებს მარადახალგაზრდა ქართველი ქალისა და დედის – თამარდედის (ქართველი ქალის ძველი სახელია) – შესამკობად, რომელიც ქართველებს უმრავლებს ქვეყანას:

„უმზეო და უნაზესო  
თავზე გადგა ნათლის შუქი.  
შენ ხომ სავსე ვენახი ხარ,  
დასხმულ მტევნის სიჭაბუკით“.

დაბოლოს, ხანშიშესული პოეტი საკუთარ თავსაც ვენახს უწოდებს, რადგან ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა გამოიარა, ბევრი სეტყვა, ქარი, ცრემლი, ბზარი და ვენახივით ყველაფერს გაუძლო:

„დაბერებულხარ, ჰეი, ვენახო,  
დაბერებულხარ, ვაი, ბულბულო!“  
(„მე ერთი ძველი სახლი მიყურებს“)

– ეუბნება საკუთარ თავს. სხვა ლექსში სიბერის გამოსახატავად კვლავ ვენახს მოიშველიებს და თავის შემართებას ახალი ღვინის დაწურვით გამოხატავს:

„მიმჭკნობია ჩემი ყრმობის ვენახი,  
მაგრამ სანწახელს მაინც ვაშენებ...  
კიდევ დავწურავ ძველი სილალით,  
ახალ რქანითელს შემოვამეღებ“.  
(„როგორ დაეტყო ავი ამინდი“)

ამოუწურავია ღვინისა და ვაზის თემა გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. არც ჩვენ ვაპირებთ მის ბოლომდე შესმას, გიორგი ლეონიძის ნებისმიერი კრებული ათასჯერ უკეთესად იმეტყველებს ამ საკითხზე.



## ლადო ასათიანი

– „აბა, რა უნდა დავწეროთ მე და შენ ახალი,“ – უთხრა ერთხელ ლადო ასათიანმა პოეტ გიორგი ნაფეცვარიძეს, – „ჯერ არაფერი გვინახავს – გვიან დავიბადეთ, ციხე-კატორღა, ბრძოლა, ომები, რევოლუცია, ყველაფერი განვლილი და მომხდარი დაგვხვდა. ჯერჯერობით შემოგვრჩა ეს ბავშვობის შთაბეჭდილებები და წიგნებიდან ამოკითხული, ყველასათვის ნაცნობი, ათასჯერ თქმული ისტორიული ამბები... მიმბაძველობას პირველ ხანებში გენიოსიც ვერ ასცდება... ახალი აზრის გამკაფველობა ჩვენთვის ადრეა, საამისოდ არ გვეყოფა ჯერ არც ცოდნა, არც ნიჭი.“

შემოქმედებითი დავაუკაცება მართლაც რომ ვერ მოასწრო ლადო ასათიანმა, ისე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. დაამთავრა ცაგერის სკოლა; შემდეგ 1938 წ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი; თბილისში ცხოვრება, რაზედაც ოცნებობდა, ძლივს მოასწრო (1938-1942 წწ.) და 1942 წელს ჭლეტით გარდაიცვალა. სულ 5-6 წელი ჰქონდა შემოქმედებითი ჩამოყალიბებისათვის; არ დასცალდა მთლიანად გამოეყენებინა პოეტური წვა, თუ გნებავთ, ენერგია; მაგრამ, რაც შექმნა, მუდამ დარჩება, არა როგორც ახლებური ნააზრევი, არამედ ინდივიდუალურად, „ასათიანურად“ ნათქვამი ძველი და ამ ძველ ნათქვამზე შექმნილი ახალი („ლადო ასათიანის ცნობილ ლექსს – „სალაღობოს“ „ასათიანური“ შეარქვა ალიოშა საჯაიამ). ალიოშა საჯაიასადმი ერთ-ერთ ლექსად მიწერილ წერილში (ლადოს უყვარდა წერილების ლექსად წერა) ვკითხულობთ:

„ორბელიანს, ჭავჭავაძეს, ბარათაშვილს ჩვენ ვერ დავთმობთ,  
დიდ რუსთაველს, დიდ აკაკის... პოეზიის უკვდავ მნათობთ,  
ჩვენ გავყვებით, ჩვენს გაყოლას ღმერთმა ხელი მოუშარტოს,  
გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..  
ჩვენ გავყვებით წმინდა გზა-კვალს და ამ კვალზე შევქმნით ახალს“.

(„ალიოშა საჯაიას“, 1939 წ. 4 აგვისტო, თბილისი)

ლადო ასათიანი მართლაც მიუყვება წინაპარ პოეტთა გზა-კვალს, მათ არჩეულ თემატიკას, პატრიოტულ შემართებას და თვით ღვინისადმი დამოკიდებულებაშიც ეროვნულ და ნაწილობრივ ბოჰემურ მიმართებას ამჟღავნებს.

ლექსებში, სადაც სამშობლო ქვეყნის ბუნება წარმოჩნდება, ლადო ასათიანის ულამაზესი „ასათიანური“ ენით დახატული, იქ აუცილებლად ქართული ვაზი და ღვინოცაა ჩართული.

„...მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლების თავსაფრიანო,  
ზვარო, ზვარო ჯიშიანო, ოჯალემის ჯიშის ზვარო,  
ზვარო მტევნებგიშიანო, გლეხი კაცის სანუკვარო;  
ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთეო...“ და ა. შ.

(„ჩემი ქვეყნის ოქროყანა“).

ლადო ასათიანისათვის სამშობლო „ტკბილია, როგორც დედის რძით ბაღლი ტუჩებზეშურობელი“. ამ სიტყვებით უდიდესი, შეიძლება ითქვას, ნებისმიერი ადამიანისათვის ყველაზე ამაღელვებელი, ცხოველსაც რომ დაიმორჩილებს, ისეთი გრძნობა გამოხატა პოეტმა – ჩვილი ბავშვისთვის დედის ძუძუს სიტკბო – მას შეადარა სამშობლოს სიყვარული და არა მხოლოდ მას. პოეტი ისეთ სურათებს ქმნის, რომელთა გახსენებაზეც ასეთივე ძლიერი გრძნობები უნდა გამოიწვიოს ქართველი კაცის გულში:





„ტკბილია, როგორც სურნელი ახლად მოხდილი ღვინისა“;  
 ტკბილია, როგორც სიმღერა და შეძახილი თამადის:  
 – ჩემი სამშობლო, ზურმუხტის და მარგალიტის სადარი,  
 ამრიგად აყვავებული, მხარე მეორე სად არი?“  
 „საამო არის, ვით რთველი, მწიფე მტევნების ნაჟური“;  
 „ტკბილია, როგორც მტევანი, ვაზზე ასხმული შავადა“.  
*(„ჩემი სამშობლო“)*

ვაზზე შავად ასხმული ყურძნის და ახლად მოხდილი ღვინის სურნელისადმი გულგრილი არასდროს ყოფილა ქართველი კაცი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ძველ, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ლადოს; იმ ოჯახში, სადაც ბაბუას ყოველთვის ედგა „სველი ხელადა“ ბუხართან:

„ის, მისი დღე და წუთისოფელი,  
 როცა სწყუროდა, სულ ღვინოს სვამდა,  
 იდგა ბუხართან ხელადა სველი  
 და უღვიძებდა ბაბუას მადას“.  
*(„ბაბუაჩემი“)*

თავადაც ყოველთვის სიყვარულს და, შეიძლება ითქვას, მოწინებასაც გრძნობს ღვინისადმი, რადგან ეს სასმელი მისთვის მხოლოდ დარდების შემამსუბუქებელი კი არ არის (როგორც უმრავლესობისთვის), არამედ, რაც პოეტისათვის ყველაზე მთავარია, პოეტური პროცესის ხელის შემწყობი, წარმმართველი, განმსაზღვრელი:

„ლექის სათქმელად რომ ვემზადები,  
 ვარ ოჯალეშით გულდასისხლული“.  
*(„მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ...“)*

„გულდასისხლული“ მთვრალს არ ნიშნავს, ის უფრო მოხიბლულსა და შეყვარებულს შეესაბამება. სამშობლოზე შეყვარებულსა და ამ სიყვარულით მთვრალ პოეტს მანამდე კლავს და არ ასვენებს გრძნობა, სანამ ლექსად არ ამოთქვამს:

„სამშობლოს ტრფობით გული დავსერე,  
 მათრობდა, როგორც ღვინო ყვარული  
 და ვიდრე ლექსად არ გადავწერე,  
 მანამდე მკლავდა ეს სიყვარული“.  
*(„ვაჟა-ფშაველას ნამბობი“)*

სწორედ სამშობლოს სიყვარულმა და სხვა არაფერმა შექმნა ლადო ასათიანის ყველა ლექსი, პოეტი კი თამადად დაუდგა მათ და გაახმოვანა:

„სამშობლოსადმი ლოცვები  
 ამ ცისფერ ნიგნში ჩავწერე.  
 თავად დავუდექ თამადად  
 გარდასულ ხმათა ღრეობას,  
 ნაიკითხე და პაპათა  
 დაგიბრუნდება მხნეობა!“  
*(„წარწერა ნიგნზე“)*

პოეტური სიტყვის მშობელი, ქართულ ღვინოსთან და თამადობასთან წილნაყარი სამშობლოს სიყვარული ლადოს ბავშვობიდან ჩაენერგა. აკი თვითონაც ამბობს,

პოეტური სიტყვისთვის მხოლოდ ბავშვობის შთაბეჭდილებები შემოგვრჩაო. შთაბეჭდილებებს ლადოს მშობლიური სოფლისკენ – ბარდნალასკენ – მივყავართ:

„რა კარგი იყო ბარდნალა,  
ბარდნალელების ბორანი...  
მახსოვს, მაჭრით რომ გავბრუნდით  
და ძლივს რომ მივაბიჯებდით,  
სახლში რომ ველარ დავბრუნდით,  
მისგან დამთვრალი ბიჭები?  
მახსოვს, ღვინიან შემოდევს  
აივანზე რომ შემოვდექ?“

(„ბარდნალა“)

...ცაგერის ბაზრობაზე ლეჩხუმელი ოჯალემს ყიდის; მისი თავგამოდებული ძახილი – „ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა“, – მთელ ბაზარს აცოცხლებს; იქაურობას ვარდისფრად ანათებს „წვრილ-წვრილ ჭიქებში საჭაშნიკოდ ჩახსმული ღვინო.“ „ცაგერის ბაზრობა“ პოეტისთვის უკვე მოგონებად დარჩენილი წარსულია „ლეჩხუმური შემოდგომის სურათებთან“ ერთად. სოფლის შეულამაზებელი პეიზაჟი იხატება ჩვენს თვალწინ: ორღობეებში ურმის ჭრიალი, ძაღლის გაბმული ყეფა; ნაცნობ-მეზობლების ერთობლივად სიმინდის რჩევა და უზარმაზარი საწნახლის ქშენა, რომლის ხმაც „ვენახში ანთებულ ატმებს ესმით“. ვენახის ატამი ყველაზე გემრიელია და გამოირჩევა სხვა ატმებს შორის. ატამი თავისით ამოდის ვენახში და მის პეიზაჟს თავისებურ სილამაზესა და სიმყუდროვეს ანიჭებს. ეს სიმყუდროვე თუ პოეტური საწნახლობა, რა თქმა უნდა, შეუნიშნავს ლადოს პოეტურ თვალს და პოეზიაში დაუთმია მისთვის ადგილი:

„ესმით ვენახში ანთებულ ატმებს  
უზარმაზარი საწნახლის ქშენა“.

(„ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“)

ბავშვობის მოგონებებს მიეკუთვნება ლადო ასათიანის ლექსი „სარწყული“ და შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში სხვასთან ვერ შეხვდებით სასმისის ასეთ პოეტურ წარმოსახვას, მის ასეთ გაადამიანურებას და მისდამი ამდენი სიტბოს გამოხატვას:

„თავანუელი, ზვიადი, განა ჩია და სანყლური?  
თვალნათლივ მახსოვს ჩვენს სახლში ერთი ცისფერი სარწყული.  
გარშემო ლაჟვარდისფერი სინათლის მიმომფინველი,  
იჯდა პატარა სუფრაზე ისე, ვით ლურჯი ფრინველი“.

(„სარწყული“)

სასმისი ჩვენს თვალწინ ოცნების ლურჯ ფრინველად იქცევა. მისგან სუფრაზე უკვდავების წყალი გადმოდის, ზღაპრულ წყაროთა დგაფუნი ისმის. ცოცხალია სარწყული! თუმცა მამაპაპურია, მაგრამ მისი „ამპარტავნობა“ და „ყურჭრელობა“ მის ახლანდელ დროში მოქნილობაზეც მიგვითითებს. სწორედ მისმა „სილურჯემ“ განაპირობა პატარა ლადოს პოეტად ქცევა, მისმა „სილურჯემ“ შთაბერა ლექსის პნკარებს სიცოცხლე და მერე, როცა ცხოვრებამ თავისი ქნა და პოეტიც გათელა, როგორც ყველა, სარწყული მაინც ბავშვობის ცისფერ ოცნებად დარჩა:





„კვლავ შენ გნატრულობ, რომ მკერდზე სიცოცხლის წყარო მასხურო, ბავშვობასავით ცისფერო, მამაპაპურო სარწყულო!“

(„სარწყული“)

უაღრესად საინტერესო, სურათობრივი და სიუჟეტური ლექსია ლ. ასათიანის „გულბაათ ჭავჭავაძე“. პოეტი დაწვრილებით აღწერს ქართველ თავადთა ლხინს, მოთხრობასავით თვალწინ გვიდგება ერთმანეთზე გადაბმული სიტუაციები: რთველი, ყურძნის კრეფა, „ლავაშით დახურული“ სეფა, გულბაათ ჭავჭავაძის თამადად დასახელება, მის მიერ ულვაშის გადაგრეხა ყურებზე, წესისამებრ ლუემის გატეხვა, პირველი სადღეგრძელო თასით და აზარფეშას ფრინველივით განავარდება სუფრაზე; ცეცხლის მფრქვეველი ღვინოების უმონყალოდ სმა, ყანების მოქანცვა, ქვევრების დაცლა, სასმისების მსხვრევა და სეფის დაქცევა. და აი, სწორედ მაშინ, ქეიფის ბოლოს, გულბაათ ჭავჭავაძის გადარევა და იერიშის მიტანა წვრილ ჭინჭილაზე:

– „კაცი ვშობილვარ, ეს ცხოვრება დამილევია და გაბმულ სმაში ჭინჭილით არ დამილევია“.

ლადო ასათიანი საოცარი პოეტური აღმაფრენით აღწერს, როგორ დაამარცხა პატარა, ჭრელმა ჭინჭილამ ქვევრების მსმელი თავადი და როგორ ახითხითდა სუფრის ბოლოს მთვრალი ბახუსი;

„თითქოს იტყოდა: „მასპინძელო, ეს რა კაცია, ქვევრებსა ნთქავდა და ჭინჭილამ ვით ნააქცია!“

იმვითა ასეთი მძაფრი აღქმა ქართული სუფრის, თუნდაც გადაჭარბებული სმა-ჭამის, თავადური მოლხენის; ყველა სასმისის თავისებურების შემჩნევა და დაფასება; დაბოლოს, ბახუსის ძალის ჩვენება, კამეჩივით მსმელსაც რომ დააგდებს. ლადო ასათიანს ქართული სუფრის ყველაფერი მოსწონს ისევე, როგორც ვაჟას ელამაზე-ბა ბუნების ავიცა და კარგიც. ლადო ასათიანი ქართული სუფრის ესთეტიზაციას ახდენს.

„გულბაათ ჭავჭავაძეს“ აგებულებით, სიუჟეტური თხრობითა და აგრეთვე ქართული ყოფის ესთეტიზაციით ძალზე წააგავს ლექსი „ნადირობის შემდეგ.“ აქ ნადირობის, რომელიც თავისთავად ბარბაროსული ფაქტია, და ქართველ თავადთა ბოჰემური შექცევის ამბავია მოთხრობილი. უთვალავი ნადირი დახოცეს თავადებმა „და მერე, როცა დღე-ღამე გაიყარა, ღამის გასათევი შემოხვდათ ადგილი.“ სასმური ლევან დადიანმა ასწია და დალოცა კურთხეული ადგილი – „გაისად უმეტესი მოგვეკლას ნადირიო.“ თავადების აღმოხდენილმა ხმამ ქუხილივით გადაიარა ტყეზე; ამაყოფნენ დახოცილი ნადირითა და შეუბრალებლობით, ხარხარებდნენ, ყაყანებდნენ და ღვინოს ასხამდნენ სასაკლაოზე დაწყობილ ცხოველთა სისხლიან თავებს. ტყე აღარ შრიალებდა, სიბნელის სამსალით დამთვრალიყვენ და დაოსებულიყვენ ხეები. მხოლოდ თეთრჩაბალახიანი და თეთრნაბდიანი ლევან დადიანი ზეიმობდა ნადირობას. გვზიბლავს ლადო ასათიანის ესთეტიზებული თხრობა, გულში ეჭვი გღრღნის – შეაქო თუ დაგმო ვაჟკაცური ბუნების, ამაყ და ღამაზ თავადთა საქციელი?! ლექსის მიზანიც ეს უნდა იყოს, ორივე გრძნობის ერთდროულად გაჩენა („ნადირობის შემდეგ“).

ლადო ასათიანის შემოქმედებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის „სალა-ლობოს“, დარდიმანდთა ვაჟკაცობის, ძველი თბილისის, ფიროსმანის და საიათნოვას თემებს, რომლებიც ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთ მთლიან – „ასათიანურ“ – ციკლს ქმნის:

„დაუკარით ძველებური ლოთიანი,  
საიათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,  
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!  
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!  
დაუკარით ძველებური ლოთიანი,  
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,  
გაფრინდება სიყმანვილე შფოთიანი,  
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!“  
(„სალალობო“)

კითხულობ ან ზეპირად წარმოთქვამ ამ სიტყვებს და ვაჟკაცური ჟრუანტელი გივლის, ამდენი სინრფელე არასდროს მოხვედრია გულს, გრძნობა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ძველი აშუღივით გაჰყვირის („სალალობო“). ამ სინრფელის გამო უყვარს პოეტს საიათნოვაცა და ფიროსმანიც და ყველა ლოთიც, ვინც თბილისის ცას, ჰავას, რუსთაველს, ორბელიანის მუხამბაზს, ქართულ ჩონგურსა და ქართულ სალამურს ეტრფიალებს:

„მე ვეტრფი მეტად რუსთველის სახელს,  
ვით საქართველოს სინდისს და ნამუსს,  
ყველა ღვინის მსმელს და ყველა კახელს,  
ამ ჩემ პატარა ძველთაძველ მამულს,  
ქართულ ჩონგურს და ქართულ სალამურს,  
თბილისის ცას და თბილისის ჰავას,  
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!“

(„ა. ვ.“)

ეტრფის ფიროსმანის დახატულ სუფრას – პატარძლის დაკრეფილ ქორფა მწვანისა და შუშა კიტრს, ხუჭუჭთმიან კრავსა და კახური ღვინით სავსე ტიკჭორას, ქვეყნის ჭორივით გასიებულს („ფიროსმანის დუქანი“); მზად არის – უგზო-უკვლოდ სვას ფიროსმანის სადღეგრძელო, სარდაფში მამაპაპურად პურზე დაანვეთოს ღვინო და თქვას: „ღმერთმა აცხონოს ნიკალაი“ („1938 წლის 14 ივლისი“). ლადო ასათიანმა ხელახლა შექმნა ფიროსმანი, თავის პოეტურ სიტყვაში დახატა. არ მეგულება ქართველი, ზეპირად რომ არ იცოდეს მისი სიტყვები:

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ  
და ყოველ დილით ვზვდები ნიკალას.  
ძილგატეხილი და არეული  
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,  
მერე შეკრთება, ვით მთვარეული  
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს“.

(„არ ვიცი, ასე რამ შემავყარა“)

ფიროსმანისგან შთავგონებულ ლადო ასათიანს აღარ სძულს ლოთები – სულაც არ ეწყინება ლამაზი ქალის ქმარს, ლოთს თუ შეარქმევენ:

„ამისი ქმარი ღვინოში მოკვდა, –  
ასე იტყვიან შენზე ლოთები,  
და შენც ასეთი ნაზი და კობტა  
ახალ სიყვარულს დაელოდები“.

(„ამისი ქმარი სარდაფში მოკვდა...“)





სამაგიეროდ, სარდაფში მკვდარს, გაიხსენებენ, როგორც ნიკალას და მის თბილ სამარეს დააბიჯებენ.

გვხიბლავს ლადო ასათიანის მიერ შექმნილი ქალაქური, დარდიმანდული ლხინი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თავად ლადო ასათიანი უპირატესობას კახელების სოფლურ ნადიმს ანიჭებს. კახურ ლხინში თითქოს ერთმანეთთანაა შერწყმული მთის იდილიაცა და მზიური ველის წეს-ჩვეულებებიც. საქართველოს სულ სხვა კუთხეში – ლეჩხუმში – მდებარე თავისი სოფელიც სწორედ კახელების ლხინში ახსენდება პოეტს, სძლევს კუთხურ „ჩემი უკეთესიას“ პრინციპს და სიამაყით, ვაჟკაცურად აღიარებს კახელებთან ლხინის უპირატესობას:

„ჩემს გვარს, უშიშარს და იმედიანს,  
არ მოჰკლებია ყურძნის ნაწური,  
მაგრამ ეს რაღაც უფრო მეტია,  
უფრო სოფლური და ვაჟკაცური“.

(„ლხინი კახელებთან“)

ამ ლექსშიც, ისევე როგორც აკაკისთან, იგივე აზრია გამოთქმული, რომ ყურძნის წვენი ავაჟკაცებს ადამიანს. როგორც გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოში“ ქმნის თამარის დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველოს სურათს, ეს მთლიანობა ლადო ასათიანს კახურ სუფრაზე გადმოაქვს, სადაც ლეჩხუმელი (ლადო ასათიანი იგულისხმება) ბრგე ხევსური, მეგრელი და ვეჯინელი (სოფელია კახეთში) ერთმანეთს ხასიათს უწყობენ და მკვიდრ ძმებად ეფიცებიან. თითოეული მათგანის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოში კი მათი კუთხის ხასიათი იხატება („ლხინი კახეთში და სადღეგრძელოები“ გვ. 83).

ლადო ასათიანი იმდენად შთაგონებულია ვაზისა და ღვინის კულტით, რომ საკმაოდ გრძელი ოდაც კი მიუძღვნა ვენახს, საკუთრივ ვენახს და ომახიანად შესძახა, სწორედაც რომ შესძახა, აქ სხვა სიტყვას ვერ ვიხმართ:

„ვაზებო, თავი დახარეთ, მგოსანი თქვენზე მღერისა,  
კაცის გუნებას ახარებთ, მტევნები რქაწითელისა“.

(„ოდა ვენახს“)

პოემაში „კოლხიდა“ ლადო ასათიანი ყველა ხილისგან გამოყოფს ყურძენს და მას საქართველოს მთელი ისტორიის, დაუსრულებელი ტანჯვა-წამებისაგან დაღვრილი ცრემლის ნაყოფად მიიჩნევს:

„ცრემლმა დახეთქა კოლხიდის მიწა  
და დაიარა ცრემლმა ტევრები,  
ცრემლმა ქვეყანას ნაყოფი მისცა  
და ცრემლი ჩადგა ყურძნის მტევნებში“.

(„კოლხიდა“)

ეს უდიდესი პატივი და ვაზის სხვა ხილთაგან გამორჩევაა! ლადო ასათიანი სულს უდგამს ამ მცენარეს და ადამიანად გარდასახავს. მის პოეტურ ფანტაზიაში ფეხი აუდგამთ ვაზებს და მოდიან:

„მოდიან მწიფე მტევნით ვაზები,  
მამაკაცივით ფეხადგმულელები  
იღრიჯებიან, ვით ჯამბაზები...“

და დიონისე ლოყებნითელი,  
ულვაშიანი და ჯიშიანი –  
მათ წინ მიუძღვის, თან მოაქვს ხელით  
ასი წლის ვაზი, ფოთოლთ შრიალით“.

(„კოლხიდა“)

ამ თავყრილობას თავაზიანად ეგებება გრიგოლ ორბელიანი და ქებას უძღვნის ვაზსა და ღვინოს. ლადო ასათიანი კი დიდი რუსთველის ებანს ნატრობს, რომ „პატი-ოსან მკითხველს“ იმედი არ გაუცრუოს და შესძლოს, გადმოსცეს კოლხიდის მიწის ამ ბარაქიანი ხილის გემო („კოლხიდა“).

დაბოლოს, ლადო ასათიანის პიროვნების უკეთ წარმოსაჩინად წერილი მისი ერთი ლექსით მიწადა დავასრულო. ეს ლექსი თითქოს გვიამბობს, როგორი ყოფილა ლადო. არც დარდიმანდი მოქეიფე, არც ღვინის ყანებით მსმელი და მომლხენი, არც არტისტიზმის ნიღაბს ამოფარებული პოეტი. უყვარდა შუალამემდე ქუთაისის „ცის-ფერ კაფეში“ – რიონის პირას – პოეტებთან ერთად ჯდომა ორ ლიტრა ღვინოზე ან სურნელოვან ჩაიზე და მამა-პაპათა გმირული ამბების გახსენება. ის იყო ერთი წესი-ერი კაცი, ვერ იტანდა უზრდელურ სიტყვას და უხამს ქცევას; წუხდა, რომ მის ლექსებს ცენზურა ამახინჯებდა, არ მოუხდია დროისათვის ხარკი, იცხოვრა სიღარიბეში, ჰქონდა ერთი ოცნება:

„რუსთაველის პროსპექტზე სიარული  
ნუ მომიშალოს ღმერთმა,  
ვიყო მუდამ ასე მხიარული,  
ქართველი პოეტი მერქვას.  
პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო  
სიმდიდრედ ჩამითვალეთ.  
თუ მეტი ვინატრო ან ეს ვითაკილო, –  
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...  
მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს  
ქაშვეთის შემოხედვამ –  
რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი  
ნუ მომიშალოს ღმერთმა!“

## თანამედროვენი

XX საუკუნის 50-იან წლებში ქართულ მწერლობაში ახალი თაობა მოვიდა და მოიგანა ახალი ლექსი; ახალი, როგორც პოეტური ფორმით, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ თაობის წარმომადგენლები არიან: მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ანა კალანდაძე, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი; ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდნენ: ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვები. რა იყო ახალი მათ პოეზიაში, რისი თქმა სურდათ? გარდა იმისა, რომ თითოეული ჭეშმარიტი პოეტი ყოველთვის ახალ სიტყვას ამბობს, ეპოქაც მოქმედებს მასზე. 50-იანელებს ეპოქამ უბიძგა საზოგადოებრივი მოვლენებიდან საკუთარი თავისკენ გადმოეტანათ მზერა, საკუთარ სულში ჩასაღმრავებლად მოეცალათ, რათა აცდენოდნენ პირმოთნეობას და იქ ეპო-





ვით უფრო ღირებული. და აი, ამ გარდატეხათა უშუალო ნაყოფი გახლავთ პიროვნულ ხედვაში მოქცეული საზოგადოებრივი და ეროვნული ღირებულებები, არა მხოლოდ პოეტური ასოციაცია (სიმბოლიზმი), არამედ ტრადიციული პოეზიის ძირებზე დაყრდნობილი რეალობა და არატრადიციული სიტყვა, სიტყვაში ჩაღრმავება. ეს ზოგადი ნიშნები, რა თქმა უნდა, ვაზისა და ღვინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებშიც მყდარდება, თუმცა ეს თემა იმდენად ტრადიციულია, რომ სიახლე არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ დროის ტენდენცია და ინდივიდუალური პოეტური ხედვა აქაც გამოჩნდა. დავინწყით შოთა ნიშნიანიძით, პოეტით, რომლის შემოქმედებაშიც „ახალთა“ შორის ყველაზე მეტი სიმძაფრით გამოიხატა ვაზისა და ღვინის კულტი.

## შოთა ნიშნიანიძე

შოთა ნიშნიანიძის პიროვნულ ხედვაში მთელი ისტორია მოქცეულა, თითქოს მემატინანე ატრიალებს კარუსელს, რომელზედაც ერთად ჰკიდია ირანის ლომიცა (შაჰ-აბასი) და „გვირგვინდაცლილი“, „პატივყარილი“ სიონიც და ისმის წყევლად: „ვინც მამულის ვენახს მოაცლის ჭიგოს – წყეულიმც იყოს!“ შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში წყევლად, ორი სიტყვით გამოხატულ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვით, შემოდის ის დიდი სიყვარული, რომლის გადმოსაცემად, ვინ იცის, რამდენი სიტყვა უნდა დახარჯულიყო („სიკვდილის კარუსელი ბავშვებისათვის“).

შოთა ნიშნიანიძის პოეზიას ხშირად მეტაფორულს უწოდებენ, ანუ მეტაფორაა მისი პოეტური ხელწერა. სამშობლოსა და მშობლიურის მეტაფორა კი ვაზია. სად ვაზი და სად ქართული ანბანი?! მაგრამ თურმე ანბანიც იმას უნდა ემსგავსოს, რაც ყველაზე მეტად ძვირფასია:

„თითს გააყოლებს ასოებს:  
ვაზის ლერწს,  
ნამგალს,  
ნიამორს,  
ენას ქართულად აიდგამს და იტყვის: აი, იაო“.  
(„გოგებაშვილის „დედა ენა“)

პოეტური გამომსახველობის ამგვარ მაგალითებს არაერთ ლექსში ვხვდებით და ყველგან, სადაც კი ქართულ სულზეა ლაპარაკი, ვაზი გვევლინება მეტაფორად, შედარებად თუ ჰიპერბოლად. ის გაშლილია რწმენაშიც, ანბანშიც და სიმღერაშიც:

„ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანიც,  
ქართველმა კაცმა გალობაც კი ვაზს მიაძგვანა.  
დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი, ლხინის უფალი,  
ჭირნახულის თუ ჭირვარამის ჭირისუფალი.  
„ვაზო, შვილივით ნაზარდო...“ უთქვამს წინაპარს.  
მირონი იცხო ვაზის ჯვრით და გზა გაილამპრა“.  
(„ნატვრა“)

„ჩემო ვენახეთო“ – ასე ეფერება შოთა ნიშნიანიძე თავის სამშობლოს („ისრით დაკანწრული, სიზმრად გადასული“). მისთვის საქართველოს ფოლიანტებიც კი „ვენახდება“ და საერთოდ, პოეტს სწამს, რომ საქართველო ვაზით და ფრესკით იცნობა,



ფრესკით, რომელშიაც კვლავ ვაზია გამოსახული („ციხე-ტაძართა საგალობელი“). არაჩვეულებრივი სიტყვები დაბადა პოეტურმა აზროვნებამ – „ვენახეთი“ და „ვენახდება“. სწორედ რომ სიტყვას უღრმავდება პოეტი: მის არსში შედის და იქ ეძიებს მის ძირეულ, თუ გინდაც – პოეტურ – მნიშვნელობას.

„გიხაროდენ“ ჩვენთვის ბიბლიური სიტყვაა და ანგელოზის მიერ უფლის ხარებას ნიშნავს. ამ სიტყვის რეფრენზე აგებს პოეტი მთელ ლექსს:

„გიხაროდეს – ფეხი შენი ბედნიერად დაიბნენი...  
დაებედა ქართულ სიტყვას ვაზის ფესვი, ვაზის წვენი“.  
(„გიხაროდეს“)

პოეტს იმის თქმა სურს, რომ ფეხბედნიერი იქნება ვაზი ქართული პოეზიისათვის და მუდამ იარსებებს მასში, რადგან უკვე დაებედა. „გიხაროდეს“ თანამედროვე ეროვნულ-პატრიოტული პოეზიის ჩინებული ნიმუშია. აგებულებით მას ძალზე წააგავს და ქართულ საგალობელს მოგვაგონებს შოთა ნიშნიანიძის „შენ ხარ ვენახი“. დემეტრე I-ის საგალობლისაგან განსხვავებით, ვენახი ლექსში სამშობლოს ხატია, ის აერთიანებს მითოსურსა და ქრისტიანულს, ძველსა და ახალ რწმენას. ვენახი ზოგადი სიმბოლოა სამშობლოსი. არსებობს „ვაზის ვენახი“, „ქვის ვენახი“, „წიგნის ვენახი“, „ხმლის ვენახი“, „სულიდან, ძვლიდან, ხორციდან ამოხეთქილი ვენახი“ – ამდენი ვენახია ერთ ლექსში, რადგან თავად სამშობლო ნაწილდება ვაზშიც, ქვაშიც, წიგნშიც, ხმალშიც, ჩვენს ძვალ-ხორცსა და სულშიც ერთიანად. როგორც აკაკისთვის ჩონგური საქართველოა და ჩვენ მისი სიმები ვართ, შოთა ნიშნიანიძისთვის ვენახი საქართველოა, ჩვენ კი მისი ჭიგოები ვართ („შენ ხარ ვენახი“).

შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში ვენახს, სამშობლოს გარდა, სხვა დატვირთვაც აქვს. პოეტი მას ხან თავის თაობას ადარებს – „თაობავ ჩემო, მსხმოიარე ოქროს ვენახო“ („ძველისა და უკანასკნელის შესახებ“), ხან შვილის ხმას, ვენახივით რომ ეხვევა მამას („ძლივს შემეჩვიე“), ხანაც პოეტს, მზე რომ ასხია მტევნებად და შემოქმედების პროცესში მარადისობას რომ უერთდება („შემოქმედება“).

შოთა ნიშნიანიძე ქმნის „ვაზის სიმფონიას“, რომელიც ნამდვილი ჰიმნია თავისი ემოციური განწყობილებით, ამაღლებული ინტონაციით, პატრიოტული თემატიკითა და აგრეთვე დაუფარავი სიამაყის გრძობით. ეს ლექსი კიდევ ერთხელ მოწმობს საუკუნეთა წიაღში საქართველოში ჩასახული ვაზის კულტის დღევანდელობამდე მოტანას. ვენახი აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს:

„ქართლ-კახეთი ლეგენდაა,  
იმერეთი – ზღაპარი,  
სამეგრელო ოცნებაა – გაფრენილი ფაფარი.  
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა – სიზმარი,  
ყველა ერთად – ვენახია ჩვენი დასაფიცარი“.  
(„ვაზის სიმფონია“)

„მერცხლის ბუდესავით შეკრული მტევანი“ პოეტისათვის ბუნების ღერძიცაა, ქალღმერთის ძუძუც და წყურვილის მომკვლელი „უფლის პეშვიც“, ე. ი. არამხატვრულად რომ ვთქვათ, ის რწმენაა – უფლის სისხლთან ზიარება. პოეტის უფლისადმი ვედრება კი ისაა, რომ ამერ-იმერი ვაზით გადაბუროს, „ამომტევნოს ჩუქურთმა“ და „ამოფოთლოს სტრიქონი“, რადგან ვაზი სიცოცხლეა, ის ჩუქურთმაშიც არის, ლექსშიც და სიმღერაშიც:





„შემოდგომის უღელს მზე ხარივით უბია  
და ქართული სიმღერაც ვაზის ტყუპია“.

ხარის სიმბოლო წარმართული აზროვნებიდან მოდის და ადამიანის საუკეთესო სულიერ ზრახვებს, სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებას უკავშირდება. მართლაც გმირები წერენ „ვაზის პოემას“ – „ლეგა ბიჭები... ნაღდი კახელი დევეები... შალვა, ბიძინა, ელიზბარ პირს ნათელგადაფენილნი“, მათთან ერთად არიან მშრომელი ადამიანები, მევენახეები. შრომა და გმირობა ერთადაა შერწყმული ვაზის სიმფონიაში. პოეტი საქართველოს ამერ-იმერს „ღმერთების დიდ ვენახსა“ და „ვაზის ადგილის დედას“ უწოდებს, ლოცავს და უსურვებს:

„იყავ ვაზივით უკვდავი,  
იყავ ვაზივით მარადი,  
ვაზივით დაფესვიანდი,  
იმსხმოიარე,  
გამრავლდი!“

(*„ვაზის სიმფონია“*)

მტრის შემოსევის მხატვრულ სურათსაც კი შოთა ნიშნიანიძე, მტრის სახე-ხატის გარეშე, ვაზის აკაფვით გამოხატავს:

„ქართულ ვენახს,  
ქართულ ჯვარს, –  
ქვეყნის ოთხივ მხარეს,  
როგორც იატაგანი, სხეპს თურქული მთვარე“.

(*„თევდორე“*)

სამშობლოსათვის შეწირულ ძეს, თევდორეს, კი პოეტი აჩეხილ ვენახს, ნაქცევულ საყდარსა და შეწყვეტილ გალობას ადარებს.

შ. ნიშნიანიძისათვის ღვინო დევის სისხლია (ასე ეძახიან კახეთში), ვაჟკაცობისა და გმირობის შთამაგონებელი. ამიტომაც ბოლინოთი (ღვინოში დაღობილი პური) გაზრდილი ბავშვი ბოღვერა მგელი გამოვა, ვენახის სულს ჩაიდგამს და მტერს არ გაახარებს.

„მაგ დევის სისხლში პური ჩაფშვენი,  
ჩემო წარსულს შე ქვრივ-ოხერო, –  
დაიზრდებიან ჩვენი ბავშვები,  
როგორც ალგეთზე მგლები ბოღვერა:  
მათაც ჩაუდგეთ სული ვენახის  
და თუ მოგიხტა სპარსი ან თურქი, –  
ვერ გაიხაროს – მტერმა ვერ ნახოს  
მაგ ბოლინოთი გაზრდილის ზურგი“.

(*„ქართული ლაშქრის სადიდებელი“*)

პოეტის დაკვირვებული თვალი ღვინის ყველა თვისებას ამჩნევს, მის ნაკლსაც და დადებით მხარესაც. მართალია, ის უცეცხლოდ დუღდება, მაგრამ ყველას როდი უდუღებს ტვინს, ჭკვიანს ბრძნად აქცევს, უჭკუოსთან კი დუღს და გადმოდუღს. მხიარული მაჭრის ზნე შფოთია, ამიტომაც მას ცეცები ეტანებიან; როცა მწარდება მაჭარი, ღვინდება და ბრძენდება. ნამდვილი ღვინო ანუგეშებს ბედკრულს, ბებერს აყმანვილებს, ლაჩარს ავაჟკაცებს, ძუნწს გულუხვს ხდის, მოშურნეს დროებით მაინც

(სუფრაზე) იმეგობრებს. ამიტომაც ქართველი კაცი და ღვინო ერთმანეთისგან განუყოფელია. ღვინის არქონა მისი სირცხვილია: ქართველის ბუნება ღვინოსთან დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება:

„უსტუმროს, უპურმარილოს  
ქვევრში უსხია ქეძაფი,  
ქართველი ავადმყოფობას უქეიფობას ეძახის“.

(„ქართული ლაშქრის სადიდებელი“)

ვაზი იმდენად განუყოფელია ქართული ყოფისაგან, რომ ის საფლავის ქვაზეც კი გამოსულა, ციხე-მონასტრებზეც ამოსულა და წამებულებით ატყორცნილა თაღისკენ. წამებული ვაზი – ეს სრულიად ახალი სახეა ქართულ ლიტერატურაში და სამართლიანად დგება ილიას „ობოლი ვაზისა“ და ვაჟას „მოხუცი ვაზის“ გვერდით. შოთა ნიშნიანიძე ვაზის სინმინდის გამოსახატავად უფრო შორსაც მიდის და მას ყველაზე სანუკვარ სახელს არქმევს, მაცხოვრად სახავს:

„იყავ კურთხეული ვაზო მაცხოვარო,  
ამერ-იმერის ძუძუს მანოვარო.  
შენი სიმფონია ლერნებ კრიმანჭულა  
გაფოთლილა ქართულ როკვა-გალობაში,  
ხეზე გასულო და სვეტზე მიკანჭულო,  
შენ კი გენაცვალე გავლა-გამოვლაში“.

(„ქართული ლაშქრის სადიდებელი“)

„ვაზი მაცხოვარი“ ბიბლიიდან მომდინარე არქეტიპული სახეა. ის არაერთხელ გვხვდება ქართული ქრისტიანული მონუმენტური სკულპტურის ძეგლებში. ამაღლებულ განწყობას, რომელსაც ვაზისა და საქართველოს განუყოფლობა ქმნის, პოეტი შინაურულ ინტონაციასაც ურევს და მოფერებით მიმართავს თავის ქვეყანას:

„სუფრა და სტუმარი ღვით დაგენმინდა რა, –  
ჩაიცვ, საქართველოვ, ვენახის წვრილთვალა!..“

(„ქართული ლაშქრის სადიდებელი“)

ზოგჯერ შოთა ნიშნიანიძე მთელი ლექსის აზრს ერთ-ორ სტრიქონში ატევს და მხატვრული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშებს – პოეტურ ესკიზებს – ქმნის ღვინოზე:

„ზოგჯერ სიფხიზლე უფრო ბრმაა, ვიდრე სიზმარი“.

(„ქართული ლაშქრის სადიდებელი“)

„სამყაროს წარღვნას მხოლოდ ლოთი ნოე გადურჩა“.

(„უბის წიგნაკში ჩანიშნული“)

შოთა ნიშნიანიძე ხშირად მიმართავს მითოსსა და ქართული ზღაპრის პერსონაჟებს, განსაკუთრებით წელიწადის დროებისა და ქართული სუფრის აღწერის დროს. შემოდგომა თავისი ძალ-ღონით ქართველი ბავშვებისათვის კარგად ნაცნობ ზღაპრის გმირს – ამირანს – ემსგავსება, რომელიც დევს ყელამდე სვამს მინაში, ოღონდ ამირანისაგან განსხვავებით, შოთა ნიშნიანიძის შემოდგომა ეზო-ეზო, კარდაკარ სიარულით მთვრალია:





„ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები,  
ჩამოიარა ეზო-ეზო სავსე ხელადით, ამირანივით მოიქნია ეს ბრგეჭურები,  
მოიქნია და დევებივით დაფლა ყელამდი“.

(„შემოდგომა“)

გიორგობის თვეს გალემილი დაიარება ქართული ზღაპრის არანაკლებ ცნობილი გმირი ოჩოკოჩი:

„გიორგობის თვეში,  
ნუნუა წვიმს ჩვენში,  
გალემილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში,  
გარბიან და გამორბიან გზები ალთა-ბალთას  
და ღლაბუცობს ოჩოკოჩი ოქროსთმიან ალთან“.

(„იმერეთი... გიორგობისთვე“)

მარნების მტერი გამხდარა ოჩოპინტრე.

– „ოჩოპინტრევ! ოჩოპინტრევ! ჰაიტა შე ეშმაკის ნაჭლიკარო,  
ბახუსი რომ ჩამოივლის, მარნებში რას დაჯირგალობ“.

– ასე შემოუძახებს მას პოეტი, თითქოს მისი ახლობელი ან მეზობელი იყოს. პატიოსან და მამაც წინაპრებს „ვენახის მიწები“ შეარქვა შოთა ნიშნიანიძემ (მიწია ვაჟა-ფშაველას პოემის „გველისმჭამელის“ გმირია. მან იცის მცენარეთა ენა), კახეთს კი „დევის მარანი“ („კახეთს – ვაზის გვირგვინოსანს“).

შ. ნიშნიანიძე ბიბლიურ წარმოდგენას ხალხურ სიტყვიერებას უხამებს და სრულიად ახალ ზღაპრულ-პოეტურ სურათს ქმნის, რომელიც იმდენად შორდება რეალურს, როგორც ზღაპარი სინამდვილეს:

„იქნებ მზე ჩამოგორდა ბაბილონის გოდლიდან.  
ჩამოიმსხვრა დახლებზე და ღვინოდ გადმოდინდა?  
ანდა დევმა საზამთრო დააგორა ზღაპრიდან  
და კლდის ძირას მიაფშვნა მტკვრის ელვარე ნაპირთან?“

(„ქართული ბაზარი“)

– ეს ზღაპარი არ გეგონოთ, ქართული ბაზრის აღწერაა, რომელსაც კიდევ უფრო ზღაპრული სურათი აგვირგვინებს: ღრუბლებში ხევსურმა წარმართული ღვთაება დალანდა, რომელსაც ხელში ჯიხვის ყანწი ეჭირა, ხორხოცებდა და ზემოდან უჩინრად გადმოჰყურებდა „ვაზის ქალაქს, მზის ქალაქს“, ძირს კი დულდა და ქოთქოთებდა ბაბილონის გოდოლი. ქართული ბაზარი თავისი სიუხვით, არეულობით, ენათა სიჭრელითა და ქოთქოთით მართლა რომ ბაბილონის გოდოლს წააგავს!

მითოსი კვლავ ერწყმის ბიბლიურ სახეებს და აი, ლექსში „ქართული ზღაპარი“ „ვიღაცა ქალი ბუოლას სხეპდა და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს“. პოეტს ის გლეხის ქალი ეგონა და „თურმე ღვთისმშობელი იყო“. აი, ნამდვილი მოულოდნელობა, რასაც მხოლოდ ლექსში თუ შეხვდები! ეს მოულოდნელობა მშვენიერია, ესთეტიზირებულია, რადგან ღვთისმშობელი სწორედ ვაზს უმაგრებს ჭიგოს; იმ ჭიგოს, რომლის ამომგდებიც სხვა ლექსში დანყველა პოეტმა.

მითოლოგიურ მასალაზეა შექმნილი ლექსიც „ლხინი კახელებთან“:

„შარშან მთელი ზაფხული მშვილდ-ისრით და კაპარჭით  
ზღაპარში გავატარე, სულ ზღაპარში, ზღაპარში“.

(„ლხინი კახელებთან“)

კახელების ლხინს პოეტი უწოდებს წარმართულ ღრეობას, სადაც, როგორც ზღაპარში, 9 რიცხვი ფიგურირებს:

„ვერ დამათრობს ცხრა ბიჭი, ცხრა ხელადა, ცხრა კვარტი,  
როცა ჭინკაც ხითხითით ჭინჭილაზე დაყუნცდა,  
– შენ დაუკა, დაუკა! – დამაჭიდეს ბახუსთან.  
მგონი, თავი მომეჭრა, – ბევრი შეესვი კახური,  
ჩემს ჩურჩუტ სიბერეს, სიზმრად რომ მყავს ნახული,  
ერთი ოციოდე წლით ამოვკარი პანლური“.

(„ლხინი კახელებთან“)

ლხინში ადამიანს ღვინო ათამამებს და თავს ახალგაზრდად გრძნობს. ეს გრძნობა უაღრესად პოეტურად და ვაცკაცურად – სიბერისადმი პანლურის ამოკვრით – გამოსხატა შოთა ნიშნიანიძემ.

მითოსურ მასალაზე შექმნილი ლექსებისათვის ერთი ნიშანიცაა დამახასიათებელი – პოეტი არაქართული მითოლოგიის პერსონაჟებსაც ქართულ სულს უდგამს, ქართულ გარემოში, ისე როგორც საკუთარ სახლში, გვიხატავს მათ და მითს აგრძელებს:

„დიონისე – ლხინის ღმერთი (ვინც გვეხატა მარანზე)  
კოლხიდაში იზრდებოდა – ღმერთების აგარაკზე.  
ბავშვობაში აქ დარბოდა ცხენისწყალთან, რიონთან  
მაშინ, როცა ჩვენს ქუთაისს, ქუთაია ჰქვიოდა...  
...აქ მღეროდა ჭურის თავზე ყელმალალა დოქებთან...  
და ცეკვავდა ჰორიზონტი ამ რიტმებით გაზრდილი,  
ცეკვავდა და კოლხეთის ტანს ეხვეოდა ვაზივით“.

(„მკვიდრო მარადისობის...“)

ლექსში „ელასა, მელასა ანუ ქართული ლხინი“ ავტორი ცდილობს მითოსურ პერსონაჟთა ფონზე – ამირანის, აქილევსის, ბახუსის, ჰექტორის, ოდისევსის და სხვათა მაგალითზე ქართული ხასიათი წარმოაჩინოს, რომელშიც კარგიც არის და ცუდიც. ამით პოეტი თანამედროვე სინამდვილის მტკივნეულ საკითხსაც წამოჭრის (თ. პაიჭაძე – „გამორჩევით მქმნელი“ პოეტი). კარგია და მისასალმებელი, რომ ქართულ სუფრაზე ყველა ერთია, ყველა დიდია, ყველას ქება გულუხვად ისმის, წარმოჩნდება ქართველთა ზრდილობა და ტალანტი, მაგრამ ცუდია მათი ბედოვლათობა, ერთმანეთის ჭორი და ქილიკი, მხოლოდ სიმთვრალეში გამოჩენილი სიკეთე, მგოსნის მიერ მეორე მგოსნის ჩუმად გაყიდვა და ა. შ. როგორც ვხედავთ, კრიტიკა და ქართული სუფრის პოეტურად აღქმული სილამაზე ლექსში ერთმანეთთანაა შეხამებული და სიზმრის სიმბოლიკაზეა დაფუძნებული. ამ და სხვა ლექსებშიც იგრძნობა მშობლიური კუთხის ბუნებისა და სიყვარულის მტკივნეული განცდა:

„ჩუქურთმაში ვაზი ტირის ქარაგმულად“

(„სიზმრად მაქვს ნახული...“)

– ამბობს პოეტი და ჩვენს თვალწინ ერთ სტრიქონში იშლება საოცარი ტკივილი და სევდა სამშობლოზე, რომელიც ჩუქურთმაში ქარაგმულად ჩახატული ვაზის ტირილით გამოიხატება და ამ სიტყვებით ძალიან ბევრი რამ არის თქმული. ეს არ არის ვაზის ლხენით ტირილი, ეს ტკივილიანი ტირილია და თუ გადავხედავთ შოთა ნიშნი-





ნიძის – ჩვენი დროის პოეტის – საქართველოს, ვნახავთ, რომ მართლაც ბევრი ჰქონია სატირალი. სიხარულიცა და სატკივარიც, ძველიც და ახალიც, რწმენაცა და სამშობლოც, შრომაცა და გმირობაც შოთა ნიშნიანიძემ ვაზს დაუკავშირა და ახალ ქართულ პოეზიაში კიდევ უფრო გაამყარა ამ მითოსური და ქრისტიანული მცენარის კულტი.

## მურმან ლებანიძე

შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ მურმან ლებანიძის პოეზიაში ვაზისა და ღვინის მხატვრულ სახეებზე; თუმცა ამ პოეტის შემოქმედებაში ვაზის კულტი ყველაზე ნაკლებად ჩანს, მაგრამ რამდენიმე ნიმუში მისი გამორჩევისა აქაც შეიძლება მოვიძიოთ:

„ვარ ქადაგი ჩვენი ფლორის,  
ჯერ საერთოდ, შემდგომ ორის –  
ვეტრფი ყურძნის ხეს და ნიგოზს  
მრავალ მწვანელოვანთ შორის“.

ეს სიყვარული ქართველი კაცის, ქართული ბუნების გამოძახილია. იმიტომაც ვეტრფის მურმან ლებანიძე ვაზს, რომ ის სამშობლოს განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართველი ხალხი და საქართველოს ბუნება. პოეტის ოცნებაც თავისი ერის სიმრავლესთან ერთად საქართველოს მიწის მსოფლიო ვენახად გადაშლის ჰიპერბოლურ სახეში გამოიხატება:

„მინდოდა ქართველი თორმეტი მილიონი,  
სულ ათი-თორმეტი მინდოდა მენახა –  
არაგვის სიარაგვე, რიონის სირიონე  
და მიწა გაშლილი მსოფლიო ვენახად“.

ეროვნული ტკივილის საოცარი სიმძაფრით გადმოცემა, რაც დამახასიათებელია მურმან ლებანიძის პოეზიისთვის, ამ თემაზე შექმნილ ზოგიერთ ლექსში მხატვრული აღქმის მაქსიმალიზმსაც აღწევს: მურმან ლებანიძის ლირიკული გმირი, თავისი ერის წარსულით ამაყი, ანმყოში გულგატეხილი და ნერვიული ტონით მოსაუბრეა; ლექსს ლამაზ საფარველს, ამალღებულ განწყობას აცვილებს, რათა უკეთ და ბოლომდე გამოხატოს თავისი სათქმელი – თანამედროვეობის ტკივილი – წინაპართაგან მოწყვეტა:

„ვენახში ორი საფლავი გქონდა,  
ერთი ალვის ხეც ვერ გაუხარე!“  
„რისი ალვის ხე? არც იცი იქნებ,  
ოცი წელია, ვენახიც გახმა!“  
„კი, ადგილზეა საფლავი ორი,  
მაგრამ ვენახში ვენახი არ ჩანს...“

(„ისევ ფიქრები“)

ვენახდაკარგული დროის შვილი მხოლოდ ოცნებაში ხედავს ვაზის სახეს და წინაპრის სულის შესანდობარს ნაყიდი ღვინით სვამს. ამ ფაქტის დაფიქსირება – საკუთარი გარჯით მოყვანილისა და დანურულის მაგივრად ნაყიდი ღვინო – თავისთავად

მის უარყოფით მხარეზე მიგვანიშნებს. ვენახის გახმობა სამშობლოს სიმბოლურ დაკარგვასთან ერთად მურმან ლებანიძისთვის ეროვნების რეალურად დაკარგვას ნიშნავს:

„მომელანდება ქალაქში ვაზი,  
ხაპი და ხაპთან ყურძენი ხვირით –  
არგასაცვლელი სამშობლო სხვაზე –  
და სულს ვუხსენებ ნაყიდი ღვინით“.

(„ისევ ფიქრები“)

პოეტი შეულამაზებელი სიტყვებით გადმოსცემს ეპოქის ტკივილს, რასაც ვერ ასცდა მისი ლირიკული გმირი, მაგრამ ამ შეულამაზებელ ტკივილში სილამაზესაც აქსოვს. ეს სილამაზე ვენახში გათხრილ საფლავეებშია, რომლებზედაც „თითო ვაზი ნახრილა ობლად...“ ვენახი სულიერების, სამოთხის ბალის სახეს იღებს. მასშია ყველაზე სანუკვარი, პოეტისათვის ყველაზე საყვარელი ორი არსების საფლავი. საფლავიდან კი სვეტიცხოვლის სიცოცხლის ხის მსგავსად ვაზია ამოსული. პოეტი მიჯაჭვულია როგორც საფლავთან, აგრეთვე საფლავიდან ამოსულ ვაზთან, იქ თავისი პირმშოც მიჰყავს, რათა მასაც გადასცეს თავისი გრძნობები. წინაპარი და ვენახი უკავშირდება სამშობლოს (წინაპართა განსასვენებელს) და სულიერების ბალს (თუმცა გამხმარს, მაგრამ მაინც ვენახს). სხვა ლექსებში ვენახების შემცირების გამო წუხილიცაა გამოხატული; კერძოდ ის ფაქტი, რომ რაჭაში ძნელადმოსავლელი ყურძენის ჯიშების ნაცვლად სხვაგან ნაყიდი ყურძენს წურავენ („და უსინდისოდ სხვის ყურძენს ვწურავთ“). პოეტის აზრით, ეს უპატიებელი ცოდვაა:

„სირცხვილი – ჩვენგნით არგასამხელი!  
სირცხვილი – ჩვენი დამამხობელი!  
აღარც ვენახი! აღარც ნამყენი!  
აღარც მყნობელი! აღარც სოფელი!“

წინაპართა დანატოვარს გაფრთხილება სჭირდება. ქართველი „ბარე ორმოც საუკუნეს“ აგუგუნებდა „მრავალჟამიერს“ (სუფრულ სიმღერას), „ლილეოს“ (სვანების გმირულ ჰიმნს), აგებდა „დაკბილულ“ ციხეებს. სწორედ მან შექმნა:

„სვეტიცხოველი და – საოცარი!  
კაცს რომ გელანდება ძილში!  
ერთი „ვეფხისტყაოსანი“  
და ხუთასი ვაზის ჯიში!“

ვაზის ჯიშები სვეტიცხოველთან და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად პოეტს ეროვნულ საგანძურში შეჰყავს და თვლის, რომ ამის ფასს ვერაფერს დაუტოვებდა წინაპარი. მურმან ლებანიძისთვის უბერებელია პოეზია, რომლის მუდმივი თემაც „ღვინო, დუდუკი და ქალებია“. ამ სამ უძველეს სიამოვნებას პოეტი „სამ მრავალჟამიერს“ უწოდებს, რომელიც ამავე დროს „მარადახალია“ და ამაღლებული. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ „ღვინო, დუდუკი და ქალები“ მურმან ლებანიძისთვის დარდიმანდული ღვინის ტრფიალს ნიშნავს. პოეტს არასდროს შეუქია ასეთი ღვინი. ღვინის სიყვარული მისთვის გლეხკაცის შრომის დაფასებით გამოიხატება, რაც უმთავრესად რთველისა და შემოდგომის კახეთის აღწერაში ვლინდება. სხვათაგან განსხვავებით, ლე-





ბანიძე რთველის მასიურ სურათს როდი ხატავს. მას მუდამ პიროვნება აინტერესებს; მისი ლირიკული გმირი განსხვავდება ზღაპრულ გმირთაგან და ადამიანური ტკივილით ცხოვრობს – ბებერი ბესოს ოჯახი რთველისათვის ემზადება. ცოლ-შვილი ლამპრით ხელში თავს ადგას ოჯახის მამას; დიდის ამბით, სინაზით, ზარ-ზეიმით ბანენ ჯაფისაგან გაძვალეზულ ფეხებს. ბესო ხაპში დგება, სრესს ყურძენს, უწითლდება ბებერი ფეხები. აქ არ ჩანს ამაღლებული განწყობა, როგორც რთველის დროსაა მოსალოდნელი; არც გმირის შემართება და შრომის დაფასებით მიღებული სიხარული. პირიქით, ბესო მონყენილი და დადარდიანებულია: „ვერ ვარგიყო ვენახი წელსო!..“ მიუხედავად არაესთეტიზირებული, რეალური სურათის აღწერისა, პოეტს ქართველი გლეხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვს (რომელსაც საკმაოდ დამაჯერებელს ხდის ლექსის ორი კონტრასტული ნაწილი):

„ლეკი –  
 ისე არ ემზადება ნამაზისათვის,  
 ფრანგი –  
 ისე არ ემზადება ლამაზისათვის,  
 არცა –  
 მავანი და მავანი ვერცხლის თვლისათვის,  
 როგორც –  
 ქართველი გლეხი – რთველისათვის!!!“

*(„რთველი“)*

სხვა ლექსში – „კახეთი, შემოდგომა“ – პოეტი ქართველ ხალხს მეზვერესა და მეხილეს უწოდებს, „სასხლავიანს“, ვაზის მოვლით „ხელებკოჟრიანს“, ქართულ მიწას – „სავენახეს“ ვაზს – „ქოჩრიანს“ და თავისი აღმატებული გრძნობების დასაოკებლად იმასაც კი ნატრობს, რომ, ნეტავი, სულ არ ეხილა ეს მიწა და ხალხი:

„ცაო ვარსკვლავიანო,  
 ვაზო ქოჩრიანო,  
 ხალხო სასხლავიანო,  
 ხელებკოჟრიანო!  
 ...ხალხო მეზვერევე, მეხილევე,  
 მიწავ სავენახევე,  
 ნეტავ სულ არ მეხილე,  
 სულ არ დამენახე!“

*(„კახეთი, შემოდგომა“)*

მურმან ლებანიძისთვის საქართველო ის ქვეყანაა, სადაც, ჭირის დღეა თუ ლხინის, ყველგან უფულოდ განვდიან ღვინოს; სადაც ყველა პოეტი – ვაჟა, ილია, აკაკი თუ გალაკტიონი – უმღერის ქართულ სუფრას:

„სადაც შეხვედი, ღვინოს განვდიან,  
 დღეა ჭირის თუ ლხინის;  
 თუმნის გადახდას შენ არ გაცდიან –  
 გული მადლობას ყვირის“.  
 „ოჰ, საქართველოვ, ჩარგლის, ყვარელის,  
 ჭყვიშის, სხვიტორის ტკბილის,  
 ჭარიმე შენი პურის, მარილის,  
 შენგან მონვდილი ღვინის!“



მურმან ლებანიძე ლამის ჩუმი და მყუდრო პეიზაჟის აღწერაშიც კი სრულიად მოულოდნელად იყენებს ხმაურიანი დღესასწაულის ატრიბუტებს – ქვევრსა და ღვინოს. ამ განსხვავებული ამპლუით ისინი პირველად ჩნდებიან ქართულ პოეზიაში და უაღრესად ორიგინალურ მხატვრულ სახეებს ქმნიან:

„ვეება ქვევრებს აბოდებს ძილში –  
ჩუ! ღვინოები დამხდარან ავად!“

დადებითი ემოციის გამოხატვისა და მოფერების მიზნით სხვადასხვა თემაზე შექმნილ ლექსებში მურმან ლებანიძე ხშირად იყენებს ქართული ყურძნის ჯიშის ღვინოებს:

„ტკბილით სავსე ტიკჭორა ხარ,  
ქვემო რაჭას წანწკარა ხარ,  
...  
მთის რაჭისთვის ხვანჭკარა ხარ“

– მიმართავს პოეტი რაჭის პატარა სოფელ ხიმშოს. ზოგ ლექსში „დათვისისხლა შავ ღვინოს“ იხსენებს („მახსოვს“), ზოგან „ალადასტურის... ჭიგოზე ბრჭყალს“ („ერთხელ... სულორის მხრიდან, ზემოთით...“) და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ თავის პოეზიაში მურმან ლებანიძეს ღვინის კულტი არ შეუქმნია, პოეტმა გვერდი ვერ აუარა ვაზსა და ღვინოს და მათ პიროვნულ ლირიკაშიც ორიგინალური და განსაკუთრებული ადგილი მოუძებნა.

## მუხრან მაჭავარიანი

მუხრან მაჭავარიანის ლექსებს „ხორკლიანი“ უწოდეს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. ამ „ხორკლიანობაში“ უპირველეს ყოვლისა ის ვაჟკაცური გრძნობა იგულისხმება, რომელიც ლექსის წაკითხვისთანავე გულზე ხვდება მკითხველს და პოეტის თითქმის ყველა ლექსში შეიგრძნობა. მუხრან მაჭავარიანი ღვინისა და ვაზის თემატიკას სპეციალურად არ უძღვნის ლექსებს, მაგრამ ეს თემატიკა მის მთლიან შემოქმედებაშია შერწყმული და სწორედ რომ „ხორკლიანობით“ გამოირჩევა, რადგან ყურძნის გემო იგრძნობა მასში („ყურძნის იგრძნობა ჰაერში გემო...“ („დგას“)).

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების მთავარი თემა პატრიოტიზმია. საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა ღირსებას ხედავს პოეტი, რომლითაც მთელ საქართველოს გამოარჩევს მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან. კახეთის ღირსება კი მისი ღვინოა:

„რაც კი ზარია შემოკრული დღემდე ალავერდს, –  
მადლი იმ ზართა შესწეოდეს მეზვრე მანაველთ,  
მეზვრე ჩუმლაყელთ,  
მეზვრე შილდელთ,  
მეზვრე ახმეტელთ!  
მე ვინაიდან ღვინოებში კახურს ვაღმერთებ“.

(„მადლი იმ ზართა“)





მანავი, ჩუმლაყი, შილდა, ახმეტა კახეთის სოფლებია. თითოეულ მათგანში სა-  
უცხოო ღვინო იცინა. თუ ღვინოებში პოეტს საუკეთესოდ კახური მიაჩნია, დუნიაზე  
(მთელ ქვეყნიერებაში) მხოლოდ მამულს აღმერთებს.

სხვა ლექსებშიც, სადაც ქართველისათვის საამაყო სახელებს (სულ ერთია –  
ადამიანთა თუ გეოგრაფიულს) ჩამოთვლის პოეტი, აუცილებლად იხსენებს კახურ  
ღვინოსაც:

„ბზიფო, ენგურო, ალაზანო, მტკვარო, იორო,  
აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;  
ქინძმარაულო, ტიბაანო, ღვინოვ კახურო;  
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო...“

(„ანდუყაფარო, ლიპარიტო...“)

მუხრან მაჭავარიანისთვის პოეტურ სიტყვას სწორედ ამ სახელებით ესხმება  
ფრთები და მას ველარაფერი შეაჩერებს.

საქართველოს ღირსებათა ჩამოთვლისას პოეტი ყურადღებას ამახვილებს შემ-  
დეგ ისტორიულ ფაქტებზე: ქართველმა პირველმა მოიშინაურა ველური ვაზი, მან  
სხვაზე უნინ შექმნა საცხოვრისი სახლი, გამოჰყედა რკინა და ქრისტეშობამდე დაწერა  
წიგნი. ამიტომაც მუხრან მაჭავარიანი აკეთებს ქართველისათვის უეჭველ, სხვათათ-  
ვის შეიძლება პათეტიკურ, დასკვნას: სხვა ერი ბავშვია მის სამშობლოსთან შედარე-  
ბით; ქართველის სისხლის ფასი კი, რომელშიაც ამდენი ღირსება „მიმოდის“, მთელ  
ქვეყანაზე არ მოიპოვება:

„ყველაზე უნინ ვინც გასხლა ვაზი,  
ქვა სხვაზე უნინ ვინც დასვა ქვაზე,  
ვინც სხვაზე უნინ გასჰყედა რკინა,  
ვინც სხვაზე უნინ იხმარა ინა,  
ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი, –  
სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი“.

(„სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი“)

სხვა ლექსშიც – „ამერ-იმერი“ – პოეტი იგივე აზრს იმეორებს – საქართველოს  
ღვინის უძველეს ქვეყნად მიიჩნევს, რასაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად თვლის  
ჩვენი ქვეყნის მრავალ ღირსებათა შორის:

„ამერ-იმერი – სიმბდალეში უსაზღვროდ ძუნნი.  
ამერ-იმერი – ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უნინ.  
ამერ-იმერი – არასოდეს მორჩილი ბედის.  
ამერ-იმერი – სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი.  
ამერ-იმერი – უძველესი ქვეყანა ღვინის,  
ამერ-იმერი – დედამინის ლამაზი შვილი...“

(„ამერ-იმერი“)

საქართველოს ღირსებანი, რომელთაც თითქმის ყველა ლექსში უმღერის პოე-  
ტი, გამგზდარია თითოეული ქართველის ხორცსა და სისხლში. ეს სისხლხორცეულობა  
გარკვეული პროცესია, რომელსაც პოეტი ღვინის მოძრაობას ადარებს:

„ვითარცა ღვინო –  
ქვევრიდან ხაპში –  
ხაპიდან დოქში –  
დოქიდან ჯამში –  
ქართული სისხლი,  
ქართული სული,  
ქართული სიტყვა  
ქართული გული  
გადადიოდა  
კაციდან კაცში“.

*(„ვითარცა მტკვარი“)*

მუხრან მაჭავარიანი ქართული ლხინის მშვენიერ სურათებსაც ხატავს, რომელთა ძირითადი ატრიბუტი კახური ღვინო და ქართული სიმღერაა. „კახურით გულის ხშირდება ძგერა“, ხოლო ქართული სიმღერა ნაპირებგადმოლახულ ალაზანს ჰგავს:

„გახურდა ლხინი:  
შეენა ხმა ხმას,  
ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც –  
და როცა ეშხში შევიდნენ უკვე,  
მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ –  
იალაზანა,  
იალაზანა, –  
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა  
და გადმოლახა ნაპირნი წყალმა“.

*(„ლხინი ალაზნის ქალაში“)*

განსაკუთრებით სასიამოვნოა ქართული ლხინი, როცა თამადად პოეტია. მაშინ მისი ხმით თვით ცა ლაპარაკობს. მუხრან მაჭავარიანი თამადადობსა და პოეტურ პროცესს ერთმანეთს უკავშირებს და ორივეს ღვთისგან ბოძებულ შემოქმედებით ნიჭად მიიჩნევს:

„მარტოდმარტო ცაა როცა ცაში,  
ზეცა როცა კრიალაა მაშინ,  
პოეტია როცა ტოლუმბაში,  
ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში“.

*(„ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში“)*

პოეტს უყურადღებოდ არ დარჩენია ქართველის ერთი თვისებაც, რომ ის მარტო არასდროს ნადიმობს:

„მარტო ვით გასწევს ნადიმსა,  
ვინც ნადდი ქართველი არი“.

*(„ნადიმი“)*

მიუხედავად ქართული ლხინისადმი თავყვანისცემისა, თავისი სიტყვებისათვის უფრო მეტი დამაჯერებლობის მიცემის მიზნით პოეტი გარდაცვლილ ოპიზარს მოიხმობს და მას ათქმევინებს:

„დაჯდები ქოხში,  
სასახლეში,  
თუ ხის გრილოში:





ღვინო შენ უნდა დალიო და  
არა ღვინომ – შენ“.

*(„თქვა ოპიზარმა“)*

მუხრან მაჭავარიანი ღვინის სმაში ზომიერებას ემხრობა, ზოგჯერ ყანწს ჭიქას ამჯობინებს, წერტილის დროულ დასმას კი ადამიანის საუკეთესო თვისებად მიიჩნევს:

„იძახის ლექსიც, ყანწიც:  
– არ დაგვეკარგა, ჯობდა! –  
უძვირფასესი განძი, –  
ზომიერების გრძნობა!“

*(„ძახილ-წუხილი“)*

პოეტი ფილადელოფოს კიკნაძის (ქართველ თავად-აზნაურთა 1832 წლის შეთქმულეების ერთ-ერთი მეთაური. დაპატიმრებამდე მოღვაწეობდა შუა მთის მონასტერში) სიტყვებით კიცხავს ღრეობას. თვლის, რომ არავინ შეუწოდებს ისეთ ქართველს, ვისაც ჯიხვის რქებსა (ყანწებსა) და ქეიფზე უჭირავს თვალი. მომავალი წარსულს ცოცხით შლის, ის მკაცრია და ლხინის გარდა სხვა საქმესაც მოითხოვს, ამიტომაც ქართული სუფრა შრომის ნაყოფად უნდა იქცეს, რათა გაიმარჯვოს:

„იბასიანოს,  
დროა,  
დროა,  
ქართულმა სუფრამ! –  
მოდის მერმისი –  
ცოცხით ხელში –  
მკაცრი და სუფთა“.

*(„სიტყვა თქმული ფილადელოფოს კიკნაძის მიერ  
ძმათა თვისთა თანა შუამთაში“)*

ცალკე რთველის ქება მუხრან მაჭავარიანს არ მოუცია, მაგრამ შემოდგომის აღწერისას პოეტი შეუდარებელ მხატვრულ სახეებს ქმნის:

„ყურძენი ვენახიდან გამორბის კოდებით“;

*(„შემოდგომა“)*

„სანნახელს სისხლი წასკდა ცხვირიდან, –  
ჭურში ორშიმომ ჩატუნტრა ცხვირი“;

*(„შემოდგომის სურათები“)*

„სანნახელი – კამეჩებით მითრეული –  
წარსულივით უმზერს წიფლის ხეთა“.

*(„მარანი წიფლებში“)*

ყველაზე „ხორკლიანი“ მაინც სანუთროს ხილთან შედარებაა:

„კვლავცაა, ვით იყო, სანუთრო ალუბლური:  
შეხედავ, – ბალია!  
იგემებ, – ტყემალი!  
და მაინც კაია ყურძენი გალუმპული,  
ბაასი ხილთანი და ხილთა ქებანი“.

*(„სანუთრო“)*

მართალია, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ მუხრან მაჭავარიანის – მაღალი პოეტური და არა მხოლოდ პოეტური – გემოვნება ერთი ლექსით შეგვიძლია დავახასიათოთ:

„ქალი?! –  
მიყვარს,  
მიყვარს ქალი.  
ღვინოც,  
ოღონდ არა ქარხნის.  
პურიც,  
ოღონდ არა ფურნის.  
პური – თორნის  
ღვინო – ჭურის  
ქალი – მსგავსი გაზაფხულის“.

## ანა კალანდაძე

დაბოლოს, ვაზისა და ღვინის ეს ამოუწურავი თემა ანა კალანდაძის პოეზიით გვინდა დავასრულოთ; პოეტი ქალის შემოქმედებით, რომლის სახელიც ასე მყარად და განცალკევებით დამკვიდრდა ქართული პოეზიის შემქმნელ ამდენ მამაკაცთა შორის. განცალკევებით – ვამბობთ, რადგან ქართულ პოეზიაში ანა ერთადერთი ქალია, რომელიც მხოლოდ სახელით, გვარის გარეშე მოიხსენიება. ეს უდიდესი დაფასება და გამორჩევაა პოეტის. და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ასეთი გამორჩეული ქალიც კი ვაზსა და ღვინოს უმღერის.

ანა კალანდაძეს ვაზის კულტი არ მოუცია. ის ზოგადად აქებს ჩვენი ქვეყნის მთელ მცენარეულ სამყაროს, ყოველივეს, სადაც კი სულიერებას ხედავს: ვარდს, შროშანს, ლილიანს, მინდვრის ველურ ყვავილებს – იას, ენძელას, ყაყაჩოს; აკაციას, ლერწამს, ალვას, ნაძვს, ლიბანის კედართ; ხეხილს – ნუშს, ატამს, ტყემალს; და ამდენ მცენარეთა შორის მაინც გამოყოფს ვაზს. თუ ყვავილები ანასთვის დედამიწაზე განფენილი სულიერებაა, ვაზი მიწისა და ზეცის წმინდა კავშირია:

„წმინდა კავშირად მიწის, ზენასი,  
ვაზი დაეშვა იზაბელასი...  
დგას მიწის სუნი“.

თავის დამოკიდებულებას ვაზისადმი პოეტი ჩვეული ინტიმური გრძნობით გამოხატავს, რომელიც მარტივ სასაუბრო ინტონაციასა და უშუალო მიმართვის ფორმაში მჟღავნდება:

„შენი ვენახის ქობი,  
გადახურული წალმით...  
თუ განვიმდება, მაშინ...  
შემოვალ ერთი წამით...  
ო, მხოლოდ ერთი წამით,  
შევეფარები შენთან...“

(„შენი ვენახის ქობი...“)





ვენახში შესვლა სახარებისეული სიმბოლიკით ღვთის მცნებათა წიაღში შესვლაა. „ნარვედით თქვენცა ვენაწსა ჩემსა და, რაჲ იგი იყოს სამართალი, მიგცე თქვენ“ (მათე 20,4).

ანა კალანდაძისათვის მართალი კაცის ვენახი უფლის ვენახს ემსგავსება და პოეტის მასში შესასვლელად, წვიმისაგან თავის შესაფარებლად ემზადება. ამ ლექსით ანამ ქართულ პოეზიაში დაუმკვიდრა ადგილი ერთ-ერთ საუკეთესო ვაზის ჯიშს, ქართლში მცირედ გავრცელებულ მუქ-წითელა დანახარულს:

„დანახარულის ვაზი  
ყელს მოხვევია ჭიგოს,  
– შენი ტრფობით ვარ სავსე,  
ეჩურჩულება თითქოს...“

სიყვარულის მომღერალმა პოეტმა ჭიგოს შემოხვეულ ვაზშიც სიყვარული დაინახა და კიდევ ერთხელ შეაქო იგი.

– როგორ დანერეთ ეს ლექსი? რამ მოიტანა ვენახში თავის შეფარების განწყობა? ვის ვენახს გულისხმობდით? – ვეკითხები ქალბატონ ანას.

– „უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამანაწილეს, სადაც დღემდე ვმუშაობ“, – მისხნის ქალბატონი ანა, – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისთვის მასალებს ვაგროვებდით და არნოლდ ჩიქობავამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგვანაწილა. წარმოშობით დასავლეთელები აღმოსავლეთში გაგვავაზვნა, აღმოსავლელები კი დასავლეთში. მე კასპის რაიონში აღმოვჩნდი. სრულიად უცნობი, ზღაპრული სამყარო გადაიშალა ჩემს თვალწინ. იქაური ენობრივი ნორმები ჩემს ლექსებშიც გამოვიყენე. იქ ვნახე დანახარულის ვაზის ჯიშიც, დანარჩენი კი პოეტური წარმოსახვაა, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს რეალურ ამბავთან კავშირში. ამ ლექსშიც, რა თქმა უნდა, კონკრეტული ვენახი არ იგულისხმება.“

უშუალობა და გრძნობათა სიფაქიზე ანა კალანდაძის პოეზიის გამოსარჩევი ნიშანია. იმ ლექსებშიც კი, სადაც ღვინო და სიმთვრალე ჩნდება, მათი ვაჟკაცური აღქმის ან თუნდაც ქალისაგან მოსალოდნელი გაკიცხვის ნაცვლად, ანა მათში სულიერებას აღიქვამს. ომარ ხაიამისადმი მიძღვნილ ლექსს მან ნიზამის სიტყვები წაუმიძღვარა ეპიგრაფად: „ომარ ხაიამს ბუხარაში ყოფნის დროს ეთქვა: ჩემი სამარე იქ უნდა იყოს, სადაც ხეები ყოველ წელიწადს ყვავილებსა და ფოთლებს გულზე დამაყრიანო. მე ვინახულე ხაიამის სამარე ნიშაბურში, იგი მართლაც ფოთლებითა და ბალახით იყო დაფარული. მაშინ მომაგონდა ხაიამის სიტყვები და ტირილი დავიწყე“. ტირის ანას ლექსიც: სულს ღვინო შერჩენია ხაიამის გახსენებისას, მთვრალი ყაყაო მობარბაცებს, ხეები კი ფოთლებით სვამენ ღვინოს და მთვრალ ყვავილებს გულზე აყრიან მის საფლავს. ანა თავის პოეტურ სამოსელში ხვევს ომარ ხაიამის სიტყვებს, რითაც გარდაცვლილი პოეტის მარადიულობას გამოხატავს და ასე მიმართავს ღვინის ტრფიალს:

„სურები შექმნეს შენი ტალახით,  
ღვინო მოუღხენს ყელმოხატულებს...  
შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი,  
ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს“.

(„ამ სურით სვამენ“)

ანას ლექსებში ბუნება იზიარებს ადამიანთა განცდებს. კალანდის დროს, როცა ადამიანები სიხარულით ელიან სიახლეს, მარანთან ჩავლილი ქარიც კი თვრება:

„ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით  
გრძნეულ მარანთან...  
შემოდოდა ჩიჩილაკებით  
ჩვენში კალანდა“

(„შემოდოდა ჩვენში კალანდა“)

აღწერის დეტალები, კითხვითი წინადადებები, რომლებიც პოეტის უშუალო გრძნობის გამოძახილია, და ამას თანდართული ნაწყვეტი ხალხური ლექსიდან, კიდევ უფრო ახალხურებს ანას შემოქმედებას და კიდევ უფრო მიაქვს მკითხველის გულთან:

„ია განგებამ დახატა თუ ფიროსმანის ყალამმა?  
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?  
„უუუუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა...“

(„უუუუნა წვიმა მოვიდა“)

ლალისფერი ღვინო „სალხინო“ პოეტს ყაყაჩოს ღვინოდ წარმოუსახავს და მის შესმაზე სულაც არ აპირებს უარის თქმას, მით უმეტეს – რომ სალხინო განწყობაზეა, ყველაფერი ახარებს: ჯეჯილი, თვალგახელილი ყანა, მთით მონაბერი ნიავი, ნარგიზის იავნანა და პატარა ჩიორას მუხის ტოტიდან მისალმებაც კი.

ანა სამშობლოს დღეგრძელობას სთხოვს თანამოდმეებს:

„პაპის მონაცემი,  
მარად საოცნებო,  
კარ-მიდამო ჩემი  
დამილოცეთ, ძმებო!“

პაპის დანატოვარ კარმიდამოს, რომელიც ლექსში დეტალებით და ამ დეტალებში ჩატეული სათქმელით არის წარმოჩენილი, სამშობლოს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან თითოეული ქართველისათვის სწორედ ამ დეტალებით აღიქმება წინაპართა ცხოვრება:

„აკაციის ტევრი...  
წნელის სუსტი ღობე...  
ქუდმოხდილი ქვევრი...  
ღვინიანი კოპე...  
აქ – მზით დამწვარ ხელში  
ღვინიანი ჭიქა...  
იქ – ცარიელ ქვევრში  
დამწყვედილი ჭინკა...“

(„დამილოცეთ, ძმებო“)

წნელისაგან შემოქსოვილი ღობე, ღვინის ტრადიციული ჭურჭელი – ქვევრი, მწარე კვახისგან გაკეთებული ღვინის ამოსაღები – კოპე და თვით გლეხკაცის მზისაგან გარუჯული ხელიც კი ქართული ყოფის დამახასიათებელი ნიშნებია; ჭინკა კი ქართული ზღაპრისა და ცრურწმენის განუშორებელი ელემენტია, წარმოშობით – ბოროტი სული, რომელსაც ისე შეჩვევია ქართველი, რომ შინაურადაც გაუხდია და ქვევრში დაუმწყვედვია გაუმადლარი.





– „პაპაჩემს ორი უზარმაზარი მარანი ჰქონდა“ – მერთვება ამ წერილის კითხვის დროს ქალბატონი ანა – „და დიდი მიწა, რომელიც შემდგომ ჩამოართვეს და რამდენიმე ოჯახს გაუნაწილეს (ჩაასახლეს ჩვენს მიწაზე). ჩემს ბავშვობაში მარნები უკვე გაუქმებული იყო და სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ამ ვეებერთელა ცარიელ ქუჩებში მხოლოდ ჭინკებილა სახლობდნენ“...

ბავშვობისდროინდელი შეგრძნებები სურათების სახით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოსულან ანას ლექსებში, მაგრამ ნაწყვეტებში რატომღაც მთავარი დეტალები მოხვედრილა.

ანა კალანდაძის პოეზიაში უხვად გვხვდება ბიბლიური, კერძოდ კი სახარებისეული მოტივები, რომლებიც ძირითადად პოეტის სულიერ მდგომარეობასა და განწყობას გამოხატავენ. თითქოს სატრფიალო თემა ჟღერს მის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც მოულოდნელად სახარებისეული იგავის სულ სხვაგვარი გააზრებით ბოლოვდება:

„სანთელთა ბრწყინვას  
ხატი მისი  
მივუსადაგე  
და ტანი მისი ცად ატყორცნილ  
სვეტთა სიმაღლეს,  
სერაფიმთა და ქერუბიმთა  
ფრთა რომ შეახეს...  
ღვინო ახალი  
თხიერსა ძველსა  
მივუსადაგე“.

თუ სატრფოს ხატი, ვინც არ უნდა იყოს ის – ადამიანი თუ სამშობლო, სანთელთა ბრწყინვას ესადაგება, ტანი – უდიდესსა და უწმინდეს სიმაღლეს, სერაფიმები და ქერუბიმები ფრთებით რომ ეხებიან, მოულოდნელობას იწვევს პოეტის ბოლო აზრი – ახალი ღვინის ძველ ტიკში ჩასხმა. სახარებისდა მიხედვით: „არც ახალ ღვინოს ჩაახამენ ძველ ტიკებში, სხვანაირად ტიკები სკდება, ღვინო იქცევა და ტიკებიც ილუპება, არამედ ახალ ღვინოს ასხამენ ახალ ტიკებში და ორივე ინახება“ (მათე 9,17).

იგავის აზრია, რომ ქორწილის დღეს (ლაპარაკია საქორწინო ნადიმსა და ქრისტეზე, როგორც სიძეზე) ვერ იმარხულე, სიხარულის დროს ვერ იქნები მწუხარე, ეს ერთმანეთისადმი შეუთავსებელი მცნებებია ისევე, როგორც ძველ ტანსაცმელზე დაკერებული ახალი ქსოვილი და ახალი ღვინო ძველ ტიკში (ანუ ქრისტიანობის გაზიარება და წარმართული ქცევა). ანა კალანდაძის პოეტურ სულში კი ერთმანეთს ესადაგება სიყვარულისგან მიღებული სიხარულიცა და ნაღველიც, ქრისტიანობაცა და წარმართული ქცევაც, რადგან ეს ყოველივე ადამიანური ბუნებაა. ანა ამ ბუნების მეხოტბეა, სხვადასხვა გრძნობის ერთმანეთთან მისადაგების ხელოვანი.

ცნობილი სახარებისეული იგავია წყლის ქცევა ღვინოდ – კანას სასწაული, რომლის დროსაც იესო ქრისტემ საბოლოოდ განამტკიცა თავისი მონაფეების რწმენა. ანა კალანდაძის ლექსში კი ღვინო წყლად იქცევა, რაც რწმენის დაკარგვისა და შებლავის მანიშნებელია. ლექსის სიუჟეტიც ბიბლიურ თემაზეა აგებული და დანიელ წინასწარმეტყველის ამბავს გადმოგვცემს: ბაბილონელნი იუდეიდან ნაალაფარი ტაძრის



წმინდა ჭურჭელით მირთმევენ ღვინოს, ეამაყებათ ამა ქვეყნის ძლიერობა და ვერ ხვდებიან, რომ ამით წმინდა ჭურჭელს ბლალავენ. მოულოდნელად შეწყდება მათი ღრეობა. მეფე ბალთაზარი (ბიბლიურად ბელშაცარი, ნაბუქოდონოსორის ძე) კედელს მიაჩერდება, სადაც უცნობის ხელი შიშისმომგვრელ სიმართლეს დაწერს:

„არავინ ხელყოსო სინმინდე სხვისი,  
ქარს გაჰყვებო დიდება ფუჭი!“

– მოგვითხრობს ანა და ლექსს უფლისმიერი, კანას მსგავსი სასწაულით ასრულებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახატე ჭურჭელში ღვინო წყლად იქცევა. გვებადება კითხვა: ბიბლიური ამბის გალექსვითა და მისი ინტერპრეტაციით (ღვინის წყლად ქცევის სასწაულის დამატებით) გაფრთხილებას ხომ არ გვაძლევს პოეტი?! რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ანა კალანდაძის მოხდენილ თქმაში, სპეციალურად მოხმობილ და მხატვრულად გააზრებულ სიუჟეტში, საერთოდ დაკარგულია დიდაქტიკის კვალი. ანა კალანდაძისთვის ღვინო კვლავ უფლისმიერი სიბრძნის გამოხატვის საშუალებად რჩება. ოღონდ პოეტი ამ სიბრძნეს თავისებურად წარმოგვიდგენს და ისე, რომ არქეტის ძლიერ არ დაშორდეს, მის მხატვრულ გადამუშავებას იძლევა.

– „ჩემთვის მაშინ მართლაც განყალდა ღვინო, სულ უბრალოდ, უცებ წყლად გადაიქცა“, – კომენტარს აკეთებს ქალბატონი ანა; თუ – რატომ, ეს მის საიდუმლოდ რჩება, რომლის გახსენება აღარც კი სურს.

ანა კალანდაძის ცნობილი ლექსია „ფეხი დამადგით“, რომელიც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ შთაგონებით უნდა იყოს შექმნილი. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე ძლიერმა მეფემ ანდერძად დაიბარა, დაესაფლავებინათ გელათის კარიბჭეში, რათა ყველა გამვლელს მის საფლავზე ფეხი დაეგა. მეფის ეს უდიდესი სინანულის გამოხატველი ანდერძი ლექსში შემდეგი სიტყვებით არის გამოთქმული:

„ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
წყალობა ჰყავით...  
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
ვისურვე, დავით...  
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტევნებით...“

ყურძნის მტევნები ანას პოეტურ წარმოსახვაში სინანულთან დაკავშირებული ასოციაციაა, რომელსაც ადამიანისათვის სულის სიმშვიდე და უტკბილესი გრძნობა მოაქვს. წმ. მამები ხშირად მიმართავენ ამ უდიდესი გრძნობის (სინანულის) ყურძნის ჭყლეტასთან შედარებას: „ისევე როგორც მანქანა, რომელიც დაწურულ ყურძენს აწვება და სრესს (ჩვეულებრივ ყურძენს ჯერ ფეხებით წურავენ, ხოლო შემდეგ მძიმე ქვით ჭყლეტენ, რათა მას მთელი წვენი გამოადინონ), ასევე ღმრთის შიში და მისი მართლმსაჯულების შეგრძნება ქვის ლოდივით შემუსრავს კაცის ხორცსა და ძვლებს, დათრგუნავს მას და დაამდაბლებს ყველას წინაშე. ხოლო როდესაც მისი სიამაყე და პატივმოყვარეობა მოტყდება, მაშინ მას ზეგარდმო მიეცემა მსუბუქი და უტკბილესი





გრძნობა სიმდაბლისა, ლოდევით დაანვება, გამოსწურავს მისგან ხორციელ ვნებებს და მას კეთილმსახურად აქცევს... (ნმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი).

დავითის საფლავის ლოდიც, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა ფეხის დადგმით ყურძნის მტევნებით გაისრისება და გაიცრიცება, მეფის არანამიერი, არამედ მუდმივი სინანულის გამოხატულებაა. ეს სინანული ანას ლექსში ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ჩამოყალიბებული გაჭყლეტილი ყურძნის მტევნის მხატვრული სახით გამოვლინდა.

რელიგიური თემატიკა ანა კალანდაძის შთაგონების წყაროა, ამ თემატიკაში კი ვაზისა და ღვინის სიმბოლური აღქმაცაა ჩართული, როგორც მისგან განუყოფელი ნაწილი, მისი მხატვრული ღირებულების ერთ-ერთი განმსაზღვრელი.

– „ეს მართლაც ასეა, ბიბლია ჩემს ცხოვრებაში რეალურად მონაწილეობს, მეუდამ ახალი მოდის მისგან. ერთს კი საიდუმლოდ გეტყვით“, – მეუბნება ქალბატონი ანა, – „ჩემს ცხოვრებაში წვეთი ღვინო არ დამილევიან!“

„მით უმეტეს!“ – მხოლოდ ეს სიტყვაღა მომდის აზრად – „მით უმეტეს!“

ანა ტიპური ქართველი ქალია, ქალი და პოეტი, რომელსაც წვეთი არ დაუღევია და მაინც უმღერა ვაზსა და ღვინოს. ეს სიმღერა მის პოეტურ ნარმოსახვაში ქართულმა გენმა თუ მოიტანა.

## ბოლოსიტყვაობა

### (თემისა „ვაზისა და ღვინის კულტი ახალ და უახლეს ქართულ პოეზიაში“)

„მეცხრამეტე საუკუნე მტკვარს მიჰყვება ტივით“ – წერს XX საუკუნის პოეტი შოთა ნიშნიანიძე. ჩვენ კი ვიტყოდით, რომ XX საუკუნეც დროს გაჰყვა, ოღონდ არა ტივით, არამედ სწრაფად მსრბოლელი ავტომობილებით და დღეს უკვე XXI საუკუნეა – კომპიუტერებისა და ტექნიკის ეპოქა.

ქართულმა ლექსმაც მეტ-ნაკლებად იცვალა ბუნება, მოირგო ახლებური ფორმა, შეიმჩნევა ავანგარდისტული მიმართულებებისაკენ სწრაფვა, უცხოური მხატვრული გამოსახვის საშუალებათა დამკვიდრება და კიდევ, რაც ნიშანდობლივია, თემატიკის ძირფესვიანი ცვლილება. XXI საუკუნეში კიდევ უფრო მომრავლდნენ ანაკრეონტის მიმდევარი მწერლები, რომელთათვისაც სიმთვრალე და თავდავინწყებაა მთავარი, ვიდრე ვაზისა და ღვინის ტრადიციული კულტი.

და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ დღეს საქართველოში მაინც შემორჩნენ პოეტები (შემორჩნენ საკმაოდ დიდი რაოდენობით), რომელთა შემოქმედებაში ცოცხლდება ტრადიციული მოტივები, წინაპართა საქმის სიყვარული და კეთილზმოვანება ქართული ლექსისა. ომახიანად ჟღერს ახალი თაობის სიტყვა, გაბედულება და შემართება არ აკლია მას:

„ყური დამიგდე, შენ კი არა, მე ვარ ვენახი!  
 ფოლადის მტევნებს ვაჩხრიალებ  
 მჩატე სხეულზე,  
 ენისელი ვარ, რქანითელი და კარდენახი,  
 ყურძნის ტვერი ვარ,  
 სანნახელში გამომწყვდეული.  
 კარგად შემხედე, შენ კი არა, მე ვარ ვენახი!“

*(ზურაბ რთველიაშვილი, „მე ვარ ვენახი“)*

ამინ! – ვეტყვით ჩვენ მათ. გვსურს ახალ თაობაში ვენახი ვიხილოთ!!!



## La vigne – l'arbre de vie

(La vigne et le vin dans la culture géorgienne)

En Georgie on compte quelques centaines d'espèces de vigne. La supériorité et même le culte de cette plante dans le pays sont évidents. En outre, la vigne est considérée comme l'arbre de vie et c'est ainsi qu'elle s'enracine dans la conscience des Géorgiens. En plus, la notion de vigne s'étend également sur toute la culture nationale : peinture monumentale, façades des églises, ciselure, gravure sur bois, broderie utilisée comme décor à l'intérieur de l'église, folklore, chant, littérature ancienne et moderne, peinture et poésie contemporaines, la vigne est partout présente.

Au V<sup>e</sup>-ième millénaire avant notre ère le logement ancien d'un géorgien a la forme d'un oeuf (de tonneau). Au centre du logement (près du foyer) se dresse la colonne principale, comme l'arbre de vie au milieu du paradis. L'arbre de vie est le symbole essentiel de la Géorgie païenne ainsi que de l'univers chrétien. À l'Éden Adam ne put pas goûter le fruit de l'arbre de vie, nécessaire pour son immortalité, mais il attendait ce fruit et ses descendants l'attendent toujours. Par la divine providence l'ange apporta du paradis une branche de l'arbre de vie à Loth. La croix du Calvaire fut fabriquée justement avec du bois de cet arbre qui poussa sur cette branche. Du corps blessé du Christ crucifié au Calvaire on vit couler du sang et de l'eau qui est connue dans la théologie comme l'eau vivifiante – l'eau de vie. Au Calvaire l'arbre de vie se transforma en arbre de vie du Nouveau Testament - croix du Calvaire, qui donna son fruit – le Christ.

Cette conception prend une signification particulière dans l'univers géorgien. Le chiton du Messie partagé au Calvaire fut apporté à Mtskhéta – ancienne capitale de la Géorgie, par le croyant Hélios. Il fut enterré au centre de la Géorgie, où le fleuve Aragvi se joint au Mtkvari. Sur ce lieu poussa un arbre – signe de la plus grande sacralité que le corps du Dieu crucifié laissa sur cette terre. Ce n'est pas par hasard que Saint André abattit le grand chêne – l'arbre païen et le remplaça par la croix. L'oeuvre commencée par le Saint André fut poursuivie par la Sainte Nino, celle qui convertit des Géorgiens. Sur son indication l'arbre poussé au-dessus du chiton fut abattu et par la force de sa prière fut transformé en colonne de feu, c'est-à-dire colonne vivante. Cette colonne vivante (svétitskhovéli) est l'image de l'arbre de vie du paradis replanté sur la Terre pour le salut des hommes. Ce n'est pas par hasard que pour le pays divinisant l'arbre de vie, la sainte Nino fit la croix justement en vigne qui symbolise le sang de Jésus et c'est la croix de Nino qui symbolise la colonne vivante (svétitskhovéli).

Toute la culture géorgienne porte l'empreinte symbolique de vigne, surtout l'art chrétien qui traite toutes les notions physiques à travers les dimensions métaphysiques, ce qui provient du côté visuel de la plante même. Les œuvres d'art chrétien qu'on rencontre sur les façades des églises, les bases et les colonnes des stèles, gardent les premiers

modèles de l'image de vigne, dont Les plus anciens remontent au V- ième siècle. En général la conception symbolique de ces images est la suivante: à l'instar de Jésus qui se sacrifia à l'humanité pour ressusciter la postérité d'Adam communiée à son sang, la vigne produit la grappe qui à son tour produit le vin de communion.

Ainsi en Géorgie la vigne – symbole de la mort de Jésus, de sacrifice et de son fruit – le sang est devenu en même temps symbole de l'arbre de vie et de la colonne vivante (svétitskhovéli); Et la Géorgie, patrie de vigne et de vin fut conçue comme demeure de la colonne vivante et du vignoble du christianisme; vignoble qui par la divine providence est protégé par la Vierge. Dans les chants religieux la Vierge est mentionnée comme vignoble planté en Eden.

Les exemples particuliers des images de vigne nous sont fournis à partir des monuments de l'art plastique de la première période de l'art chrétien – les stèles dont il n'en reste que quelques vestiges. L'ornement végétal géorgien dans la sculpture en métal pour la plupart est inspiré par le vignoble et représente son abstraction. Le vin et la vigne figurent également dans la peinture monumentale, mais pas aussi fréquemment. Nous possédons de nombreux modèles de gravure sur bois et de broderie, dont la symbolique des images est caractéristique pour le christianisme en général.

Le Christ – l'arbre de vie – le vignoble, forment une base solide de la culture géorgienne. Quand cette base fut menacée à l'époque où la Géorgie perdit sa souveraineté, et quand le paradigme culturel se trouva en danger, l'instinct de survie se manifestant une fois de plus, l'image symbolique de vigne se révéla d'une nouvelle force sur les pierres tombales, ainsi que dans l'oeuvre du peintre naïf –Pirosmani.

La vigne et le vin occupent leur place stable dans le folklore géorgien dès les temps les plus anciens. "Et on trouvait en Karthlie du pain et du vin en grande quantité" – lit-on dans les chroniques. C'est ainsi que l'historien apprécie son époque. Ces mots soulignent l'importance du vin et du pain dans la vie du pays. Leur abondance démontre le bien-être de l'État. Outre le bien matériel le pain et le vin désignent des catégories morales et ne correspondent pas seulement à la nourriture.

Le vin est appelé par le peuple le sang de vigne. Il représente en même temps le sacrifice et le fruit que la vigne apporte aux hommes. Aucune plante ne mérite autant de respect, d'amour et de soin que la vigne. Elle incarne l'abondance, mais l'attitude du vigneron géorgien envers la vigne ressemble plutôt aux relations qu'ont les parents avec leurs enfants. "Vigne, élevé comme un enfant" – ce fragment poétique en est un exemple éloquent. Le peuple géorgien consacre de nombreuses poésies à la vigne. Nous ne nous arrêterons pas ici sur les traditions géorgiennes de l'hospitalité, de table et de vin, nous noterons seulement que le festin géorgien sans chant n'est rien et le répertoire des chansons de table est très varié. Beaucoup de chants de table prennent leur origine au sein de l'église. Quand les nouveaux chants remplaçaient les anciens à l'église, ces derniers ne tombaient pas dans l'oubli, au contraire ils étaient chantés à table. C'est grâce à cette tradition que les chants anciens furent sauvés, conservés et même modifiés. La fameuse chanson "Mravaljamiéri" en est un magnifique exemple.

La perception symbolique de vin et de vigne est évidente à travers la littérature géorgienne - ancienne, nouvelle et contemporaine. “ La vie de la Sainte Nino” (IVs.) représente le jardin du paradis. Sur les fresques aussi le paradis était peint suivant cette représentation. Sur ces images on voit “Babilo”, la vigne hautaine. Au centre du paradis se dresse une vigne avec des grappes qui symbolise l’arbre de vie. Les oiseaux de paradis planent autour. Comme on voit, dans le christianisme géorgien, dans l’art ou la littérature la vigne garde la fonction de l’arbre de vie et se retrouve au centre du paradis. Dans l’oeuvre du grand poète géorgien David Gouramichvili la branche de vigne incarne le Christ, Le Grand Soleil c’est le Père Dieu, et la vigne même – la Vierge.

Avec la représentation mythique et symbolique de la vigne, la poésie géorgienne chante des louanges au plaisir éprouvé en buvant le jus de raisin tout en lui accordant une importance esthétique. Selon la mythologie la divinité - le Soleil se transforme en corps et grappes de vigne, et l’énergie divine passe dans le vin qui enivre l’homme et le communit au divin. Dans la littérature du XIX siècle la vigne acquiert encore une fonction - celle de l’expression des sentiments patriotiques. Elle en possédait toujours, mais le XIX siècle la révèle plus particulièrement et lui accorde l’importance du symbole. La vigne géorgienne se charge de l’expression de deux signes essentiels de la conscience nationale étroitement liés l’un à l’autre – la croyance et l’amour, tout en les manifestant dans l’art. Le vin et la vigne se reflètent dans la poésie géorgienne du XIX siècle justement par l’union des ces symboles et par l’immense place occupée dans la culture; et le poète, les glorifiant, a le rôle d’un sculpteur qui unit l’ancien et le nouveau, tout en créant de magnifiques images artistiques polyvalentes : “l’automne plaça le Bacchus dans le pressoir” ( A. Tchavtchavadzé), “ton visage – mélange de neige et vin” (G.Orbéliani); “la tombe sainte de la Reine Thamar entre les vignes” (V. Orbéliani); “la vigne orpheline” (I.Tchavtchavadzé); “le lait de la vieille vigne” (Vaja-Pchavéla); “mère de vin rouge” “vigne – chevalier à fortes moustaches” (R.Éristhavi); “ le vin de notre pays, c’est-à-dire le vin de vigne poussée sur les os et le sang de nos ancêtres” (A.Tsérééli) etc. Le vin et la vigne furent plus ou moins traités par tous les écrivains et poètes du XIX siècle indépendamment de la place qu’ils occupent dans l’histoire de la littérature géorgienne.

Ce sujet, traditionnel pour la littérature géorgienne passa aussi dans la littérature des XX et XXI siècles. Bien sûr, les méthodes d’expression – la forme de poésie et les images artistiques, ainsi que la conception du monde, changèrent, mais la tradition de la culture de vigne reste et elle ne pourrait pas être ignorée par la littérature contemporaine.

Nous avons essayé de démontrer brièvement la place que la vigne occupe dans la culture et la vie géorgienne. Nous pensons que cette plante garde son statut de culte même aujourd’hui. Un seul exemple pourrait servir de preuve – récemment un paysan a abattu les vignes de son vignoble en signe de protestation contre le gouvernement. C’était une sensation largement médiatisée. Malgré cette attitude tendre et affectueuse, il est regrettable que chez nous il n’y ait pas de tradition de consommation quotidienne de vin, à table on boit du vin en grande quantité ce qui est nocif pour la santé. Historiquement, en Géorgie il y avait une période où le vin avec le pain était considéré comme un produit

alimentaire important. On n'en buvait que trois verres en prononçant trois toast (il existe des informations le démontrant dans les textes historiques et littéraires). On connaissait de différentes recettes de traitement par le vin qui figurent dans les anciens livres médicaux. La partie progressive de notre société n'ignore pas ce problème et essaie de le surmonter en prenant l'exemple des pays du "vieux monde" (pays grands producteurs de vin) où l'oenothérapie est assez développée et la consommation quotidienne de vin est une habitude ancrée dans la conscience. Un autre pays qui a la même attitude face au vin et qui peut être cité en premier lieu c'est la France.

Si nous prétendons que "la Géorgie est le berceau de vin" - c'est à - dire le pays où le vin fut produit pour la première fois, la priorité de vin et de vigne doit être reflétée non seulement dans la culture, mais ils doivent prendre une fonction d'importance étatique. Le vin géorgien remplit cette fonction pendant des siècles. La culture géorgienne en est un témoin infallible.

რედაქტორი	<b>მაია ეჯიბია</b>
ყდის დიზაინი	<b>თინათინ ჩირინაშვილი</b>
დაკაბადონება	<b>ნათია დვალი</b>

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
0128, Tbilisi, 14, Ilia Chavchavadze Ave.  
Tel.: 25-14-32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)